საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
www.geworld.net
№47 (90)
22 - 28 დეკემბერი, 2010

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
info@geworld.net

დევნილების გამოსახლება ნაახალწლევს 7 განახლდება

საქართველოს ციხეებში სიკვდილი 12 ბატონობს!

ნოღაიდელს საკუთარი პარტიიდან 18 რიცხავენ

თურქმენ მოსწავლეებს სააკაშვილით 19 აშინებენ

მეჰრიბან ალიევა «არაფორმალურ» სკანდალში 20 გაეხვია

ასი წლის წინათ ქართველები ერთმანეთს ერთი შეკითხვით ხვდებოდნენ: „ილია ჯერ არ მოუკლავთ?“ ამან ერთგვარად შეამზადა კიდეც საქართველო იმისთვის, რაც 1907 წელს წინამძღვართან მოხდა

## ნუ გვამზადებთ, არ გამოგვივათ!

კათოლიკოს-პატრიარქის, დავით V-ის შვილიშვილის პასუხი მართლმადიდებლობის მაგინებლებს 10-11





4 გურამ ფირცხალავა:

## რა ჯადო გაუკეთა ან რა შიში აჭამა სააკაშვილმა ამ ხალხს ისეთი, რომ ვერავინ ხმის ამოღებას ვერ ბედავს?!

## 2010 – სოციალური გენოციდის წელიწადი




8

# ცხვართა დუმილი

**ლოგოგადალუნულ საზოგადოებრივ მაუწყებელზე დავით პაიჭაძის საავტორო გადაცემა „დიალოგში“ გადაცემის ავტორმა თეოლოგ ბექა მინდიაშვილთან ერთად ცხარედ განიხილა სოციალურ ქსელში გავრცელებული ანონიმური წერილი, რომელიც შეურაცხყოფდა მართლმადიდებელთა, ანუ იმ საზოგადოების უმრავლესობის რელიგიურ გრძნობებს, რომელიც ამ ტელევიზიას უხვად აფინანსებს...**

ანონიმური წერილი სოციალურ ქსელში თავად ბექა მინდიაშვილმა გაავრცელა. წერილში სათაურით — **„პატრიარქობა ნათესაობით გადადის?“** საქართველოს პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის მიმართ გამოთქმულია ბრალდება, რომ იგი საყდარს საკუთარ ძმისშვილს უმზადებს.

**საზოგადოებრივი მაუწყებლისგან ტლინკი გასაკვირი არ არის, მაგრამ საოცარია რეაქცია, უფრო ზუსტად კი წაყრუება, რომელიც პატრიარქის, საპატრიარქოს და წმინდა სინოდის გაქილიკებას მართლმადიდებელი საზოგადოებისგან მოჰყვა.**

ერთი წამით წარმოიდგინეთ, რომ სომხეთის მთავარ ნაციონალურ არხზე წამყვანმა და ვინმე თეოლოგმა სომხეთის პატრიარქს ჩირქი მოსცხოს, გრეგორიანელების რელიგიური გრძნობები შეურაცხყოს.. ან თუნდაც რომის პაპის მისამართით მოხდეს მსგავსი რამ ნებისმიერი ევროპული ქვეყნის ტელევიზიაში, რომელიც ამავე ქვეყნის უმეტესად კათოლიკე საზოგადოების მიერ ფინანსდება... **წამყვანსაც და თეოლოგსაც, შაყის კვრა და ჩაქოლვა თუ არა, ადგილობრივი საზოგადოებისგან, სულ მცირე, გაკიცხვა და გარიყვა არ ასცდებოდა...**

ყველასთვის ცნობილია, რომ საზოგადოებრივი მაუწყებელი ხელისუფლების რუპორია, მმართველი პოლიტიკური ძალის საყვირია და ისიც ცნობილია, რომ პაიჭაძე, ისევე, როგორც მინდიაშვილი და ზედანია, მეფის ნავში არცთუ მეორეხარისხოვან ადგილებზე სხედან.

ასევე, ყველასთვის ცხადია, რომ ეს გადაცემა, რომელსაც პატრიარქმა **„ანტისახელმწიფოებრივი“** და **„ცუდზე უარესი“** უწოდა, იყო ხელისუფლების ერთგვარი გზავნილი, გაჟღერებული პაიჭაძე-მინდიაშვილი-ზედანიას ტრიოს მიერ...

**ეს გასაგებიცაა. ხელისუფლებამ ჯერჯერობით ვერ მოახერხა საპატრიარქოს „შიგნიდან“ გატეხა და გარედან მიქსეული მსტოვრებით ცდილობს პატრიარქის ავტორიტეტის შერყევას...**

ცნობისათვის: 21 დეკემბერს მიხეილ სააკაშვილის დაბადების დღე იყო. პრეზიდენტს ამ თარიღისთვის თანაგუნდელებმა (როგორც თვითონ განაცხადეს) **„ერთგულება და პატიოსნება“** აჩუქეს. „ერთგულება“ ქვეყნის პირველ პირს „აჩუქეს“ პაიჭაძემაც, მინდიაშვილმაც და ზედანიამაც — ყურმოჭრილობის დასტურად მარხვისას პატრიარქი გააქილიკეს.

**ბატონ პაიჭაძეს „ნათესავების ლობირებაზე“ მაშინ რომ ამოეღო ხმა, როდესაც ძვირფასი პრეზიდენტის რომელიმე თანაგუნდელისა და თანამონაწილის ყალთაბანდ ძმას, უნიჭო მეუღლესა თუ, უბრალოდ, ნათესავს „მემკვიდრეობით“ რომ ნიშნავდნენ მაღალ თანამდებობაზე, ან ასეთი ნათესავების სარფიან ბიზნესში „გაკვეხებისას“ გამოეთქვა პროტესტი, მის უსუსურ არგუმენტებს ცოტა მეტი დამაჯერებლობა ექნებოდა.**

თუმცა არგუმენტიც არის და არგუმენტიც. პაიჭაძემ პატრიარქის ქადაგებას — რომ ეს გადაცემა იყო **„ანტისახელმწიფოებრივი და ცუდზე უარესი“** — კვლავ ქილიკით უპასუხა და განაცხადა, რომ არ აპირებს **„ქუჩიდან წამოსული მოთხოვნების შესაბამისად“** დაგეგმოს თავისი გადაცემა...

**როგორია?!**

შეგახსენებთ, რომ **უწმინდესმა პაიჭაძის გადაცემაზე სამების ტაძარში ქადაგებისას ისაუბრა**, ბატონ დავითს კი ან ქუჩა და ტაძარი, მოთხოვნა და ქადაგება ერთმანეთისგან ვერ გაურჩევია, **ან კიდევ აქაც შეგნებულად შეურაცხყოფს მართლმადიდებელთა რელიგიურ გრძნობებს...**

კიდევ ერთხელ მიაქციეთ ყურადღება, რომ **ბატონ პაიჭაძეს გადაცემა „დიალოგი“ მიჰყავს საზოგადოებრივ მაუწყებელზე, არხზე, რომელიც, ძირითადად, მართლმადიდებელთა ჯიბიდან ფინანსდება.**

კომენტარი, ვფიქრობ, ზედმეტია...

პაიჭაძის საქციელზე არანაკლებ **„ანტისახელმწიფოებრივი და ცუდზე უარესია“** საზოგადოების რეაქცია ამ საქციელზე... როდესაც ერის სულიერ წინამძღოლს, მწყემსს ასე უტიფრად შეურაცხყოფენ, ხოლო ერი ისეა საახალწლო ინდაურის სარფიანად „დათრევით“ დაკავებული, რომ დუმს, მას არ უნდა ეწყინოს, თუკი ვინმე ცხვრის ფარას შეადარებს...

**საზოგადოების ეს დუმილი სხვა არაფერია, თუ არა ცხვართა დუმილი, ახლომხედველობა ფარისა, რომელსაც ვერ გაუაზრებია, რომ ულიმღამო ნაშთი ქართული სახელმწიფოსი** (ის, რისი დასამარებაც სააკაშვილის მმართველობამ ჯერ ვერ მოასწრო) **ერთადერთ საყრდენს – მართლმადიდებლურ სამოციქულო ეკლესიას უჭირავს...**

რაც შეეხება პაიჭაძეს, როდესაც ცხვრები დუმან, პაიჭაძენი და მინდიაშვილნი გაჰკივიან, ვითარცა საყვირნი იერიქონისა, რათა მოსრან ცხვრის ფარად ქცეული, დადუმებული ქართველობის უკანასკნელი ბურჯი...

**ახია ცხვრებზე!**

**უჩა შავდია**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

## გაჟღერებული



**ილია მეორე,**
**სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი:**

როგორ გვაკლია ჩვენ სიმშვიდე. თუ ადამიანს სიმშვიდე არ გააჩნია, მის გარეშე ყველაფერი შეუძლებელია. მთავარი ერის კეთილდღეობა და სიმშვიდეა და არა პიროვნების ამბიცია და ამპარტავნება.

ჩვენ მხოლოდ ჩვენს აზრს ვამბობთ და სხვისი მოსმენა ძნელია. თითქმის ყველა ადამიანი აკრიტიკებს მეორეს და სხვების გამოსწორებას ცდილობს. აკრიტიკებს არა იმიტომ, რომ მისი გამოსწორება მართლა სურს, არამედ იმ მიზნით, რომ ის დაამციროს. ადამიანებმა სხვისი აზრების მოსმენა უნდა ისწავლონ.

*„პირველი“*



**ედუარდ შევარდნაძე,**
**ექს-პრეზიდენტი:**

ამ ეტაპზე ჩვენ უნდა ვიფიქროთ რუსეთთან ურთიერთობის დალაგებაზე. აფხაზეთის დაბრუნება მხოლოდ ამ გზით არის შესაძლებელი, თორემ ჩვენ თუ რუსეთის დაშლას ველოდეთ, მერე უკვე შეიძლება, აფხაზეთის დაბრუნებაც გვიანი იყოს... ვიცი, საქართველო ფეხზე დადგება რუსეთის მეშვეობით, მისი დახმარებით და მხარდაჭერით.

*„ასავალ-დასავალი“*



**ბადრი ბიწაძე,**
**სასაზღვრო პოლიციის ყოფილი უფროსი:**

სააკაშვილმა მითხრა, ახლა ჩემთან მოდის „გრეჩიხა“, შენ აგერ შედი ოთახში, დაჯექი და რასაც „გრეჩიხა“ დამელაპარაკება, ყველაფერს მოისმენო. შევედი ოთახში, დავჯექი და ვუსმენ სააკაშვილის და „გრეჩიხას“ ლაპარაკს შავნაბადაზე. 7 ნოემბრის მერე და საპრეზიდენტო არჩევნების მერე. ამ ლაპარაკს ვისმენ მე, ყველაფერს. „გრეჩიხა“ უმტკიცებს სააკაშვილს, რომ შეუძლია, „გადმოაყუდოს“, ეს უქნას, ის უქნას! სააკაშვილი ეუბნება, რა გინდა, რა გაგიკეთოო? „გრეჩიხა“ ამ დროს ხმას არ იღებს და როგორც მერე ვნახე, თურმე, ფურცელზე უწერდა თავის პირობებს... დროებით დამნიშნე პრემიერ-მინისტრად, 6 თვით. აი, ეს ხალხი, რომელიც 7 ნოემბერს გაიწირა, მე ვალდებული ვარ ამ ხალხთან და უნდა მომცე დაახლოებით 5 მილიონი. მესამე პუნქტი იყო ილია ჭავჭავაძის სახელობის ბანკის შექმნა, რომელშიც უნდა ჩამიდოთ საწყისი კაპიტალიო. ეს ფურცლები არსებობს და მე თქვენ ამ ფურცელს მოგცემთ. სააკაშვილი დაეთანხმა „გრეჩიხას“ პირობებს. ჭყლოპინებდა, გახარებული იყო, ესენი ყურებით მყავს დაჭერილიო.

*„ასავალ-დასავალი“*



**ზვიად ძიძიგური,**
**კონსერვატიული პარტიის ლიდერი:**

იწყება პოლიტიკური სეზონის ჩანაცვლება გოჭებისა და ინდაურების სეზონით და ძველით ახალ წლამდე, ფაქტობრივად, პოლიტიკოსებს ერთგვარი იძულებითი შვებულების აღებაც კი გვიწევს.

*„ახალი თაობა“*



**რეზო ამაშუკელი,**
**პოეტი:**

როდესაც ჩემს ენას ანადგურებენ და ათასი გარეწარი და გარყვნილი ჩამოგყავს აქ და ამ ინგლისურს ცხვირში მტენი, შენ ვის ასწავლი ჭკუას, ვისზე ლაპარაკობ, საერთოდ? ან კიდევ, ეს გააფთრებული და გავეშებული „თეთრი დათვი“, რომ უჩხიკინებ და ენას უყოფ ყურიდან, ხომ იცი, რასაც გიზამს? ამაზე რატომ არავინ ფიქრობს? დიდოელი ლეკებისთვის კი არა, თქვენი ქვეყნისთვის ვერ მიგიხედიათ, თქვე უპატრონოებო, და რისი გამკეთებლები ხართ საერთოდ?

*„კვირის ქრონიკა“*



**რეზო მიშველაძე,**
**მწერალი:**

დააკვირდი ჩვენს ოპოზიციურ მოძრაობას, დააკვირდი მათ მიერ დაწერილ რეზოლუციებს, მათ ომახიან და ვაჟკაცურ მოწოდებებს, არის სადმე რამე გზა ქვეყნის ხსნისა, ან რამე პაწაწკინტელა მინიშნება მაინც? იქნებ, მე ვცდები? იქნებ, შენ იცი და რომელიმე პარტიის პროგრამაში ასეთი რამე გინახავს?

*„კვირის ქრონიკა“*

# «მაყუთგეიტი»

**როდესაც მინსკში ოპოზიციონერთა აქციის სასტიკი დარბევის კადრები ინტერნეტში გავრცელდა, მათში გივი ვასილიჩის რევოლუციური ენთუზიაზმით გამსჭვალული სახის ძებნა დავიწყე. ერთობ ვღელავდი, რადგან მეგონა, რომ ვასილიჩი სადღაც იქ, მინსკის შუაგულში დათოვლილ მოედანზე „ომონელებმა“ ფეხქვეშ გაიგდეს და რევოლუციის გამოჩენილ ექსპორტიორს დამსახურებულ თავში ხელკეტებს ურტყამენ. თუმცა, მადლობა ღმერთს, მსგავს ექსცესებს ადგილი არ ჰქონია, რაოდენ უცნაურიც უნდა იყოს, ფერადი ბუნტის ამ მცდელობამ ვასილიჩისა და მისი მეგობრების გარეშე ჩაიარა. რაღა ვქნათ, როგორც ჩანს, ან გივი დაგვიბერდა, ან კიდევ მსოფლიო შეიცვალა.**



### არჩევნები ბელარუსში

**მინსკში გასულ კვირას მოულოდნელი არაფერი მომხდარა. ლუკაშენკომ ბელარუსის ცესკოს მონაცემების თანახმად, საპრეზიდენტო არჩევნებში ხმათა 79% დააგროვა. ოპოზიციამ არჩევნების გაყალბების გაპროტესტება სცადა, თუმცა მას შემდეგ, რაც დემონსტრანტებმა სამთავრობო შენობებში შეჭრა სცადეს, ძალოვანებმა მიტინგი დაარბიეს.**

სხვათა შორის, მსგავსი ალგორითმით მოვლენები შეიძლებოდა თბილისში 25 ნოემბერს განვითარებულიყო; დაუზუსტებელი ინფორმაციით, ამის ალბათობა არც თუ დიდი, თუმცა მაინც ანგარიშგასაწევი იყო.

დავა იმაზე, თუ ვინ არის „ევროპის უკანასკნელი დიქტატორი“ — ლუკაშენკო თუ სააკაშვილი, ძალიან დიდხანს შეიძლება, თუმცა საბოლოო პასუხს მაინც ვერ მივიღებთ, იმიტომ, რომ „უკანასკნელი“ ვერც ერთი მათგანი ვერ გახდება, რადგან მსოფლიოს, კერძოდ კი, ევროპის, ისტორია ჯერაც არ დასრულებულა, მიუხედავად იმისა, თუ რას ფიქრობს ამაზე ფრენსის ფუკუიამა. **დღეს ევროპაში დიქტატურების გაჩენა თითქმის შეუძლებელი ჩანს, თუმცა გასული საუკუნის ოციან წლებშიც ბევრი რამ წარმოუდგენელი ჩანდა. შემდეგ დაიწყო გლობალური ეკონომიკური კრიზისი, რომელიც დღევანდელთან შედარებით ფრიად მოკრძალებული იყო და მილიონობით ევროპელს მწყობრში სიარულის დაუოკებელი სურვილი გაუჩნდა.**

მიუხედავად იმისა, ლუკაშენკო „უკანასკნელი დიქტატორია“ თუ არა, ფაქტია, მან ხელისუფლების შენარჩუნება შეძლო. **ოფიციალური თბილისის რეაქცია მინსკის მოვლენებზე ისეთივე მოკრძალებული და კდემამოსილი იყო,** როგორც საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის — ნინო კალანდაძის ღიმილი შემდეგი განცხადების გაკეთების დროს: **„ბელარუსის საპრეზიდენტო არჩევნების შეფასება ჯერჯერობით ნაადრევია, რადგან პროცესი ჯერ არ დასრულებულა. ბელარუსთან და ბელარუს ხალხთან კარგი ურთიერთობები გვაკავშირებს და ამ ურთიერთობების გაღრმავება გვსურს. ამ მხრივ ბევრი საინტერესო გეგმა გვაქვს, თუმცა მათი განხორციელებისთვის მნიშვნელოვანია, არჩევნებისგან ისეთი შედეგი მივიღოთ, რომელიც ცივილიზებული მსოფლიოსთვის იქნება მისაღები“.** ეს იყო და ეს; არანაირი დემოკრატიის ბაირაღები, ზონდერების დესანტები და აღგზნებული ვასილიჩები. **სააკაშვილის ხელისუფლებას, როგორც ჩანს, ეყო გონიერება, პროცესებში არ ჩართულიყო, სავარაუდოდ, იმის გამო, რომ ვაშინგტონმა თავშეკავება არჩია.**

რეალურად, გადამწყვეტი გავლენის მოხდენა იმაზე, თუ ვინ იქნება ბელარუსის მმართველი დღევანდელ ვითარებაში, მხოლოდ კრემლს შეუძლია. მოსკოვს აქვს საკმარისი რესურსი იმისთვის, რომ ოპოზიციას (თუნდაც საინფორმაციო) მხარდაჭერა აღმოუჩინოს და სერიოზული გავლენის ბერკეტები ბელარუსის ელიტაზე, მათ შორის, საკვანძო მინისტრებსა და გენერლებზე, თუმცა მოსკოვს ლუკაშენკოს ტახტის შერყევა არ უცდია. ეს, შესაძლოა, ამოუხსნელ რებუსად იქცა იმ ქართველი ექსპერტებისთვის, რომლებიც ლუკაშენკოსა და კრემლის ყოვლისმომცველ დაპირისპირებაზე საუბრობდნენ.

როდესაც **თბილისში გაჩნდა უცნაური ილუზიები ლუკაშენკოსთან ერთად ანტიმოსკოვური ფრონტის ფორმირების შესაძლებლობის შესახებ,** „საქართველო და მსოფლიოს“ ამა წლის 21 ივლისის ნომერში შევეცადე, ჩამომეყალიბებინა აზრი, რომ მსგავს გეგმებს პერსპექტივა არ აქვს (ციტატა): **„ბელარუსი რუსეთის გეოპოლიტიკური მოკავშირეა, გლობალური მასშტაბის ნებისმიერ პრინციპულ საკითხზე ისინი ერთიანი ფრონტით გამოდიან; ხოლო მათი მუდმივი კინკლაობა უმეტესად ეხება იმ ეკონომიკურ სარგებელს, რომელსაც ბელარუსი რუსეთთან პარტნიორობით ნახულობს... მიუხედავად იმისა, რომ ორმხრივი ურთიერთობები გართულდა, ეს პრობლემები გადაულახავი არ ჩანს; ადრე მხარეები მსგავს სიტუაციებში შეთანხმების მიღწევას ახარხებდნენ“.**

ეს ვარაუდი, ასე თუ ისე, გამართლდა, ხოლო ის, რომ ლუკაშენკოს ხელისუფლების შენარჩუნებაში 19 დეკემბერს განსაკუთრებული პრობლემები არ შეექმნებოდა, საბოლოოდ ცხადი 9 დეკემბერს გახდა, როდესაც **მან მოსკოვში ხელი მოაწერა შეთანხმებას ერთიანი ეკონომიკური სივრცის ფორმირების შესახებ. აღსანიშნავია, რომ ამ შეთანხმებების რატიფიკაციის შემდეგ ბელარუსში მიწოდებული რუსული ნავთობი არ დაიბეგრება. მოსკოვმა პოსტსაბჭოთა სივრცის ინტეგრაციის გზაზე მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა** (მისი მომავალი პრეზიდენტის მთავარი პრიორიტეტი, სავარაუდოდ, სწორედ ეს მიმართულება იქნება), **ლუკაშენკომ კი ახალი ბონუსები მიიღო.** ხოლო **თუ ვიღაცას ევროკავშირში, ქართულ საექსპერტო საზოგადოებაში თუ ბელარუსული ოპოზიციის რიგებში მოეჩვენა, რომ მოსკოვმა და მინსკმა რაღაც მომენტში ერთმანეთს სერიოზულად „დასცხეს“ და ამას გარკვეული გათვლები დაუკავშირა, ეს ლუკაშენკოსა და კრემლის ბრალი ნამდვილად არ არის.**

ლუკაშენკო, რასაკვირველია, კრემლისთვის იდეალური პარტნიორი არ არის, თუმცა ამ ეტაპზე მოსკოვი მას, როგორც ჩანს, „ნაკლებ ▶

## მოკლედ



### დიდების მონუმენტი გაიხსნა

**მოსკოვში, „პოკლონნაია გორაზე“ ქუთაისში აფეთქებული მონუმენტის ანალოგი გაიხსნა.** როგორც რუსეთის პრემიერ-მინისტრმა ვლადიმერ პუტინმა აღნიშნა, დიდი სამამულო ომის გმირთა დავიწყება და ანტირუსული განწყობა, რომელიც პოსტსაბჭოთა ქვეყნებში არსებობს, დასრულდება. „ეს არის იმ იდეის აღდგენა, რომლის განადგურებასაც ქუთაისში შეეცადნენ“, — განაცხადა რუსეთის პრემიერმა. ცერემონიას ქართველი პოლიტიკოსებიდან ნინო ბურჯანაძე და ზურაბ ნოღაიდელი დაესწრნენ.

### პრეზიდენტის საქმეს იკვლევენ

**ლეიბორისტული პარტიის მტკიცებით, ჰააგის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოში შეტანილი სარჩელი მიხეილ სააკაშვილის დაპატიმრებისა და პასუხისგებაში მიცემის შესახებ უკვე საგამოძიებო მოკვლევის სტადიაშია.**

პარტიის იდეოლოგიური მდივნის კახა ძაგანიას განცხადებით, ჰააგის სასამართლოდან უკვე მიიღეს პასუხი. ლეიბორისტული პარტიის მიერ 2010 წლის 5 ოქტომბერს გაგზავნილი სარჩელი სულ 25 ეპიზოდს მოიცავს, მათ შორის „რუსეთის პროვოკაციაში ჩართვასა და აგვისტოს ომის დაწყებას, მკვლელობებს, „იმედის“ დარბევას და სხვა უამრავ დანაშაულებრივ ქმედებას“.

◀ ბოროტებად“ განიხილავს. ვაშინგტონი კი მიუხედავად იმისა, რომ არჩევნებს და მათ შემდგომ მოვლენებს მწვავედ აკრიტიკებს, ჯერჯერობით არ აკეთებს არაფერს ისეთს, რამაც შეიძლება მინსკში ხელისუფლების შეცვლას ხელი რეალურად შეუწყოს, რადგან მისი აქტიური ჩარევა ბელარუსულ საქმეებში რუსეთთან მწვავე კონფრონტაციის დაწყებას ნიშნავს, რაც დღეს, როგორც ჩანს, არაფერში სჭირდება.



## „მაყუთგეიტი“ გრძელდება

**თუ სხვადასხვა ქვეყნის ოპოზიციური სპექტრის წარმომადგენლებს შორის ღრმა შინაგან ოლიგოფრენიულობაში შეჯიბრი გაიმართებოდა, ბელარუსი ოპოზიციონერები მასზე უდავოდ დიდ წარმატებებს მიაღწევდნენ, მაგრამ ქართველი კოლეგების რეკორდებთან, სავარაუდოდ, ახლოსაც ვერ მივიდოდნენ, რადგან საქართველოს შემთხვევაში, საქმე აშკარად რაღაც უნიკალურთან, ამოუხსნელთან და ზებუნებრივთან გვაქვს.**

მეორე კვირაა, გრძელდება სკანდალი, რომელსაც პირობითად („უოტერგეიტის“ არ იყოს) შეიძლება „მაყუთგეიტი“ ვუწოდოთ. ბადრი ბიწაძის ბრალდებები ლევან გაჩეჩილაძის მისამართით საზოგადოების განსაკუთრებული ინტერესის საგნად იქცა. ეს ბუნებრივიცაა, რადგან მან ჯერაც ვერ მიიღო დამაკმაყოფილებელი პასუხი კითხვაზე, თუ **რატომ გამოდგა უნაყოფო ოპოზიციის ძალისხმევა 2008-09 წლებში;** წინაპირობა ბიწაძის ვერსიის ფართო გავრცელებისთვის სწორედ ამ ვაკუუმმა შექნა.

**„მაყუთგეიტი“ უდავოდ დააზარალებს როგორც ლევან გაჩეჩილაძეს, ისე ნინო ბურჯანაძეს და მათ გარშემო შემოკრებილ ადამიანებს.**

უახლოეს მომავალში ურთიერთბრალდებები რომც შეწყდეს, საზოგადოების ოპოზიციურად განწყობილ ნაწილში მაინც დარჩება (ქვეცნობიერში დალექილი) შეგრძნება, რომ რაღაც ცუდს, რაღაც ძალზე ბინძურს შეეხო და ეს აუცილებლად მოქმედებს მის დამოკიდებულებაზე ამ სკანდალის ყველა ფიგურანტის მიმართ.

რამდენად გონივრული იყო ნინო ბურჯანაძისა და ბადრი ბიწაძის მხრიდან ამ სკანდალის აგორება? ერთადერთი ლოგიკური ვარაუდი შეიძლება შემდეგნაირად ჩამოვაყალიბოთ: **ბურჯანაძე ფლობდა ინფორმაციას, რომ „ქართული პარტია“ მის წინააღმდეგ ძლიერ საინფორმაციო შეტევას ამზადებს** და ბიწაძის ბრალდებები მის განეიტრალებას, მოწინააღმდეგის თავის მართლებისა და კონტრბრალდებების რეჟიმში გადაყვანას ემსახურებოდა. კაცმა რომ თქვას, ეს ვარაუდიც არც ისე დამაჯერებელია, რადგან **გაჩეჩილაძისა და „ქართული პარტიის“ საწინააღმდეგო კამპანიის აგორება გაცილებით დახვეწილი მეთოდებით შეიძლებოდა, ისე, რომ მას თავად ბურჯანაძე ნაკლებად „გაესვარა“.** სხვა გონივრული მოტივი ამ სიტუაციის მიღმა, უბრალოდ, არ იკითხება, თუ, რა თქმა უნდა, სათვალავში არ ჩავაგდებთ ისეთ მოტივებს, როგორიცაა შური, ბოღმა, სიძულვილი და ა.შ., რითაც ნორმალური პოლიტიკოსები არ ხელმძღვანელობენ; წინააღმდეგ შემთხვევაში, საქმე პოლიტიკასთან კი არა, მექსიკურ ტელესერიალთან გვექნებოდა.

რაც უფრო დიდი რეზონანსი ექნება „მაყუთგეიტს“, მით უფრო მეტად დაეცემა მასში ჩართული პოლიტიკოსების რეიტინგი, რაც ხელს შეუწყობს რადიკალური ოპოზიციის დასამარებას და იმ ძალების აღზევებას, რომლებიც ძირითად იმედებს 2012-13 წლების არჩევნებზე ამყარებენ, კერძოდ კი ირაკლი ალასანიასა და იმ პარტიებს, ვინც მასთან ერთად ადგილობრივ არჩევნებში გამოვიდა. სავარაუდოდ, **სწორედ 2012-13 წლების არჩევნების შემდეგ საქართველოში ჩამოყალიბდება ფსევდობიპოლარული სისტემა (პირობითად, „სააკაშვილი-ალასანიას სისტემა“), რომლის ორივე მთავარ ელემენტს ძია სემი საიმედოდ გააკონტროლებს** (ლათინურ ამერიკაში კარგად დაცდილი სქემაა). **არც ბურჯანაძის, არც გაჩეჩილაძისა და ბევრი სხვა პოლიტიკოსის თუ პარტიის** (მაგალითად, „ეროვნული ფორუმის“) **ადგილი ამ სისტემაში არ იქნება.**

ნინო ბურჯანაძეს საინფორმაციო და საკადრო პოლიტიკაში სერიოზული ჩავარდნები ადრეც ჰქონდა და, შესაძლოა, „მაყუთგეიტის“ გენეზისი ამ ორი ფაქტორის თანხვედრამ გამოიწვია. ყველაზე გონივრული მისი მხრიდან, ალბათ, „სახალხო კრების“ პრობლემატიკაზე, მის სამოქმედო ტაქტიკაზე გადართვა და დღევანდელი სკანდალის შედეგების შეძლებისდაგვარი განეიტრალება იქნება, თუ, რა თქმა უნდა, ის ნამდვილად აპირებს სააკაშვილის ხელისუფლების შეცვლაში სერიოზული როლის შესრულებას. ის კი, რომ ზოგიერთი რეჟიმის შეცვლა ტრივიალურ ამოცანას ნამდვილად არ წარმოადგენს, ნათლად გასულ კვირას მინსკში განვითარებულმა მოვლენებმაც აჩვენა.

## თავისუფლება ბარიკადებზე

**ჯერჯერობით ძნელი სათქმელია, თუ რა მიზნები ამოძრავებდათ ბელარუსის ოპოზიციის ლიდერებს, როდესაც გასულ კვირას სამთავრობო შენობებს მიადგნენ. ისინი ცდილობდნენ, ამომრჩევლებისთვის ეჩვენებინათ, რომ ბოლომდე იბრძოლებენ, თუ ნამდვილად სჯეროდათ, რომ რევოლუციას მოახდენდნენ? ნებისმიერ შემთხვევაში მინსკში განვითარებულმა მოვლენებმა კიდევ ერთხელ წამოჭრა საქართველოში არაერთგზის განხილული საკითხი: ქუჩის აქციების რა ტაქტიკამ შეიძლება მოუტანოს ოპოზიციას წარმატება?**

ყველა ოპოზიციური პარტია თანხმდება იმაში, რომ მოქმედება არაძალადობრივი უნდა იყოს, თანაც შეძლებისდაგვარად კანონის ფარგლებში ჯდებოდეს და ჩვენ არ განვიხილავთ სახელმწიფო გადატრიალების კლასიკურ სქემებს, არც ისეთ უსისხლო, მაგრამ კანონსაწინააღმდეგო აქტებს, როგორიცაა (მაგალითად) ხელისუფლების პარალიზებისთვის კავშირგაბმულობისა და ენერგომომარაგების კვანძების განზრახ განადგურება, სამთავრობო შენობების დაწვა და ა.შ.

**წინააღმდეგობის ისეთი ფორმა, როგორიცაა გაფიცვა, რომელმაც შეიძლება ბევრი ინდუსტრიული ქვეყნის ხელისუფლება დააჩოქოს, საქართველოში გასაგები მიზეზების გამო ვერ იმუშავებს. სამთავრობო შენობების უვადო პიკეტირება გარკვეულ სირთულეებს უკავშირდება, რადგან ჩინოვნიკების შიგნით არშეშვება (არგამოშვება) კანონსაწინააღმდეგოა და პოლიციასთან შეტაკებას მოასწავებს, ხოლო „სირცხვილის დერეფნის“ მაგვარი აქციების გამართვა, სავარაუდოდ, ნაკლებად შედეგიანი იქნება.** ხალხის მასამ სამთავრობო შენობების დაბლოკვა ან თუნდაც მშვიდობიანი დაკავება რომც შეძლოს, ეს სახელმწიფო მანქანის პარალიზებასა და საბოლოო წარმატების მიღწევას სულაც არ ნიშნავს. მსგავს ნაბიჯებს მნიშვნელოვანი ფსიქოლოგიური ეფექტი მოაქვს იმ ქვეყნებში, სადაც ძალოვნები ნეიტრალიტეტს ინარჩუნებენ ან მერყეობენ და შეიძლება ოპოზიციის მხარეს გადავიდნენ, თუმცა საქართველოში ან თუნდაც იგივე ბელარუსში ვითარება განსხვავებულია.

**თუ 2009 წლის აქციებს გავიხსენებთ, ვნახავთ, რომ ერთადერთ შემთხვევას, როდესაც აშშ-ის ელჩი ჯონ ტეფტი აღშფოთდა და ხისტი ემოციური განცხადებებით სიტუაციაში ჩაერია, ადგილი მაშინ ჰქონდა, როდესაც ოპოზიციის მხრიდან ცენტრალური მაგისტრალების, ქვეყნის სატრანსპორტო არტერიების ბლოკირების მუქარა გაისმა.**

გამოცდილი დიპლომატის რეაქცია სავსებით ლოგიკური იყო, რადგან იმ შემთხვევაში, თუ ოპოზიცია სატრანსპორტო სისტემის პარალიზებას (ან ტვირთების გადაადგილების სერიოზულ შეფერხებას) მოახერხებდა, სააკაშვილის ხელისუფლების მდგომარეობა მნიშვნელოვნად გართულდებოდა.

საინტერესოა, ქუჩის აქციების რა ტაქტიკას შემოგვთავაზებს რადიკალური ოპოზიცია გაზაფხულზე, თუ, რასაკვირველია, ურთიერთბრალდებების ჭაობში ყელამდე არ ჩაეფლობა და საკმარისად ადეკვატური იქნება იმისთვის, რომ საზოგადოების ოპოზიციურად განწყობილი ნაწილი მას კიდევ ერთხელ ენდოს და გადამწყვეტი ბრძოლისთვის ქუჩაში გამოვიდეს.

**დიმიტრი მონიავა**

## გაჟურნალებულნი



**ნანა კაკაბაძე,**
**„ყოფილი პოლიტპატიმრები — ადამიანის უფლებებისთვის“ თავმჯდომარე:**

ხელისუფლება, როგორც სისხლისმწოველი წურბელა, ისეა საზოგადოებისთვის. ეს წურბელა რომ მოაშორონ ხალხს, ამის მაგივრად, ეს ოპოზიციური პარტიები ერთმანეთში კინკლაობენ, მაშინ, როდესაც ეს წურბელა სისხლს სწოვს ქართველ ხალხს და საქართველოს მოსახლეობას.

***„ახალი თაობა“***



**შალვა ხაჭაპურიძე,**
**ადვოკატი:**

ხელისუფლების შიგნით არის დაწყებული სერიოზული პოლიტიკური თამაშები! ბოკერია და მისი დაჯგუფება გეგმავენ ხელისუფლებიდან სააკაშვილის გაშვებას!

***„ასავალ-დასავალი“***



**გიორგი თარგამაძე,**
**საპარლამენტო უმცირესობის ლიდერი:**

ყველამ ნახა, როგორ გამოიტანეს გიგი უგულავამ და მერიამ რესპუბლიკის მოედანზე საკუთარი მანქანები აუქციონზე გასაყიდად, რაც აღმოჩნდა, რომ მხოლოდ და მხოლოდ პიარ-აქცია იყო. გუშინ გაირკვა, რომ დედაქალაქის მერი ასევე ძვირადღირებული მანქანების შესაძენად მომავალი წლის ბიუჯეტში საკმაოდ სოლიდურ თანხას ითვალისწინებს. ეს არის მოტყუების პოლიტიკა და თვალში ნაცრის შეყრა.

***„პირველი“***



**ნინო ბურჯანაძე,**
**„დემოკრატიული მოძრაობა — ერთიანი საქართველოს“ ლიდერი:**

ვურჩევ საქართველოს პოლიტიკურ ელიტაში მყოფ პირებს, ფრთხილად ილაპარაკონ ბურჯანაძეზე. ნუ მზომავენ იმ საზომით, რომლითაც თავად მოქმედებდნენ მთელი ცხოვრება. კარგი დღე არ დაადგება ქართულ პოლიტიკურ თანავარსკვლავედს, თუ ბევრს ილაპარაკებენ ნინო ბურჯანაძეზე.

***„კვირის პალიტრა“***



**ლევან გაჩეჩილაძე,**
**„ქართული პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერი:**

კრების იდეა ძალიან მომწონდა და დღესაც მომწონს, მაგრამ არ მომწონს კრების პოლიტიზება, კონკრეტულად ვიტყვი, ნინო ბურჯანაძის მიერ! დიახ, არ მომწონს! ამას ნამდვილად არ ვიზიარებ და ჩემს აზრს არც ვმალავ. აგრეთვე, არც ის მომწონს, რომ არანაირი აზრის კოლეგიალური განხილვა კრების მიზნებთან დაკავშირებით არ მომხდარა, რადგან ეს არ სურდა ნინო ბურჯანაძეს!..

***„კვირის ქრონიკა“***



**პაატა ჯიბლაძე,**
**ლეიბორისტული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი:**

მანდატურთუხუცეს შაშკინს გადაწყვეტილი აქვს, ციხეებად ქცეულ სკოლებში დირექტორ-ზედამხედველებად და პედაგოგებად მხოლოდ „ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტები დატოვოს, ღვაწლმოსილ პატიოსან პედაგოგებს კი სამსახურებიდან მხოლოდ იმის გამო ათავისუფლებენ, რომ ანტისახელისუფლო შეხედულებები გააჩნიათ.

***„ინტერპრესნიუსი“***



**პაატა ზაქარეიშვილი,**
**ექსპერტ-კონფლიქტოლოგი:**

სააკაშვილის მიზანია, მოულოდნელობით გააბრუოს საზოგადოება და ასევე ოპოზიცია, რომ მან ვერ მოახერხოს მობილიზაცია. ამიტომ სააკაშვილის იარაღი არის, ადრე ჩაატარონ არჩევნები. ვინც ვადამდელ არჩევნებზე ლაპარაკობს, ნებით თუ უნებლიეთ სააკაშვილის წისქვილზე ასხამს წყალს, რადგან ოპოზიციური პარტიები ვერ ასწრებენ მობილიზაციას. მორიგი არჩევნები უწევს 2012 წლის გაზაფხულზე. შესაბამისად, ჯობია, ეს ვადა კარგად გავთვალოთ და დავიწყოთ მოძრაობა იქითკენ.

***„კვირის ქრონიკა“***

## მოკლედ

### დევნილები აშშ-ში მიდიან

**ქართველი დევნილები ამერიკაში თავშესაფრის მინიჭების თხოვნით აშშ-ის ხელისუფლებას მიმართავენ.** როგორც დევნილთა სამოქალაქო ასოციაციის ერთ-ერთმა ლიდერმა დავით მალაზონიამ განაცხადა, თუ 15 იანვრიდან თბილისში არსებული კომპაქტური ჩასახლების ობიექტებიდან დევნილების გამოსახლება გაგრძელდება, ისინი 5000 ხელმოწერას შეაგროვებენ და თავშესაფრის თხოვნით აქციას უკვე აშშ-ის საელჩოსთან გამართავენ. დევნილების გამოსახლება თბილისის კომპაქტური ჩასახლების 36 ობიექტიდან იგეგმება. მათ ალტერნატიულ ფართებს სამეგრელოსა და კახეთში სთავაზობენ.

### 332,8 მილიონი — ვალის დასაფარად

**2011 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი ითვალისწინებს შემდეგ საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელებს:** 842,6 მილიონი ლარის ოდენობის ფინანსურ დახმარებას ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებისთვის; 332,8 მილიონ ლარს — საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურების და დაფარვის მიზნით (მათ შორის, პროცენტის გადახდაზე 193,9 მილიონ ლარს, ხოლო ვალდებულებების კლებაზე — 138,9 მილიონ ლარს); 155,4 მილიონ ლარს — საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებასა და დაფარვაზე; 50-50 მილიონ ლარს — პრეზიდენტის და მთავრობის სარეზერვო ფონდებისთვის.

### 2011 წლის ბიუჯეტი დამტკიცდა

**პარლამენტმა 2011 წლის ბიუჯეტი დაამტკიცა და ყველაზე დიდ დაფინანსებას შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო მიიღებს.** მომავალი წლის მთავარი საფინანსო დოკუმენტის თანახმად, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო მილიარდ 604 მილიონ ლარს მიიღებს; თავდაცვისა — 661 მილიონს; შინაგან საქმეთა — 566 მილიონს; ფინანსთა — 202,3 მილიონს; რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის — 864 მილიონს; განათლებისა და მეცნიერების — 553,8 მილიონს; განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო — 30,3 მილიონს. ბიუჯეტში „სხვა ხარჯების“ სახით 832,2 მილიონი ლარია გათვალისწინებული.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net



## გაპრესზებულნი



**დავით უსუფაშვილი,**
**რესპუბლიკური პარტიის ლიდერი:**

ნინო ბურჯანაძე ხარ თუ ვილაც პეტრე, თუ ხედავ, რომ ხალხს ატყუებენ და შენ ამის დამამტკიცებელი დოკუმენტები გაქვს, რას ელოდები? იქნებ ფიქრობ, რომ, თუ ასეთი ადამიანი შენს გვერდით იქნება, მაშინ მოტყუვდეს ხალხი. მაგრამ, თუ დაგიპირისპირდება, აყვირდები... ყველას ვურჩევ, თუ რაიმე დოკუმენტები აქვთ, გამოამზეურონ. რაც უფრო მალე გასუფთავდება პოლიტიკური სპექტრი ათასი ჯურის პოლიტიკოსისგან, უკეთესი იქნება ამ ქვეყნისთვის. მაგრამ, პირველ რიგში, პოლიტიკა უნდა გათავისუფლდეს იმ ხალხისგან, ვისაც მოგონილი თუ ნამდვილი კომპრომატები უჯრაში აქვს ჩაკეტილი. აი, ამგვარი ხალხი ანგრევს საზოგადოებას.

*„ყველა სიახლე“*



**გურამ ჩახვაძე,**
**პარლამენტის წევრი:**

საბიუჯეტო დეფიციტის სიმცირით ხელისუფლება ტყუილად ტრაბახობს, რადგან ქვეყანაში უკიდურესად მძიმე სოციალური ფონია შექმნილი". "ბიუჯეტი გათვლილია შემდეგი პრინციპით: - მოსახლეობას ის, რაც მოგვრჩება. იგი ეწინააღმდეგება ისეთ კონსტიტუციურ ნორმებს, როგორიცაა ჯანმრთელობის დაცვისა და ღირსეული სიბერის უფლება. მოსახლეობას დღიურ ლუკმას უთვლიან, თუმცა "მემარჯვენეობა" იმას არ ნიშნავს, რომ შიმშილით უნდა მოკვდე.

*„პირველი“*



**ლევან ვეფხვაძე,**
**პარლამენტის ვიცე-სპიკერი:**

მიდით ნებისმიერ რაიონში, ყველგან მოწესრიგებულია შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობები, მაგრამ საერთოდ არაფერია გაკეთებული ჯანდაცვის სტრუქტურაში. ეს არის მთავრობის ახლო მხედველობა, რომელმაც ეს ყველაფერი სადაზღვევო კომპანიებს გადააბარა. მთავრობა ხელს უწყობს ქვეყანაში მონოპოლიების შექმნას, რაც მხოლოდ ხარისხის შემცირებას და ფასების ზრდას გამოიწვევს.

*„პირველი“*



**სანდრო ბრეგაძე,**
**პარტია „თავისუფლების“ წევრი:**

ქართული ოპოზიციური სპექტრი არ არის ოპოზიციური სპექტრი, მე ბევრ მათგანს ოპოზიციას ვერ ვუწოდებ. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, მარტივი ჭეშმარიტება თითოეულმა ადამიანმა უნდა შეიგნოს: შევარდნაძის „მოქალაქეთა კავშირში“, ანუ ინკუბატორში გამოჩეკილი პოლიტიკოსები, რომლებიც დაფრთიანდნენ შემდგომში „ნაციონალურ მოძრაობაში“ და იმიტომ არიან მხოლოდ და მხოლოდ „ნაციონალური მოძრაობიდან“ წამოსული, რომ ზოგს თანამდებობა არ მისცეს, ზოგს ფული არ გააკეთებინეს, ზოგს რაღაც სხვა პირადული მოსაზრებები აქვს — ვერასოდეს შეცვლიან ამ ხელისუფლებას. ისინი მუდმივად იქნებიან იმ რეჟიმში, რომ ერთმანეთს გამოუქვეყნებენ კომპრომატებს და ალბათ იციან მათ ერთმანეთზე საკმაოდ ბევრი რამ, ეცდებიან, რაღაც წვრილმანი ხრიკებით გაივდნენ ფონს. ფაქტი ფაქტად რჩება, რომ არსებული რეჟიმი არ შეიცვლება. ოპოზიცია საქართველოში, როგორც მოძრაობა, არ არსებობს.

*„ახალი თაობა“*

გურამ ფირცხალავა:

# რა ჯადო გაუკეთა ან რა შიში აჭამა სააკაშვილმა ამ ხალხს ისეთი, რომ ვერავინ ხმის ამოღებას ვერ ბედავს?!

**„წარმომადგენლობით სახალხო კრებასა“ და ზოგადად ოპოზიციურ სპექტრში ბოლო დროს მიმდინარე პროცესებზე „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება საქართველოს სახალხო არტისტი, მსახიობი გურამ ფირცხალავა.**



**— ბატონო გურამ, შეიძლება, ამაზე საუბარი უკვე არც ღირს, მაგრამ, უპირველესად, მაინც 25 ნოემბრის აქციაზე გკითხავთ. საზოგადოების გარკვეული ნაწილისთვის ეს ყრილობა დიდი იმედგაცრუება აღმოჩნდა და ბევრი იმასაც ამბობს, „კრებამ“ საბოლოოდ დაამტკიცა, რომ არაფრის გამკეთებელი არ არისო. თქვენ რა შთაბეჭდილება დაგრჩათ, რამდენად კმაყოფილი ხართ იმით, რაც 25 ნოემბერს მოხდა?**

— მე არაერთ ინტერვიუში ვთქვი და კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ 25 ნოემბრის აქცია ჩემთვის იყო კიდევ ერთი დიდი იმედგაცრუება, ოღონდ არა იმდენად „კრების“, არამედ ჩვენი საზოგადოების მხრიდან... დღეს ბევრი იძახის, ლიდერებმა ძალა ვერ დაგვანახესო. ვინც ამას ამბობს, მათ გასაგონად მინდა ვთქვა, ნებისმიერი პარტიისა თუ რამე სხვა სახის პოლიტიკური ორგანიზაციის მთავარი ძალა ხალხია და, როცა ხალხს იმის თავი არ აქვს, რომ გამოვიდეს და საკუთარი უფლებები დაიცვას, სასწაულის მოლოდინიც არ უნდა გვქონდეს; არ უნდა გვქონდეს იმის ილუზია, რომ ჩვენს გასაკეთებელს ვინმე სხვა გააკეთებს. ეს არ მოხდება. ამიტომ **ერთხელ და საბოლოოდ ყველამ უნდა შევიგნოთ, რომ, სანამ არ ვიქნებით ერთიანი და სანამ არ ვიქნებით მზად იმისთვის, რომ, თუნდაც სიცოცხლის ფასად, გავიტანოთ ბოლომდე, რისთვისაც ამდენი ხანია ვიბრძვით, არაფერი ამ ქვეყანას არ ეშველება.** ვერც „სახალხო კრება“ და ვერც სხვა პოლიტიკური ძალები ჩვენს პრობლემებს ვერ გადაჭრიან, იმიტომ, რომ როგორც გითხარით, უჩვენოდ, ჩვენი აქტიური მონაწილეობის გარეშე, ეს ყველაფერი მათ შესაძლებლობებს აღემატება. ეს არის მარტივი ჭეშმარიტება და, მე მგონი, ყველას უნდა ესმოდეს, რომ ჩვენ სხვა გზა და გამოსავალი არ გვაქვს...

**— ე. ი. თქვენ იმედგაცრუებული ხართ ხალხით და არა — „კრების“ ლიდერებით?**

— მე იმედგაცრუებული ვარ სრულიად ქართველობით, იმიტომ, რომ იმას, რასაც დღეს ჩვენი საზოგადოება ითმენს, არ შეიძლება ღირსეული და თავმოყვარე ერი ეგუებოდეს; **არაერთხელ მითქვამს და კვლავ ვიმეორებ, ამათ, ამ პირში ჩალაგამოვლებულ და წყალჩაგუბებულ ხალხს, რომ ვუყურებ, მთელი ჩვენი ისტორია მტკნარი სიცრუე მგონია, ვინაიდან იქ წერია, რომ ათი ათასი ქართველი მტრის ასიათასიან არმიას ამარცხებდა, რომ საკმარისი იყო ერთი მოწოდება და ქუდზე კაცი გამოდიოდა და ა.შ... ტყუილია ეს ყველაფერი.** სინამდვილეში ჩვენ არავის არ ვამარცხებდით, არავის ვებრძოდით და საერთოდ, არაფრის თავი არ გვქონდა. ამას მოწმობს ჩვენი დღევანდელი მდგომარეობა და ის სამარცხვინო პოზიცია, რომელიც ქართველ ხალხს, საზოგადოებას, მიმდინარე მოვლენებისადმი უკავია...

## ნუ იქნებით სირაქლემის პოზაში, ნუ ხართ გაყურსულები მძინარე ინდაურებივით, თორემ მტრისას, რაც ამათ ხელში ჩვენს ქვეყანას და თითოეულ ჩვენგანს მოგველის...

**— მესმის თქვენი გულისწყრომა, მაგრამ, როგორ ფიქრობთ, საზოგადოების პასიურობა ნაწილობრივ იმითაც ხომ არ არის განპირობებული, რომ ხალხი არ ენდობა ოპოზიციას, კერძოდ, „კრებას“ და მის ლიდერებს?**

— როცა ვამბობ, ხალხით იმედგაცრუებული ვარ-მეთქი, ამას ისე ნუ გამიგებთ, თითქოს გულუბრყვილოდ მჯეროდა, რომ 25 ნოემბერს ყველაფერი ერთბაშად დამთავრდებოდა. არა, ასეთი ილუზია ნამდვილად არ მქონია, მაგრამ, სულ ცოტა ორმოცი-ორმოცდაათი ათასი კაცი მაინც თუ არ გამოვიდოდა იმ დღეს ქუჩაში, ნამდვილად არ მეგონა. **როგორც ჩანს, დღეს საქართველოში ბევრია ისეთი ადამიანი, რომლებსაც უნდათ, სხვისი ხელით გააკეთონ საერთო საქმე. პირველ რიგში ეს ეხება ახალგაზრდობას, რომელიც დღეს საერთოდ არ ჩანს და რომელსაც, მაპატიეთ და, ფეხებზე აქვს ქვეყნის ბედი დაკიდებული... მე ვერ გამიგია, სად არის და რას აკეთებს, რატომ დუმს სტუდენტობა, რატომ არ გამოდიან და არ აპროტესტებენ იმას, რომ ქვეყანას ვკარგავთ, ვკარგავთ ენას, სარწმუნოებას და ყველაფერს, რამაც აქამდე მოგვიყვანა. ჩემს ახალგაზრდობაში, ერთი რაღაცა და მაშინვე ქუჩაში გამოვდიოდით, ვაწყობდით აქციებს, მიტინგებს და ყველანაირად, ყველა ფორმით ვცდილობდით, გვებრძოლა უსამართლობის წინააღმდეგ. დღეს რა გვჭირს და რა ჭირი გვეტაკა, ვერ გამიგია; რა ჯადო გაუკეთა ან რა შიში აჭამა სააკაშვილმა ამ ხალხს ისეთი, რომ ვერავინ ხმის ამოღებას ვერ ბედავს?!** ალბათ, როგორც მეუფე იობმა თქვა, ეს ყველაფერი იმ სულიერი ოკუპაციის შედეგია, რომლის მიზანსაც ერის გამოშტერება, გამოთაყვანება და დაჩლუნგება წარმოადგენს...

**— ბატონო გურამ, არ ვიცი, რამდენად სარწმუნოა, მაგრამ არსებობს მოსაზრება, რომ 25 ნოემბრის აქცია მიზნად ისახავდა გუბაზ სანიკიძის წარმოჩენას ოპოზიციის უალტერნატივო ლიდერად, რათა იგი ამერიკის თვალში ჩანაცვლებოდა ალასანიას. თქვენ რა აზრის ხართ ამაზე?**

— მე პოლიტიკოსი არ ვარ და შეფასებებს ვერ გავაკეთებ, მაგრამ ერთი რამ ნამდვილად ცხადია, — **დღეს ჩვენ იმის დრო არ** ▶

## მოკლედ

### „ჰექტორს“ დააპატიმრებენ

**მოსკოვის სიმონოვის სასამართლომ 11 დეკემბერს მანეჟის მოედანზე არეულობების ორგანიზებასა და მეორე დღეს ყირგიზეთის მოქალაქის მკვლელობაში ეჭვმიტანილ ილია კურბაკოვის დაპატიმრებაზე სანქცია გასცა.** კურბაკოვი 2011 წლის 12 თებერვლამდე იქნება დაკავებული, ვინაიდან, გამომძიებელთა აზრით, იგი როგორც დაზარალებულთათვის, ისე მოწმეებისთვის საფრთხეს წარმოადგენს. მას ბრალი ედება რუსეთის სისხლის სამართლის კოდექსის 105-ე, 116-ე და 213-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულისთვის. 213-ე მუხლი რასობრივი და ეთნიკურ ნიადაგზე დანაშაულის ჩადენას ითვალისწინებს. წინასწარი მონაცემებით, 14 წლის კურბაკოვი ნაციონალისტებს შორის მეტსახელ „ჰექტორით“ არის ცნობილი.

### ნატოელის კავკასიური ტურნე

**მომავალი წლის დასაწყისში ნატოს სპეციალური წარმომადგენელი სამხრეთ კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში ჯეიმს აპატურაი კავკასიურ ტურნეს გეგმავს.** „ლისაბონის სტრატეგიული კონცეფცია სამხრეთ კავკასიის რეგიონულ კონფლიქტებთან მიმართებაში ნატოს პოლიტიკას არ ცვლის. ნატო შეშფოთებულია ძალადობრივი ფაქტებით, თუმცა ჩვენს მიზანს ამ კონფლიქტების დარეგულირებაში უშუალო ჩარევა არ წარმოადგენს“, — აცხადებს აპატურაი. მისივე თქმით, „ლისაბონის სამიტის კონცეფცია პარტნიორ ქვეყნებთან აქტიური თანამშრომლობის გაგრძელებას ითვალისწინებს. ამავე დროს აქცენტები კრიზისულ მართვაზე, მათ შორის, კიბერ და ენერგეტიკულ უსაფრთხოებაზე გაკეთდება“.

### რუსეთი ადასტურებს

**რუსულმა მხარემ ე. წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე „სმერჩის“ ტიპის შეიარაღების განლაგების ფაქტი დაადასტურა. ამის შესახებ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ გრიგოლ კარასინმა ჟენევის მოლაპარაკებების დასრულების შემდეგ ისაუბრა.** „დიახ, ჩვენს ჯარისკაცებს ასეთი შეიარაღება აქვთ. ასეთი გადაწყვეტილება იმის გამო მივიღეთ, რომ ჩვენმა ჯარისკაცებმა თავდასხმის შემთხვევაში საკუთარი თავის დაცვა შეძლონ“, — თქვა კარასინმა და დასძინა, რომ ეს გადაწყვეტილება ახალი არ არის. შეგახსენებთ, რომ 6 დეკემბერს რუსეთის საინფორმაციო საშუალებებმა გაავრცელეს ცნობა, რომლის თანახმადაც ცხინვალთან ახლოს განლაგდა „სმერჩის“ ტიპის იარაღით აღჭურვილი საარტილერიო დივიზიონი.

### დაუკონკრეტებელი პასუხები დევნილებისთვის

**დევნილთა სამოქალაქო მოძრაობის წარმომადგენლები დაკავებული ფართებიდან დევნილთა გამოსახლების პროცესთან დაკავშირებით საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერს — პეტრე ცისკარიშვილს შეხვდნენ.** შეხვედრა პარლამენტთან მიმდინარე საპროტესტო აქციის პარალელურად გაიმართა. „მოვითხოვეთ, ხელისუფლებამ დევნილებთან შეთანხმებით გამოყოს საცხოვრებელი ფართები. ჩვენ, ასევე, დავინტერესდით ხელისუფლების პასუხით, თუ რას უპირებენ ადამიანებს, რომლებსაც 10 დღის ვადაში ასახლებენ დაკავებული ფართებიდან“, — განაცხადა დევნილთა სამოქალაქო მოძრაობის ერთ-ერთმა ლიდერმა ირაკლი ჩიკოლიამ. მისივე თქმით, მოძრაობის წარმომადგენლებმა პეტრე ცისკარიშვილისგან დაუკონკრეტებელი პასუხი მიიღეს.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

◀ **გვაქვს, რომ ერთმანეთს ვებრძოლოთ და ვექიძგილაოთ, მტერი ყველას ერთი გვყავს და, თუ გვინდა, რომ გადავრჩეთ, მას ერთად უნდა ვებრძოლოთ.** წინააღმდეგ შემთხვევაში, ახლა ხომ კატასტროფულ მდგომარეობაში ვართ, ხვალ და ზეგ მივიღებთ ასეთ სურათს — საქართველო გახდება სააკაშვილების, მერაბიშვილებისა და მათ გარემოცვაში მყოფ დამაქცევართა ერთი დიდი რანჩო, ჩვენ კი, ხალხი, ვიქნებით იმ ნახირის როლში, რომელიც უმწყემსოდ დარჩა და არ იცის, საით წავიდეს. აი, მერე უკვე, „კრება“ კი არა, თვით ქრისტე ღმერთი რომ ჩამოვიდეს ციდან, ვერ გვიშველის. ასე რომ, კიდევ ერთხელ ვიმეორებ და მივმართავ საზოგადოებას, — **ნუ იქნებით სირაქლემის პოზაში, ნუ ხართ გაყურსულები მძინარე ინდაურებივით, თორემ მტრისას, რაც ამათ ხელში ჩვენს ქვეყანას და თითოეულ ჩვენგანს მოგველის...**

**— თუ საიდუმლო არ არის, ლელიკო ჯაფარიძე რატომ წავიდა „კრებიდან“?**

— ამაზე ბევრი დაიწერა და ბევრიც ითქვა, მაგრამ არც პრესით და არც ტელევიზიით მის „კრებიდან“ წასვლასთან დაკავშირებით სწორი ვერსია არ გაჟღერებულა. ყველგან ითქვა ერთი და იგივე, რომ თურმე ლელიკოს რაღაც სერიოზული უთანხმოება მოსვლია თავის თანამებრძოლებთან და ამის გამო წავიდა... არანაირი უთანხმოება არ ყოფილა, უბრალოდ, მან და „კრების„ ერთ-ერთმა წევრმა, რომელსაც ძალიან უყვარს ხმამაღლა საუბარი და რომლის ვინაობის დასახელებისგან ახლა თავს შევიკავებ, რაღაც პირადულ საკითხზე იკამათეს და ერთმანეთს აწყენინეს, მერე კი ლელიკო ადგა და გაბრაზებულმა „კრება“ დატოვა. ეს იყო და ეს, მეტი არაფერი. ისე, ვისაც „კრებიდან“ ლელიკოს წასვლა გაუხარდა და ფიქრობს, რომ მალე მას სხვებიც მიბაძავენ, მინდა, ის ხალხი კიდევ უფრო „გავახარო“ და ვუთხრა, რომ ლელიკო მალე დაბრუნდება „კრებაში“...

**— თითქმის ყველა ჩემს რესპონდენტს ამას ვეკითხები და თქვენც უნდა გკითხოთ: რა აზრის ხართ ახალდაფუძნებულ „ქართულ პარტიაზე“, რამდენად სერიოზულ ძალას ხედავთ მასში?**

— იცით რა, ყველას აქვს უფლება, იბრძოლოს, მაგრამ ვინ რამდენად იმსახურებს ხალხის მხარდაჭერას, ეს უკვე თვითონ ხალხის გადასაწყვეტია. მე პირადად ამ პარტიაში ვერანაირ ძალას ვერ ვხედავ, თუნდაც იმიტომ, რომ მის სათავეში ირაკლი ოქრუაშვილი დგას. რაც შეეხება დანარჩენებს, არ მინდა, ვინმეს



# ნუ ხართ გაჩუმებული, ნუ იქნებით სხვის იმედად! ნუ გძინავთ და ნუ ყლაპავთ ყველაფერს, თორემ მალე ისეთი რამის გადაყლაპვა მოგიწევთ, ჯერ რომ აზრადაც არ მოგვსვლია!

შეურაცხყოფა მივაყენო, მაგრამ არსებობს ასეთი გამოთქმა: „ერთსა და იმავე მდინარეში ორჯერ ვერ შეხვალ“, ანუ იმის თქმა მინდა, რომ **პოლიტიკაში იქნება თუ ჩვეულებრივ ცხოვრებაში, როცა შეცდომებს შეცდომებზე დაუშვებ, შენ უკვე აღარ ხარ სანდო ადამიანი; და როცა სანდო არ ხარ, ბუნებრივია, მეორედ და მესამედ შანსს არავინ მოგცემს...**

**— თქვენ ირაკლი ოქრუაშვილი ახსენეთ და ამასწინათ მან „სახალხო კრებაზე“ თქვა, მალე საპნის ბუშტივით გასკდებაო. როგორ ფიქრობთ, რას გერჩოდათ?**

— არ ვიცი, ეს მას უნდა ჰკითხოთ. ისე, მაგ ლაპარაკს ურჩევნია, საჯაროდ მოინანიოს ის ცოდვები, რაც მას ჩადენილი აქვს ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში.

**— მაინც რომელ ცოდვებს გულისხმობთ?**

— არ მინდა დავკონკრეტდე, ისედაც ყველას ახსოვს მისი მინისტრობისდროინდელი უბედურებები. თანაც ახლა ძველი „გრეხების“ გახსენების დრო არ არის, ქვეყანა თავზე გვენგრევა და შველას საჭიროებს...

**— გეთანხმებით, მაგრამ მშველელი არავინ ჩანს.**

— მშველელი ვართ თითოეული ჩვენგანი, თითოეული ქართველი; მხოლოდ საჭიროა ერთიანობა და სოლიდარობა, რასაც ჯერჯერობით ვერ იქნა და ვერ მივაღწიეთ. პირიქით, **რაც დრო გადის, მრჩება შთაბეჭდილება, რომ ხალხი უფრო და უფრო იქსაქსება; და საერთოდ, ამ საზოგადოების შემყურეს ხანდახან მგონია, რომ იდეალური ხელისუფლება გვყავს. მეტიც, იმაზე გაცილებით უკეთესი, ვიდრე ვიმსახურებთ, იმიტომ, რომ ხალხი, რომელიც ყველაფერს ითმენს და ყველაფერს ყლაპავს, ნამდვილად არ არის თუნდაც ისეთი ხელისუფლების ღირსიც, როგორიც ჩვენ გვყავს.** ვიცი, ამას რომ ვამბობ, ბევრი გამიბრაზდება და ბევრიც დამტუქსავს, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს არის სიმართლე და მას ვერსად გავექცევით.

**— მაგრამ, ბატონო გურამ, ჩვენი სამწუხარო დღევანდელობა მოულოდნელი არ უნდა ყოფილიყო საზოგადოებისთვის. ცნობილმა პოლიტოლოგმა ალექსანდრე ჭაჭიამ რამდენიმე წლის წინათ გამოსცა წიგნი „რამ დაგვღუპა, რა გადაგვარჩენს“, რომელშიც, შეიძლება ითქვას, მეცნიერული სიზუსტითაა ნაწინასწარმეტყველები ყველა ის უბედურება და პრობლემა, რომელთა წინაშეც დღეს ჩვენ ვდგავართ...**

— სამწუხაროდ, მე ეს წიგნი წაკითხული არ მაქვს და მასზე ვერ ვისაუბრებ. **რაც შეეხება ალექსანდრე ჭაჭიას, მომისმენია მისი გამოსვლები, საუბრები, მინახავს მისი წერილები სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში და ერთადერთი, რის თქმაც მის შესახებ შემიძლია, ის არის, რომ იგი ნიჭიერი და განათლებული ადამიანია. მის ნააზრევში ყოველთვის არის რაღაც წინასწარმეტყველური და რასაც აქამდე ამბობდა, ყველაფერი ასი პროცენტით აგვიხდა. მე პირადად ნამდვილად ვისურვებდი, რომ ხელისუფლებაში სწორედ ჭაჭიასნაირი განათლებული, დინჯი და, რაც მთავარია, სახელმწიფოებრივად მოაზროვნე ხალხი მოვიდეს. ეს მგონია ერთადერთი გამოსავალი, თუნდაც იმავე რუსეთთან ურთიერთობის მოსაგვარებლადაც, და მიმაჩნია, რომ ქართველმა ხალხმა სწორედ ამისთვის უნდა იბრძოლოს!**

**— დასაწყისში თქვენ ახალგაზრდობას, კერძოდ სტუდენტობას, უსაყვედურეთ იმის გამო, რომ მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესებში თითქმის არ მონაწილეობენ. როგორ ფიქრობთ, რითაა ეს პასიურობა განპირობებული და რას ურჩევთ მათ მომავლისთვის?**

— პასიურობის მიზეზი ერთადერთია — პროპაგანდა, რომელსაც ეს ხელისუფლება თავისი ჯიბის ტელევიზიებით ეწევა და რომელიც ათაყვანებს, ადებილებს არა მარტო ახალგაზრდობას, არამედ სრულიად ქართველობას. რაც შეეხება რჩევას, სიმართლე გითხრათ, უკვე დავიღალე კიდეც ერთი და იმავეს ლაპარაკით, მაგრამ **მინდა, კიდევ ერთხელ მივმართო ამ ქვეყნის თითოეულ მოქალაქეს: ნუ ხართ გაჩუმებული, ნუ იქნებით სხვის იმედად! ნუ გძინავთ და ნუ ყლაპავთ ყველაფერს, თორემ მალე ისეთი რამის გადაყლაპვა მოგიწევთ, ჯერ რომ აზრადაც არ მოგვსვლია!**

ამ ხელისუფლების ანტიქართულ მისწრაფებებს, მიდრეკილებებს რომ საზღვარი არ აქვს, ყველანი ვხედავთ, ამიტომ, ვიმეორებ, **სანამ დროა, ვუშველოთ ჩვენს თავს და ჩვენს ქვეყანას, თორემ მერწმუნეთ, ბევრი არაფერი დაგვრჩა იქამდე, რომ საქართველო საბოლოოდ გაქრეს და აღიგავოს პირისაგან მიწისა, არამარტო მსოფლიო რუკიდან, არამედ, საერთოდ, კაცობრიობის ისტორიის ფურცლებიდანაც.** ამას ესწრაფვის სააკაშვილი და, თუ ვინმემ ხელი არ შეუშალა, ეჭვიც არ შეგეპაროთ, რომ მალე თავის ჩანაფიქრს პირწმინდად განახორციელებს...

ესაუბრა
**ჯაბა ჟვანია**

## გამოხმაურებანი



**ჯონ ბასი,**
**საქართველოში ამერიკის ელჩი:**

პრეზიდენტი სააკაშვილი პოლიტიკური თვალსაზრისით გაძლიერდა, თუმცა რაოდენ პარადოქსულადაც უნდა მოგეჩვენოთ, იგი კიდევ უფრო დაუცველია. სააკაშვილს აწუხებს ის, რომ ისტორიაში შევა, როგორც ადამიანი, რომელმაც ოკუპირებული ტერიტორიები საბოლოოდ დაკარგა. ამჟამად ჩვენი მთავარი ამოცანაა, პრეზიდენტი სააკაშვილი დავარწმუნოთ, რომ, რაც უნდა დიდი იყოს საქართველოს წვლილი ავღანეთის მისიაში, იგი დაკარგავს ჩვენს კეთილგანწყობას, თუკი ქვეყნის შიგნით დემოკრატიულ პროცესებს არ გააძლიერებს.

*„ყველა სიახლე“*



**კახა კუკავა,**
**მოძრაობა „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერი:**

ჩვენ ერთმანეთის გვერდით უნდა დავდგეთ. აქციას იმ დევნილთა 10%-იც არ ესწრება, რომელთაც ხელისუფლებამ გამოსახლებისთვის რამდენიმე დღე დაუტოვა. თუ დევნილებს გამოასახლებენ, ეს თავად დევნილების ბრალი იქნება. მოვუწოდებ ყველა დევნილს, რომ ადრე თუ გვიან მსგავსი პრობლემა მათაც შეექმნებათ. ამიტომ ახლავე უნდა ჩაერთონ საპროტესტო აქციებში.

*„პირველი“*



**ეროსი კიწმარიშვილი,**
**„ქართული პარტიის“ პოლიტიკური მდივანი:**

დიახ, იმის წინააღმდეგი ვიყავით, რაც 25 ნოემბერს მოხდა და ასე უშედეგოდ დამთავრდა. ჩვენი პარტიის სკეპტიციზმი გამართლდა. პირველ რიგში, გეტყვით, რომ გაჩეჩილაძემ სიტყვასიტყვით ასე თქვა: მე ვიქნები ჩემს ხალხთან ერთადო. ნუ დავკარგავთ ფიგურალური აზროვნების უნარს, ნუ ვეცდებით ყველაფერი ერთმანეთს დავუკავშიროთ. ვიცოდით, დამოუკიდებლად არც ერთ პარტიას არ შეეძლო ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანა, ვაწარმოებდით მოლაპარაკებას გაერთიანებაზე, რაც მიუღებელი აღმოჩნდა ქალბატონი ბურჯანაძისთვის. არ შეიძლება ისეთი ავტორიტეტებით, როგორებიც ბატონი ჭაბუა ამირეჯიბი და ქალბატონი ნონა გაფრინდაშვილი არიან, მანიპულირება ერთი პოლიტიკური ძალების ინტერესებისთვის.

*„ყველა სიახლე“*



**ლადო პაპავა,**
**ექსპერტი:**

როცა სოფლის მეურნეობის მინისტრი ბაყაყების ექსპორტზე, სამეგრელოში ნიანგების ფერმის მოშენებასა და ქართული სოფლის განვითარებაზე საუბრობს და ორიენტაციას საქართველოში ბურების ჩამოსახლებაზე აკეთებს, რა სოფლის მეურნეობის განვითარებაზეა საუბარი... თუ ბოლომდე გულახდილები ვიქნებით, ისიც უნდა ითქვას, რომ პოსტრევოლუციურ ხელისუფლებას ქვეყნის არც ერთ სფეროს განვითარების გეგმა არ გააჩნია და ქვეყანა საით მიდის, გაურკვეველია. ერთი მხრივ, ვაცხადებთ, რომ ევროპისკენ მივდივართ, ხოლო მეორე მხრივ, არანაკლებ მჭექარე ხმით გავიძახით, რომ ჩვენი მიზანი ქვეყნის სინგაპურიზაციაა. ეს ორი მიმართულება, სულ მცირე, ერთმანეთს გამორიცხავს.

*„ინტერპრესნიუსი“*

## მოკლედ

### სვანეთში მასობრივ დაჭერებს ელიან

**სვანეთის მოსახლეობა მასობრივი დაჭერების მორიგ სერიას ელოდება. ადგილობრივი მოსახლეობის განცხადებით, ლენტეხის რაიონში გარემოს დაცვის ინსპექციასთან ერთად თავდაცვის სამინისტროც მუშაობს.** „დაჭერების სერია მას შემდეგ დაიწყება, რაც გარემოს დაცვის ინსპექცია რეინჯერებს მათივე უბნებს შეუმოწმებს და ტყეში შევა. ამ დროისთვის ხეტყის გადამამუშავებელი იმ საწარმოების მეპატრონეებს, სადაც, მათი თქმით, უკანონოდ მოპოვებული ხეტყე აღმოაჩინეს, ათ-ათი ათასი ლარის ჯარიმა დააკისრეს. იმ ფაქტორს არავინ ითვალისწინებს, რომ სვანეთში თავის რჩენის ერთადერთი საშუალება სწორედ ხეტყეზე მუშაობაა და არც ერთ ოჯახს ამ ოდენობის თანხის გადახდა არ შეუძლია“, — აცხადებს მოსახლეობა.

### საჭიროა კიდევ ერთი მერაბიშვილი

**„ქრისტიან-დემოკრატების“ ერთ-ერთ ლიდერს — ლევან ვეფხვაძეს სურს, ჯანდაცვის მინისტრს შინაგან საქმეთა მინისტრის ანალოგიური საქმიანობის განხორციელების შესაძლებლობა ჰქონდეს.** როგორც მან პარლამენტის რიგგარეშე სხდომაზე განაცხადა, კარგია, როდესაც შინაგან საქმეთა მინისტრი პოლიციის ახალ შენობებს ხსნის, მაგრამ უკეთესი იქნება მის მსგავსად, ჯანდაცვის მინისტრმა ახალი ამბულატორიები და საავადმყოფოები გახსნას. „მიდით ნებისმიერ რაიონში, ყველგან მოწესრიგებულია შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობები, მაგრამ საერთოდ არაფერია გაკეთებული ჯანდაცვის სტრუქტურაში“, — აღშფოთდა ვეფხვაძე და უმრავლესობას რესპუბლიკურ საავადმყოფოში შევლა ურჩია. მისი ინფორმაციით, იქ ინტესიური თერაპიის აპარატების დეფიციტია და ხალხი რიგში დგას.

### საქართველოში ადვოკატებს სდევნიან

**„ადვოკატთა ასოციაციის“ თავმჯდომარის — ზაზა ხატიაშვილის განცხადებით, ადვოკატთა კორპუსმა საქართველოში მართლმსაჯულების ხარისხის გასაუმჯობესებლად ხელისუფლებას სასამართლოსთან მიმართებაში დათმობა უნდა აიძულოს.** მისი თქმით, საქართველოს სასამართლოს ნებისმიერი გადაწყვეტილება ევროპის სასამართლოში უნდა გასაჩივრდეს, რათა ხელისუფლება იძულებული გახდეს, სასამართლო ხელისუფლება გამოასწოროს. „ეს სასამართლო ბევრად უარესია, ვიდრე კომუნისტების პერიოდში იყო. გარდა იმისა, რომ ადვოკატების ნდობა უნდა ამაღლდეს, ჩემი ძირითადი მიზანი ისიც არის, დავაფიქსირო, რომ საქართველოში ადვოკატებს დევნიან“, — განაცხადა ხატიაშვილმა.

### 30 მილიონი ხაზინისთვის

**ფინანსთა მინისტრი კახა ბაინდურაშვილი მიმდინარე წლის განმავლობაში საპროცესო გარიგებებისა და ჯარიმა-სანქციების სახით სახელმწიფო ბიუჯეტში შეტანილი თანხების ზუსტ რაოდენობას ვერ ასახელებს და ამ მხრივ მხოლოდ პირველი ცხრა თვის მონაცემებზე საუბრობს.** ცხრა თვის მონაცემების მიხედვით, საპროცესო გარიგებებით ხაზინაში 30 მილიონი ლარი შევიდა. რაც შეეხება დაკისრებული ჯარიმებით ამოღებულ თანხებს, ბაინდურაშვილის თქმით, გასულ წელს ჯარიმების მაჩვენებელი 60%-ს შეადგენდა, ხოლო 2010 წელს ეს მაჩვენებელი 10%-მდე შემცირდა. დეპუტატ ჯონდი ბაღათურიას სხვა ინფორმაცია აქვს და ირწმუნება, რომ ბიზნესმენთა 80% პრობაციონერია, ხოლო საპროცესო შეთანხმებებით მათგან 40 მილიონი ლარია ამოღებული.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# ისევ გვატყუებენ ეს ლუკუსტაკები

## სააკაშვილის ახალი ინიციატივა უგულავას ფარული ზრახვების წინააღმდეგ

უკვე რამდენიმე კვირაა, თბილისის მერის კუთვნილი ავტომანქანა მყიდველს ამაოდ ელოდება. ავტომანქანა „აუდის" საწყისი ფასი აუქციონზე 50 ათასი ლარია და იგი გიგი უგულავამ აუქციონზე იმ თვალსაზრისით გაიყვანა, რომ ხელისუფლება ძვირადღირებულ მანქანებზე უარს ამბობს. თბილისის მერი მანქანის გაყიდვით შემოსული თანხის ბიუჯეტში ჩარიცხვას აპირებდა, მაგრამ ავტომანქანის შეძენის მსურველი არ გამოჩნდა.

**ერთი შეხედვით, უგულავას ეს საქციელი მართლაც მიუთითებდა ხელისუფლების მხრიდან პრეზიდენტის მოწოდებისამებრ „ქამრების შემოჭერასა" და სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე ფუფუნებაზე უარის თქმაზე, მაგრამ ეს საკითხი ეჭვქვეშ დააყენა პრეზიდენტის ახალმა ინიციატივამ, მთავრობის ჰიბრიდულ ავტომანქანებზე გადასვლის შესახებ.**






### ქართველი მაღალჩინოსნებისთვის ახალი, ჰიბრიდული ავტომანქანების შეძენა ქვეყანასა და «ქამარშემოჭერილ» ბიუჯეტს 167 მილიონი დოლარი დაუჯდება

უგულავას რუსთავის ხელმძღვანელობამაც მიბაძა, მათაც ავტომანქანები აუქციონზე გაიტანეს და განაცხადეს, დროა, მაღალი გამავლობის ავტომანქანებზე უარი ვთქვათ, რადგან რუსთავში გზები მოწესრიგდა და ეკონომიურ მანქანებზე გადავსხდეთო. ალბათ, წლის განმავლობაში მსგავს განცხადებას კიდევ მრავალი უწყება გააკეთებს, მაგრამ რეალურად ეს ბიუჯეტის ხარჯს არათუ შეამცირებს, არამედ გაზრდის კიდეც, ვინაიდან **პრეზიდენტის ახალი ინიციატივა ელექტრონული მანქანებით ჩანაცვლებისა, ფაქტობრივად, მთელი უწყებების ავტომანქანებით ხელახალ აღჭურვას ითვალისწინებს.** არადა, გიგი უგულავას ავტომანქანის მსგავსად, საეჭვოა, მათაც მყიდველი გამოუჩნდეს, რადგან სახელმწიფო უწყებების პირველი პირების ავტომანქანების ღირებულება საკმაოდ მაღალია.

ინიციატივა, რომელმაც გიგი უგულავას ფარული ზრახვები გამოააშკარავა, მიხეილ სააკაშვილმა მსოფლიო ლიდერებს კანკუნში, გაეროს კონფერენციის ფარგლებში გააცნო, რომელიც ეკოლოგიურ პრობლემებს ეძღვნებოდა. **„ეს მანქანა ნებისმიერი მანევრირების საშუალებას იძლევა. ჰიდრომანქანების დანერგვას ჯერ სამთავრობო დონეზე ვაპირებთ. შემდეგ მთავარ ავტობანებზე უნდა შევქმნათ ამ ტიპის მანქანების მომსახურებისთვის აუცილებელი ინფრასტრუქტურა და ხალხი ტრადიციულ ავტომანქანებს თანდათანობით ელექტრომანქანებით ჩაანაცვლებს,"** — განაცხადა სააკაშვილმა.

საქართველოში ამაზე არაფერს ამბობენ, თუმცა **„ნიუ იორკ თაიმსი", საქართველოს ეკონომიკის სამინისტროზე დაყრდნობით, ავრცელებს ინფორმაციას, რომ უახლოეს 4 წელიწადში ოფიციალური თბილისი ავტომანქანების ელექტრო ან ჰიბრიდული მანქანებით ჩანაცვლებას შეეცდება, საუბარია „ჯენერალ მოტორსისგან" 4 ათასი მანქანის შესყიდვაზე. 4 ათასი „სედანი" საქართველოს 167 მილიონი დოლარი დაუჯდება.**

ამ ინფორმაციის შემდეგ, ძნელია, იფიქრო, რომ სამთავრობო ავტომანქანების აუქციონზე გატანა, ბიუჯეტის ეკონომიისა და იაფფასიან ავტომანქანებზე გადაჯდომის სურვილმა განაპირობა. მითუმეტეს, რომ **თბილისის მერიამ 2010 წლის სექტემბერში ტენდერი გამოაცხადა ახალი ავტომობილების შეძენაზე. მათი მონაცემებით, ეს მანქანა სწორედ ქალაქის მერისთვის უნდა ყოფილიყო გათვალისწინებული, რადგან ავტომანქანის სავარაუდო ღირებულება 50400 ლარი იყო, მოთხოვნილი ტექნიკური მახასიათებლები კი — შემდეგი:** ძარა — სედანი, საწვავის ტიპი — ბენზინი, ძრავის მოცულობა — არანაკლებ 2400 სმ/კ, ავტომატურ გადაცემათა კოლოფი, საჭის ჰიდროგამაძლიერებელი, საჭის სიმაღლისა და სიგრძის რეგულირება, ელექტროდასაკეცი სარკეები, ელექტროშუშები, კლიმატკონტროლი, ცენტრალური საკეტი დისტანციური მართვით, ტყავის სალონი, უსაფრთხოების ბალიში არანაკლებ 2 ცალი, უსაფრთხოების სისტემა — ABS, ალუმინის დისკები, პარკინგკონტროლი, ბორტკომპიუტერი, ექსპლუატაციაში არნამყოფი.

როგორც აღვნიშნეთ, ეს სატენდერო განცხადება მიმდინარე წლის 30 სექტემბრით თარიღდება. თბილისის მერია რომ საქართველოს მთავრობის ნაწილია, მოგეხსენებათ და შესაბამისად, იმ უწყებათა რიცხვში უნდა შედიოდეს, რომლების პირველ პირებსაც ჰიბრიდული მანქანები გადაეცემათ. ასე რომ, როგორ ჩანს, **ქართველი მაღალჩინოსნები ძვირადღირებულ მანქანებზე კი არ ამბობენ უარს, პირიქით, ახალ, ჰიბრიდულ ავტომანქანებზე გადასხდომას აპირებენ და ეს ქვეყანასა და „ქამარშემოჭერილ" ბიუჯეტს, სავარაუდოდ, 167 მილიონი დოლარი დაუჯდება.**

**სოფო გელაშვილი**

# რა სჯობს ოპერაში კალოშებით სიარულს

**ავშენდით! წლეულს პრეზიდენტი სააკაშვილი ქუთაისში მესამედ ატარებს გრანდიოზულ გახსნებს: ოპერის თეატრი, პარლამენტის საინფორმაციო ცენტრი, ყინულის მოედანი, სათაფლიის მღვიმე... აღმშენებლობა გრძელდება! ყველაფერს ერთად ხომ არ გახსნიან — ჯერ ექსტერიერი, მერე ინტერიერი, ბოლოს სცენა. მიუხედავად იმისა, რომ ქუთაისის ოპერის შენობის რეაბილიტაცია ბოლომდე დასრულებული არ არის, სააკაშვილმა უკვე მოასწრო მისი ერთხელ გახსნა, მერე გული არ მოუთმენს და მეორედაც გახსნის. რა პრობლემაა?! მე შენ გეტყვი, ეზარება, — მაკრატელი და მისი ჯანი. „ემერჯენსი ცენტრიც" ხომ სამჯერ გახსნა; ამისთვის ხან ქუთაისის ცენტრიდან ათრიეს საწოლები და აპარატურა და ხან — გორის ჰოსპიტლიდან.**



ბოლო წლებია, რეაბილიტირებული ქუთაისი მმართველი პარტიისა და მათი ლიდერებისთვის თავმოწონების საგანი გახდა. ქუთაისის რეაბილიტაცია აქტიურ ფაზაში შევიდა. აშენდა და გარემონტდა ახალი შენობები, გაჩნდა ახალი ობიექტები. ყველა ამ სამუშაოში დაიხარჯა სოლიდური თანხა, თუმცა ბევრი შენობა ფასადურ შეკეთებაზე შორს ვერ წავიდა. თანაც ეჭვები გააჩინა არქიტექტურის ხარისხმა და შესრულების დონემ.

**ეჭვი ჩნდება ასევე სარეაბილიტაციოდ გამოყოფილი თანხების მიზანმიმართულ ხარჯვაზეც.**

როგორი დიდი ინტერესიც უნდა ჰქონდეთ ქუთათურებს, თუ რა თანხმა დაიხარჯა ოპერის შენობაზე (რომლის ვენის თეატრთან მიმსგავსება ქუთათურებს ირონიულ ღიმილს ჰგვრის), **მას ვერ დაიკმაყოფილებენ, რადგან ადგილობრივი მმართველობაც და ხელისუფლებაც ამ ინფორმაციას საგულდაგულოდ მალავენ.**

როგორც ყოველთვის და ყველაფერში, აქაც ხარისხის პრობლემაა. ამ მთავრობის გამკვირვებია — **აკეთებ რაღაცას, ამხელა თანხას ხარჯავ და ხარისხიანად მაინც გააკეთონ, ხომ შეიძლება?! მაგრამ, მერე ფულს ვინ მოტეხავს და შეჭამს?! ყველასთვის აშკარაა, რომ საზეიმო გახსნა სჭირდებათ და არა რეაბილიტირებული ობიექტი.** კარგად რომ გააკეთო, უნდა იცოდე, როგორ კეთდება. დღეს კი, სამწუხაროდ, საქმის პროფესიონალები აღარ გვყავს. **ამიტომაც, დიდი ზარ-ზეიმით გახსნილი და რეაბილიტირებული შენობები თავზე გვემხობა.**

შეიძლება, დაგვამუნათონ კიდეც, თითქოს ვერაფერს ვხედავთ ლამაზს და გაკეთებულს, მაგრამ როდესაც ხარისხი და ხარჯი ერთმანეთს არ შეესაბამება, მაშინ შენიშვნის თქმის უფლება ნამდვილად გვაქვს. ჩვეულებრივ მოქალაქეს ამ ქვეყანაში რომ არაფერს ეკითხებიან, ეს, დიდი ხანია, ვიცით. მაგრამ, როდესაც წყალს, გაზს და საარსებოდ აუცილებელ ყველა პროდუქტს გვიძვირებენ, ისე მაინც გვკითხოს ვინმემ, გვეოპერება თუ არა!

**მოკირწყლული გზა ქუთაისში, ოპერის სიახლოვეს, მესამე სკოლასთან, მხოლოდ იმიტომ დააბეტონეს, თანაც ქუჩის ერთი პატარა ნაწილი, რომ გახსნის ცერემონიაზე მარჯვნივ გახედვისას, მიშას შემთხვევით თვალში არ მოხვედროდა. ქუჩის ბოლოში კი ისევ ისეა აყრილი.**

კარგია, ვენის „ანალოგი ოპერა" რომ გვექნება ქუთაისში, მაგრამ წვიმის დროს თურმე ცოტა რთული ყოფილა ქუთაისელებისთვის ოპერაში მოხვედრა: ოპერის წინ დაგებულმა ქვაფენილმა თქვენი ჭირი წაიღოო. როგორც ამბობენ, წვიმის დროს აქა-იქ ამოცვენილ ქვაფენილს თუ გადაურჩნენ ქუთათურები, ტალახიან წყალს მაინც ველარ აუვლიან გვერდს. ჰოდა, საჭირო ხდება მერე კალოშის გახსენება. **რა სჯობს კალოშებით ოპერაში სიარულს. შვიდიათას ლარიან სკამზე კალოშებში „გამოპრანჭული" რომ ზიხარ, ესაა, ალბათ, ქუთაისის ოპერის ყველაზე დიდი ხიბლი.**

ალბათ, ამ სიამოვნებისთვის **იპარება თბილისიდან ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ ჯერ პარლამენტი და, როგორც საქართველოს პრეზიდენტმა განაცხადა, მერე — მთავრობა. პრეზიდენტის თქმით, თანდათან ხორციელდება ქუთაისის მეორე დედაქალაქად, ანუ მამაქალაქად ქცევის პროექტიც. ამის ინიციატორი კი, არც მეტი, არც ნაკლები, თბილისის მერი გიგი უგულავაა.**

„ქუთაისის გარშემო ვაჩენთ ძალიან საინტერესო ინფრასტრუქტურას; სათაფლიაში, ყუმისთავში მღვიმეების კომპლექსი კეთდება და მარტვილში ხორციელდება აბაშისწყლის ხეობის უნიკალური განვითარება. ვანი ძალიან მალე საინტერესო არქიტექტურული და დიდი ტურისტული ცენტრი გახდება. ხდება მთელი რეგიონის განვითარება ახალი გზით, რომელიც ზესტაფონიდან ქუთაისის გავლით, ახალ პარლამენტს 3 კილომეტრში გაუვლის და სამტრედიაში ჩავა. უკვე 2012 წლის გაზაფხულზე ამ გზით ჩავალთ აჭარაში, ჩოლოქში, ჩოლოქიდან ბათუმში და იქიდან — შემოვლითი გზით — საზღვარზე. შესაბამისად, ამ რეგიონის მნიშვნელობაც უფრო მოიმატებს," — აღნიშნა სააკაშვილმა.

ჩვენ კი აქტიური სამოქალაქო პოზიცია უნდა შევინარჩუნოთ და ხზოს აღტაცებით დაველოდოთ ამ ყველაფერს.

**ლილი მიროტაძე**

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# დევნილების გამოსახლება ნაახალწლევს განახლდება

# «თავი უნდა მოვიკლათ ნანა ფიფიასავით?!»

**ხელისუფლებამ დევნილებისთვის წინასაახალწლო „განწყობის“ შესაქმნელად უკვე იზრუნა და დაახლოებით 30-მდე ობიექტიდან დევნილთა მორიგი გამოსახლება დაგეგმა. აქამდე დევნილებს დილის 7 საათზე სპეცრაზმელთა მოულოდნელი თავდასხმა ატყობინებდა გამოსახლების შესახებ. თუმცა მეთოდი დახვეწეს და მოსალოდნელი საფრთხის შესახებ უკვე წერილობით აცნობეს.**

**13 დეკემბერს, როდესაც სრულიად საქართველო წმიდა ანდრია პირველწოდებულის ხსენების დღეს ზეიმობდა, დევნილთა გარკვეულმა ნაწილმა ხელისუფლებისგან მოსალოდნელი გამოსახლების შესახებ უცნაური გზავნილი მიიღო. უცნაური იმიტომ, რომ წერილები ბეჭედდაურტყმელი იყო. წერილს ორიოდ დღეში სიტყვიერი გაფრთხილებაც მოჰყვა – თუ დევნილები დაკავებულ ფართებს 23 დეკემბრისთვის არ გაათავისუფლებენ, სპეცრაზმი მათ დილის 7 საათზე „ესტუმრება“ და ყველაფერს ფანჯრიდან გადაუყრის, დევნილებს კი ძალით გამოასახლებენ.**

ამის შესახებ „საქართველო და მსოფლიოს“ ვარკეთილის მე-4 მიკრორაიონში არსებული ყოფილი 185-ე რუსული სკოლის შენობაში მცხოვრებმა დევნილებმა უამბეს. **დევნილებმა გამაფრთხილებელ წერილთან ერთად იმ ადგილების ჩამონათვალიც მიიღეს, თუ რომელ სოფლებშია საცხოვრებელი ფართები. კედელზე იმ შენობების სურათებია გაკრული, სადაც დევნილებს ჩასახლებას უპირებენ. სურათებიდან გარემონტებული საცხოვრებელი შენობები ჩანს. თუმცა, დევნილების თქმით, მხოლოდ ეს არ არის საარსებოდ საკმარისი.** ფოტოებს ქვეშ მინაწერიც ერთვის, რომელიც დევნილს აცნობებს, თუ რომელ სოფელში რამდენი ბინაა თავისუფალი. ასე მაგალითად, ფოცხოეწერში 60 ბინაა თავისუფალი, სოფელ ბაკურციხეში — 7, აბაშაში, რუსულ სკოლაში — 1 ბინა, ჭკადუაში, ყოფილ პიონერთა ბანაკში — 1 ბინა.

**ვარკეთილის მე-4 მიკრორაიონში მდებარე ყოფილ №185 რუსულ სკოლაში, ბავშვების ჟრიამულის ნაცვლად, დღეს სრული სიჩუმეა.** შენობა ნახევრად დანგრეულია, ეზო გავერანებული. ერთ დროს მწვანედ შეღებილი კედლები ჟამთა სვლას გაუფერმკრთალებია. შენობა ოთხსართულიანია. **აქ ყველგან დევნილები ცხოვრობენ. მათ შორის 10 სოციალურად დაუცველი ოჯახია. მათ წასასვლელი არსად აქვთ, ამიტომ ამ შენობას შეეხიზნენ.**

**ყველა კარს ერთი სიტყვა აწერია – „დაკავებულია!“.**

პირველ სართულზე მცხოვრებთ სარეცხი გასაშრობად დერეფანში გამოუფენიათ. ღრიჭოდ დარჩენილი კარიდან სკამზე ჩამომჯდარი მოხუცი მოჩანს. მეც დავაკაკუნე.




მზია გულედანი აფხაზეთიდან დევნილია. სკოლის შენობაში, მესამე წელია, ცხოვრობს. აქამდე, როგორ ამბობს, ქირით ცხოვრობდა, მაგრამ, ქირის გადახდა რომ ველარ შეძლო, მოხუც დედასთან, ობოლ ძმისშვილებთან და შვილთან ერთად აქ შემოვიდა საცხოვრებლად.

**მზია გულედანი: „შუა ზამთარში სად წავიდეთ? ფოცხო-ეწერიდან ხალხი გამორბის და ჩვენ იქ როგორ წავიდეთ? ფიქრისგან ღამეები არ გვძინავს.**

საწყალ დედაჩემს რა ვუყო, მძიმე ავადმყოფია — დღეში 6 პამპერსი და ძვირადღირებული მედიკამენტები სჭირდება. საკვებზე არაფერს ვამბობ. თითო წამალი 52 ლარზე ნაკლები არ ღირს. პროცენტიანი ვალი ავიღე და წამლები ისე ვუყიდე.

ჩემი ძმები ომში იბრძოდნენ. ორი ძმა დაიღუპა, მესამეს გული გაუსკდა და აქ გარდაიცვალა. ერთს 7 ობოლი დარჩა. ამდენი სული ერთ ოთახში ვცხოვრობთ, იატაკზე ვშლით ლეიბებს და ისე ვიძინებთ. ქმარი გარდამეცვალა. 16 წლის შვილი მყავს, რომელიც წელს სკოლაში ვერ გავუშვი, რადგან წიგნების საყიდელი ფული არ მქონდა. გარ-

**მზია გულედანი:**
**ფოცხო-ეწერიდან ხალხი გამორბის და იქ როგორ წავიდეთ? ფიქრისგან ღამეები არ გვძინავს.**

და ამისა, ჩექმა და „კურტკა“ ხომ უნდა? ტყვედ ნამყოფი ვარ. მამაჩემი აფხაზებს 6 თვე ტყვედ ჰყავდათ; 52 წლის კაცი შეშლილი გამოვიყვანეთ იქიდან.

**მთელი ეს წლები ქირით ვცხოვრობდით და რომ ველარ გავწვდით, აქ შემოვედით. ახლა აქედანაც გვყრიან. ყველას ერთი გაჭირვება კი არ აქვს. ჩვენი ოჯახი დაიქცა.**

რა ძმები დავკარგე ამ ომში. ჩვენს ოჯახს იმიტომ დაერივნენ, რომ მამაკაცები იბრძოდნენ. თუმცა ყურადღებას ვინ გვაქცევს? ჩვენი ხელისუფლება ყურადღებას აქცევს ვინც პარლამენტშია, გინდაც ოპოზიციაში, ყველ ერთმანეთის კუდია. სად უნდა წავიდეთ? ის არ გვეყოფა, რომ, 20 წელია, ჩვენი სახლებიდან გამოყრილები ვართ.

**სააკაშვილი პრეზიდენტი რომ გახდა, სიხარულისგან ჭკუაზე არ ვიყავი, მეგონა, ჩვენი ცხოვრება უკეთესობისკენ შეიცვლებოდა. თავი უნდა მოვიკლათ ნანა ფიფიასავით?!“**

აფხაზეთიდან დევნილი **მანანა ცინდელიანი: „8 სული ერთ ოთახში ვცხოვრობთ. ჩვენი სახსრებით გადავტიხრეთ, რადგან ორი რძალი მყავს. ერთი თვის პატარა გვყავს. მეორე რძალი ფეხმძიმედ არის. 4 შვილი მყავს. ორი სტუდენტია. არც ერთი არ ვმუშაობთ. ზოგჯერ სეზონური სამუშაო თუ გამოჩნდება ან სადმე ტვირთი თუ ჩამოსაცლელია, ჩემი შვილები მიდიან და მუშაობენ. აქ, სამი წელია, ვცხოვრობთ. მანამდე, დმანისში, ნათესავის სახლში, ვიყავით, მაგრამ სხვასთან როდემდე იცხოვრებ? აქ არაფერი იყო, ჩვენ შემოვიყვანეთ შუქი, კანალიზაცია გავაკეთეთ. რამდენი ხარჯი გავწიეთ და ახლა გვეუბნებიან, აქედან წადითო. არადა, თუ სპეცრაზმი მოვა, წავალთ, აბა, რას ვიზამთ? მაინც ძალით გაგვაგდებენ“.**

**„აქ, წლებია, რაც ვცხოვრობთ. ზოგი მუშაობს და ოჯახს იმით არჩენს, ბავშვები აქ სწავლობენ. სად უნდა წავიდეთ? რამდენჯერ ვიქცეთ დევნილებად საკუთარ სამშობლოში?**

**ჩვენ არსად წასვლას არ ვაპირებით,“ — ამბობს სოხუმელი ნონა გ.**

სკოლის შენობაში 10 სოციალურად დაუცველი ოჯახიც ცხოვრობს. დევნილების მსგავსად, მათაც მიიღეს მოსალოდნელი გამოსახლების შესახებ წერილი. მაგრამ იმ განსხვავებით, რომ ხელისუფლება მათ ალტერნატიულ ფართებს არ სთავაზობს.

ეკა ძნელაძე მეუღლესთან, სამ შვილთან და მოხუც დედამთილთან ერთად ერთ ციცქნა ოთახში ცხოვრობს. ამბობს, რომ ასეთი ყოფა, სამი წელია, გრძელდება.

**ეკა ძნელაძე: „ამ შენობაში დევნილებთან ერთად ვცხოვრობთ. კოდორელებიც არიან და მეგრელებიც. გვეგონა, რომ ეს შენობა უნდა გაერემონტებინათ და ჩვენთვის დაემტკიცებინათ. მოსულები იყვნენ, აზომეს კიდეც. რამდენიმე დღეში კი ყველამ გამაფრთხილებელი წერილი მივიღეთ, რომ 10 დღეს გვაძლევენ, რომ აქაურობა დავცალოთ. თუ არ დაცლით, მაშინ სპეცრაზმი მოვა და ყველაფერს ფანჯრიდან გადაგიყრითო. ისანი-სამგორის გამგეობამ გვითხრა, 200 ლარად ბინა იშოვეთ და ქირას ჩვენ გადავიხდითო, ისიც 20 იანვრიდან, მანამდე თანხები არ არის ბიუჯეტშიო. სამი დღეა, დავდივარ, მაგრამ ფიზიკურად არ არის ბინა.**

ზაფხული რომ იყოს, კიდევ რაღაცას ვიპოვიდი, მაგრამ ახლა ბინები არ არის. 250 ლარად ვნახე ერთი ბინა, მაგრამ ახლა სადაც ვცხოვრობ, ხომ ხედავთ, რაც არის, ეს იმას სჯობს. არადა, **ბინა აუცილებლად უნდა ვიპოვო, რადგან ჩემს შვილებს სპეცრაზმს ვერ დავაფეთებინებ“.**

# «ზაფხული მაინც ყოფილიყო. ამ ზამთარს პატარა ბავშვებით სად წავიდეთ? თავი რით ვირჩინოთ?»

გამოსახლების შესახებ გამაფრთხილებელი წერილი დაახლოებით 30-მდე ობიექტში მცხოვრებმა დევნილებმა მიიღეს. წერილში ნათქვამია, რომ მათ **ალტერნატიულ ფართებს საგარეჯოს რაიონის სოფელ ბაკურციხეში, ჩხოროწყუს რაიონის სოფლებში — ზუმში, ლესიჭინეში, ზუგდიდის რაიონის სოფელ ფოცხო-ეწერში, ჭკადუაში, ნარაზენში, ხობის რაიონის სოფელ ნოჯიხევში და აბაშის რაიონში სთავაზობენ. მაგრამ ხსენებულ სოფლებში გადაბარგებაზე დევნილები უარს აცხადებენ.** მიზეზი მარტივია — თბილისში შეძლებისდაგვარად თავს ირჩენენ, ბავშვები აქ სწავლობენ. ხელისუფლების მიერ შემოთავაზებულ სოფლებში კი თავის რჩენის პერსპექტივა არ არსებობს. გარდა ამისა, დევნილები ამბობენ, რომ ზამთარში გადაბარგება რთულია: **„ზაფხული მაინც ყოფილიყო. ამ ზამთარს პატარა ბავშვებით სად წავიდეთ? თავი რით ვირჩინოთ?“.**

მას შემდეგ, რაც დევნილებმა გასულ კვირას პარლამენტის წინ საპროტესტო აქცია გამართეს, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ გადაწყვიტა, რომ დევნილების გამოსახლება ნაახალწლევს განახლდება.

ცნობისთვის ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს 2010 წლის იანვრის მონაცემებით, საქართველოში სულ 249.365 დევნილი ცხოვრობს (87.962 ოჯახი). 1990-იანი წლების დევნილთა საერთო რაოდენობა 233.453 ადამიანს შეადგენს, ხოლო 2008 წლის კონფლიქტის შემდეგ მათ რაოდენობას 15.912 დევნილი შეემატა (მართალია, რაოდენობა დაახლოებით 22 ათასს შეადგენს, მაგრამ აქედან მხოლოდ 15.912-ს აქვს მინიჭებული დევნილის სტატუსი).

**ცნობილია, რომ დევნილთა მეტი წილი სწორედ თბილისზე მოდის. ხელისუფლების მტკიცე გადაწყვეტილებაა, რომ დედაქალაქი დევნილებისგან განტვირთოს.**

სამწუხაროდ, ხელისუფლება ნაკისრ ვალდებულებას „წარმატებით“ ართმევს თავს.

მაგრამ სუბელიანის უწყებას, რომელსაც ერთი დევნილის სიცოცხლე უკვე შეეწირა, როგორც ჩანს, ამ ხალხის ბედი ნაკლებად აინტერესებს.





**სალომე გოგოხია**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

## გაჟღერებული



**სოსო ჯაჭვლიანი,**
**მსახიობი:**

ხელისუფლებამ, დიდი ხანია, რაც ქართველი საზოგადოება გამოადებილა და გამოაშტერა. მათი სურვილია, რომ საზოგადოებაში ნიჰილიზმი სუფევდეს და შეწინააღმდეგების თავი არ გვქონდეს. დაპატიმრებები, მკვლელობები, თავზე ლაფის დასხმა, ჩაშვებები, წართმევები — აი, ეს არის ჩვენი რეალობა. ამ მთავრობას ისე აქვს სახელი გატეხილი, რომ, ვინმეს თუ დააპატიმრებენ, ყველას გვგონია, რომ მოუწყვეს და აბრალებენ. თუ ადამიანმა მართლა ჩაიდინა დანაშაული, ვამბობთ, ეს ადამიანი ხელისუფლებამ ისე შეარყია, ამხელა წნეხმა ისე დაღალა, რომ ვეღარ გაუძლო და ამიტომაც ჩაიდინა ეს დანაშაული.

*„ყველა სიახლე“*



**სოსო ცისკარიშვილი,**
**ექსპერტი:**

ცხელი აგვისტოს და დეკემბრის ბოლოს დევნილების გამოდევნას ერთი რამ აერთიანებს: წლის ორივე პერიოდში თბილისში დიპლომატებისგან დაცლილია. ხელისუფლბა ამ უგუნურ ნაბიჯს სწორედ ამიტომ დგამს, რომ დიპლომატების პროტესტი აიცილოს თავიდან.

*„პირველი“*



**ლადო პაპავა,**
**ექსპერტი:**

საქართველოში, ძირითადად, შემოდიოდა სპეკულაციური ინვესტიციები. ინვესტიციები, ძირითადად, უძრავ ქონებაში იდებოდა, რაც ქვეყნის ეკონომიკას არაფერს არ მატებდა. ჩვენ გვჭირდება არა ზოგადად ინვესტიციები, არამედ ისეთი ინვესტიციები, რომლებიც ეკონომიკის რეალურ სექტორში ჩაიდება, ქვეყანაში ახალ ტექნოლოგიებს შემოიტანს და ახალ სამუშაო ადგილებს შექმნის. ასეთი ინვესტიციები საქართველოში ძალიან მცირე იყო. როცა ქვეყანაში ასეთი ფულის მასა შემოდის, ეს საბოლოო ჯამში ხელს უწყობს ინფლაციური პროცესების განვითარებას.

*„ინტერპრესნიუსი“*



**ეკა ბესელია,**
**მოძრაობის „სოლიდარობა უკანონო პატიმრებს“ ხელმძღვანელი:**

მიხეილ სააკაშვილი ტაშ-ფანდურში მილიონობით ლარს ხარჯავს მაშინ, როდესაც მისი მოქალაქეები უსახლ-კარობისა და შიმშილის ზღვარზე არიან. ხელისუფლებამ, რომლის უპასუხისმგებლობითაც უამრავი ადამიანი დევნილად იქცა, მათი მოთხოვნები უნდა დააკმაყოფილოს და პასუხისმგებლობა აიღოს.

*„პირველი“*



**ზაზა ფირალიშვილი,**
**ფილოსოფოსი:**

თუკი რაიმე დეფიციტი არსებობს ჩვენს პოლიტიკურ ცხოვრებაში, პოლიტიკური ძალების მიმართ ნდობის დეფიციტია. სააკაშვილისთვის ეს არის ძალზე ხელსაყრელი ვითარება. არა მგონია, მას ან მის გარემოცვას ილუზიები ჰქონდეთ, რომ ოდესმე 2003-2004 წლების ავტორიტეტსა და სიყვარულს დაიბრუნებენ.

*„კვირის პალიტრა“*

# 2010 — სოციალური გენოციდის წელიწადი

**კონსერვატიული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი, ლაშა ჩხარტიშვილი „საქართველო და მსოფლიოსთან“ საუბარში 2010 წელს ხელისუფლების მხრიდან სოციალური გენოციდის წლად აცხადებს.**



## ლაშა ჩხარტიშვილი: როგორც ებრაელებს დევნიდა ჰიტლერი, ისე ეპყრობა სააკაშვილი საკუთარ მოსახლეობას

— ხელისუფლების მიერ წელს ჩადენილი ყველაზე მძიმე დანაშაული არის ადამიანების სიცოცხლის მოსპობა, პატიმართა გარდაცვალების ფაქტებს თუ გავიხსენებთ. მაგრამ მასობრივად უფლებების დარღვევის თვალსაზრისით, ეს წელი შეიძლება გამოვაცხადოთ სოციალური გენოციდის წლად. **ყველაზე მასობრივად ადამიანების სოციალურ-ეკონომიკური უფლებები ირღვეოდა, რაც რიგ შემთხვევებში ადამიანის სიცოცხლის მოსპობითაც დასრულდა.** ნანა ფიფიას მაგალითი შემიძლია გითხრათ, რომელიც თვითმკვლელობამდე მიიყვანეს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსა და ხელისუფლების წარმომადგენლებმა თავიანთი შეურაცხმყოფელი დამოკიდებულებით. თუმცა მსხვერპლი გაცილებით დიდია — ადამიანები შიმშილითა და სამედიცინო მომსახურებაზე ხელმიუწვდომლობით იღუპებიან. ასე რომ, სოციალური გენოციდი იქნება, ალბათ, ყველაზე სწორი შეფასება წლევანდელი წლისა, რომელიც ხელისუფლებამ საკუთარი ერისა და მოსახლეობის წინააღმდეგ განახორციელა.

**— ბატონო ლაშა, როგორც ცნობილია, დევნილებს ხელისუფლება ახალი წლისთვის უპირებს გამოსახლებას.**

— ეს დევნილებზე ბარბაროსული თავდასხმისა და შეტევის მეორე ტალღაა. ზაფხულში გახსოვთ, ალბათ, როგორი არაადამიანური მეთოდებით გამოყარეს 3-4 ათასი დევნილი ქუჩაში. ამ შემთხვევაში 30-მდე ჩასახლებულს უპირებენ ქუჩაში გაყრას. მართალია, ვადა 15 იანვრამდე გადაიწია, რაც მიღწევად შეიძლება ჩაითვალოს, მაგრამ ეს არ არის გამარჯვება. **არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, ადამიანებს 15 იანვარს გამოასახლებენ თუ 25 დეკემბერს. ფაქტი ერთია, მათ ხელისუფლება არაფერს ჰპირდება.**

შეთავაზება არის ფორმალური: **სთავაზობენ 4 კედელს სოფელში, ყოველგვარი საარსებო პირობების, სამუშაო ადგილისა და სხვა თავის გადარჩენისთვის აუცილებელი პირობებისა და რესურსების გარეშე. შესაბამისად, ადამიანები, ბუნებრივია, არ თანხმდებიან ასეთ შეთავაზებას.** რაც შეეხება სხვა დეტალებს, განსხვავება არ არის, როგორც ზაფხულში, ახლაც მათ ფოცხოს და რამდენიმე სხვა სოფელს სთავაზობენ, სადაც დგას კორპუსები. კორპუსში, პარკეტზე კი, ადამიანი ვერ გადარჩებიან, იმიტომ, რომ პარკეტზე ვერც ლობიოს დათესავს და ვერც კარტოფილს, სამუშაო ადგილები კი სოფელში, მოგეხსენებათ, არ არსებობს. ასევე, პრობლემაა იმ მხრივ, რომ ბევრი მათგანი თბილისში სწავლობს, ბევრი მკურნალობის კურსს გადის. სოფლებში მათ ამის საშუალება არ ექნებათ. ამიტომაც მოითხოვენ თბილისის ნებისმიერ უბანში საცხოვრებელი ფართის მიღებას ან არსებულის დაკანონებას.

**— შენობებით დაინტერესდა სახელმწიფო თუ რატომ ხდება გამოსახლება?**

— **ხელისუფლების ინტერესი, უპირველეს ყოვლისა, არის კორუფციული — ამ შენობების ხელში ჩაგდების მცდელობა. ბუნებრივია, თუ შენობა გაიყიდება, მათი მფლობელები გახდებიან სხვის გვარს ამოფარებული ხელისუფლების წარმომადგენლები ან წილში ჩაუჯდებიან კომპანიას თუ კერძო პირს, რომელიც ამ შენობების შესყიდვას გადაწყვეტს.** თუკი ვინმე, კერძო ინვესტორი დაინტერესდება ამ შენობების შესყიდვით, მინდა ვუთხრა მას, რომ ნუ მიიღებს მონაწილეობას ადამიანების უსახლკაროდ დატოვებაში და ნუ იყიდის იმ შენობებს, რომელთა დაცლასაც ხელისუფლება აპირებს. დღეის მდგომარეობით ხაზი მინდა გავუსვა, რომ **ის შენობები, რომლებიც დევნილებს დააცლევინეს, სახელმწიფო საკუთრებაშია. შესაბამისად, ხელისუფლება უბრალოდ მანიპულირებს კერძო საკუთრების თემატიკით.**

სხვათაშორის, ეს ის ხელისუფლებაა, რომელიც კერძო საკუთრებას სისტემატიურად ანგრევდა დაართმევდა ადამიანებს, ახლა კი საერთაშორისო ორგანიზაციებთან საუბრისას ამ თემით მანიპულირებს, თითქოს რომელიმე შენობა კერძო საკუთრება იყოს. მე მსგავსი ფაქტი არ ვიცი, აბსოლუტური უმრავლესობა იმ შენობებისა, რომლებშიც დევნილები ცხოვრობენ, არის სახელმწიფო საკუთრება და მათი დაცლის არანაირი აუცილებლობა არ არსე- ▶

**ხელისუფლებას სურს, თბილისში რაც შეიძლება ცოტა დევნილი დარჩეს ან საერთოდ არ დარჩეს, რადგან დღეს დევნილების, რომლებსაც უფრო ადვილად ატყუებდნენ ვიდრე სხვა მოქალაქეებს, ნდობის მანდატი ხელისუფლების მიმართ ამოიწურა**

## მოკლედ

### სააკაშვილი ინფლაციას დაგვპირდა

**„მე მინდა, რომ ჩვენმა ხალხმა იცოდეს: ვიღაცამ რომ პოპულისტურად მოყვა, ამ მთავრობამ გაგვიძვირა ბენზინი და რაღაც სხვა, მინდა ვთქვა, რომ მთავრობას ბენზინი არა აქვს, თორემ, უფასოდ დავურიგებდით ხალხს“,** — ეს გულისამაჩუყებელი სიტყვები საქართველოს პრეზიდენტს ეკუთვნის. სათაფლიის მღვიმეში გამართულ მთავრობის სხდომაზე ქვეყნის მთავარ გამოწვევად ინფლაცია დაასახელა და განმარტა, რომ „მსოფლიო ბაზარზე მიდის ძალიან ცუდი პროცესები — ნავთობი ძვირდება და წელს პროდუქტები გაძვირდა, მათ შორის საბაზისო პროდუქტები — წიწიბურა, შაქარი, ხორბალი და მომავალ წელს მოსავლის ბედი კიდევ არის გაურკვეველი“. პრეზიდენტის პროგნოზით, ინფლაციური პროცესები გაძლიერდება.

### ბიუჯეტი გაგვიზარდეს

**2011 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი მიმდინარე წელთან შედარებით 30 მილიონი ლარით გაიზრდება და მისი საერთო მოცულობა 7 მილიარდ 107,1 მილიონი ლარით განისაზღვრება.** შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი 5 მილიარდ 955,8 მილიონი ლარით განისაზღვრა, გადასახადების საპროგნოზო მაჩვენებელი — 5 მილიარდ 300 მილიონი ლარით, რაც მთლიანი შიდა პროდუქტის 23,2%-ს შეადგენს. საპენსიო უზრუნველყოფაზე 932,3 მილიონი ლარია გამოყოფილი, სოციალური დახმარებებისთვის — 213,1 მილიონი ლარი, ჯანმრთელობის დაცვის პროგრამებისთვის კი — 318,7 მილიონი ლარი, პირველკლასელთათვის კომპიუტერების შესყიდვაზე 32 მილიონი დაიხარჯება, ინგლისურენოვანი მასწავლებლების დაფინანსებაზე კი — 10 მილიონი.

### საარსებო მინიმუმი გაიზარდა

**საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, 2010 წლის დეკემბრის მონაცემებით, შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცის საარსებო მინიმუმი 149,50 ლარით განისაზღვრა, მაშინ, როდესაც 2009 წლის დეკემბრის მაჩვენებლით 126 ლარი იყო.** რაც შეეხება, საშუალო მომხმარებლის საარსებო მინიმუმს, მან 132 ლარი შეადგინა. გაიზარდა, ასევე, საშუალო ოჯახის საარსებო მინიმუმი, რომელმაც 250 ლარი შეადგინა. ექსპერტების აზრით, საარსებო მინიმუმის გაზრდას ქვეყანაში ეკონომიური არამდგრადობის მაჩვენებელია. „თუ ქვეყანაში ფასების ზრდის ტენდენცია არ შეწყდა, საარსებო მინიმუმი კიდევ მეტად გაიზრდება და ადამიანები შიმშილობის ზღვარზე მივლენ,“ — განაცხადა ეკონომიკის ექსპერტმა ნოდარ კაპანაძემ.

### ასლან სმირბას პასუხისგება ელის

**ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის — ვერა ქობალიას განცხადებით, ასლან სმირბასა და ბადრი ფარტენაძეს, შესაძლოა, სამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისროთ.** მისივე თქმით, ყველა ინფორმაცია გადაგზავნილია პროკურატურაში, რომელიც განიხილავს, თუ რა დანაშაული ჩაიდინეს აღნიშნულმა პირებმა საზღვაო ადმინისტრაციაში ბოლო წლებში. საზღვაო ადმინისტრაციის ყველა მაღალი თანამდებობის პირი თანამდებობიდან გათავისუფლებულია. გავრცელებული ინფორმაციით, დეპარტამენტის უკვე ყოფილ უფროსს — ბადრი ფარტენაძესა და მის მოადგილეს — ასლან სმირბას სამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრებათ. საუბარია საზღვაო ადმინისტრაციაში კორუფციულ სქემასა და სამსახურებრივ გულგრილობაზე.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, ადამიანებს 15 იანვარს გამოასახლებენ თუ 25 დეკემბერს. ფაქტი ერთია, მათ ხელისუფლება არაფერს ჰპირდება!

◀ბობს, გარდა იმისა, რომ, როგორც ჩანს, სააკაშვილსა და სუბელიანს ფულის შოვნის სურვილი აქვთ. ზაფხულში დაცლილი შენობებიდანაც მხოლოდ ერთი გაიყიდა, ეს არის გეოლოგიის დეპარტამენტის ყოფილი შენობა, ხოლო დანარჩენი 5 შენობა დღესაც ცარიელია.

მეორე, პოლიტიკური ინტერესიც აქვს ხელისუფლებას, **როგორც ჩანს, მათ სურთ, თბილისში რაც შეიძლება ცოტა დევნილი დარჩეს, ან საერთოდ არ დარჩეს რადგან დღეს დევნილების, რომლებსაც უფრო ადვილად ატყუებდნენ ვიდრე სხვა მოქალაქეებს, ნდობის მანდატი ხელისუფლების მიმართ ამოიწურა.** ამიტომაც უნდათ მათი თავიდან მოცილება და საქართველოს სხვადასხვა ადგილებში გადანაწილება, რათა მათ თავიანთი გაუსაძლისი პირობების გამო პროტესტი ვერ გამოხატონ დედაქალაქში.

**— რამდენ ადამიანს შეეხო გამოსახლების ახალი ტალღა?**

— მეორე ტალღა ეხება დაახლოებით 4-5 ათას ადამიანს, შეიძლება 7-8 ათასიც იყოს. ჩვენ ვაპირებთ, გავაგრძელოთ საპროტესტო მოქმედებები, საახალწლოდაც გვაქვს დაგეგმილი საპროტესტო ღონისძიება და იგი არ შეწყდება, სანამ დევნილებს არ დააკმაყოფილებენ შესაბამისი საცხოვრებელი ფართებით.

**— კომპენსაციებზე საუბარი არ არის?**

— კომპენსაციებს ჰპირდებიან მხოლოდ სამაჩაბლოსა და კოდორის დევნილებს, მაგრამ მათ დღემდე არ აუღიათ იგი. ბუნებრივია, ჯერ კომპენსაცია უნდა მისცენ ადამიანს და შემდეგ იყოს საუბარი მის გამოსახლებაზე, და არა პირიქით. **დღეს ადამიანებს ტოვებენ ქუჩაში, მათ შორის ე. წ. ახალ დევნილებს, რომლებსაც კომპენსაციის სახით ერთი თეთრიც არ აუღიათ. მათი გამოსახლების უფლება ხელისუფლებას არ უნდა ჰქონდეს, ისევე, როგორც აფხაზეთიდან დევნილებისა, რომლებსაც ფულად კომპენსაციებს არ ჰპირდებიან,** მაგრამ საცხოვრებელი ფართითაც არ დაუკმაყოფილებიათ ისინი, მიუხედავად წინასაარჩევნო დაპირებისა, რომელსაც ხშირად იმეორებდა უგულავა, რომ ყველა დევნილი გახდებოდა თბილისელი.

**— დევნილებთან დაკავშირებით საკმაოდ მწვავე დასკვნები დაიდო საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან. სახალხო დამცველმაც გააკეთა აქცენტი ამაზე. ამან რამე გავლენა თუ მოახდინა ხელისუფლების ქმედებაზე?**

— ჩემი აზრით, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სახალხო დამცველის პოზიციაზე გავლენა მოახდინა დევნილების პროტესტმა. ჩვენც ვმონაწილეობდით ამ აქციებში. იცით, რომ 19 აგვისტოს დაარბიეს მშვიდობიანი აქცია ყოვლად უკანონოდ. ამ ყველაფერმა გამოიწვია საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სახალხო დამცველის ტონის გამწვავება. მთლიანობაში კი, **როგორც საერთაშორისო ორგანიზაციების, ასევე საპროტესტო მოქმედებების შედეგი იყო დევნილთა გამოსახლების შეჩერება. თუმცა, როგორც კი პროტესტი შენელდა, მაშინვე დაიწყო ხელახალი ტალღა დევნილების წინააღმდეგ ბრძოლისა, რომელსაც სააკაშვილი აწარმოებს მართლაც ფაშისტური მეთოდებით.** ადამიანებს ასახლებენ დილის ექვს საათზე საკუთარი ქალაქიდან, როგორც ებრაელებს დევნიდა ჰიტლერი, იმის მსგავსად ეპყრობა სააკაშვილი საკუთარ მოსახლეობას, რომელიც ორჯერ და ზოგჯერ სამჯერაც კი დევნილია საკუთარი მიწა-წყლიდან..

**— ხელისუფლების მეთოდია, ინდივიდუალურადაც აწარმოოს დაშინების კამპანია ადამიანებთან; დევნილების შემთხვევაში თუ იყენებდნენ ამ მეთოდს?**

— რა თქმა უნდა, დევნილების წინააღმდეგ, მათი პროტესტის ჩახშობის მიზნით, დიდი ხანია, ხორციელდება ფსიქოლოგიური შეტევა, დაშინების, უიმედობის დათესვის მცდელობა უშიშროების თანამშრომლების მხრიდან. ამიტომაცაა, რომ უკანასკნელ პერიოდამდე აქციების მასშტაბები არ ყოფილა ისეთი მოცულობის, როგორიც უნდა ყოფილიყო.

## ის შენობები, რომლებიც დევნილებს დააცლევინეს, სახელმწიფო საკუთრებაა. შესაბამისად, ხელისუფლება უბრალოდ მანიპულირებს კერძო საკუთრების თემატიკით



**— თქვენ წელს არაერთი დარღვევა და უკანონობა გააპროტესტეთ, შეჯამება რომ მოვახდინოთ ამ წლის, ყველაზე მძიმე რომელი ფაქტი იყო?**

— **ყველაზე მძიმე იყო სოციალური გენოციდი, რომელიც განახორციელა ხელისუფლებამ. დევნილების დევნა და უსახლკაროდ დატოვება, გარემოვაჭრეების, წვრილი მეწარმეების სამუშაოს გარეშე დატოვება, სხვადასხვა მეთოდით საარსებო გარემოს განადგურება და ტარიფების არანორმალურად ზრდა. ესეც სოციალურ გენოციდში შეიძლება ჩაითვალოს.**

**— შეძლებთ ამ ტალღის შეჩერებას აქციებით?**

— ჩვენი მხრიდან ძალას არ ვაკლებთ. მთავარია, დევნილების პროტესტის მასშტაბი გაიზარდოს, ისევე, როგორც სხვა სოციალური ჯგუფებისა, თუ მათ არ მოინდომეს, ცალკე ვერც ერთი პოლიტიკოსი ვერ შეძლებს გამარჯვებას ამა თუ იმ საკითხთან მიმართებაში. ჩვენ ვუხსნით მათ, რომ, თუ ერთად დადგებიან, მათ გამარჯვების შანსი ექნებათ. რაც უფრო დიდი იქნება პროტესტი, მით უფრო დიდი იქნება შანსი, რომ შევაჩერებინოთ დევნილების წინააღმდეგ ბრძოლა; მათი ეს პრინციპი მოქმედებს ყველა სოციალურ ჯგუფთან მიმართებაში.

**მინდა, ვთხოვო თბილისელებსაც: გამოუცხადონ სოლიდარობა დევნილებს, იმიტომ, რომ, თუ ახლა ჩვენ მათ გვერდით არ დავდგებით, ცოტა ხანში ჩვენც გადაგვასახლებენ და დაგვატოვებინებენ სახლებს, იმიტომ, რომ სააკაშვილს არ აინტერესებს არავის ბედი და მდგომარეობა, გარდა საკუთარი თავისა და ჯიბისა.** დევნილებსაც იმავეს ვეტყოდი, თბილისელებმა უნდა დაიცვათ დევნილები და დევნილებმა უნდა დაიცვან სხვების ინტერესები, რადგან მხოლოდ სოლიდარობითა და ურთიერთთანადგომით მიიღწევა გამარჯვება.

ესაუბრა
**სოფო გელაშვილი**

## გამოხმაურებები



**ჯონდი ბაღათურია,**
**პარლამენტის წევრი:**

თუკი ძროხას პატრონი ჯოხს გადაარტყამს, იგი აღარ მოიწველის. სახელმწიფოსთვის ეს მეწველი ძროხა, უფრო სწორად კი დედალი ძროხა, როგორც მას სოფლის მეურნეობის მინისტრი უწოდებს, ბიზნეს-სექტორია, რომლის 80%-ს პროკუტარაში საპროცესო გარიგება აქვს დადებული.

*„პირველი“*



**დიმიტრი ლორთქიფანიძე,**
**პარლამენტის წევრი:**

ნარკოტიკული დანაშაულისთვის მსჯავრდებულებისგან ამოღებული თანხები 2009 წლის მდგომარეობით 19 მილიონია. ეს ის მილიონებია, რომლებიც მოსახლეობას დაგირავებულ და დაყადაღებულ ქონებად უჯდება. წელიწად-ნახევრის წინათ ეს თანხა 900 ათასი იყო. ეს მზარდი სტატისტიკური მონაცემები მიუთითებს იმაზე, რომ სახელმწიფოს რეპრესიული მანქანა კიდევ უფრო გამკაცრდა, რაც უმძიმეს ტვირთად აწვება ჩვენს საზოგადოებას.

*„ყველა სიახლე“*



**მაია ნიკოლეიშვილი,**
**ექიმი:**

რაც მე დამემართა, ძალიან მტკივნეულია და არ ვილაპარაკებ. უბრალოდ, უფლისგან ნაბრძანებია სიცოცხლე და ვცოცხლობ. ბევრი რამის უთქმელობა ძნელია, მაგრამ ეს ჩემი ჯვარია და უნდა ვატარო. მოდით, უხეშად ვთქვათ, რომ შეცდომის უფლება ყველას აქვს. დღეს მე ჩემს ოჯახთან ვარ. ვსწავლობ ფსიქოლოგიას და ჩემს თავსაც. ჩემთვის დედა, მამა და სამშობლო ერთ სიბრტყეშია. ყველას ჰგონია, რომ წასული ვარ. ამ დროს სულ აქ ვარ. წასვლა შემეძლო და ამის პრობლემა არ მქონია, მაგრამ სულ მეშინოდა, რომ წავსულიყავი, ვაითუ, ჩამოსვლის ნება არ დაერთოთ. ეს კი ერთდროულად ნიშნავს დედის, მამის და სამშობლოს დაკარგვას, ამას ვერ ავიტანდი.

*„ალია“*



**მურმან დუმბაძე,**
**რესპუბლიკური პარტიის აჭარის რეგიონალური ორგანიზაციის ლიდერი:**

მე მაქვს ინფორმაცია, რომ ბათუმში, რუსთაველის ქუჩაზე, სადაც არის „შერატონის“ სასტუმრო და იქვეა ბარბარეს ეკლესიაც, რამდენიმე ათეულ მეტრში, მე-6 სკოლის ყოფილ შენობას ანგრევენ და მის სანაცვლოდ მეჩეთის აშენება უნდათ. სააკაშვილი ცეცხლს ეთამაშება. ეს თუ გაბედა, და არა მარტო ამ ადგილზე, მაშინ ჩათვალეთ, რომ ის, რაც ვერ გააკეთა ვერც ერთმა პოლიტიკოსმა თუ პოლიტიკურმა პარტიამ, გააკეთებს ქართველი ხალხი – მე ვიცი მოქალაქეების განწყობა. სააკაშვილს მშენებარე მეჩეთის ადგილას დამარხავენ და ამ პროცესში მეც მივიღებ მონაწილეობას.

*presa.ge*



**სოზარ სუბარი,**
**„ქართული პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერი:**

ხელისუფლებამ თბილისის ქუჩები ქრისტიანული ატრიბუტიკით მორთო, მაგრამ ამავე დროს, ჰეროდესავით იქცევა, რომელმაც იესო ქრისტეს შობის წინ უამრავი ბავშვის სისხლის დაღვარა.

*„პირველი“*

## მოკლედ

### შვეიცარიამ ინცესტი დააკანონა

**შვეიცარიის ზედა პალატამ ინცესტის შესახებ ახალი კანონი მიიღო. ამიერიდან ერთი ოჯახის წევრებს ერთმანეთთან სექსუალური კავშირის დამყარება შეეძლებათ და ამისთვის ისინი სისხლის სამართლის პასუხისმგებაში არ მიეცემიან.**

კანონპროექტის ავტორები აქამდე არსებულ კანონს, რომელიც ინცესტს კრძალავდა, მოძველებულად მიიჩნევენ და, როგორც ჩანს, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მათ მოსაზრებას სრულიად იზიარებდა საკანონმდებლო ორგანოს ზედა პალატა. კანონის ახალ რედაქციაში ნათქვამია, რომ მთავარია, ორივე პარტნიორი სრულწლოვანი იყოს და კავშირი ურთიერთშეთანხმებით მოხდეს; სხვა შეზღუდვა შვეიცარიელებს არ ადარდებთ.

### ობამას უკანონო რეფორმა

**აშშ-ში ვირჯინიის შტატის სასამართლომ ჯანდაცვის სფეროში პრეზიდენტ ბარაკ ობამას მიერ ინიცირებული რეფორმა ქვეყნის კონსტიტუციასთან შეუსაბამოდ სცნო.** საბოლოო გადაწყვეტილება აშშ-ის უმაღლესმა სასამართლომ უნდა მიიღოს, თუმცა არ არის გამორიცხული, პასუხი ისევ უარყოფითი იქნეს. რეფორმა სამედიცინო სფეროში დაზღვეულების რაოდენობის გაზრდას ითვალისწინებს. ახალი რეფორმის კრიტიკოსების აზრით, ეს უფრო გაამწვავებს მედიცინის სფეროში არსებულ პრობლემებს. ჯანდაცვის სფეროს რეფორმა ობამას წინასაარჩევნო პროგრამის მთავარი პუნქტი იყო. ფედერალური სასამართლოს მოსამართლე ჰენრი ჰადსონის თქმით, ეს რეფორმა ეწინააღმდეგება არსებულ კონსტიტუციას და მისი დამტკიცება არ შეიძლება.

### ჩაფლავებული გამოცდა

**ამერიკის შეერთებულ შტატებში რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემა გამოსცადეს, მაგრამ გამოცდა წარუმატებლად დასრულდა.**

რაკეტას, რომელიც აშშ-ის სამხედრო საჰაერო ძალების კალიფორნიის ბაზიდან გაუშვეს, ის სამიზნე რაკეტა უნდა დაეზიანებინა, რომელიც წყნარი ოკეანის დასავლეთ ნაწილში მდებარე კუნძულ Kwajalein-დან გაუშვეს. მიუხედავად იმისა, რომ საცდელი რაკეტის უკლებლივ ყველა მონაცემი მწყობრში იყო, მან სამიზნის განადგურება ვერ შეძლო. თუ რა ტიპის რაკეტები მონაწილეობდა 15 დეკემბერს ჩატარებულ ცდაში, არ კონკრეტდება. აშშ-ში წარუმატებელი ცდის მიზეზების დასადგენად გამოძიებას დაიწყებენ.

### ავღანეთის ომი უაზრობაა

**აშშ-ის პრეზიდენტის — ბარაკ ობამას განცხადებით, ავღანეთში ტერორიზმის სრულად აღმოფხვრა იმის გამოა გართულებული, რომ ექსტრემისტები მეზობელ პაკისტანს აფარებენ თავს, აშშ-ს კი პაკისტანზე ზემოქმედების რაიმე ბერკეტი არ გააჩნია.** ამის შესახებ პრეზიდენტმა აშშ-ის კონგრესში მოხსენებისას ისაუბრა. მოხსენება ავღანეთში შექმნილ მდგომარეობას ეხებოდა. ამჟამად ავღანეთში აშშ-ის 100 ათასი სამხედრო მსახურობს და, მიუხედავად ამგვარი სირთულეებისა, ობამამ დაადასტურა, რომ 2011 წელს ქვეყნიდან ჯარების გამოყვანას დაიწყებს, თუმცა მას სხვა გამოსავალი არც აქვს — გამოკითხვის შედეგების თანახმად, ამერიკელთა 60% მიიჩნევს, რომ ავღანეთში ომი უაზრობაა.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

## ასი წლის წინათ ქართველები ერთმანეთს ერთი შეკითხვით ხვდებოდნენ: „ილია ჯერ არ მოუკლავთ?“ ამან ერთგვარად შეამზადა კიდეც საქართველო იმისთვის, რაც 1907 წელს წინამურთან მოხდა.

# ნუ გვამზადებთ, არ გამოგივათ!

**დავით პაიჭაძის „დიალოგმა“ ბექა მინდიაშვილთან გასული კვირის მთავარი თემა წარმოშვა, რადგან მას სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი გამოეხმაურა. ბევრი დაიწერა და ითქვა, მაგრამ, ვფიქრობთ, ყურადღების მიღმა დარჩა რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი, რომლებიც ჩვენი მკითხველის ინტერესს იმსახურებს. იმავე გადაცემაში გაისმა ფრაზა, რომელმაც დაუვიწყარი საბჭოთა ათეიზმის ლექსიკონიდან ლიბერალი ფილოსოფოსების სიტყვათა მარაგში ამოყო თავი. კერძოდ, მარქსის გამონათქვამი იმის შესახებ, რომ რელიგია ხალხისთვის განკუთვნილი ოპიუმია, ერთ-ერთ არგუმენტად იყო გამოყენებული „დიალოგში“.**





გამოვტყდები და ამ საკითხზე ერთხელ ბაბუაჩემს — კათოლიკოს-პატრიარქს, დავით მეხუთეს დავუწყე გამოკითხვა. ან რა გასაკვირია: როცა სკოლაში ამას გასწავლიან, ვინ გამოდის შენი საკუთარი ბაბუა? ოპიუმის გამავრცელებელი? **უზომო იყო პატრიარქის მოთმინება. მან მშვიდად ამიხსნა, რომ ეს ციტატა კომუნისტებმა კონტექსტიდან ამოგლიჯეს და რომ სინამდვილეში მარქსს ასე ჰქონდა დაწერილი: „რელიგია ტანჯული, ჩაგრული არსების ამოსუნთქვაა; უგულო სამყაროს გული უსულო წყობის სულია. რელიგია ხალხის ოპიუმია“.**

იმ დროს სიტყვა „ოპიუმი“ სულ სხვა დატვირთვას ატარებდა, ვიდრე დღეს. მაშინ იგი, უპირველესად, ტკივილგამაყუჩებელ წამალს აღნიშნავდა, რომელიც, მართალია, დროებით, მაგრამ მაინც შვებას ჰგვრიდა ადამიანს. **ჩვენი დღევანდელი იდეოლოგები კვლავაც მარქსის ლენინისეულ გაგებას აღიარებენ, რადგან მისი ნაშრომები არ წაუკითხავთ; უკეთეს შემთხვევაში, საბჭოთა პერიოდის ციტატებს ეყრდნობიან.** თუმცა ეს არ არის ერთადერთი საკითხი, რომელშიც ისინი ზედაპირზე ტივტივებენ. ასევე „ზედმიწევნით განსწავლულნი“ არიან ისინი თანამედროვე ლიბერალიზმშიც, რაც მათი „მარგალიტების“ მოსმენისას ადვილად ამოიცნობა.

**სინამდვილეში ოპიუმის არა, მაგრამ მძიმე სინთეტიკური ნარკოტიკების ყოველდღიური დოზა ქართულ საზოგადოებას დაუნანებლად მიეწოდება ერთმანეთის დამსგავსებული სატელევიზიო ეთერებიდან,** რომელთა ძირითადი დანიშნულებაა, მოსპონ ყოველივე, რაც ქართველებისთვის საკუთარ იდენტობასთან არის გაიგივებული. უნდა ითქვას, რომ ბევრ საკითხში მათ გარკვეულ წარმატებას მიაღწიეს კიდეც.

ქართული ენის თანმიმდევრული გამოდევნა დომინანტის პოზიციიდან უკვე დაიწყო. სიტყვა „სამშობლო“ ნელ-ნელა ქრება ქართული საინფორმაციო სივრციდან. ახლა მართლმადიდებლობის ჯერია; დაუშვებელია ვითარება, როცა მოსახლეობის 80%-ზე მეტი ეკლესიას და მის საჭეთმპყრობელს ენდობა. როგორ უნდა განადგურდეს ეს ნდობა?

ჩვენი ახალგაზრდა ხელისუფლება მიჩვეულია მზა კონსპექტებით მოქმედებას. 1982 წლის გაზეთ „კომუნისტის“ ლოზუნგი ერთეული გამონაკლისი როდია. **მარქსის გარდა, ჩვენებურმა პოლიტტექნოლოგებმა ენგელსის ციტატებითაც ისარგებლეს: „იმისათვის, რომ არსებულ საზოგადოებრივ ურთიერთობებს დაესხა თავს, უპირველესად, მათ სიწმინდის შარავანდედი უნდა ჩამოჰგლიჯო!“**

ამას ენგელსი რეფორმაციასთან დაკავშირებით წერდა, მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს, — **არც კომუნისტებს უგულისხმიათ უგულავას არჩევნები, როცა გაზეთში სათაურად გამოჰქონდათ „გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია!“.**

სიწმინდის შარავანდედის ჩამოგლეჯა უკვე დაიწყო რამდენიმე წლის წინათ. ამ საქმეს ხელი სწორედ იმათ მოჰკიდეს, რომლებიც რევოლუციამდე სრულ არარაობას წარმოადგენდნენ და რომლებიც **საკუთარ თვალში ადამიანებად სწორედ „წმიდა გიორგის სახელობის დიდი ნოემბრის „ვარდების რევოლუციამ“ აქცია“.** ოდენ საკუთარ თვალში, რადგან, **მიუხედავად ერთმანეთისთვის გულუხვად ჩამორიგებული თანამდებობებისა და სამეცნიერო წოდებებისა, საზოგადოებისთვის მათი ინტელექტუალური და ზნეობრივი დონე იმავე ნულოვან ნიშნულზე დარჩა.**

ისინი ერთმანეთს ეპატიჟებიან სატელევიზიო და რადიოეთერში, ერთმანეთს ანიჭებენ პროფესორების წოდებას, ერთმანეთს იმოწმებენ და ერთმანეთს აქებენ. მათ აინუნშიც კი არ მოსდით, რომ მთელი დანარჩენი ქვეყნისგან ბგერაგაუმტარი და შიგნიდან გაუმჭვირვალე მინით არიან გამოყოფილნი. ისინი ვერ ხედავენ ადამიანებს და მათ პრობლემებს, რადგან თავად არ აქვთ პრობლემები, გარეთ კი არ იყურებიან. მათთვის ცხოვრება მშვენიერია. მათ სხვისი პრობლემების შესახებ გაგონებაც კი არ უნდათ. ჩაკეტილები არიან მინის ნაგებობებში (ზოგი — დიდში, ზოგი — პატარაში) და სხვებს უმადურად თვლიან.

**დიახ, ჩვენ უმადურები ვართ, რადგან მადლიერების გრძნობა არ აღგვავსებს მათი მშვენიერი ცხოვრების გამო.**

ჩვენ სულელები ვართ, რადგან **ვერ მივხვდით, რომ საკუთარი საწადელის მისაღწევად გვამებზეც უნდა იარო.**

ჩვენ ჩამორჩენილები ვართ, რადგან **ვერ მივიღეთ ცხოვრების წესად, „მგელი უნდა იყო, მგელი და მგელზე უფრო მგელი!“**

ჩვენ ბნელები ვართ, რადგან **სიწმინდეს ჯერ კიდევ ვერ ვიმეტებთ ტალახში გასასვრელად.**

ჩვენ ვართ ყოველივე ცუდი და კნინობითი, რადგან **სხვების მიერ დაწერილი ცხოვრების წესით ცხოვრება არ გვინდა.**

ერთხელ ხმამაღლა ვთქვი ის, რასაც ე. წ. ვარდების რევოლუციამდე მცირე ხნით ადრე მივხვდი: არ მაინტერესებს მათი შეხედულება ჩემზე, რამდენადაც ამ ადამიანებს არ აქვთ შეხედულებები; ისინი სხვისი ციტატებით ცხოვრობენ. **ისინი ვამპირებივით საზრდოობენ სწორედ იმ განცდებით, რომლებითაც ჩვენ აღვიქვამთ მათ იდიოტურ განცხადებებს.**

რამდენიმე თვის წინათ, როდესაც საზოგადოებისთვის ავად ცნობილმა ჯგუფმა პატრიარქს შეკითხვებით მიმართა, ჟურნალისტს კითხვაზე მივუგე, რომ პატრიარქმა პასუხი არ უნდა გასცეს მათ, რადგან უნდა დამთავრდეს ერთი მარგინალური ჯგუფის მიერ საზოგადოების სახელით ლაპარაკი. მაშინ არც ყოფილა რაიმე პასუხი. **ამჯერად უწმინდესმა სატელევიზიო გადაცემა ქადაგების ღირსად მიიჩნია. ამასაც აქვს თავისი მიზეზები. მან უკეთ იცის ის, რასაც, ოპონენტებისგან განსხვავებით, სამსჯელოდ არ გამოიტანს, რადგან ის ყველა ჩვენგანზე ფიქრობს, მათ შორის იმათზეც, ვისაც ცოდვებზე მიუთითა. და მათზეც ლოცულობს.**

**„პატრიარქს აქვს თავისი აზრი, მე მაქვს ჩემი გადაცემა!“** — აცხადებს დავით პაიჭაძე. მას აინუნშიც არ მოსდის, რომ გადაცემა მისი კი არა, ჩვენია, რადგან იგი საზოგადოებრივ მაუწყებელზე იკავებს ეთერს. ამ „ჩემით“ აპელირების საშუალება მას ჩვენმა ოპოზიციამ მისცა, რომელმაც საზოგადოებრივი მაუწყებლის საზოგადოებისთვის დაბრუნებაც კი ვერ შეძლო.

**„არ ვაპირებ იმათ ჭკუაზე გავლას, ვინც ქუჩიდან მკარნახობს, როგორ დავგეგმო და წარვმართო ჩემი გადაცემა“** (როგორც ჩანს, ეს „ჩემი“ ძვალ-რბილშია უკვე გამჯდარი! მე კი იმის დაწერაც მერიდება, რომ კურსივი ჩემია! — ნ.დ.). **ამას ის ადამიანი ამბობს, რომელიც ქუჩიდან სატელევიზიო გადაცემის კი არა, სახელმწიფოს მართვის უფლების მიტაცებას ამართლებდა და ამართლებს დღესაც!**

ჩემის მხრივ, არ ვაპირებ კორექტულად ავუხსნა პაიჭაძეს, რომ მის გადაცემას არაფერი აქვს საერთო ჟურნალისტურ სტანდარტთან; იგი უფრო იდეოლოგიური დამუშავების სტანდარტში ჯდება, მაგრამ მიზანი იმთავითვე არ იყო ჟურნალისტური. მიზანი სულ სხვაა — „დიადი, ნათელი!“

**ადამიანთა ეს ვიწრო წრე ისევე შორს არის სარწმუნოების და საერთოდ სულიერების საკითხების ღრმა ცოდნისგან, როგორც 60-იანი წლების (და ყველა მომდევნო ათწლეულის) საბჭოთა კავშირი — კომუნიზმის ჰორიზონტისგან, მაგრამ ეს მათ ხელს არ უშლის, თვალების მოწკურვით ისაუბრონ იმაზე, რომ „პატრიარქი ამათი დასაცავი გახდა“.** არა, ბატონებო, ჩვენი დასაცავი მას არა სჭირს რა; ჩვენ საკუთარ თავს ვიცავთ, საკუთარ ფასეულობებს, საკუთარ მომავალს, თუმცა...

**ასი წლის წინათ ქართველები ერთმანეთს ერთი შეკითხვით ხვდებოდნენ: „ილია ჯერ არ მოუკლავთ?“ ამან ერთგვარად შეამზადა კიდეც საქართველო იმისთვის, რაც 1907 წელს წინამურთან მოხდა.**

**ნუ გვამზადებთ, არ გამოგივათ!**

**ნანა დევდარიანი**



# «ოპიუმი ხალხისთვის» თუ სინთეტიკური ნარკოტიკი?

**P. S.** პატრიარქმა ქადაგებაში ბრძანა: „**არა არს კაცი, რომელიც სცხონდეს და არა სცოდოს**“. **მაგრამ, თუ ადამიანი გრძნობს თავის ცოდვებს, ინანიებს, აღსარებაზე მიდის და წმიდა ზიარებას ღებულობს, მას უფალი აპატიებს ცოდვებს“.**

იქვე ჟურნალ „ტაბულას“ რუბრიკით „ამავე თემაზე“ მოტანილი აქვს 1989 წლის „ნიუსი“: აიათოლა ჰომეინი მოუწოდებს მწერალ სალმან რუშდის მოკვლისკენ.

ცოდვებზე მითითებასა და მოკვლისკენ მოწოდებას შორის ტოლობის ნიშანია დასმული. ოპიუმს სძინავს, სინთეტიკური ნარკოტიკი მოქმედებს!

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ნეოლიბერალების მორიგი შეტევა საპატრიარქოზე



**გასულ კვირას, 14 დეკემბერს, ინტერნეტ-საიტ tabula.ge-ზე, ბექა მინდიაშვილის ბლოგზე გამოქვეყნდა ინკოგნიტო ავტორის წერილი სკანდალური სათაურით: „პატრიარქობა ნათესაობით გადადის?!“, რომელშიც ნათქვამია, რომ 21-25 დეკემბერს საქართველოს ეკლესიის სინოდის სხდომაზე განიხილება ეპარქიების დაყოფისა და ახალი მღვდელმთავრების კურთხევის საკითხები, რითაც, ავტორის აზრით, ილია II ცდილობს, საკუთარი ძმისშვილი, მიტროპოლიტი დიმიტრი შიოლაშვილი საპატრიარქო ტახტისთვის მოამზადოს.**

**წერილის გამოქვეყნებიდან ორი დღის შემდეგ, ანუ 16 დეკემბერს, საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველ არხზე, დავით პაიჭაძის საავტორო გადაცემა „დიალოგში“ „რელიგიათმცოდნე“ ბექა მინდიაშვილმა ამ საკითხზე დეტალურად ისაუბრა და თქვა, რომ დღესდღეობით ქართული მართლმადიდებლური ეკლესია ფუნდამენტალისტების საბუდარად იქცა. ფილოსოფოსმა გიგა ზედანიამ კი, რომელიც ზემოაღნიშნული გადაცემის მეორე ბლოკს სტუმრობდა, მარქსის სიტყვები მოიშველია, ნებისმიერი რელიგია ოპიუმიაო...**

**არის თუ არა ეს და ყველა მსგავსი განცხადებები ბრძოლა ეკლესიის წინააღმდეგ და რამდენად შესაძლებელია, ამის უკან იდგეს ხელისუფლება — ამ საკითხთან დაკავშირებით „საქართველო და მსოფლიო“ კომენტარისთვის საზოგადოებისთვის ცნობილ ადამიანებს დაუკავშირდა.**



**ნესტან კირთაძე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი:**

— როცა ეს გადაცემა გავიდა, მე თბილისში არ ვიმყოფებოდი და, ჩამოვედი თუ არა, პირველი, რაც გავაკეთე, მივედი საპატრიარქოში და შევხვდი პატრიარქს. ჩვენ ძალიან ბევრი ვისაუბრეთ. გაკეთდა თუ არა ჩვენი საზოგადოების წარმომადგენლებისგან ან ოპოზიციის ლიდერების მხრიდან, მრევლის სტატუსით და არა — პოლიტიკოსების, რაიმე საწინააღმდეგო განცხადება?.. მე მსგავსი არაფერი მომისმენია და მიმაჩნია, რომ ეს ძალიან ცუდია, ვინაიდან, როცა ვიღაც-ვიღაცები თავს უფლებას აძლევენ, შეურაცხყოფა მიაყენონ ჩვენს უწმინდესს და ჩვენ ამას ვითმენთ, ვთვლი, რომ ეს ჩვენს სულიერ დაცემასა და დაკნინებაზე მეტყველებს.

**აქვე მინდა ერთი ინფორმაციაც მოგაწოდოთ: ამ რამდენიმე დღის წინათ პატრიარქს სტუმრობდა ერთ-ერთი არამართლმადიდებლური ქრისტიანული ეკლესიის წარმომადგენელი საქართველოში, რომელმაც მის უწმინდესობას უთხრა, იქნებ, თქვენ არც გაყენებენ საქმის კურსში, მაგრამ თქვენი ავტორიტეტი და ქართული ეკლესიის რეიტინგი, უკვე დიდი ხანია, ოთხმოცდაათ პროცენტს გადასცდაო...**

აი, ეს არის ის რეალობა, რომელიც ხელისუფლებას აგიჟებს და რის გამოც ეს ვიგინდარა ზედანია და ძეშეცდომილი მინდიაშვილი პატრიარქს დღენიადაგ აკრიტიკებენ; მაგრამ მათ უნდა იცოდნენ ერთი რამ — პატრიარქის შეურაცხყოფა არის სრულიად ქართველი ერის და თვით ღმერთის შეურაცხყოფა და ადრე თუ გვიან მათ ეს ყველაფერი უკანვე მიუბრუნდებათ ბუმერანგივით...



**თემურ ქორიძე, ჟურნალ „ისტორიული მემკვიდრეობის“ მთავარი რედაქტორი:**

**— დავით პაიჭაძის ამ ე.წ. გადაცემის მიღმა აშკარად ჩანს „ნაციონალური მოძრაობის“ მრავალწლიანი პოლიტიკა, ნათლად იკითხება ამ პოლიტიკის ანარეკლი და საერთოდ, ნუ დაგვავიწყდება, რომ ეს არხი არის არა საზოგადოებრივი, არამედ სახელისუფლო არხი. ასეთია რეალობა, მაგრამ აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ეს კამპანია არ დაწყებულა დღეს და გუშინ; საერთოდ, ეს ე.წ. ახალი ლიბერალები ყოველთვის გამოირჩეოდნენ ყოველგვარი ტრადიციული რელიგიური შეხედულებებისა და დოგმებისადმი, რბილად რომ ვთქვათ, კრიტიკული დამოკიდებულებით და ამას ისინი არც მალავენ...** ვფიქრობ, რომ ასეთი არაკვალიფიციური და არაკომპეტენტური ადამიანების საუბარი ეკლესიასთან დაკავშირებით, უწინარეს ყოვლისა, თვით ამ ადამიანების უმეცრებაზე მეტყველებს და, ასევე, იმ პოლიტიკის მავნებლობაზე, რომლის ქვეშევრდომობასა და მონურ მორჩილებასაც ისინი განასახიერებენ...



**თამაზ წივწივაძე, მწერალი, პუბლიცისტი:**

— სამწუხაროდ, მე ვერ მივცემ ჩემს თავს უფლებას, კომენტარი გავუკეთო საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის თუნდაც უმცირეს შენიშვნას, ეს ჩემი მხრიდან მკრეხელობად აღიქმება.

**რაც შეეხება მინდიაშვილ-პაიჭაძისა და ლადარია-რამიშვილის ბინძურ გამონათქვამებს ეკლესიის მამათა მიმართ, თუ ეს მათი ინიციატივაა, ისინი, უბრალოდ, დასათეთქვები არიან; და თუ ამ საქმეში ხელისუფლების ხელიც ურევია, ასეთი მთავრობის წევრები არა მარტო უნდა დათეთქვო, არამედ ერთი ადგილიც უნდა მოუთეთქვო, ლადარია-პაიჭაძის მსგავსი არსებანი რომ აღარასოდეს გააჩინონ.** საერთოდ კი, მეტის მოთმენა აღარ შეიძლება, საქართველო უკვე დაემსგავსა ქვეყანას, სადაც ყველაფერს ცვედანი ადამიანები განაგებენ...



**სოსო ჯაჭვლიანი, რეჟისორი, მსახიობი:**

— სიმართლე გითხრათ, პაიჭაძის გადაცემა არ მინახავს და არც მაქვს სურვილი, რომ ამგვარ სისულელეებს დრო დავუთმო. მაგრამ მითხრეს, იქ რელიგიაზე ულაპარაკიათ და ერთ-ერთ სტუმარს, თუ არ ვცდები, მინდიაშვილს უთქვამს, მართლმადიდებლები ფუნდამენტალისტები არიანო... **მე არ ვიცი, ამაზე რა უნდა ვთქვა და რა კომენტარი გავაკეთო, უბრალოდ, ისღა დამრჩენია, მივმართო საქართველოში მცხოვრებ გრეგორიანელებს, მუსლიმანებს, ებრაელებს და ყველას აბსოლუტურად — გვიშველეთ მართლმადიდებლებს! ვიღუპებით და გვერდით დაგვიდექით!.. სხვა გამოსავალს მე ვერ ვხედავ, რადგან, როგორც ჩანს, ამ ქვეყანას მართლაც სატანა დაეპატრონა და ხალხიც იმდენადაა დატერორებული, გამოთაყვანებული, რომ ან ეშინია და ხმას ვერ იღებს, ან საერთოდ ვერ ხედავს ამ უმსგავსობას და აღვირახსნილობას.** ნებისმიერ შემთხვევაში, ერთი რამ გარდუვალია — ამ გზით, რომლითაც დღეს მიდის ეს ქვეყანა, მალე დაიღუპება და აღარ იქნება საქართველო.

**P.S. ინტერნეტ საიტ tabula.ge-ზე დადებული წერილისთვის („პატრიარქობა ნათესაობით გადადის?!“) პატივცემულ ბექა მინდიაშვილს, რომელიც საკუთარ თავს რელიგიათმცოდნეს უწოდებს, წამძღვარებული აქვს ასეთი შესავალი: „მეგობრებო, დღეს ეს წერილი გავრცელდა ინტერნეტში. როგორც ჩანს, ავტორი ზუსტადაა ინფორმირებული საპატრიარქოში მიმდინარე პროცესების შესახებ. თუკი ეს ინფორმაცია სიმართლეს შეესაბამება, მაშინ ამ გზით ილია II-ს ძმისშვილი, მიტროპოლიტი დიმიტრი შიოლაშვილი საპატრიარქო ტახტის ყველაზე რეალური კანდიდატი ხდება. ცნობისთვის, დიმიტრი შიოლაშვილი მმკ-სა და რაფაელ კარელინის მფარველი იერარქია. ვბეჭდავ უცვლელად“.**

**მოკლედ, საკმარისია ამ ე. წ. წერილს თვალი გადაავლო, დარწმუნდები, რომ არავითარი ინკოგნიტო ავტორის დაწერილი არ არის... ამიტომ მინდა მივმართო მის ნამდვილ შემოქმედს, თეოლოგთა შორის უთეოლოგესს, ღრმად პატივცემულ მინდიაშვილს: — წერილი, რომელიც თქვენ tabula.ge-ზე განათავსეთ, პათოსითა და რიტორიკით იმდენად ჰგავს საკუთარ ავტორს, რომ კიდევ ერთხელ მარწმუნებს მარტივ ჭეშმარიტებაში: რაც უნდა ეცადოთ, ნეოლიბერალ ინკოგნიტო ავტორთა ნაღვაწად გაასაღოთ ზემოაღნიშნული წერილის მსგავსი საზიზღრობები, მასში თქვენი და თქვენნაირების მრუდე გონების ნაკვალევი ისევე არ დაიმალება, როგორც გიზგიზა ცეცხლი — თივაში...**

**ჯაბა ჟვანია**



საავტორო სვეტი

# მღვიმეში შამანი აბობოქრდა

**სიმართლე გითხრათ, მღვიმეში ჩატარებულმა მთავრობის სხდომამ ჩემზე დიდი შთაბეჭდილება ვერ მოახდინა.**

**ის, რომ ქვეყანაში გაგანია ქვის ხანაა და ხელისუფალნი ხშირად პირველყოფილი ტომების გამორჩეული წარმომადგენლებივით იქცევიან, ისედაც ვიცოდით, ხოლო თუ ეს სანახაობა მიზნად უცხოელი ინვესტორების მოზიდვას ისახავდა, ბარემ ტყავი შემოეკრათ და მეტი ავთენტურობისთვის ხელში კომბლები დაეჭირათ.**

თუ არანაირი შინაგანი წინაღობა ხელს არ უშლით, ბათუმის პლაჟზე ტელეკამერების წინ ნახევრადგაშიშვლებულებმა ირბინონ, სათაფლიაშიც შესაბამისად ემოქმედათ, მიუხედავად იმისა, რომ ფრიად არასპორტული აღნაგობა ხელს შეუშლიდათ, ბრუტალური ნეანდერტალელები დამაჯერებლად განესახიერებინათ.

**მიხეილ სააკაშვილს პირველყოფილი ტომის ბელადს ნამდვილად ვერ შევადარებთ, რადგან ბელადი,** აღქმის გავრცელებული სტერეოტიპების თანახმად, ჩვენი ფიგურანტივით ძნელად ასატანი რომც იყოს, **საჭიროების შემთხვევაში, სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იცავს ტომს და შეიძლება, რო რამე, მამონტსაც შიშველი ხელებით ეცეს.** ფართოდ გავრცელებული მოსაზრების თანახმად, **სააკაშვილი მსგავსი თვისებებით დაჯილდოებული არ არის და, თუ თვალს გადაავლებთ ჰოლივუდურ კომედიებს პირველყოფილი ადამიანების შესახებ, ვნახავთ, რომ უფრო მეტად სხვა პერსონაჟს, შამანს მოგვაგონებს.**

მართალია, სათაფლიაში დაირით ხელში კოცონის გარშემო არ დახტოდა, თუმცა მის მიერ წარმოთქმული ტექსტები ლოგიკას მოკლებულ შელოცვებს ნამდვილად ჰგავდა. ერთი მაგალითი (სააკაშვილის ოფიციალური ვებგვერდიდან): **„ჩვენ აქ შევიკრიბეთ არა იმიტომ, რომ გვინდა, ჭრელ ფერებში დავინახოთ რეალობა ან გამოქვაბულში დავემალოთ მას, არამედ ვფიქრობ, არის საკითხები, რომლებზეც საჭიროა საუბარი“.** ამასთანავე, შესავალი სიტყვიდან გამორჩეულად კიდევ ერთი ფრაზა დამამახსოვრდა: **„ამას წინათ მე, გოგა ხაჩიძე და ვერა ქობალია მექსიკაში ვიყავით და იქ ვნახეთ, რომ ქვეყანას, ასმილიონიანი მოსახლეობით, ერთი მღვიმე აქვს“.**

სამწუხაროდ, ახლა სპელეოლოგიასა და ქალბატონ ვერონიკაზე ვრცელი მსჯელობის საშუალება არ გვაქვს (დასანანია!). ასე რომ, მთავარ საკითხს მივუბრუნდეთ: **ტომი ბანალურად შიმშილობს, ასეთ დროს კი ბელადებსა და შამანებს ევალებათ იმის ახსნა, თუ რატომ განრისხდნენ ღმერთები და იმის აღიარებაც უწევთ, რომ ცალკეული პრობლემები ნამდვილად არსებობს.**

მოკლე მაგიური ფორმულის შემდეგ, რომელიც ნებისმიერი შამანისთვის შესაშური იქნებოდა: **„საქართველოში კორუფცია თითქმის ნულზე ჩამოვიდა და კორუფციასთან ბრძოლა კვლავაც გრძელდება“.** მიხეილ სააკაშვილმა სევდიანი ამბავი მოგვითხრო: **„სატყეო დეპარტამენტში რომ სრული განუკითხაობაა, ამაში ეჭვი საერთოდ არ მეპარება. ის, რომ სამასკაციან სამსახურში 110 ადამინს დააპატიმრებენ, კონკრეტული დასკვნების საშუალებას იძლევა. ყოველი მესამე ადამიანი ამ სამსახურში დაპატიმრებულია და მინდა ვთქვა, რომ კიდევ ასია დასაჭერი“.** ისე, დანაშაულის, განსაკუთრებით კი კორუფციული დანაშაულის, 100-პროცენტიანი გახსნა ისტორიას არ ახსოვს და ვინმემ შეიძლება ივარაუდოს, რომ დარჩენილი 90 თანამშრომლის საქმეც მთლად კარგად არ არის, თუმცა **იმ ციფრების მიხედვითაც კი, რომლებიც სააკაშვილმა მოიყვანა, საქმე ნამდვილ კორუფციულ საღორესთან გვაქვს.**

მათ, ვინც „ამისთვის წვიმაში იდგა“, სრული შესაძლებლობა ეძლევათ, ამ სანახაობით დატკბნენ.

დაჭერები სატყეო დეპარტამენტში, დიდი ხანია, მიმდინარეობს (ზოგიერთი ვერსიის თანახმად, ეს არა „კორუფციასთან ბრძოლის“, არამედ შემოსავლის წყაროს გაკონტროლებისთვის ხელისუფლების ზედა ეშელონებში გაჩაღებული ომის გამო ხდება). ნებისმიერი ნორმალური ადამიანი, როდესაც დაინახავს, რომ მის კოლეგებს აპატიმრებენ, დროებით მაინც დაამუხრუჭებს და ქრთამს არ აიღებს. მაგრამ ის ვერ გაჩერდება, თუ ვალდებულია, ფულის ნაწილი ზევით, კორუფციული პირამიდის შემდეგ საფეხურზე აიტანოს.

ვერაფერს ვიზამთ, ასეთია სააკაშვილის მიერ შექმნილი სისტემის რეალობა და იმედი გვაქვს, რომ მალე მსგავს ისტორიებს სხვა უწყებებზეც მოგვითხრობს. **გული მიგრძნობს, მალე ისეთი კორუფციული საქმეების შესახებ შევიტყობთ, რომ მამონტებსაც კი ბეწვი ყალყზე დაუდგება.**

წინააღმდეგ შემთხვევაში ხელისუფლებას გაუჭირდება დამაჯერებელი პასუხის გაცემა კითხვაზე, თუ რამ გამოიწვია ვარდნა, რომელსაც დღეს განვიცდით. სავარაუდოდ, ის გაღიზიანებული მოსახლეობისთვის რამდენიმე გასუქებული ბარტყის გადმოგდებას ამჯობინებს.

**დიმიტრი მონიავა**

# საქართველოს ციხეებში სიკვდილი ბატონობს!

## ტუბერკულოზით დაავადებულ, ჩონჩხადქცეულ, ნაცემ და ფიზიკურად დასუსტებულ პატიმარს მხოლოდ დამამშვიდებლებს ასმევდნენ

**ბოლო 7 წელია, გარდამავალი ეპოქა მუდმივი რეფორმების რეჟიმში გვაცხოვრებს: ქალაქში მრავლდება სკვერები, პარკები, შადრევნები, ხიდები... მატულობს პატიმართა, დევნილთა, უსახლკაროთა, გაქცეულთა და დაქცეულთა რაოდენობა... ხელისუფლება კი თავისი მხარდამჭერებიანად ისეა კმაყოფილია, როგორც არასდროს...**

რეფორმირებულ პენიტენციალურ სისტემაში სულ უფრო გახშირდა პატიმართა დაინვალიდებისა და დაღუპვის ფაქტები. თუმცა ამ ინფორმაციებს უწყების ხელმძღვანელი ხათუნა კალმახელიძე სულ სხვა შეფასებას აძლევს. სტატისტიკური მონაცემები განსხვავებულია. მოძრაობის „მამული, ენა, სარწმუნოება" ინფორმაციით, მიმდინარე წელს დაღუპულთა რაოდენობა ორმოცამდეა. ამასთან დაკავშირებით, ორშაბათს, 13 დეკემბერს, საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროსთან საპროტესტო აქცია გამართეს არასამთავრობო ორგანიზაციებმა — „არა", „მამული, ენა, სარწმუნოება", „სოლიდარობა უკანონო პატიმრებს" და „დაიცავი სიცოცხლე". აქციის მოთხოვნა იყო საკნებსა და ციხის სამედიცინო დაწესებულებებში გარდაცვლილი პატიმრების საქმეთა გამოძიების დაწყება და მინისტრის, ხათუნა კალმახელიძის გადადგომა.

ლადო სადღობელაშვილის თქმით, **ხათუნა კალმახელიძე თვითონ უკვეთავს ბადრაგებს, რომელი პატიმარი აწამონ. „იყო შემთხვევები, როცა მინისტრი თავად აკვირდებოდა ამა თუ იმ პატიმრის წამების ფაქტს. კულუარული ინფორმაციით, რამდენჯერაც პატიმარი არ აღიარებს დანაშაულს, იმდენჯერ მას სასტიკად სცემენ.**

ამის შედეგად ისინი ცდილობენ, როგორმე აიძულონ პატიმარი, აღიაროს არჩადენილი დანაშაული," — აცხადებს ლადო სადღობელაშვილი. მისი თქმით, ეს იყო გამაფრთხილებელი აქცია და აპირებენ, რამდენიმე დღის წინათ გარდაცვლილი პატიმრის — თამაზ დადვანის გარდაცვალების ფაქტზე დოკუმენტები მიაწოდონ საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიურ კორპუსს.

**ადვოკატი ლალი აფციაური** ვარაუდობს, რომ დაღუპულ პატიმართა რაოდენობა რეალურად ორჯერ მაინც აღემატება დასახელებულს. **„სასჯელ-აღსრულების დეპარტამენტი ყოველთვის წარმოადგენდა სტატისტიკას. ამჯერადაც ასეთ ფაქტთან გვაქვს საქმე. მე ეჭვიც არ მეპარება, რომ სიკვდილიანობის ფაქტები გაცილებით მეტია. ამის ძირითადი მიზეზი კი არის ის, რომ ციხეებსა და საპატიმრო ადგილებში არ არსებობს ელემენტარული სამედიცინო დახმარება. ხშირად პატიმრებს სასტიკად სცემენ.**

ასევე არარეალურია პატიმართა რაოდენობა. მოგეხსენებათ, საქართველოში 18 სასჯელ-აღსრულების დაწესებულებაა. აქედან ერთი ქალთა კოლონიაა, რომელშიც უკვე 1500 პატიმარი იხდის სასჯელს; ერთიც არასრულწლოვანთა კოლონიაა, რომელში, საბედნიეროდ, ბევრად ნაკლები პატიმარია, დაახლოებით 500-მდე. დანარჩენ 16 დაწესებულებაშიც ადგილების რაოდენობისა და პატიმრების გადატვირთულობიდან გამომდინარე, ვვარაუდობ, რომ **საქართველოში დღეისთვის 45 ათასი პატიმარი მაინც ჰყავს. ზოგიერთ საპატიმრო ადგილებში ისინი გაუსაძლის სიტუაციაში იმყოფებიან.**

მაგრამ ჩვენი, არასამთავრობო ორგანიზაციების დიდი ძალისხმევის მიუხედავად, ვითარება არ იცვლება," — აცხადებს ლალი აფციაური.

**ადვოკატი გიორგი თევზაძე** ყურადღებას პატიმრების ცემის გახშირებულ ფაქტებზე ამახვილებს და ამბობს, რომ ამით საპატიმროებში შიშის სინდრომის დანერგვა ხდება. **„როცა საპატიმროებიდან გამოვდივართ, პატიმრებს ეშინიათ, რომ ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაცია არ გავახმაუროთ, რადგან ამის შემდგომ მათ ციხის ზედამხედველები უფრო მძიმე მდგომარეობაში ჩააგდებენ.**

ცნობილი ფაქტია, რომ დავით ბესტაევს ყოველდღე სცემდნენ მე-8 საპყრობილეში, რის შესახებაც პირადად არაერთხელ მესაუბრა ცოტნე გამსახურდია. მხოლოდ ამ ფაქტის გახმაურების შედეგად გადაიყვანეს იგი სხვა სასჯელ-აღსრულებით დაწესებულებაში. ეს ფაქტი მეტყველებს იმაზე, თუ როგორ ზრუნავს სახელმწიფო პატიმრების უფლებების დაცვაზე," — ამბობს გიორგი თევზაძე.

**ადვოკატი ვლადიმერ ტაბაღუა** მიიჩნევს, რომ, როცა დადვანი ან სხვა პატიმარი იღუპება, ეს დამოკიდებულია პატიმრის ჯანმრთელობაზე და მის პირობებზე. **„თუ ადამიანი ავადმყოფია და იგი დროულად არ იქნა გამოკვლეული და, შესაბამისად, ნამკურნალევი, იმ პირობებში, რაც ციხეში არსებობს, ავადმყოფობამ პროგრესირება რომ განიცადოს, ფაქტია, დაავადება უფრო მწვავდება. როგორც საინფორმაციო გამოშვებებიდან გაცხადდა, თურმე ავადმყოფი ტუბერკულოზით იყო დაავადებული და ისე გარდაიცვალა, რომ არავინ ყურადღება არ მიაქცია და შესაბამის სამკურნალო დაწესებულებაში არ გადაიყვანა. რა თქმა უნდა, ეს არის დაუდევრობა. ამ ფაქტთან დაკავშირებით სპეციალურად უნდა აღიძრას სისხლის სამართლის საქმე. უნდა გამოიძიონ, ვისი დაუდევროპით დაიღუპა ეს ადამიანი,"** — აცხადებს ვლადიმერ ტაბაღუა. მისი თქმით, **პატიმრებს მხოლოდ დილის შემოვლის დროს აქვთ უფლება, თავიანთი ჯანმრთელობის პრობლემების შესახებ განაცხადონ. თუ 9-დან 11 საათამდე რაიმე ასტკივდებათ, მათ დაკაკუნების უფლებაც არ აქვთ, რომ წამალი ან ექიმი მოითხოვონ. მაშინვე ცემით უპასუხებენ.** ასეთ **შემთხვევაში ისინი ვერ ბედავენ, მეორედ და მესამედ ტკივილის შეგრძნების გამო, შველა ითხოვონ.**

რაც შეეხება გარდაცვლილი პატიმრის — თამაზ დადვანის შემთხვევას, რომელიც 3 დეკემბერს გარდაიცვალა, იგი წელიწადი და ცხრა თვის წინათ ყაჩაღობის ბრალდებით დააპატიმრეს. მაშინ ავადმყოფობას არ უჩიოდა. დადვანის **ადვოკატის, დიანა გვიშიანის** ინფორმაციით, მას დანაშაულის ჩადენას ვერ უსაბუთებდნენ. ძირითადი მტკიცებულებები შეურაცხადი მოწმის ჩვენებას ეყრდნობოდა. ჯანმრთელობის გაუარესების შესახებ ოჯახმა წლეულს, ოქტომბერში, შეიტყო. **ადვოკატმა მაშინვე მოინახულა პატიმარი, რომელიც უკვე ძალიან დასუსტებული, ჩონჩხადქცეული დახვდა. მან მაშინვე მოითხოვა დადვანის სამკურნალოდ გადაყვანა. ციხის ხელმძღვანელობამ თავადაც ჩათვალა საჭიროდ მისი ციხის საავადმყოფოში მოთავსება. თუმცა ნაცემ და ფიზიკურად დასუსტებულ ავადმყოფს მხოლოდ დასამშვიდებლებს ასმევდნენ.**

**„ერთხელ ისეთი რამ დაალევინეს, სამი დღე ვერ გაილვიძა და დანარჩენმა პატიმრებმა ძლივს გამოიყვანეს ამ მდგომარეობიდან. ამის შემდეგ იგი მორალურადაც განადგურებული იყო და ფიზიკურადაც. მანამ მას იმედი ჰქონდა, რომ შეურაცხადი ადამიანის ჩვენების საფუძველზე არ გაასამართლებდნენ. პოლიციელები მას სხვა მონაწილეების დასახელებას სთხოვდნენ, მაგრამ იგი უარს ამბობდა. სამი კვირის შემდეგ სამკურნალოდ გადაყვანილი პატიმარი მშობლებს ინვალიდის ეტლში დაახვედრეს. მას მეტყველებაც უჭირდა. ექიმები ამბობდნენ, რომ თამაზს ტუბერკულოზი ჰქონდა. მას კი მხოლოდ რაღაც აბებს ასმევდნენ, არც გადასხმებს უკეთებდნენ და არც სამკურნალო ნემსებს,"** — აცხადებს დადვანის ადვოკატი და გაოცებას ვერ მალავს, ტუბერკულოზით დაავადებულს მუცელში წყლის ჩადგომის პრობლემა რატომ უნდა ჰქონოდა. მისთვის გარდაცვალების რეალური მიზეზი და დასკვნაც არ არის ცნობილი.

საპყრობილეებსა და ციხეებში მდგომარეობის რეალურ სურათს არ აღიარებს ხელისუფლება, რომელიც ვალდებულია, დაიცვას პატიმართა უფლებები. ასეთი ფაქტები კი, როგორც უფლებადამცველები აცხადებენ, ძალზე ხშირია. ყველა იმ პრობლემაზე საუბარი, რაც სასჯელაღსრულების დაწესებულებებშია გამეფებული, შორს წაგვიყვანს, მაგრამ მასზე საუბარი აუცილებლად უნდა გაგრძელდეს.

**ყვარყვარეს ციხეებად ქცეული საპატიმროები პატიმრებს ვერ იტევს და მათში ადამიანებს რიგ-რიგობით უწევთ ძილი. მაგრამ ხელისუფლება ამ სფეროშიც მხოლოდ რეკლამირებასა და თვალის ახვევის პოლიტიკას ეწევა.** ამასობაში, ჩვენი მოსახლეობის დიდი ნაწილი, სხვადასხვა ბრალდებებით, მეტწილად კი თაღლითობის, ქრთამის აღების, ყაჩაღობისა თუ განზრახ მკვლელობის ფაქტებზე, რაც, ძირითადად, ქვეყანაში არსებულ ეკონომიკურ მდგომარეობას უკავშირდება, თავისუფლებას კარგავს, ოჯახები ინგრევა და მათი მომავალიც განწირულია. თუმცა, ზოგიერთი მათგანი გარკვეული თანხის გადახდის შედეგად, საპროცესო გარიგებების ან თანამშრომლობის (ანუ სხვათა დასმენის) საფუძველზე თავს აღწევს ციხის რეჟიმს.

**დღევანდელი ხელისუფლება ხშირად იხსენებს შევარდნაძის დროს სამმართველოს შენობიდან პატიმრების ფანჯრიდან გადმოგდების თუ გადმოვარდნის ფაქტებს და დღევანდელი პოლიციის გამჭვირვალე შენობებით, პენიტენციალური სისტემის რეფორმით იწონებს თავს. თუმცა, როცა 5-მილიონიან** (მოსახლეობის რაოდენობა, ფაქტობრივი მონაცემებით, სავარაუდოდ, 2,5 მილიონს შეადგენს) **ქვეყანაში 45 ათასი პატიმარია და მათი გარკვეული ნაწილი გაუსაძლის მდგომარეობაშია, ალბათ, თავმოსაწონი არ უნდა იყოს დედაქალაქის ან რამდენიმე რეგიონის მთავარი ქალაქის იერ-სახით ნაწილობრივ გალამაზება. შევარდნაძის ხელისუფლების დროს შუქისა და ბევრი სხვა პრობლემა იყო, მაგრამ პატიმართა უფლებებზე მზრუნველი ერთი ყველაზე ცნობილი ადამიანი იმაზე მეტს ახერხებდა, ვიდრე დღეს ამდენი უფლებადამცველი ორგანიზაცია და ომბუდსმენის აპარატი.**

მიუხედავად მწარე გამოცდილებისა და იმედგაცრუებისა, ოპოზიციურად განწყობილი საზოგადოებრივი ორგანიზაციები აქციების შეწყვეტას არ აპირებენ და ახლო მომავალში უფრო ქმედითი ღონისძიებების გატარებით იმუქრებიან.

**ნინო ცხოიძე**



### ლალი აფციაური:

### საქართველოში დღეისთვის 45 ათასი პატიმარი მაინც გვყავს. ზოგიერთ საპატიმრო ადგილებში ისინი გაუსაძლის სიტუაციაში იმყოფებიან



### გიორგი თევზაძე:

### პატიმრებს ეშინიათ, რომ ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაცია არ გავახმაუროთ, რადგან ამის შემდგომ მათ ციხის ზედამხედველები უფრო მძიმე მდგომარეობაში ჩააგდებენ



### ვლადიმერ ტაბაღუა:

### პატიმრებს მხოლოდ დილის შემოვლის დროს აქვთ უფლება, თავიანთი ჯანმრთელობის პრობლემების შესახებ განაცხადონ. სხვა დროს მათ დაკაკუნების უფლებაც არ აქვთ, რომ წამალი ან ექიმი მოითხოვონ. მაშინვე ცემით უპასუხებენ

საქართველო

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# გუბერნატორმა 4 მილიონი ევრო მოიპარა?!

**საქართველოს გარშემო მალე, სავარაუდოდ, არნახული სკანდალი ატყდება, რომელიც „ვიკილიკსის“ სენსაციურ გამოაშკარავებებსაც კი დაჩრდილავს. საქმე საქართველოს მოქმედი ხელისუფლების მაღალ ეშელონებში გაჩაღებულ კორუფციას, კონკრეტულად კი ქართველი სახელმწიფო მაღალჩინოსნის მიერ დაახლოებით 4 მილიონი ევროს დატაცებას ეხება, რომელიც საქართველოს ევროკავშირის წევრმა ქვეყანამ საერთაშორისო დახმარების ფარგლებში გამოუყო.**



საინფორმაციო-ანალიტიკურმა სააგენტო საქინფორმმა აშკარად კარგად ინფორმირებული და ინკოგნიტოდ დარჩენის მოსურნე უცხოური წყაროსგან, რომელიც ბრიუსელში ქართული დიასპორის წევრად წარმოგვიდგა, შეიტყო, რომ 2008 წლის აგვისტოს ტრაგიკული მოვლენების შემდეგ გერმანიამ საქართველოს 8 მილიონი ევრო გამოუყო საბრძოლო მოქმედებების დროს გორის დაზარალებული საცხოვრებელი სექტორის ალსადგენად.

**წყაროს მტკიცებით, ახლახან გერმანიის მთავრობამ, საქართველოში გაეროს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენლის, შვეიცარიელი ჰაიდი ტალიავინის მონაწილეობით,** რომელიც საქართველოსა და რუსეთს შორის 2008 წლის აგვისტოში მომხდარი კონფლიქტის გარემოებების შემსწავლელ საერთაშორისო კომისიას ხელმძღვანელობდა, **საქართველოს მთავრობის მიერ გამოყოფილი სახსრების (8 მილიონი ევრო) მიზნობრივი დანახარჯების შემოწმება ჩაატარა.**

**შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ მიზნობრივი საჭიროებებისთვის საქართველოს ხელისუფლებამ საწყისი თანხის მხოლოდ ნახევარი დახარჯა, ხოლო დანარჩენი ნაწილი,** კომპეტენტური ევროპელი ექსპერტების აზრით, სავარაუდოდ, **შიდა ქართლის მაშინდელმა სამხარეო გუბერნატორმა ვლადიმერ (ლადო) ვარძელაშვილმა მიითვისა** (გამორიცხული არაა, რომ სწორედ ეს უკანონოდ მითვისებული სახსრები დაეხმარა მას მომავალში სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა „მინისტრის პორტფელი“ შეეძინა).

**იმავე წყაროს რწმუნებით, მიუხედავად სოლიდური ექსპერტების უკიდურესი აღშფოთებისა, ოფიციალური ბერლინი ჯერჯერობით თავს იკავებს ამ ფაქტის ღიად გამოცხადებისგან, რადგან სურს ამ საკითხის დამატებით განხილვა ევროკავშირის სტრუქტურებში და საქართველოს ხელისუფლებისგან ამომწურავი ინფორმაციის მიღება. საქართველოს ხელისუფლებამ კი ყველაფერი ჩინებულად იცის მომხდარის შესახებ, მაგრამ ამას საზოგადოებას უმალავს,** რადგან ევროპელებისთვის გერმანიის მთავრობის მიერ გორის ინფრასტრუქტურის აღსადგენად გამოყოფილი სახსრების „მართებული“ (მიზნობრივი) გამოყენების გაყალბებული მტკიცებულებების წარდგენას აპირებს.

საინფორმაციო-ანალიტიკური სააგენტო საქინფორმი, როგორც ეს მითითებულია კიდეც სააგენტოს ვებ-საიტზე www.saqinform.ge, მკითხველს **მხოლოდ ინფორმაციას აწვდის და პასუხს არ აგებს სააგენტოსთვის მოწოდებული საავტორო მასალებისა და ახალი ამბების უტყუარობაზე. ამგვარი კონფიდენციალური ინფორმაციის გადამოწმება კი, მკითხველისთვის გასაგები ობიექტური მიზეზების გამო, ჩვენთვის შეუძლებელია.**

**რაც შეეხება წყაროს, მის მიერ ქართული ენის თავისუფლად ფლობის გათვალისწინებით, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ იგი, დიდი ალბათობით, ნამდვილად ჩვენი თანამემამულეა რომელიმე ქართული დიასპორიდან.**

**ჩვენმა ხელისუფლებამ ყველაფერი ჩინებულად იცის მომხდარის შესახებ, მაგრამ ამას საზოგადოებას უმალავს**

# რუსეთის პატრიარქი სააკაშვილის გამო ამერიკაში ვერ მიემგზავრება?!

„სრულიად რუსეთისა და მოსკოვის პატრიარქი კირილე სააკაშვილის გამო აშშ-ში ვიზიტად ვერ მიემგზავრება!“ — აცნობა საქინფორმს სარწმუნო, რუსულ და ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიებთან კავშირის არმქონე წყარომ, რომელიც ირწმუნება, რომ ჩვენი მიშა ხელს უშლის არა მარტო ოფიციალურ მოსკოვს, არამედ რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის მოღვაწეობასაც.

საქმე ისაა, რომ დადგენილი საეკლესიო ეტიკეტით, რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის ყველა ახალი წინამძღვარი მსოფლიოს 15 მართლმადიდებლურ ავტოკეფალურ საააადგილმამულო ეკლესიას დადგენილი საპატიო უპირატესობის წესით (დიპტიქში მათი ოფიციალური რიგითობის მიხედვით) სტუმრობს:

1. კონსტანტინეპოლის მართლმადიდებლური ეკლესია;
2. ალექსანდრიის მართლმადიდებლური ეკლესია;
3. ანტიოქიის მართლმადიდებლური ეკლესია;
4. იერუსალიმის მართლმადიდებლური ეკლესია;
5. რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესია;
6. საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია;
7. სერბეთის მართლმადიდებლური ეკლესია;
8. რუმინეთის მართლმადიდებლური ეკლესია;
9. ბულგარეთის მართლმადიდებლური ეკლესია;
10. კვიპროსის მართლმადიდებლური ეკლესია;
11. ელადის მართლმადიდებლური ეკლესია;
12. ალბანეთის მართლმადიდებლური ეკლესია;
13. პოლონეთის მართლმადიდებლური ეკლესია;
14. ჩეხოსლოვაკიის მართლმადიდებლური ეკლესია;
15. ამერიკის მართლმადიდებლური ეკლესია.

გამონაკლისს არც მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქი კირილე წარმოადგენს, 2009 წლის 1 თებერვალს პატრიარქის ტახტზე დაბრძანებული, რომელსაც იმ დროისთვის უკვე შეწყვეტილი რუსეთ-საქართველოს სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების (რუსეთსა და საქართველოს შორის დიპლომატიური ურთიერთობის) დღემდე არარსებობის გამო, **საშუალება არ აქვს, თავისი სულიერი ძმის — სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის — ილია მეორეს არაერთგზისი მოწვევა მიიღოს.**

**ხოლო რიგითობის დარღვევა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებლური ეკლესიის „გამოტოვება“ (უპირატესობის მიხედვით – მეექვსე, რუსულის მომდევნო) დანარჩენის, მათ შორის – ამერიკის ეკლესიის მოსანახულებლად, ზემონახსენები საეკლესიო ეტიკეტის დარღვევას ნიშნავს.**

დიახ, რუსეთშიც და საქართველოშიც, კონსტიტუციის მიხედვით, ეკლესია სახელმწიფოსგან გამოყოფილია, დიახ, **ჩვენი პატრიარქები — ორი ერთმორწმუნე ქრისტიანული ეკლესიის უმაღლესი იერარქები (და არა ორი მეზობელი სახელმწიფოს უმაღლესი პოლიტიკური ხელმძღვანელები) არიან, მაგრამ მათ არ ძალუძთ ბეცი პოლიტიკოსების გამოისობით დღევანდელი დღის აბსურდული და სავალალო რეალიების გაუთვალისწინებლობა!**

რეალიები კი ასეთია: 08.08.08 ტრაგედიის შემდეგ კრემლი საქართველოს პრეზიდენტს სამხედრო დამნაშავეს უწოდებს და სავსებით გამორიცხავს მასთან დიალოგს, მიუხედავად იმისა, რომ დღეს იგი ცალი ხელით ჯაშუშურ სკანდალებს „აჩაღებს“, მეორეთი კი მზადაა, რუსეთთან ნებისმიერ ორმხრივ შეთანხმებას (მათ შორის – საბრძოლო მოქმედებათა განუახლებლობას) ხელი მოაწეროს ყოველგვარი წინაპირობის გარეშე, ხოლო ორივე ხელით ხმა მისცეს რუსეთის გაწევრებას მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში.

**მაგრამ ხელი მოაწეროს შეთანხმებაზე რუსეთთან და არა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთთან, რასაც რუსეთის ხელმძღვანელობა ითხოვს! ამგვარი „პირდაპირი“ ხელმოწერა კი ნიშნავს საქართველოს მხრიდან მათი დამოუკიდებლობის ოფიციალურად აღიარებას** — რუსეთის ფედერაციის, ნიკარაგუის, ვენესუელის, ნაურუს, საჰარის არაბთა დემოკრატიული რესპუბლიკის, „ნახევრად ულიარებელი“ დნესტრისპირა მოლდოვის რესპუბლიკისა და ჩრდილოეთ კვიპროსის თურქეთის რესპუბლიკის, ულიარებელი მთიანი ყარაბაღის რესპუბლიკისა და ისლამური წინააღმდეგობის მოძრაობის „ჰამასის“ კვალდაკვალ, რაზეც მიხეილ ნოკოლოზის ძე ჯერჯერობით თანახმა არაა.



**ჩვენი პატრიარქები — ორი ერთმორწმუნე ქრისტიანული ეკლესიის უმაღლესი იერარქები არიან, მაგრამ მათ არ ძალუძთ ბეცი პოლიტიკოსების გამოისობით დღევანდელი დღის აბსურდული და სავალალო რეალიების გაუთვალისწინებლობა!**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

# ჯარიმების ქვეყანა

**ბიუჯეტი როგორმე ხომ უნდა შეივსოს? ჰოდა, ხელისუფლებამაც გამოსავალი მოძებნა. ცნობილი გახდა, რომ ბოლო დროს გაზრდილი ჯარიმებისა და გადასახადების რაოდენობას მალე დასუფთავების გაორმაგებული გადასახადიც მიემატება. ვრცელდება ინფორმაცია, ასევე, იანვრიდან მცირე სასურსათო მაღაზიების დახურვაზეც. კანონპროექტის გადამუშავებული ვარიანტით, ერთ სულ მოსახლეზე საყოფაცხოვრებო ნარჩენის გატანის მოსაკრებლის ზედა ზღვარი 3 ლარი იქნება, იურიდიული პირების მომსახურებაზე კი მოსაკრებელი იგივე დარჩება — 25 ლარი ერთ კუბურ მეტრ ნარჩენზე.**





## ახლა რისი ჯერია, ანუ რა გავაძვიროთ ხვალ? ზეგ?

**„პროექტის დამტკიცების შემდეგ, ადგილობრივ მუნიციპალიტეტებს სრული უფლება ექნება ნაგვის გატანაზე მოსაკრებელი გაზარდონ. ეს არის საახალწლო ნობათი საქართველოს მცხოვრებლებისთვის და, თუ ისინი ახალი წლიდან ნაგვის გაზრდილ მოსაკრებელს არ გადაიხდიან, ელექტროენერგიაც აღარ ექნებათ," — აცხადებს „თავისუფალი დემოკრატების" წევრი, დეპუტატი გიორგი ცაგარეიშვილი.**

საკმარისი არ აღმოჩნდა მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობის საფასურის გაზრდა, ასევე, ჯარიმების გაორმაგება ღვედის გამოუყენებლობაზე, ქუჩაში ნაგვის დაყრაზე. **საბიუჯეტო თანხების შეგროვებისთვის ხელისუფლება ცვლილებებს ცვლილებებზე ახორციელებს — საბაჟო კონტროლის, ადმინისტრირების გამკაცრება, სახაზინო ვალდებულებების გამოშვება, ბიზნესმენების ხშირი დაჯარიმება.** ექსპერტების განცხადებით, მთავრობა საბიუჯეტო დეფიციტს არ დაუშვებს, თუნდაც ამისთვის გადამწყვეტი ნაბიჯების გადადგმა მოუხდეს. როგორც ჩანს, არაპოპულარული ნაბიჯების გადადგმის დროც დადგა. ერთი წელიც მოვითმინოთ და 2012-2013 წლებში გადასახადებსაც შეამცირებენ და ფქვილსაც დაარიგებენ, ჩვენ კი ხმები გავამზადოთ.

ქუჩების დანაგვიანებისთვის ჯარიმები რამდენიმე წლის წინათ დაწესდა, ჯარიმების ამოღების სირთულის გამო ეს საკითხი დღის წესრიგიდან მოიხსნა. ამჯერად, მთავრობა ძველ იდეებს ისევ დაუბრუნდა.

**2012-ში საგარეო ვალების მომსახურეობისთვის 300 მილიონ ლარზე მეტია საჭირო, 2013 წლისთვის — თითქმის მილიარდამდე. და ეს მხოლოდ პროცენტები. ასე რომ, პერმანენტულად ველოდოთ გადასახადებისა და ჯარიმების შემდგომ ზრდას. ან უნდა შევეცადოთ, გამოვიმუშაოთ იმუნიტეტი, ან გავიქცეთ ამ ჯარიმების ქვეყნიდან. თქვენ ხსნის სხვა გზას ხედავთ?**

ალმოჩნდა, რომ თან გაორმაგებული გადასახადი უნდა ვიხადოთ ნაგავზე და თან ნაგავიც დავუხარისხოთ. არიან ოჯახები, რომლებიც ელექტროენერგიის მაქსიმალურ ეკონომიას აკეთებენ და თვეში 10 ლარზე მეტი არ უწევთ დენის გადასახადი! ასევეა გაზზე, და რა გამოდის, თუ ხუთსულიანია ოჯახი, 15 ლარი უნდა გადაიხადოს ნაგავზე? ანუ იმდენი, რამდენიც დენზე და გაზზე ერთად და თანაც იმ შემთხვევაში, თუ მაქსიმალურად ზოგავს? **ყოველ კვირას რამე რომ არ გაძვირდეს, ისე არ შეიძლება? სააკაშვილი იხტიბარს არ იტეხს. თავის ნებით არ უნდა წასვლა. როგორც ჩანს, ელოდება, ხალხი, როდის გახელდება და გააპანღურებს.**

ისე, ჩვენი ხელფასი მხოლოდ გადასახადებს ხმარდება, აღარ ვჭამთ და ნაგავი საიდან უნდა გვქონდეს?!



კომფორტულ და კონდენცირებულ მგზავრობაში 50 თეთრს ვიხდით უკვე 6 დეკემბრიდან. ჯერ ხომ ავტობუსს სადღაც 20 წუთი მაინც უნდა ელოდო (თუ მეტი არა) და მერე, თუ ახვედი, ხომ თავ-ბედის წყევლა მოგიწევს, ეს სად ამოვედიო. ახლა სამარშრუტო ტაქსების ტენდერებსაც „მიხედავენ" და, ალბათ, მალე ტაქსებს მიადგებიან.

მერე, ალბათ, კიდევ რაღაც სისულელეს გვეტყვიან და ასე დაუსრულებლად!

როგორც ჩანს, **ესენი იმ გადაწყვეტილებამდე მიგვიყვანენ, გაზრდილი ჯარიმის ან გადასახადის თავიდან ასაცილებლად რაიმე გადამწყვეტ ხერხს მივმართოთ. საზოგადოებას ამ მთავრობის მიზანმიმართულმა ტერორმა უკვე გონება აურია.** შედეგებსაც ვიმკით: თელავში, მაღაზია „დელფინის" ერთ-ერთმა მფლობელმა პაატა პაპალაშვილმა თავი ჩამოიხრჩო. მაღაზიის თანამშრომლების განცხადებით, თვითმკვლელობის მიზეზი შემოსავლების სამსახურის მიერ პაპალაშვილის 320 ათასი ლარით დაჯარიმება გახდა.

დაკვირვებული ვარ, **ავარდება ჭორი რაღაცის გაძვირება-გაორმაგებაზე, ხალხი ცოტას ალაპარაკდება, მაგრამ მაინც ყლაპავს. ახლა რისი ჯერია, რა გავაძვიროთ ხვალ? ზეგ?**

ასეთი გადაწყვეტილების მიღების შემდეგ ნებისმიერ სხვა ქვეყანაში უკვე გამოსვლები იქნებოდა დაწყებული ქალაქის მერის გადადგომის მოთხოვნით, პარალელურად მარეგულირებელი კომისიის დათხოვნითა და ეკონომიკური დანაშაულებებისთვის პასუხისგებაში მიცემის მოთხოვნითაც. მაგრამ **ჩვენ, ალბათ, მოგვწონს ყველაფერი, უკმაყოფილებასაც აღარ გამოვთქვამთ, ხმის ამომღები არავინაა. დილა რომ თენდება, უკვე იმაზე ვფიქრობ, რა სიურპრიზს გვიმზადებენ კიდევ. გადასახადებს გვიორმაგებენ, მაგრამ როგორ, რა სახსრებით უნდა გადავიხადოთ, ვინმეს აინტერესებს?**

## გადასახადებს გვიორმაგებენ, მაგრამ როგორ, რა სახსრებით უნდა გადავიხადოთ, ვინმეს აინტერესებს?

ფინანსთა მინისტრ კახა ბაინდურაშვილის განმარტებით, ახლა ის დროა, როცა ქვეყანამ კრიზისის დასრულების შემდეგ საკუთარ ხარჯებზე ცხოვრება უნდა დაიწყოს. მისი განცხადებით, მომავალი წლის ბიუჯეტში „სხვა შემოსავლები" იმიტომ არის შემცირებული, რომ „ზეწოლის ფაქტორი" არ ყოფილიყო. მისი განმარტებით, „სხვა შემოსავლებში" შედის როგორც ჯარიმები და საპროცესო შეთანხმებები, ისე პრივატიზებიდან, რენტიდან შემოსული თანხები და ა.შ. მინისტრის თქმით, წელს „სხვა შემოსავლები" 347 მილიონი იყო დაგეგმილი, მომავალ წელს კი 300 მილიონამდე შემცირდება.

საინტერესოა, „სხვა შემოსავლების" ოდენობა როგორ უნდა დაგეგმო? ვთქვათ, ყველა პატიოსანი გადამხდელი რომ გახდეს, მაინც 300 მილიონი უნდა ამოიღონ? ერთხელ მინისტრმა ისიც თქვა, ეკონომიკა გაიზრდება, უფრო მეტ მანქანებს იყიდის ხალხი, შესაბამისად, მეტი ჯარიმები შემოვაო. კარგი ლოგიკაა, ვერაფერს იტყვი.

საქართველოში საწვავიც მორიგი გაძვირების ზღვარზეა. სანავთობო ბირჟებზე წამოწყებულმა სპეკულაციებმა, ევროპაში ნაადრევად დაწყებულმა მკაცრმა ზამთარმა და დოლარის შესუსტებამ „შავი ოქრო" ბოლო 26-თვიანი რეკორდის მაჩვენებელზე გაიყვანა. **საქართველოში მხოლოდ მწვანილიღა მოყავთ თურმე: ლობიო — უზბეკეთიდან; ბულგარული წიწაკა, კარტოფილი, პომიდორი და ასე შემდეგ — თურქეთიდან; სხვა პროდუქტები კი ჩინეთიდან შემოდის. ქართულ მაღაზიებსა და ბაზარზე აღარ არსებობს ქართული პროდუქცია. მის ნაცვლად, უცხოეთიდან შემოტანილი გენმოდიფიცირებული, იაფფასიანი, უხარისხო და ჯანმრთელობისთვის მავნე პროდუქციაა, თანაც ისეთ ფასებში, ცოტა ვინმე თუ შეწვდება.**

სოფლის მეურნეებისთვის განკუთვნილი ფული, მეურნეობის განვითარების პროგრამების ნაცვლად, მოედნების, 10-მეტრიანი ქანდაკებების, ხიდების, შადრევნების მოწყობაში იხარჯება. ეს ყველაფერი (ჯარიმა-საურავების დარიცხვა) რაღაც ერთგვარ შეჯიბრად და ადგილობრივი ხელისუფლებისთვის თავმოსაწონ საქმიანობად გადაიქცა. როდემდე უნდა გაგრძელდეს ასეთი არაადეკვატური ჯარიმები უბრალო დარღვევებზე?

**ლილი მიროტაძე**

## მოკლედ

### დევნილთა ხუთი მოთხოვნა

**აფხაზეთიდან, კოდორიდან და ცხინვალიდან დევნილებმა საქართველოს პრეზიდენტს, მთავრობას, პარლამენტსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს 5-პუნქტიანი მოთხოვნები გაუგზავნეს.** მოთხოვნების პირველი პუნქტი გულისხმობს, რომ მინიმუმ გაზაფხულამდე შეჩერდეს დევნილების გამოსახლება. გარდა ამისა, დევნილებთან შეთანხმებით გაზაფხულამდე უნდა მოხდეს მათი კომპენსაციებით უზრუნველყოფა, ხელისუფლებამ სხვადასხვა კუთხით შეისწავლოს დევნილთა სამინისტროს საქმიანობა, ასევე იუსტიციის, ეკონომიკისა და ლტოლვილთა სამინისტროს წარმომადგენლებისგან შეიქმნას კომისია, რომლებიც აფხაზეთისა და სამაჩაბლოს მთავრობებთან ერთად დევნილთა დასახლების თაობაზე გონივრულ პროგრამას შეიმუშავებენ.

### სატყეო დეპარტამენტის თავმჯდომარე დააკავეს

**ქრთამის აღებასა და უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის ბრალდებით დააკავეს გარემოს დაცვის სამინისტროს სატყეო დეპარტამენტის თავმჯდომარე პაპუნა ხაჩიძე და გეოინფორმაციული სამსახურის უფროსი გიორგი ბაღათურია.** ისინი წლების განმავლობაში ბოროტად იყენებდნენ სამსახურებრივ უფლებამოსილებას, ლობირებას უწევდნენ ფირმებს სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებასა და ხეტყის მოპოვების ლიცენზიების გაცემის პროცესში, სანაცვლოდ კი ქრთამის სახით იღებდნენ სხვადასხვა ოდენობის თანხებს. მათ მიერვე შექმნილი შპს-ები „გრინლაიფი" და „ტყეპროექტი" ტყის ინვენტარიზაციის პროცესში მონოპოლისტებად იქცნენ, ბიუჯეტისთვის მიყენებულმა ზარალმა კი 2,7 მილიონი ლარი შეადგინა.

### ნოღაიდელს თავისი პარტიიდან რიცხავენ

**მოძრაობის „სამართლიანი საქართველოსთვის" წევრები პარტიის ლიდერის — ზურაბ ნოღაიდელის მოძრაობიდან გასარიცხად დაგეგმილი რიგგარეშე ყრილობის ორგანიზატორებთან კავშირს უარყოფენ.** მართალია, პარტიის ერთ-ერთი ლიდერი პეტრე მამრაძე არ უარყოფს, რომ მსგავსი ყრილობა მართლაც იგეგმება, მაგრამ ირწმუნება, რომ ღონისძიების ორგანიზატორები არც პარტიის წევრები არიან და არც მხარდამჭერები. არადა, რიგგარეშე ყრილობას, რომლის მთავარი თემა პარტიიდან მისი ლიდერის — ზურაბ ნოღაიდელის გარიცხვა იქნება, 23 დეკემბერს სწორედ „სამართლიანი საქართველოსთვის" რაიონული ორგანიზაციების ყოფილი ხელმძღვანელები ჩაატარებენ და ამით დაგვირგვინდება მათი დაპირისპირება ნოღაიდელთან.

### 40 ათასი ლარი თავისუფლებისთვის

**რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის გუბერნატორის მოადგილე ამირან გარდაფხაძე 40 ათასი ლარის გადახდის სანაცვლოდ პატიმრობიდან გაათავისუფლეს.** ოფიციალური ვერსიით, გარდაფხაძე ქრთამის აღების ბრალდებით დააკავეს, არაოფიციალურით კი — მისი პატიმრობა მამის, სოზარ გარდაფხაძის ბიზნეს-საქმიანობას უკავშირდება. „ამირან გარდაფხაძის დაკავება ცოტა ხნით წინ უსწრებდა ლენტეხის რაიონში ე. წ. ტყის უკანონოდ გაჩეხის ფაქტების გამოვლენას. მისი დაკავებაც, ვფიქრობ, სამაგალითოდ მოხდა. თუ ამ პრინციპით იარეს, მთელი სვანეთის დაჭერა მოუწევთ. მთავარი მათთვის თანხის ამოღებაა და სწორედ ამაზე არიან მაქსიმალურად ორიენტირებული", — უთხრა სააგენტო „პირველს" ანონიმურმა წყარომ.

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# დიეტური ახალი წელი

**როგორ შევხვდეთ ახალ წელს და რა დაგვიჯდება საახალწლო სუფრა? — ყოველი ახალი წელი თითოეული ჩვენგანის ოჯახში ამ კითხვით იწყება. მერე კი მას მაქსიმალურად შემჭიდროებული კერძების სია მოსდევს. ყველას უნდა, რომ საახალწლო სუფრას არაფერი აკლდეს, მაგრამ წლიდან წლამდე ჩვენს მაგიდებს ხან გოჭი აკლდება, ხან ინდაური, ხან გოზინაყი, ზოგი უკვე 300 გრამ კანფეტზე და ერთ კილოგრამ ხილზე დავიდა.**

## «გოჭს და ინდაურს, უკვე დიდი ხანია, მხოლოდ ბაზარში თუ მოვკრავ თვალს»





ჯერ კიდევ ორი კვირა გვაქვს ახალ წლამდე, მაგრამ თბილისის ბაზრებში უკვე შეიმჩნევა ხალხმრავლობა და რიგები. ესეც ერთგვარი ტრადიციაა. მოგეხსენებათ, საახალწლოდ ბაზარში ფასები როგორ იმატებს და ყველა ცდილობს, პროდუქტი გაძვირებამდე იყიდოს, მაგრამ პროდუქტი ჩვენს ქვეყანაში უკვე ისეა გაძვირებული, ეს ხერხი სულაც არ შველის ჩვენს ისედაც დაცარიელებულ საფულეს. მაგრამ რას ვიზამთ, ტყავის გაძრობა მოგვიწევს, რომ მოკრძალებული, მაგრამ სავალდებულო სუფრა მაინც გავაწყოთ.

**საახალწლო ბაზარმა კი გაძვირება 15 დეკემბრამდე დაიწყო: ფასები თითქმის ყველა პროდუქტზე გაიზარდა, გამყიდველებიც და მყიდველებიც უკვე აუტანელ სიძვირეზე წუწუნებენ. „როცა ასეთი მდგომარეობაა, აღარაფერი გიხარია, ყველაფრის ყიდვა გინდა ადამიანს, მაგრამ ყველაფრისთვის კი არა, ელემენტარულისთვისაც არ გაქვს საშუალება“,** — გვითხრა ვაგზლის ბაზარში ერთმა ქალბატონმა, რომელიც შეწუხებული სახით ჩაჰყურებდა ჩამოწერილ სიას.

**კარტოფილის ფასი უკვე ლარიდან 1,8 ლარამდე მერყეობს, ლობიო კი, არც მეტი არც ნაკლები, 5 ლარია; ყველი 8-9 ლარი ღირს; ქათამს, უკვე დიდი ხანია, უმრავლესობა აღარ ყიდულობს და ბარკლებით ატყუებენ ახალ წელსაც და საკუთარ თავსაც. მათ, ვისაც ტრადიცია გაქვთ და ახალ წელს გოჭს და ინდაურს ყიდულობთ, საკმაოდ სოლიდური თანხის გაღება მოგიწევთ: ინდაური 80-დან 100 ლარამდე დაგიჯდებათ, გოჭისთვის კი 150 ლარი უნდა გადაინახოთ.**

კანფეტებისა და შოკოლადების რიგში დიდი ხალხმრავლობაა. ფასები 6-დან 20 ლარამდეა — ვის როგორ შეუძლია.

— რამდენ კილოს ყიდულობთ? — ვეკითხები შუახნის ქალბატონს.

**— ვნახოთ, როგორ გავწვდები... ერთ კილოს და ძვირიანსაც ვერა.**

ხურმის ჩირი რომ ხურმის ჩირია, ერთი კილო სამი ლარი ღირს, გამყიდველს კი სთხოვენ, ცოტა დაუკლოს, მაგრამ უშედეგოდ.

**— ხალხს ფული არ აქვს, ძვირიაო, ყველა ამბობს, ვერ ყიდულობენ,** — მეუბნება გამყიდველი.

— ცოტა დაუკელი, — ვურჩევ და პასუხიც არ იგვიანებს:

**— აი, ჯერ შაქრის ფასმა დაიკლოს და მერე.**

ჩურჩხელის გამყიდველს კლიენტების ნამდვილი შემოსევა აქვს. მართალია, ჩურჩხელაც გაძვირდა, მაგრამ ახალი წელი ჩურჩხელის გარეშე წარმოუდგენელია და მაინც ყიდულობენ. ნორმალური ჩურჩხელა მინიმუმ 2 ლარი ღირს. ჰა და ჰა, დეკორაციისთვის თუ გჭირდება, 1,5 ლარადაც იშოვი.



**ბევრი ხალხი ირევა ბაზარში, მაგრამ კმაყოფილება, ბედნიერება და სადღესასწაულო განწყობა ძალიან ცოტას თუ ეტყობა.**

— როგორი იქნება თქვენი საახალწლო სუფრა, ყველაფერი შეიძინეთ? — ვეკითხები ერთ-ერთ მყიდველს ვაგზლის ბაზრობაზე.

**— ეჰ, რა ყველაფერი, შვილო. იყო დრო, ჩემს სახლში ჩიტის რძეც არ აკლდა საახალწლო სუფრას. ახლა კი მხოლოდ აუცილებელი რაღაცები ვიყიდე. გოჭსა და ინდაურს, უკვე დიდი ხანია, მხოლოდ ბაზარში თუ მოვკრავ თვალს. დილიდან დავდივარ, თუ სადმე ბაზრობაა ამ ტერიტორიაზე, ყველგან ვიყავი იმ იმედით, რომ სადმე უფრო იაფად ვიყიდდი პროდუქტს, მაგრამ ყველგან ყველაფერი ძვირია. საქართველოში რომ ვაშლი 4-5 ლარი ეღირება, სხვა რაღაზე უნდა ვილაპარაკოთ?!**

4 სული ვართ ოჯახში და მხოლოდ ორი წყვილი ჩურჩხელა ვიყიდე. მათხოვრებად გადაგვაქციეს ხალხი.

უმეტესობა სწორედ ამ ქალბატონის მსგავს სიტუაციაშია, მაგრამ ისეთებსაც იპოვით, რომლებიც მთელ ბაზარს ეზიდებიან სახლში. აი, მაგალითად, 50 წლამდე ასაკის მამაკაცს გადავაწყდი, რომელიც სურსათ-სანოვაგით დატვირთულ ურიკას გვერდით მოჰყვება.

— ეს ყველაფერი, რაც ურიკაზე აწყვია, საახალწლო სუფრისთვის მიგაქვთ? — ვკითხე მოკრძალებულად.

**— კი, გენაცვალე, საახალწლოდ ვემზადებით. შვილები, შვილიშვილები... საკმაოდ ბევრნი ვართ. ახალი წელი განსაკუთრებული დღესასწაულია და ფული არ უნდა დაინანო კაცმა.**

ჯერ ყველაფერი არ მიყიდია. წვრილმანი რაღაცები, ბოსტნეული, ტკბილეული ვიყიდე. გოჭს და ინდაურს რამდენიმე დღეში ვიყიდი.

— თუ საიდუმლო არ არის, რამდენი დაგეხარჯათ დღეს ამ პრდუქტებში? — ამ კითხვაზე ჩვენს მოსაუბრეს ჩაეღიმა, ტყუილი მითხრა თუ მართალი, ვერ გეტყვით, მაგრამ, — **500 ლარამდეო,** — მიპასუხა და, — **არ დაგავიწყდეთ, ჯერ ყველაფერი არ მიყიდიაო,** — დაამატა.

**ნეტა, ყველას ასე აწყობილი ჰქონდეს საქმე! ჭამა-სმაში რომ ქართველს ფული არ ენანება, ეს ყველამ კარგად ვიცით, მაგრამ ბოლო რამდენიმე წელი უმრავლესობა რომ დიეტურ ახალ წელს ვხვდებით, მთლად ჩვენი ბრალიც არ უნდა იყოს...**

**მაკა კვენეტაძე, 43 წლის:**

— ყრუ და ბრმა უნდა იყო, ამ ქვეყანაში სადღესასწაულო განწყობა რომ გქონდეს. ირგვლივ ამდენი გაჭირვებულია, ხალხი ხელგაწვდილი დგას და ვერ ეხმარები. მდგომარეობას ისიც ამძიმებს, რომ ყველაფერი გაძვირდა, კომუნალური გადასახადებით დაწყებული, პროდუქტით დამთავრებული. ამიტომ, **სიმართლე გითხრათ, ახალი წლის მოსვლა არც ისე მახარებს. ვიცი, მომავალ წელსაც იგივე პრობლემები მექნება და აღარც იმ ასაკში ვარ, სასწაულების მჯეროდეს.**

**მანანა სარალიძე, 64 წლის:**

— შვილო, როგორ უნდა შევხვდე დღესასწაულს, როცა ყველაფერი გაძვირდა? ნიორი 6-7 ლარი ღირს, ნიგოზი 22-23 ლარი, ჩემი პენსია კი 90 ლარსაც ვერ აღწევს. ამ ფულით გადასახადების გადახდა თუ შევძელი, დიდი გმირობა იქნება. ზამთარია, ყველაფერს რომ თავი დავანებო, გათბობა ხომ მინდა? **დღესასწაულზე იმ ხალხმა იფიქროს, ვინც ხალხის ხარჯზე ცხოვრობს. იმ თანხით, რასაც ტაშ-ფანდურსა და ღრეობაში ფანტავენ, უამრავი კეთილი საქმის გაკეთება შეძლებდნენ და ხალხიც კმაყოფილი ეყოლებოდათ.**

**ციური ბესიაშვილი** პენსიონერია და ყოველთვიურად დახმარებას სიღარიბის პროგრამიდან იღებს. ამბობს, რომ წინა წლისგან განსხვავებული არც ეს ახალი წელი იქნება, 2009 წელს 300 გრამი კანფეტითა და ერთი კილოგრამი ხილით შეეგებება:

— მართალია, მაქვს დახმარება, 110 ლარს ვიღებ, მაგრამ თქვენ თვითონ გათვალეთ, იქ გადასახადები, საკვები, ათასი წვრილმანი და აღარაფერი რჩება, ამიტომ, შესაძლოა, 300 გრამი კანფეტი ვიყიდო ან ერთი კილო ხილი. მცირედი, თორემ **ჩვენ, ქართველებს, როგორც გვჩვევია, ისეთ სუფრას, უკვე დიდი ხანია, ვერ ვშლი და არც ეს ახალი წელი იქნება გამონაკლისი.** ფასები რომ იყოს ამ ჩემი პენსიისა და დახმარების შესაბამისი, კიდევ რაღაცის გაკეთება შეიძლებოდა, მაგრამ წარმოიდგინეთ, ეს თანხა რომ სულ ახალ წელს დავხარჯო, მერე მშიერი მომიწევს ყოფნა.

**თეო ტაბატაძე**

**P.S. 2011 წელს იმდენი ახალი კანონპროექტი და გაზრდილი გადასახადები მოგვიმზადა საჩუქრად ჩვენმა ხელისუფლებამ, რომ რატომღაც არც მე მიხარია დიდად ახალი წლის მოსვლა. მაგრამ რას ვიზამთ, ვერც დროს დავაბრუნებთ უკან და ვერც 2011 წელს გადავახტებით.**

## მოკლედ

### გილაურის ეკონომიკა იზრდება

**საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ნიკოლოზ გილაურმა სათაფლიის მღვიმეში გამართულ მთავრობის გასვლით სხდომაზე 2010 წლის მე-3 კვარტლის ეკონომიკური შედეგები შეაჯამა და გვახარა, რომ ასეთ ზრდას არც კი ველოდითო.** „მესამე კვარტლის ეკონომიკური ზრდა უფრო მაღალია, ვიდრე ვწინასწარმეტყველებდით. წინასწარი პროგნოზით, მესამე კვარტალში ეკონომიკის ზრდა 6,7 %-ს შეადგენს, რაც ნიშნავს იმას, რომ ჯამში სამი კვარტლის ზრდა, ანუ 9 თვის ეკონომიკური ზრდა დაახლოებით 6,5 %-ს შეადგენს. ეს მართლა ისეთი მაღალი მონაცემია, რომელსაც არ ველოდით“, — განაცხადა გილაურმა. პრემიერ-მინისტრის განმარტებით, 2010 წლის მესამე კვარტალში ეკონომიკის ზრდის მაღალი ტემპი ტურიზმზე მოდის.

### სააკაშვილს სამინისტროში „ბარდაგი“ არ მოსწონს

**„დღეს სამწუხარო ფაქტი მოხდა — კორუფციის ბრალდებით სატყეო დეპარტამენტის ხელმძღვანელი დააკავეს“, — განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა სათაფლიაში გამართულ მთავრობის სხდომაზე.** „შეიძლება გოგა ხაჩიძეს ეჭვი აწუხებს იმის თაობაზე, მისი მეგობარი იყო თუ არა დამნაშავე, მაგრამ „ბარდაგი“, განუკითხაობა და სრული არაეფექტურობა რომ არის სატყეო დეპარტამენტში, ფაქტია. მე არ ვიცნობ კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეს, მაგრამ 300-კაციან სამსახურში 110 კაცია უკვე დაპატიმრებული და ეს იძლევა კონკრეტული დასკვნების გამოტანის საშუალებას. ყოველი მესამე ადამიანი დაპატიმრებულია და კიდევ ასია დასაჭერი“, — განაცხადა სააკაშვილმა.

### გადასახადებს რეფერენდუმის გარეშე შეცვლიან

**პარლამენტმა საბოლოოდ დაამტკიცა საკონსტიტუციო ცვლილება, რომელიც გადასახადების დაწესებას ან მოქმედი გადასახადის გაზრდას რეფერენდუმის გზით ითვალისწინებს.** დოკუმენტში ნათქვამია, რომ ამ წესიდან გამონაკლის შემთხვევებს ორგანული კანონი დაადგენს. ასეთი ჩანაწერი თავდაპირველ პროექტში არ არსებობდა. საპარლამენტო უმრავლესობის განმარტებით, ამ დებულების ასახვა იმ მოტივით გადაწყდა, რომ, კრიზისის შემთხვევაში, მთავრობა შეზღუდული არ იყოს და კონკრეტული ეკონომიკური სიტუაციიდან გამომდინარე იმოქმედოს. ცვლილებების მიხედვით, აქციზის გადასახადი გამონაკლისია, რომლის გაზრდასაც რეფერენდუმის დანიშვნა არ დასჭირდება. ცვლილებები ძალაში 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ შევა.

### პრეზიდენტმა ქამრების შემოჭერა ბრძანა

**სათაფლიაში გამართულ მთავრობის სხდომაზე მიხეილ სააკაშვილმა მთავრობას ადმინისტრაციული ხარჯების შემცირებისკენ მოუწოდა და აღფრთოვანება გამოხატა მერიის აპარატის „სერიოზულად შემცირების“ გამო.** „მივიღეთ მინისტრები, რომლებსაც რატომღაც სამინისტროებისხელა აპარატები აქვთ. ჩვენ ვართ პატარა ქვეყანა და უნდა დაწესდეს ზედა ზღვარი. უპორტფელო სამინისტრო არის უპორტფელო სამინისტრო და სრულიად გაუგებარია, რას ნიშნავს ამხელა აპარატები. ეს ყველაფერი არის ხარჯი. არ მინდა, გვყავდეს ბევრი დაბალხელფასიანი, უმჯობესია, გვყავდეს ცოტა კვალიფიციური და მაღალხელფასიანი სახელმწიფო აპარატი, რათა გვყავდეს ბევრი კერძო სექტორი. თქვენ თვითონ ქმნით პრობლემას“, — დატუქსა მინისტრები პრეზიდენტმა.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

# როგორ დახარჯა მთავრობამ 395 მილიონი დოლარი

**ფონდმა „ღია საზოგადოება — საქართველომ“ ათასწლეულის გამოწვევის პროგრამის მონიტორინგის მეხუთე ეტაპის ანგარიში წარმოადგინა. საქართველოს მიერ აშშ-ის მთავრობისგან მიღებული „ათასწლეულის გამოწვევის პროგრამა“ მნიშვნელოვანი ფინანსური წყარო იყო საქართველოს ეკონომიკური განვითარებისთვის.**



„ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრმა“ და ფონდმა „ღია საზოგადოება — საქართველომ“ კოალიციის „გამჭირვალე საერთაშორისო დახმარება საქართველოს“ ფარგლებში პროგრამით გათვალისწინებული და დაგეგმილი ღონისძიებების ზედამხედველობა გადაწყვიტეს. როგორ გამოიყენა საქართველოს ხელისუფლებამ მილიონობით დოლარი და რა ხარვეზები იყო პროექტის ფარგლებში განხორციელებულ სამუშაოებში, პროექტის ფარგლებში 2006-2009 წლებში მომზადებულ ოთხ ანგარიშში იყო მოთხრობილი და ამის შესახებ ინფორმაციას „საქართველო და მსოფლიო“ გაწვდიდათ. მიმდინარე, მეხუთე, ანგარიში კი 2009-2010 წლების მოპოვებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით შეიქმნა.

2005 წელს საქართველოსა და აშშ-ის მთავრობამ ხელი მოაწერეს შეთანხმებას „ათასწლეულის გამოწვევის კომპაქტზე“, რომლის რატიფიკაციაც იმავე წლის 28 ოქტომბერს მოახდინა საქართველოს პარლამენტმა. კომპაქტი 299,3 მილიონი დოლარის გამოყოფას ითვალისწინებდა და მისი დასრულების ვადა 2011 წლის 7 აპრილი იყო. **აგვისტოს ომის შემდეგ მასში ცვლილება შევიდა და პროგრამას 100 მილიონი დოლარი დაემატა; შესაბამისად, თანხის საერთო მოცულობამ 395,3 მილიონი შეადგინა.**

**თანხები ასე გადანაწილდა: სამცხე-ჯავახეთის გზის რეაბილიტაციის პროექტი — 212 მილიონ 615 ათასი დოლარი, ენერგოინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია — 45 მილიონ 900 ათასი დოლარი, რეგიონული ინფრასტრუქტურის განვითარება — 54 მილიონ 735 ათასი დოლარი, საქართველოს რეგიონული განვითარების ფონდი — 32 მილიონი დოლარი, აგრობიზნესის განვითარება — 20 მილიონ 530 ათას 800 დოლარი.**

მონიტორინგის პროცესში, მონიტორინგის ჯგუფს ინფორმაციის მოპოვებაში შეექმნა პრობლემა, ხოლო მონიტორინგის შედეგებმა აჩვენა, რომ პროექტში ყველა არსებული რესურსის მობილიზება, ძირითადად, სამცხე-ჯავახეთის გზის რეაბილიტაციის პროექტში არსებული პრობლემების გადასაჭრელად მოხდა, — ომის შემდეგ გამოყოფილი 100 მილიონი დოლარი მთლიანად ამ პროექტს მოხმარდა და ამასთან, მას სხვა პროექტებიდან 10 მილიონიც დაამატეს, მაშინ, როცა პროექტით დამატებითი დაფინანსების მხოლოდ 60 პროცენტი უნდა მოხმარებოდა.

**მონიტორინგის შედეგებით, ეს პროექტი კვლავ რჩება ყველაზე პრობლემურ პროექტად. პროექტის ღირებულება 203 მილიონ 515 ათასი დოლარიდან 212 მილიონ 615 ათას დოლარამდე, ანუ დაახლოებით 9 მილიონი დოლარით გაიზარდა, მაშინ, როცა სარეაბილიტაციო გზის მანძილი საანგარიშო პერიოდთან შედარებით, გაზრდილია სულ 3,52 კმ-ით და მისი სიგრძე 2010 წლის 1 დეკემბრისთვის შეადგენს 222,72 კილომეტრს. საბოლოოდ კომპაქტის თავდაპირველი ვერსიით გათვალისწინებული 102 მილიონი დოლარის ნაცვლად, გზის რეაბილიტაციის პროექტზე საანგარიშო პერიოდის დასასრულისთვის გათვალისწინებულია 110,6 მლნ დოლარით მეტის დახარჯვა.**

კომპაქტით თავდაპირველად გათვალისწინებული სარეაბილიტაციო გზის სიგრძე კი შემცირებულია 22 კილომეტრით.

მონიტორინგის შედეგებში მოხვდა „აშტრომ ინტერნეიშენალის“ ინციდენტიც, რომელზეც ცოტა ხნის წინათ „საქართველო და მსოფლიო“ წერდა. აღნიშნული კომპანია ექს-დეპუტატ კობა ბექაურთან ასოცირდება, ოპოზიციის წარმომადგენლები კი მას ებრაული კომპანიის მფლობელად ასახელებენ, რადგან იგი აღნიშნული კომპანიის ლოგოს ქვეშ ხშირად და დაუფარავად ჩნდება. ეს კომპანია არამარტო სამცხე-ჯავახეთის გზის, არამედ სხვა მნიშვნელოვან პროექტებშიც იმარჯვებს ტენდერებში. **სამცხე ჯავახეთის გზის რეაბილიტაციის პროექტს რაც შეეხება, მონიტორინგის შედეგების მიხედვით, იმის შესახებ, რომ „აშტრომ ინტერნეიშენალი“ სამუშაოებს არასათანადოდ ასრულებდა, საანგარიშო პერიოდის დასაწყისისთვისაც ცნობილი იყო, თუმცა ფორსმაჟორული სიტუაციის თავიდან აცილება რატომღაც ვერ მოხერხდა. საბოლოოდ, აღნიშნულ კომპანიას პროექტი დაატოვებინეს. ფონდმა მას 37 მილიონ 938 ათას 632 დოლარი გადაუხადა და 8,2 მილიონი დოლარის ჯარიმა დააკისრა.**

ამ ფაქტთან დაკავშირებით სხვადასხვანაირი ინფორმაცია ვრცელდება. ამბობენ, რომ კომპანია იმიტომ დაინდეს, რომ იგი კობა ბექაურს ეკუთვნოდა. თუმცა ამბობენ იმასაც, რომ კობა ბექაურის ფირმა იმის გამო გამოეთიშა პროექტს, რომ იგი დეპუტატ გივი თარგამაძის მფარველობის ქვეშ მყოფ კომპანიას ჩაენაცვლებინა. **ახალი არ არის, რომ გზების მშენებლობა-რეაბილიტაციის პროექტში მონაწილეობა საკმაოდ მომგებიანია, სწორედ ამიტომ, როგორც ოპოზიცია აცხადებს, მასზე გამოცხადებულ ტენდერებში მხოლოდ ის ფირმები იმარჯვებენ, რომელთაც ხელისუფლების მაღალჩინოსნები მფარველობენ.** ამაზე უნდა მიუთითებდეს, ალბათ, დამატებითი 100 მილიონის დახარჯვაც გზებზე, რომელიც მონიტორინგის შედეგებმა აჩვენა.

## «აშტრომ ინტერნეიშენალი» სამუშაოებს არასათანადოდ ასრულებდა, ამიტომ სამცხე-ჯავახეთის გზის რეაბილიტაციის პროექტი დაატოვებინეს. მას 37 მილიონ 938 ათას 632 დოლარი გადაუხადეს და 8,2 მილიონი დოლარის ჯარიმა დააკისრეს

მონიტორინგის შედეგებით აღმოჩნდა, რომ ენერგოინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროექტი ათასწლეულის გამოწვევის პროგრამის ყველაზე წარმატებული პროექტია. **2010 წლის 1 დეკემბრის მდგომარეობით, ენერგოინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროექტის ბიუჯეტი 45 მილიონ 900 ათასი დოლარია. მიუხედავად წარმატებული პროექტისა, მისი დაფინანსება თავდაპირველად გათვალისწინებულთან შედარებით 2,6 მილიონი დოლარით არის შემცირებული.** არსებული დაფინანსების ფარგლებში პროექტმა შეძლო დაგეგმილი რეაბილიტაციის სამი ფაზის განხორციელება და პროექტის დამატებითი სეგმენტის — გაზსაცავის საპროექტო შესწავლის სამუშაოების დაფინანსება. ამასთან, პროექტში დაიზოგა თანხები.

გასულ წელს განიხილებოდა ამ თანხებით რეაბილიტაციის მეოთხე ფაზის განხორციელებაც, თუმცა საბოლოოდ ამ ფაზის სრულად განხორციელებაზე უარი ითქვა (თანხების ხარჯვები სამცხე-ჯავახეთის გზის რეაბილიტაციის პროექტში შესაძლო პრობლემის დასაზღვევად დაყოვნდა). შედეგად, ე.წ. მეოთხე ფაზა ნაწილობრივ განხორციელდა. მოკლედ, **პროექტი, რომელიც, როგორც ჩანს, არ იძლეოდა ფულის „მოტეხვის“ საშუალებას, გადაიდო და თანხები სამცხე-ჯავახეთის გზის რეაბილიტაციისთვის გადაიქაჩა.**

კიდევ ერთი პროექტი, რომელიც აღნიშნული დაფინანსებით უნდა შესრულებულიყო რეგიონული ინფრასტრუქტურის განვითარების კომპაქტია, მასზე თავდაპირველად 60 მილიონი დოლარი იყო გათვალისწინებული, თუმცა იგი შეიცვალა და საბოლოოდ ამ პროექტისთვის 54 მილიონ 735 ათასი დოლარი გამოიყო. ასევე შემცირებულია თავდაპირველი დიზაინით გათვალისწინებული დასაფინანსებელი სამუშაოების ნუსხაც. **მონიტორინგის დასკვნაში ნათქვამია, რომ ასათვისებელი თანხების დინამიკა ცხადყოფს, რომ რეგიონული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროექტების 2010 წლის განმავლობაში დასრულება, რაც გეგმით იყო გათვალისწინებული, არარეალურია.**



აღნიშნული პროექტი რეგიონულ საგანმანათლებო პროგრამებსაც ითვალისწინებდა და, მიუხედავად იმისა, რომ ფონდი მის დაჩქარებას ითხოვს, თანხების განაწილების წესსა და ფორმებზე ჩამოყალიბება 2010 წლის 1 დეკემბრის მდგომარეობით კვლავ არ მოხერხებულა. როგორც ჩანს, ხელისუფლებისთვის არც ეს სეგმენტია მნიშვნელოვანი. **ხელისუფლება მუდმივად აპელირებს, რომ აგრობიზნესის განვითარება მისთვის პრიორიტეტია და მისი განვითარებისთვის თავს არ ზოგავს, თუმცა მონიტორინგის შედეგები საპირისპიროს მეტყველებს.**

პროექტში ძირითადი აქტივობა მონიტორინგის პირველ ორ თვეში განხორციელდა. დანარჩენი დრო პროექტების მონიტორინგისა და პროექტის დასრულების სამუშაოებს მოხმარდა. აგრობიზნესის განვითარების ფონდის დაფინანსება კი კომპაქტში თავდაპირველად გათვალისწინებულთან შედარებით 5 მილიონი დოლარითაა გაზრდილი (15 მილიონი დოლარიდან 20 მილიონ 530 ათას 800 დოლარამდე). პროექტის ფარგლებში დაფინანსებულია 268 პროექტი. 2010 წლის 31 ოქტომბრის მონაცემებით, პროექტს ათვისებული ჰქონდა კომპაქტით გათვალისწინებული თანხის 93 პროცენტი. ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრის ხელთ არსებული ინფორმაციით, ვალდებულებების შეუსრულებლობისთვის 30 სექტემბრისთვის თანხა ჩამოეჭრა მხოლოდ ერთ პროექტს (19 მილიონ 320 ათასი დოლარი), — ნათქვამია ანგარიშში.

პრობლემებია თანხების ათვისების ტემპშიც. მონიტორინგის დასკვნაში საუბარია ტემპის გაზრდის აუცილებლობაზე. წინა წლებში არსებული დიდი ჩამორჩენის გამო მეხუთე პროგრამული წლის მესამე კვარტლის დასაწყისისთვის **ათასწლეულის გამოწვევის პროგრამის მთლიანი თანხის დაახლოებით 75,5% არის ათვისებული, რაც დარჩენილი დროის განმავლობაში საშუალოდ 12%-ის ათვისებას გულისხმობს და რამაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს შესრულებული სამუშაოების ხარისხი.** ანგარიშში ნათქვამია, რომ გასულ წლებში მთლიანი ათვისებული თანხების ოდენობა გეგმით გათვალისწინებულის 50%-ს არ აღემატებოდა. მომდევნო კვარტალში გეგმით გათვალისწინებულის 80% იქნება ათვისებული, რაც პროგრამის წარსული გამოცდილების ფონზე კარგი მაჩვენებელია.

**ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციამ უკვე გამოაქვეყნა 2011 წელს დახმარების პოტენციური მიმღები ქვეყნების ორი ჯგუფის სია: დაბალი შემოსავლებისა და საშუალოდ დაბალი შემოსავლების ქვეყნების. ამ სიაში საქართველო კვლავ არის, მაგრამ ერთი და იმავე ქვეყანას ორჯერ მიეღოს კომპაქტი, მსგავსი რამ პრაქტიკაში არასდროს ყოფილა.** ის თანხები კი, რომლებიც 2005 წლიდან საქართველოს ამ დაფინანსებით უნდა გამოეყენებინა, მონიტორინგის შედეგების შეჯამების საფუძველზე საშუალებას იძლევა, ვთქვათ, რომ საქართველომ ეს შანსი ვერ გამოიყენა; უფრო სწორად კი, აღნიშნული დაფინანსება დიდწილად კონკრეტული ჩინოვნიკების ინტერესებს მოხმარდა.

**სოფო გელაშვილი**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# როგორ დააკანონა სტალინმა კერძო საკუთრება გიორგი მარშანიას

**იოსებ სტალინის შესახებ იმდენი ლეგენდა თუ მოარული ამბავია ცნობილი, რომ ახალი და გაუგონარი თითქოს აღარაფერი დარჩა, მაგრამ, თურმე ასე არ არის.**
**ჯაბა კუბლაშვილი, მშენებელი კაცი, რომელსაც დიდი და მნიშვნელოვანი ცხოვრების გზა აქვს გავლილი, მოღვაწეობდა საქართველოში ხელმძღვანელ თანამდებობებზე, რესპუბლიკის ადგილობრივი მრეწველობის მინისტრადაც მუშაობდა ერთი პერიოდი, იყო რუსთავის ლითონკონსტრუქციების ქარხნის დირექტორი, აშენებდა ალუმინის წარმოების უზარმაზარ კომპლექსს თურქეთში — ანატოლიაში, ამჟამად სააქციო საზოგადოება „მონტაჟსპეცმშენის“ ვიცეპრეზიდენტი, საინტერესო ამბავს მოგვითხრობს თავისი პაპის სტალინთან ურთიერთობის შესახებ.**


ჯაბა კუბლაშვილი


მარშანიების სახლი ლალიონის ქუჩაზე

— ბაბუაჩემი, გიორგი ათანასეს ძე მარშანია, — იწყებს ბატონი ჯაბა, — გურიის სოფელ ზემო ხეთიდან გახლდათ. გლეხი მარშანიები იყვნენ, აფხაზ მარშანიებთან არავითარი კავშირი არ ჰქონდათ, ბაბუას, ყოველ შემთხვევაში.

გასული საუკუნის დასაწყისში დუხჭირი ცხოვრება იყო გურიაში საერთოდ და ზემო ხეთიც გაჭირვებული სოფელი იყო. ამიტომ გადაწყვიტა 18 წლის ბიჭმა თბილისში წასულიყო საარსებო სახსარის საშოვნელად.

1903 თუ 1904 წელია.

იმ დროს გურულები ვორონცოვის მოედანზე იკრიბებოდნენ, ამბებს იგებდნენ, გაჭირვებას იზიარებდნენ, შეძლებისდაგვარად ეხმარებოდნენ კიდეც ერთმანეთს კრიტიკულ სიტუაციებში.

ბაბუაც, ცხადია, იქ გამოცხადდა. გურულებმა დააკვალიანეს, ურჩიეს მისულიყო კნიაზ ილია ჭავჭავაძის სახლში, რომელიც იქვე, ჩერქეზოვზე ცხოვრობდა და იმ მომენტში მოჯამაგირეს ეძებდა. გასამრჯელოდ ექვს აბაზზე ნაკლებს არ დათანხმდეო.

**მივიდა. გამოხედა, როგორც თვითონ ყვებოდა, დაბალი ტანის, ბურთივით მრგვალმა, სასიამოვნო გამომეტყველების ქალბატონმა (ოლღა გურამიშვილი იყო) და ჰკითხა, რა გინდაო?**

**— მოჯამაგირეს ეძებთ, ქალბატონო?**

**— კი, ვეძებთ. იმერელი ხარ?**

**— არა, გურულიო, — უპასუხია ბაბუას.**

**— არა, იმერელიო, — დაუჩემებია დიასახლისს. საქმე ის იყო, რომ მაშინ თბილისი სავსე იყო გაჭირვებული იმერელი ბიჭებით, რომლებიც მოჯამაგირეებად უდგებოდნენ თბილისელ მოქალაქეებს.**

**ამასობაში ილიაც გამოსულა. მერე უთხრეს ბაბუაჩემს, რომ ილია იქნებოდა, ჭავჭავაძე, თორემ, აბა, სად უნდა ენახა გლეხის ბიჭს ეს შესანიშნავი ადამიანი?!**

**— ხუთ აბაზს მოგცემო, — შეუთავაზებია ილიას.**

**— ექვსიო, — გაჯიუტებულა მარშანიების ბიჭი.**

**ილიამ რეალური ფასი შესთავაზა, ბაბუაჩემი გურულების რჩევით ხელმძღვანელობდა — ნაკლებზე არ დათანხმდეო, იმათ სიტყვას სახარებასავით ენდობოდა.**

**ვერ მორიგებულან.**

დაბრუნდა ბაბუაჩემი გურულებთან იმედგაცრუებული. იმათ კი ახალი ვარიანტი შეუთავაზებიათ: თბილისის სემინარიაში ღამის დარაჯი სჭირდებათო.

წავიდა. მიუღიათ. დაუწყია მუშაობა. იქვე ცხოვრობდა.

ერთხელ, ღამით, სრულ პანსიონზე მყოფმა სემინარიელებმა რომ დაიძინეს, ბაბუასთან ორი ახალგაზრდა კაცი მივიდა. ერთმა შავულვაშამ და გრუზათმიანმა მეორე წარუდგინა — რუსია, მიხეილი ჰქვიაო (შემდგომში ცნობილი რევოლუციონერი და სახელმწიფო მოღვაწე, საკავშირო მამასახლისად ცნობილი მიხეილ კალინინი, რომელიც იმ დროს თბილისის რკინიგზის სახელოსნოებში მუშად მუშაობდა).

შავულვაშა, რომელსაც ყელზე კუბოკრული კაშნე ჰქონდა შემოხვეული, კობად გაეცნო:

**— ჩვენ მოწინავე ახალგაზრდები ვართ, ვისაც საქართველოს სიკეთე გვინდა, — უთქვამს მას, — თქვენი მოსწავლეები უნდა გავარკვიოთ, რა დღეშიცაა ჩვენი სამშობლო, გავანათლოთ და დავრაზმოთ უკეთესი მერმისისთვის საბრძოლველადო. ღამის 2-3 საათზე მოვალთ ხოლმე, შენ გთხოვთ, ახალგაზრდების გარკვეული ჯგუფი გააღვიძო. ჩვენ შევხვდებით და ვისაუბრებთო.**

დაუჯერა ბაბუაჩემმა ამ ახალგაზრდა კაცს, რატომღაც ვირწმუნეო მისი სიტყვების სიმართლე. ვიქცეოდი ისე, როგორც მთხოვესო. იმათ საუბრებსაც ესწრებოდა. ყველაფერს ვერ ვიგებდი, რაზეც ლაპარაკობდნენ, მაგრამ უსამართლობის წინააღმდეგ რომ იყვნენ ამხედრებული და მუშათა და გლეხთა სახელმწიფოს შექმნაზე რომ საუბრობდნენ, ძალიან მომწონდა და ვეთანხმებოდიო.

ასე გავიდა სამი თვე.

ბაბუას სხვა სამსახური შესთავაზეს და ისიც თბილისის კონკაზე კონდუქტორად გადავიდა, რომელიც იმ დროს ბელგიელების საკუთრება იყო.

ერთხელ უყურადღებობით ჩამოვარდა კონკიდან და ფეხი მოიტეხა. დაუწვენიათ საავადმყოფოში, უმკურნალიათ. ამ დროს მასთან ვიღაც ნაცნობი მისულა და ურჩევია, დაეწერა საჩივარი — ბელგიელები კომპენსაციას გადაგიხდიანო.

უარი უთქვამს გიორგი მარშანიას, ჩემი სიგლახით დავშავდი და ვერავის ვერ ვუჩივლებო.

რამდენიმე კვირის შემდეგ ორი ბელგიელი თარჯიმნის თანხლებით დადგომია თავზე და სამჯერ იმაზე მეტი


იოსებ სტალინი მუშაობისას


გიორგი მარშანია

ფული მიუტანიათ, რაც კომპენსაციით ერგებოდა, თანაც ოქროთი: ეს შენი პატიოსნებისთვისო.

აუღია ეს ფული და კარგადაც დაუმალავს.

**ამ დროს მოხდა გასაბჭოება. დაიწყო შეძლებული ოჯახების მიგრაცია. უძრავი ქონება კაპიკებად იყიდებოდა. ბაბუამაც გადაწყვიტა სახლის შეძენა და, მეგობრის რჩევით, ნაძალადევის გარეუბანში, ხუდადოვის ტყის პირას, ბუფერის ქუჩაზე (ამჟამად ლალიონის №4) ორსართულიანი სახლის 18 ოთახი, თითო — 16 კვადრატული მეტრის ფართის, თავ-თავისი აივნებით შეიძინა ბელგიელების მიცემული ოქროთი.**

ეს შენობა ახლაც დგას და მარშანიების სახლის სახელითაა ცნობილი.

ბაბუა ავტორიტეტული კაცი იყო უბანში, ბევრნი მოდიოდნენ მასთან რჩევის მისაღებად და ჭკუის საკითხავად. გარეგნულად ნოე ჟორდანიას ჰგავდა და ვიღაც რეგვენმა ჩეკისტებმა ამის გამო დააპატიმრეს კიდეც, თუმცა იმავე დღეს გაათავისუფლეს.

ოციანი წლების ბოლოს ქალაქებში კერძო მეპატრონეებისთვის სახლების ჩამორთმევა დაიწყეს. მიადგნენ მარშანიასაც.

მაშინ ბებიამ — ანასტასია თევზაძემ კატეგორიულად განუცხადა ბაბუაჩემს, სტალინთან ნაცნობობით რომ ტრაბახობ, მისწერე და გიშველოსო.

დათანხმდა ბაბუა. დაწერა წერილი და ფოსტაშიც მიიტანა, მაგრამ არ გააგზავნა: კრემლში გასაგზავნად 5 მანეთის მარკების ყიდვა მომთხოვეს, ამდენ ფულს სათუო საქმეში ვერ დავკარგავდიო.

ბებია ამ არგუმენტს არ დაეთანხმა:

— სახლს კარგავ და ხუთი მანეთის დაკარგვას ჩივიო?

და ბაბუაც იძულებული გახდა, დათანხმებულიყო.

ანასტასია თევზაძეს არავითარი განათლება არ ჰქონდა მიღებული. ის კი არა, რიცხვების ცნობაც არ შეეძლო. როცა ვეკითხებოდით, კი მაგრამ, როგორ იგებ, რომელი ნომერი ტრამვაი გჭირდებაო, გვიპასუხებდა — გუმანით ვგრძნობო.

არც ამჯერად უღალატია გუმანს ბებიასთვის: **ორი თვის შემდეგ მარშანიების კარს მოაკაკუნა ერთმა პაკეტიანმა კაცმა, რომელსაც მეორე მოჰყვა, როგორც ჩანდა, — ჩეკისტი. პაკეტი ბაბუას გადასცეს. ერთად გავხსნათო, უთხოვია ოჯახის უფროსს. გახსნეს და წაიკითხეს: ბაბუას განცხადებაზე სტალინს წაეწერა ასეთი რეზოლუცია: „Ни в коем случае не трогать имущество Георгия Маршания. И. Сталин“.**

**ასე გადაუხადა მადლობა სტალინმა გიორგი მარშანიას იატაკქვეშა მუშაობის პერიოდში აღმოჩენილი თანადგომისთვის.**

ეს ამბავი მაშინვე ელვის სისწრაფით გავარდა უბანში და იმის იქითაც. მას შემდეგ მარშანიებს ფინგანი და მისთანანი ახლოსაც არ გაჰკარებია...

1953 წელს, მარტში სტალინის გარდაცვალების შემდეგ, ბაბუამ შეგვკრიბა და გვითხრა: ახლა ბევრი რამ შეიძლება შეიცვალოს და მოსალოდნელია, რომ სტალინს შეუტიონო. მე, მაშინ 15 წლის ბიჭი ვიყავით და, რა თქმა უნდა, კატეგორიულად არ დავეთანხმე. ბაბუამ მომისმინა, მწარედ ჩაიღიმა და გამოგვიცხადა, რომ თავის 18 ოთახს გადაგვიფორმებდა სამ შვილსა და სამ შვილიშვილს. თვითონაც დაიტოვებდა საცხოვრებლად რამდენიმეს.

ასეც გაკეთდა. ქვეყანა სტალინის შემდეგ მართლაც აირია მედროვე და უვიცი ნიკიტა ხრუშჩოვის წყალობით — ბაბუამ სწორად გათვალა. მისი გადაწყვეტილებაც სწორი აღმოჩნდა: სტალინის დაკანონებული კერძო საკუთრება მარშანიების შთამომავლებს დაგვრჩა.

საუბარი ჩაიწერა
**არმაზ სანებლიძემ**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

# ჰიბრიდული რეჟიმი

## «დემოკრატიის შუქურიდან» მბჟუტავ დემოკრატიამდე

**„დღეს საქართველოს აქვს საერთაშორისო მხარდაჭერა იმის გამო, რომ საქართველო არის ნამდვილად წარმატებული, დემოკრატიული სახელმწიფო ამ რეგიონში; დემოკრატია ჩვენი სიმდიდრეა,“ — მიხეილ სააკაშვილმა ეს განცხადება 2008 წლის 17 ივლისს ქალაქ ბათუმში გააკეთა. საინტერესოა, რა ფაქტებს, მონაცემებს ეყრდნობოდა პრეზიდენტი ამ თვალის ასახვევი, გულის ამაფორიაქებელი, ერთი შეხედვით შთამბეჭდავი შინაარსის განცხადების გაკეთებისას. ეს იყო მხოლოდ პიროვნული შეფასება, თუ რომელიმე ევროპული კვლევითი ორგანიზაციის ფაქტებზე დაყრდნობით მიღებული რეზიუმე. ამ შემთხვევაში ეს უკანასკნელი თავიდანვე გამოვრიცხოთ და მხოლოდ პიროვნულ, ეიფორიულ, ყალბ, თუმცა, კიდევ ვიმეორებ, შთამბეჭდავ ამერიკულ ტყუილთან დავაკავშიროთ დემოკრატიის, პროგრესის შუქურა.**



Democracy index 2010
Democracy in retreat

| | | | Category scores | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | Rank | Overall score | I Electoral process and pluralism | II Functioning of government | III Political participation | IV Political culture | V Civil liberties |
| Uganda | 98 | 5.05 | 5.25 | 3.21 | 5.00 | 5.63 | 6.18 |
| Mozambique | 99 | 4.90 | 4.83 | 4.64 | 5.56 | 5.63 | 3.82 |
| Cambodia | 100 | 4.87 | 6.08 | 6.07 | 2.78 | 5.00 | 4.41 |
| Kenya | 101 | 4.71 | 3.92 | 4.29 | 4.44 | 5.63 | 5.29 |
| Bhutan | 102 | 4.68 | 6.25 | 5.36 | 3.89 | 4.38 | 3.53 |
| Georgia | 103 | 4.59 | 7.00 | 2.14 | 3.89 | 3.75 | 6.18 |
| Pakistan | 104 | 4.55 | 5.17 | 5.71 | 2.22 | 4.38 | 5.29 |
| Sierra Leone | 105 | 4.51 | 7.00 | 1.86 | 2.78 | 5.63 | 5.29 |
| Kyrgyz Republic | 106 | 4.31 | 5.75 | 1.14 | 5.00 | 4.38 | 5.29 |
| Russia | 107 | 4.26 | 5.25 | 3.21 | 5.00 | 3.13 | 4.71 |
| Nepal | 108 | 4.24 | 1.83 | 4.29 | 3.89 | 5.63 | 5.59 |

მაშინ, როდესაც ჯორჯ ბუში ჩამოვიდა საქართველოში, შეგვიქო პრეზიდენტი და სააკაშვილის მიერ მართული ქვეყანა **„დემოკრატიის შუქურად“** მონათლა, ევროპამ ამას 2008 წლის და დღეს, 2010 წლის მსოფლიოს ქვეყნების დემოკრატიის ინდექსის მაჩვენებლები დაუპირისპირა, რომელიც არც თუ სახარბიელოა საქართველოსთან მიმართებაში.

**ავტორიტეტული ბრიტანული ჟურნალის „ეკონომისტის“ ანალიტიკურმა კვლევითმა კომპანიამ „The Economist Intelligence Unit“ გამოაქვეყნა მსოფლიოს ქვეყნების დემოკრატიის ინდექსი. ის ასახავს მსოფლიოს 167 ქვეყანაში 2010 წლის ნოემბრისთვის არსებულ სიტუაციას დემოკრატიის კუთხით. საქართველო რეიტინგში 103-ე ადგილზეა.**

ეს ამ კვლევითი ორგანიზაციის მიერ გამოქვეყნებული რიგით მესამე გამოცემაა (პირველი გამოცემა — 2007 წელი, მეორე — 2008 და მესამე — 2010 წელი). **დემოკრატიული ინდექსის შეფასებისას ითვალისწინებენ ხუთ მთავარ საკვანძო მაჩვენებელს. ესენია: საარჩევნო კოდექსი და პლურალიზმი; სამოქალაქო თავისუფლება; მთავრობის ფუნქციონირება; პოლიტიკური კულტურა და პოლიტიკური მონაწილეობა.**

167 სახელმწიფო დაყოფილია ხელისუფლების რეჟიმის ოთხ ტიპად. **პირველი — სრული დემოკრატია** (Full Democracy); **მეორე — არასაკმარისი დემოკრატია** (Flawed Democracy); **მესამე — ჰიბრიდული რეჟიმი** (Hybrid regime); და **მეოთხე — ავტორიტარული რეჟიმი** (Authoritarian regime).

ამ რეიტინგში **საქართველო მესამე ტიპის — ჰიბრიდული რეჟიმის** (ავტოკრატიული და დემოკრატიული რეჟიმების ნაზავი) ქვეყნებს შორის მოხვდა. ცნობისთვის, ამ ტიპში სულ გაერთიანებულია 33 ქვეყანა. ქვეყნების რეიტინგი კი 80-დან 111-მდეა. **საქართველოს უსწრებენ ისეთი სახელმწიფოები, როგორიცაა უგანდა, მოზამბიკა, კენია, ზამბია, ტანზანია, ვენესუელა...** ჩვენს შემდეგაა პაკისტანი (104-ე), რუსეთი (107-ე), სომხეთი (109-ე), ერაყი (111-ე).

წინა წლის მონაცემებზე დაყდნობით შეიძლება დავასკვნათ, რომ **„ვარდების რევოლუციის“ შვიდწლიანმა მონაპოვარმა საქართველოში დემოკრატიის ხარისხის მაჩვენებელი არა თუ გააუმჯობესა, პირიქით გააუარესა. 2006 წლიდან საქართველო მტკიცედ ინარჩუნებს ამ რეიტინგში 103-ე და 104-ე ადგილებს, არანაირი პროგრესი, მხოლოდ ლაპარაკი, ლაპარაკი და არაფერი ლაპარაკის გარდა.** შედეგიც სახეზეა; უმოქმედო სახელმწიფო აპარატი, დაურეგულირებელი საარჩევნო კოდექსი, სახელმწიფოს კონტროლს დაქვემდებარებული მედია (სახელისუფლო პროპაგანდა), ზეწოლა სამოქალაქო-საზოგადოებრივ ორგანიზაციებზე, სამთავრობო მონოპოლიზაცია ბიზნესში. ერთი სიტყვით, **დღეს საქართველოში „მართული დემოკრატიაა“ და ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებისას საქართველოს მოქალაქის აზრი, ინტერესი, მიზანი, რჩევა სრულიად იგნორირებული და უგულებელყოფილია.**

ეს მკაფიოდაა გამოხატული რეიტინგის საბოლოო ქულაში, რომელიც 4,59-ია (მაქსიმალური 10 ბალიანი შეფასებიდან).

ნუთუ ეს მაჩვენებელი საკმარისი არ არის იმაში დასარწმუნებლად, რომ ჩვენთან დემოკრატია არ არის და ეს სიტყვა სამასხარაოდაა აგდებული. დღევანდელმა გაუაზრებელმა მოქმედებებმა კი უახლოეს მომავალში შეიძლება ამ კუთხით კიდევ უფრო უკან წაგვწიოს და გამოკვეთილი ავტორიტარული რეჟიმის ქვეყნად ვიქცეთ. **უახლეს ისტორიაში კი „კარპატების გენიოსს“** ჩაანაცვლებს **„კავკასიის გენიოსი“. როდემდე უნდა ვიცხოვროთ ყალბი დემოკრატიის საფარქვეშ?**

**დემოკრატია ჩვენი სიმდიდრეა!** — **იგივე შეიძლება თქვან აფრიკულმა სახელმწიფოებმა – უგანდამ, მოზამბიკამ, კენიამ, რომლებიც რეიტინგში გვისწრებენ. მაგრამ მათ ფონზე ნეტავ, რას იტყვის ნორვეგია, ისლანდია, დანია, შვედეთი, ახალი ზერლანდია. ერთი სიტყვით, რეიტინგის სათავეში მდგომი ქვეყნები? ალბათ, როგორც ყოველთვის — არაფერს.** ეს სახელმწიფოები ხომწყნარი, მშვიდობიანი, დაკვირვებული პოლიტიკის წყალობით აშენებენ სანიმუშო, სრული დემოკრატიის მქონე სახელმწიფოებს. **ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, უხერხულია ასე საჯაროდ დღევანდელი საქართველოსთვის ამ იარლიყის მიკერება — დემოკრატია ჩვენი სიმდიდრეა!** თუმცა შეიძლება ეს ტურისტების მოსაზიდად გათვლილი ფანდი იყოს. რატომაც არა?!

**ოთარ დალაქიშვილი**

# ნოღაიდელს საკუთარი პარტიიდან რიცხავენ

**დიდი ბიზნესიდან პოლიტიკაში წახვიდე, რათა საკუთარი ბიზნესი ხელშეუხებელი გახადო, ქართველებს ნამდვილად არ მოგვიგონებია. მსგავსი მაგალითები ამერიკის, იტალიისა თუ ესპანეთის პოლიტიკურ წრეებში ბევრი მოიძებნება. მაგრამ პოლიტიკაში ნაშოვნი მილიონების მაგალითები და ფაქტები მხოლოდ ქართულია და ამაში ნამდვილად ვერავინ შეგვეცილება.**



ერთი უკურნებელი პოლიტიკური სენი წმინდად ქართულია — ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირები, როგორც კი სავარძლებს ტოვებენ, მეორე დღესვე ახალი ოპოზიციური პარტიით მოგვევლინებიან და იწყებენ ქვეყნის აღმშენებლობაზე ფიქრსა და ზრუნვას, თითქოსდა ამის გაკეთებას მაღალ თანამდებობაზე ვინმე უკრძალავდა. ამიტომაა, რომ **პოლიტიკურ ჰორიზონტზე იშვიათად ნახავთ ახალ პოლიტიკურ სახეს, ისევ ის ძველი „მოქალაქეთა კავშირის“ სკოლაგამოვლილნი თუ „ნაციონალური მოძრაობის“ იდეოლოგიით გაჟღენთილნი ურცხვად ქადაგებენ და წინასწარმეტყველებენ ჩვენი ქვეყნის მომავალს.** მინისტრის თუ პარლამენტის თავმჯდომარის თანამდებობაზე მყოფი ოპოზიციური პარტიების დღევანდელი ლიდერები ხმამაღლა აღიარებენ ქვეყნის მართვის ამჟამინდელ არასწორ კურსს, მაგრამ ამაში თავად რა წვლილი მიუძღვით, ამაზე არაფერს ამბობენ.

**პარტია „სამართლიანი საქართველოსათვის“ ლიდერს, ზურაბ ნოღაიდელს 2003 წელს ვარდების ფრიალი დაუფასდა და ჯერ ფინანსთა მინისტრის, ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების შემდეგ კი პრემიერ-მინისტრის სავარძელში წლების განმავლობაში იყო მოკალათებული.**

**„რევოლუციას საკუთარი შვილები არ უყვარს,“** — ტყუილად არ თქმულა. ზურაბ ნოღაიდელიც მალე ჩამოალაბორანტეს და ყველა კაბინეტის კარიც გამოუხურეს.

**ოპოზიციის ლიდერები ნოღაიდელის გამოჩენას ოპოზიციურ შეკრებებზე დიდი სიხარულით არ შეხვედრიან. ხშირად გევსმოდა მასმედიით „ყველა მინუს ნოღაიდელი“. პარტია „სამართლიანი საქართველოსათვის“ ლიდერი კი კოლეგა ოპოზიციონერების გამოხდომებს მდუმარედ ისმენდა.**

ამჟამად პარტიაში „სამართლიანი საქართველოსათვის“ დიდი განხეთქილებაა. მილიონერი ლიდერი საკმაოდ ძუნწი აღმოჩენილა თავისი თანამშრომლების მიმართ. ნოღაიდელმა თავისი პარტიის კოორდინატორები და ორგანიზაციების ხელმძღვანელები დაპირებებით ამუშავა და მათ ერთი თეთრიც კი არ გადაუხადა. რეგიონალური ორგანიზაციების ხელმძღვანელები და კოორდინატორები სამართალდამცავებს მოუწოდებენ, შეისწავლონ ორგანიზაციაში არსებული ფინანსური დარღვევები, ვინაიდან **ნოღაიდელი სახელმწიფოსგან 200 ათასი ლარის დაფინანსებას იღებს, რომელსაც, მათი ვარაუდით, პირადი კეთილდღეობისთვის იყენებს.**

## ნამინისტრალი ძუნწი ლიდერი

ნოღაიდელთან დაპირისპირებული პარტიის წევრები იმუქრებიან, რომ თბილისში 23 დეკემბერს რიგგარეშე ყრილობას ჩაატარებენ და თავმჯდომარეს პარტიიდან გარიცხავენ, მიზეზი? — „ნოღაიდელმა ხალხი კარდაკარ ატარა და ფული არ გადაუხადა.“

რიგგარეშე ყრილობის ორგანიზატორების მუქარის განცხადებას ბატონმა პეტრე მამრაძემ უპასუხა: **„მსგავსი ყრილობა იგეგმება, მაგრამ ამ ღონისძიების ორგანიზატორები არც პარტიის წევრები არიან და არც მხარდამჭერები“.**

არა და, ყველას კარგად გვახსოვს ბატონი ზურაბ ნოღაიდელი მაისში, თბილისის მერის წინასაარჩევნო ციებცხელებისას, ყველას ჰპირდებოდა, რომ ქვეყანაში შექმნიდა სამუშაო ადგილებს და ერთი ადამიანიც კი არ დარჩებოდა უმუშევარი და სოციალურად სიღარიბის ზღვარზე მყოფი. მაგრამ ბატონი **ნოღაიდელი დაპირების როგორი შემსრულებელია, სულ ახლახან ტელევიზიით მისი პარტიის წევრებისგან შევიტყვეთ.**

ვიდრე ეს მოხდება და ნოღაიდელს პარტიიდან თანაპარტიელები გარიცხავენ, მას გადაწყვეტილი აქვს, მოიაროს ევროპა და, როგორც თვითონ ამბობს, კოორდინირებული ერთობის შექმნის თაობაზე საქართველოს მოქალაქეებთან და ქართულ დიასპორასთან კონსულტაციები გამართოს. აქ კი ბატონ ზურაბს ნამდვილად ვერ დახვდება სახარბიელო სამუშაო გარემო.

**საქართველოს მოქალაქეები, როგორც ის საზღვარგარეთ გაუსაძლის პირობებში მყოფ არალეგალებს უწოდებს, ნამდვილად არ შეხვდებიან მაამებლური ღიმილით, ვინაიდან სწორედ „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ დაიწყო ქვეყნიდან მიგრანტთა დიდი ნაკადის გადინება, როცა ხელისუფლებამ თავისი დანაპირები მალევე დაივიწყა და ხალხს ახალი სამუშაო ადგილების მაგივრად ძველიც დააკარგვინა.** ხოლო თუ ქართული დიასპორის ხელმძღვანელებთან გამართა შეკრება და ბატონ ნოღაიდელს ისე მოუსმინეს, როგორც მოსკოვში ქართული დიასპორიის შეკრებაზე, მაშინ ნამდვილად პოლიტიკური კარიერაც საბოლოოდ დასამარდება.

**მოსკოვში შეკრებილმა რუსეთის ქართული დიასპორის წარმომადგენლებმა ბატონ ზურაბს პირში მიახალეს; „შენ ის გვითხარი, რა გააკეთე ქვეყნისთვის, თორემ რას აპირებ, ის არ გვაინტერესებსო“. როგორც ყოველთვის, ნამინისტრალი მილიონერი ლიდერი დუმდა..**

**ეკა სარალიძე**

საქართველო
გსურთ, გაგვიზიარით თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# დროებით გადავადებული კოლაფსი

**„გვითხარით თქვენი ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი და გეტყვით, თუ შეძლებთ მის მართვას“ — ეს არის შეკითხვის მთავარი არსი, რასაც დღეს ყველა ანალიტიკოსი სვამს საბერძნეთის მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობასთან მიმართებაში. 1999 წელს ევროზონის 16 ქვეყანაში საერთო ევროპული ვალუტის, ევროს, შემოღების შემდეგ, საბერძნეთის კრიზისს ევროპელი ექსპერტები ყველაზე მძიმედ მიიჩნევენ.**





## ელგუჯა მინაძე: საბერძნეთი კატასტროფის პირასაა

საბერძნეთის ფინანსურმა და ვალის კრიზისმა გავლენა იქონია ევროზეც, რამაც ცხადია, დიდი მღელვარება გამოიწვია ევროპის ფინანსურ ბაზრებზე. ევროზონის შემადგენლობაში მყოფ ზოგიერთ სახელმწიფოს, მათ შორის ირლანდიას, პორტუგალიას, ესპანეთს მეტად მწვავედ შეეხო საბერძნეთის ეკონომიკური და ფინანსური კრიზისი (ამ შემთხვევაში მოქმედებს დომინოს პრინციპი — ერთის რღვევა დანარჩენებზეც აისახება). შესაბამისად, **ერთმა დიდმა საბიუჯეტო დეფიციტმა ევროზონის ქვეყნებში წარმოშვა შიში იმისა, რომ, საბერძნეთის პრობლემების დაუყოვნებლივ მოუგვარებლობის შემთხვევაში, ევროს კრიზისი გარდაუვალი იქნება.**

წლის დასაწყისში, კერძოდ, თებერვალ-მარტში საბერძნეთის საბიუჯეტო დეფიციტი 12,7% იყო. ეს კი ევროზონის მიერ დაწესებულ ლიმიტს ოთხჯერ აღემატება. ცნობისთვის, ევროზონის წევრმა ქვეყნებმა სტაბილური ეკონომიკური გარემოს შესანარჩუნებლად ჩამოაყალიბეს საერთო კრიტერიუმები, რომელთა თანახმადაც საბიუჯეტო დეფიციტი არ უნდა აღემატებოდეს მთლიანი შიდა პროდუქტის 3%-ს. ამ ფონზე **საბერძნეთის მთავრობამ აიღო ვალდებულება, რომ წლის ბოლოსთვის ბიუჯეტის დეფიციტს 8,7%-ით შეამცირებდა. თავისთავად, ეს ყოველივე სახელმწიფო ბიუჯეტს დააწვა ტვირთად, ანუ შემცირდა მოსახლეობისთვის სახელმწიფო პროგრამების განხორციელების შესაძლებლობები, რამაც გამოიწვია უმუშევრობა, საპენსიო ასაკის 60-დან 65 წლამდე გაზრდა, რასაც მოჰყვა აქციები და შეტაკებები.**

ამავე პერიოდში საუბარი დაიწყო საბერძნეთის ევროზონიდან შესაძლო გარიცხვაზე; თუმცა მოგვიანებით კონტინენტის ცენტრალური ბანკის პრეზიდენტმა, ჟან-კლოდ ტრიშემ ამ ყოველივეს „აბსურდული ჰიპოთეზა“ უწოდა და ევროზონის წევრ ქვეყნებს ერთიანი ფინანსური პოლიტიკის შემუშავებისკენ მოუწოდა. ამასთან, **გერმანიისა და საფრანგეთის მთავრობების მიერ გამოყოფილმა ფინანსურმა დახმარებამ, ექსპერტების ვარაუდით, მხოლოდ დროებით გადაავადა საბერძნეთის ეკონომიკური კოლაფსი.**

დღეს საბერძნეთის მთავრობა, მოსახლეობის პროტესტის მიუხედავად, იძულებულია, ევროკავშირის მოთხოვნების განსახორციელებლად უფრო მკაცრი ზომები მიიღოს. ცხადია, **ეს შეზღუდვები და ვალდებულებები, როგორც ადგილობრივ, ასევე იქ სამუშაოს საშოვნელად ჩასულ ემიგრანტებსაც შეეხება, მათ შორის ქართველებსაც, რომელთა რაოდენობა საბერძნეთში 200 ათასს აჭარბებს.** აქედან გამომდინარე, სავარაუდოდ, უმუშევართა ახალ ნაკადს 2011 წლის დასაწყისისთვის უნდა ველოდოთ. ეს ყოველივე კი ქვეყანაში უმუშევრობის მაჩვენებელს უფრო მეტად გაზრდის.

**საბერძნეთში არსებული სიტუაციის შესაფასებლად „საქართველო და მსოფლიო“ სალონიკის ქართველთა სათვისტომო „საქართველოს“ თავმჯდომარეს — ელგუჯა მინაძეს** დაუკავშირდა.

**— ბატონო ელგუჯა, რამდენად სერიოზულია საბერძნეთში შექმნილი ვითარება?**

— ძალზე მძიმე მდგომარეობაა. ფაქტობრივად, საბერძნეთი კატასტროფის პირასაა. ევროკავშირი ვერ ეხმარება, რადგან გერმანია და საფრანგეთი ბლოკავენ საბერძნეთისთვის ახალი დახმარებების გაცემას. შესაბამისად, **საბერძნეთის მთავრობასაც უწევს, საკუთარი ბიუჯეტიდან მოახერხოს ვალების დაფარვა, რაც მოსახლეობის სოციალურ ყოფაზეც აისახება.** მაგრამ ეს არ არის მარტო საბერძნეთის კრიზისი, მე ამ მდგომარეობას შევაფასებდი როგორც ევროს კრიზისს, რადგან ასეთივე კრიზისი ევროზონის დანარჩენ ქვეყნებშიც მწიფდება.

**— საბერძნეთის ფინანსური კრიზისი რამდენად აისახება დასაქმებულ ქართველებზე?**

— რა თქმა უნდა, როგორც ბერძნებზე, ასევე აქ მყოფ ქართველებზეც მძიმედ აისახება ეს კრიზისი. ჩემი ინფორმაციით, **საკმაოდ ბევრი ქართველი ბრუნდება უკან, საქართველოში. აქ მათთვის საცხოვრებელი პირობები ძალზე გაუარესდა. სხვათა შორის, რაც დრო გავა, უფრო მეტი წამოვა აქედან. საუბარია ათასობით დაუსაქმებელ ადამიანზე.** ეს პროცესი უკვე რამდენიმე წელი მწიფდებოდა, წლეულს კი მძიმე შედეგი მივიღეთ.

**არსებული მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა საბერძნეთის ქალაქ სალონიკში დასაქმებულმა და სამუშაოს მაძიებელმა (პროცენტულად ყველაზე მეტი ქართველი ამ ქალაქშია) ქართველმა ემიგრანტებმაც დაადასტურეს.**

**მუხრან კაპანაძე:**

— აქ მძიმე კრიზისია. ხალხს ხელფასებს უმცირებენ, გადასახადებს კი უზრდიან, პენსიებს არ აძლევენ. უფრო სწორედ, პენსიების გაზრდის მაგიერ, პირიქით, შეამცირეს და საპენსიო ასაკი 60 წლიდან 65 წლამდე გაზარდეს.

ქართველები აქ, ძირითადად, არალეგარულად მუშაობენ. ვინც სახელმწიფო სამსახურშია, უფრო ცუდ დღეში აღმოჩნდა. არალეგალური სამსახურიც ძალიან გაჭირდა. **დღეს აქ ლეგარულად რომ ამუშაო ადამიანი, თვეში 700 ევრო მაინც უნდა გადაუხადო, დამქირავებელმა კი სახელმწიფოს დამატებით დაახლოებით 600 ევრო უნდა გადაუხადოს.**

ოლიმპიადა რომ ჩატარდა, პარლამენტარებმა ბიუჯეტის ფული შეჭამეს. ახლა ის მთავრობა აღარაა. დღევანდელი მთავრობა კი ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანის მიზნით გადასახდებს ზრდის, ხელფასებს კი ამცირებს.

**მიუხედავად მძიმე მდგომარეობისა, წამოსვლას არ ვაპირებ, ჯერჯერობით სამუშაო მაქვს. საქართველოში რომ ჩამოვიდე, არა მგონია, უკეთესი მდგომარეობა დამხვდეს.** უკვე ბევრი ქართველი წამოვიდა აქედან, რადგან უსაქმურად აქ გაჩერებას აზრი აღარ აქვს.

**გიორგი, 38წლის:**

— მე სალონიკში ჩავედი სამუშაოდ. ვალი ავიღე, რომ როგორმე იქ მოვწყობილიყავი. მაგრამ არ გამიმართლა, სამუშაოს დასაწყებად სადაც არ მივედი, ყველგან მითხრეს, კრიზისია და ვერ დაგასაქმებთო. იძულებული გავხდი, საბერძნეთიდან შვიდ იმედგაცრუებულ და სასოწარკვეთილ ქართველთან ერთად სამშობლოში დავბრუნებულიყავი. კიდევ ბევრი ქართველი აპირებს წამოსვლას.

**ოთარ დალაქიშვილი**



**მუხრან კაპანაძე: მიუხედავად მძიმე მდგომარეობისა, წამოსვლას არ ვაპირებ, ჯერჯერობით სამუშაო მაქვს. საქართველოში რომ ჩამოვიდე, არა მგონია, უკეთესი მდგომარეობა დამხვდეს**

# თურქმენ მოსწავლეებს მიხეილ სააკაშვილით აშინებენ

**თურქმენეთის სკოლებში მასწავლებლებსა და მოსწავლეებს ასწავლიან, რომ აშშ ყველა დამოუკიდებელი სახელმწიფოს, მათ შორის თურქმენეთის, მტერია. ამის შესახებ ინტერნეტგამოცემა „chrono-tm.org“-ი წერს. ამ შინაარსის ფილმი უცხოური ენების მასწავლებლებს აჩვენეს.**

ფილმის ავტორების მტკიცებით, განათლების სფეროში კულტურული გაცვლის პროექტები ახალგაზრდობას აზარალებს და დემოკრატიასა და თავისუფლების განვითარებას ამოფარებული ამერიკელები უფროსკლასელებს რეალურად „ფერადი რევოლუციებისთვის“ ამზადებენ. ამგვარად კი უსწერიგობებსა და დესტაბილიზაციას ამზადებენ, რითაც ქვეყნების კეთილდღეობას ანგრევენ.

**ამერიკული გავლენის უარყოფით მაგალითად ფილმში საქართველო და საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილია დასახელებული. ავტორების აზრით, საქართველოში რევოლუცია სწორედ უფროსკლასელთათვის და სტუდენტებისთვის „უწყინარი პროგრამებით“ დაიწყო, რომლებსაც ამერიკაში ერთი წლის განმავლობაში ამ რევოლუციურ იდეებს უნერგავდნენ.**

მაყურებლებმა ვერ გაიგეს, ვინ არის ფილმის ავტორი. ფილმი რუსულენოვანია. რგოლში დაფიქსირებულია ღია მოწოდება მასწავლებლებისადმი, რომ **„არ წამოეგონ ამერიკელების ანკესზე და ახალგაზრდობასთან მუშაობაში პრინციპულობა გამოიჩინონ“. დირექტორები და განათლების სამმართველოს წარმომადგენლები კი კომენტარების სახით ამატებდნენ, რომ განსაკუთრებული სიფრთხილე იმ მოსწავლეებთან არის საჭირო, რომლებიც ამერიკულ ცენტრებში დადიან და გაცვლითი პროგრამებისთვის ემზადებიან.**



**ამ საკითხზე კომენტარი ვთხოვეთ ცნობილ მეცნიერს, პროფესორ მერაბ ჯიბლაძეს.**

— თავიდანვე ამერიკელი ეგრეთ წოდებული მასწავლებლების ჩამოყვანის წინააღმდეგი ვიყავი, — **გვითხრა ბატონმა მერაბმა.** — ისინი ხომ მასწავლებლები არ არიან, უბრალოდ, ინგლისურიი ენის მატარებლები არიან. თანაც ჩამოსულებს შორის უმრავლესობას შეიძლება რელიგიური მიზნები ჰქონდეთ. ისინი იმ სექტების წარმომადგნელები არიან, რომლებსაც სურვილი აქვთ, მართლმადიდებლობას შეუტიონ. მართლმადიდებლობა კი დღეს მთავარი ფუძეა, რომელზეც ქართველი ერი დგას და მისი შერყევის მცდელობა ყოველთვის იყო და იქნება. თუნდაც პაიჭაძის მოწყობილი რაღაც საზიზღრობა, ესეც დიდი დარტმა იყო, რომ სარწმუნოება შეირყა.

**ვფიქრობ, მათ ჩამოსვლას ეს მიზანი აქვს. გარდა იმისა, რომ ფული იშოვეს და ბინებში ცხოვრობენ, შემოიტანენ საკუთარ მრწამსს და სწორედ ესაა ყველაზე საშიში. ესაა ყველაზე დიდი ნაბიჯი ჩვენი მართლმადიდებლობის წინააღმდეგ.**

როდესაც „მომავლის სკოლა“ გავხსენი, აღმოვაჩინე, რომ მასწავლებლების უმრავლესობა იეღოველი იყო. მალევე დავხურე სკოლა და მასწავლებლებს ვუთხარი, რომ მე თქვენ იეღოველებს არ გაგაზრდევინებთ-მეთქი. რაზეც არ უნდა ისაუბრონ, რა მისია აქვთ და არ აქვთ ჩამოყვანილ ინგლისურის მასწავლებლებს, ვფიქრობ, ყველაზე მეტ საფრთხეს ისინი მართლმადიდებლობას უქმნიან. ესაა პირდაპირი შემოტევა და ამას ისინი მოახერხებენ, თუ ჩვენ არ დავუდექით მკაცრად და დიდი წინააღმდეგობა არ გავუწიეთ. **ყველა მართლმადიდებელს მოვუწოდებ, არ შეუშვან ისინი სახლებში და არ იქონიონ მათთან ურთიერთობა. რა საჭირო იყო მათი ჩამოყვანა საერთოდ, ვერ ვხვდები; ქართველი მასწავლებლები ბევრად უკეთ ასწავლიდნენ ინგლისურს ჩვენს ბავშვებს, — განაცხადა პროფესორმა მერაბ ჯიბლაძემ „საქართველო და მსოფლიოსთან“ საუბარში.**

**ლილი მიროტაძე**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# მეჰრიბან ალიევა «არაფორმალურ» სკანდალში გაეხვია

**ინტერნეტში გავრცელებული ინფორმაციის გამო, აზერბაიჯანი ახალ სკანდალთან გამკლავებას ცდილობს. ამჯერად საქმე აბეზარ აზერბაიჯანელ ბლოგერებს არ ეხება, რომლებიც ხელისუფლების გრძნობებს შეურაცხყოფენ, არც მედიის უფლებებს, არამედ — თემას, რომელზეც აზერბაიჯანში ჩვეულებრივ არავინ ლაპარაკობს, ქვეყნის პოლიტიკური ოპოზიციის წარმომადგენლებიც კი. საუბარია პირველ ლედიზე — მეჰრიბან ალიევაზე.**

ბოლო რამდენიმე კვირაა, უცხოურ პრესაში ალიევას უპრეცედენტოდ დიდ ყურადღებას უთმობენ. ჯერ **3 დეკემბერს მემარჯვენე იტალიურმა გაზეთმა Il Foglio-მ დაბეჭდა სტატია, რომლითაც, გაურკვეველ დიპლომატიურ წყაროებზე დაყრნობით, იუწყებოდა იმ „არაფორმალურ“, შესაძლოა, რომანტიკული ხასიათის შეხვედრების შესახებ, რომელთაც თითქოს ადგილი ჰქონდა ბერლინში ალიევასა და ბელარუსის პრეზიდენტ ალექსანდრე ლუკაშენკოს შორის.** შემდეგ, **12 დეკემბერს, ბრიტანულმა Guardian-მა ვებ-გვერდ WikiLeaks-ის ერთ-ერთ დოკუმენტზე სტატია გამოაქვეყნა, რომელიც თითქოს ბაქოში ამერიკის საელჩოს თანამშრომელმა დაწერა. მასში საუბარი იყო ალიევის ოჯახის გავლენასა და საქმიან ინტერესებზე და გამოთქმული იყო ვარაუდი, რომ პირველი ლედი პლასტიკურ ქირურგებს ხშირად მიმართავს.**

გაზეთ Il Foglio-ს განცხადებები იმ ფოტოსესიათან ერთად, რომლის სათაურიცაა „ზედმეტად ლამაზი პირველი ლედისთვის“, აბსურდულობით ბულვარული პრესის პუბლიკაციას ჰგავს. **უცხოელი მკითხველები მხოლოდ გაკვირვებულები დარჩნენ, მაგრამ აზერბაიჯანი, სადაც პირველი ლედი ხელშეუხებელია, პუბლიკაციამ აღაშფოთა.**

აზერბაიჯანის კულტურას არ ახასიათებს მეუღლეების საჯაროდ განხილვა. ეს წესი კიდევ უფრო წონადია, როდესაც საქმე პრეზიდენტ ილჰამ ალიევის 46 წლის მშვენიერ მეუღლეს ეხება. **ოპოზიციურ მედიასაშუალებებს შეუძლიათ მუდმივად აკრიტიკონ პრეზიდენტი და მთავრობა, მაგრამ პირველ ლედიზე ნეგატიური მასალის გამოქვეყნებას ისინიც ვერ ბედავენ.**

რაც იმას ნიშნავს, რომ იტალიური გაზეთის პუბლიკაციამ აზერბაიჯანის ბევრი მცხოვრები შოკში ჩააგდო და, მიუხედავად იმისა, რომ Il Foglio-ს სტატია არც ერთ გამოცემას არ გადმოუბეჭდავს და მის შესახებ არაფერი დაუწერია, პრესაში სტატიის გამოჩენა აზერბაიჯანში ცხარე დებატების საგანი გახდა. ჭორებსა და ინსინუაციებს მოწყურებულმა ბაქოელებმა ეს სურვილი რუსულენოვანი თარგმანებით დაიკმაყოფილეს, რომლებიც 8 დეკემბრის შემდეგ რუსულ და სომხურ ელექტრონულ მედიაში გაჩნდა.

**ხელისუფლების რეაქციამაც არ დააყოვნა. 9 დეკემბერს Il Foglio-ს სტატიაზე პირველი ლედის პროტოკოლის სამსახურმა განცხადება გამოაქვეყნა, სადაც გამოთქვამს „უკიდურეს აღშფოთებას IL FOGLIO-ს მიერ გამოქვეყნებული ბინძური ინსინუაციების გამო, რაც შეურაცხყოფს მეჰრიბან ალიევას პატივს და ღირსებას“.**

პროტოკოლის სამსახურმა, უწოდა რა სტატიას ცილისმწამებლური, იმაზეც მიანიშნა, რომ **პუბლიკაციის უკან დგანან „ძალები, რომლებიც არ არიან დაინტერესებულნი ჩვენი ქვეყნის პრესტიჟისა და აზერბაიჯანის პირველი ლედის საერთაშორისო ავტორიტეტის გაზრდით“.**

პროტოკოლის სამსახურმა Il Foglio-ს დაბეჭდილის უარყოფის გამოქვეყნება და საჯაროდ ბოდიშის მოხდა მოსთხოვა. აღსანიშნავია, რომ იტალია რუსეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული, მოსკოვი და ბაქო კი მხარს უჭერენ კონკურენტ მილსადენებს, რომლებმაც კასპიის აუზიდან ენერგომატარებლების ექსპორტი უნდა განახორციელონ.

აზერბაიჯანში ბევრი ადამიანი, პოლიტიკური შეხედულებების მიუხედავად, უარყოფს გაზეთის ბრალდებებს და მას „ბინძურ ბოდვას“ და „უბრალოდ, წარმოუდგენელ“ ამბავს უწოდებს; ალიევას პროტოკოლის სამსახურის განცხადებაც კი ძალიან ცოტა მედიასაშუალებამ დაბეჭდა, ხოლო მათ, ვინც განცხადება გამოაქვეყნა, ის ისე დაბეჭდა, რომ თავად სტატია არც უხსენებია.



**აზერბაიჯანის პრეზიდენტი ილჰამ ალიევი გაცილებით იოლად ეგუება კრიტიკას მისი მისამართით, ვიდრე მისი ოჯახის მიმართ**

**მეჰრიბან ალიევა რესპუბლიკის პარლამენტის დეპუტატი, მმართველი პარტიის „ენი აზერბაიჯანის“ თავმჯდომარის მოადგილე, იუნესკოსა და „ისლამური ქვეყნების ორგანიზაცია ისლამურ კონფერენციასთან არსებული განათლების, მეცნიერებისა და კულტურის საკითხების ორგანიზაციის“ კეთილი ნების ელჩი და ჰეიდარ ალიევის საქველმოქმედო ფონდის პრეზიდენტია. აზერბაიჯანში არც ერთ სხვა ქალს არ აქვს მასავით წარმატებული და ამავე დროს პოზიტიური საჯარო იმიჯი.**

სხვაგვარად ფიქრი კი პრეზიდენტ ალიევის განრისხების ტოლფასია. აზერბაიჯანელ ჟურნალისტთა წრეებში ცნობილია, რომ **პრეზიდენტი გაცილებით იოლად ეგუება კრიტიკას მისი მისამართით, ვიდრე მისი ოჯახის მიმართ.** აზერბაიჯანულ-ამერიკულ ურთიერთობებში დაძაბულობის გამომწვევ ფაქტორად 2010 წელს Washington Post-ში გამოქვეყნებულ სტატიას მიიჩნევენ, სადაც ნათქვამი იყო, რომ დუბაიში მრავალი მილიონი დოლარის ღირებულების საკუთრება მის 13 წლის ვაჟს — ჰეიდარს ეკუთვნის.

**გაზეთმა Il Foglio-მ აურზაური გამოიწვია, შეეხო რა თემას, რომელიც თავად პრეზიდენტ ალიევის პატივსა და ღირსებას ეხება, თუმცა Guardian-ის მიერ გამოქვეყნებულ მასალაში მსგავსი რამ არ გვხვდება.**

აზერბაიჯანული მედიის მიერ გადმობეჭდილ დოკუმენტში, რომელიც თითქოს აშშ-ის საელჩოს 2010 წლის დეპეშაა, ნათქვამია, რომ პირველი ლედის ოჯახი, კერძოდ **ფაშაევების ოჯახი „აზერბაიჯანში ყველაზე გავლენიანია. ის ფლობს აქტივებს სამშენებლო, უძრავი ქონების, ფინანსურ და ტელესაკომუნიკაციო სექტორებში“.** დოკუმენტის თანახმად, **ოჯახი ბიზნეს-კონკურენტებთან ბრძოლისთვის „სახელმწიფო ბერკეტებს“ იყენებს, აკონტროლებენ რა, ფაქტობრივად, მთელ რიგ სამინისტროებს,** მათ შორის კულტურისა და ტურიზმის, ახალგაზრდობისა და სპორტის, ჯანდაცვისა და განათლების სამინისტროებს, რომლებიც პირველი ლედის ზედამხედველობის ქვეშაა.

**დოკუმენტში ნათქვამია, რომ დეპუტატი პირველი ლედი, პარლამენტში თითქმის არასდროს ჩნდება და, ზოგადად, „პოლიტიკურ საკითხებში ნაკლებად ინფორმირებულია“.**

გარდა ამისა, გაკრიტიკებულია მისი გარეგნული იერიც: **მოდას აყოლილი პირველი ლედი VOGUE-ის და HARPERS BAZAAR-ის რუსულენოვანი ვერსიების პირველი გვერდებისთვის ფოტოსესიებში მონაწილეობს, „აშკარად იყენებს პლასტიკური ქირურგების მომსახურებას“, რის გამოც მის სახეს არ შეუძლია „გრძნობათა სრული სპექტრის“ ასახვა, მის ჩაცმულობის სტილს კი „დასავლურ სამყაროშიც პროვოკაციულად“ მიიჩნევენ.**

კიდევ უფრო ადრე, აზერბაიჯანის მთავრობამ ვებ-გვერდ WikiLeaks-ის მიერ გამოქვეყნებულ მასალას არასანდო უწოდა. მოსალოდნელია, რომ ხელისუფლება პრივატულ რეჟიმში საკითხს ამერიკელ ჩინოვნიკებთან დააყენებს. რაც შეეხება Il Foglio-ს სტატიას, ნებისმიერ იმ ბრალდებას, რომელსაც პირველ ლედის უყენებენ, ბაქოში არ მიიჩნევენ თემად, რომელიც საჯარო განხილვის ღირსია.

ადამიანებმა, რომლებსაც სტატიაზე საკუთარი მოსაზრების გამოთქმა ვთხოვეთ, ანონიმურად დარჩენა ისურვეს. **ერთ-ერთი ბაქოელი პოლიტოლოგი, რომელმაც, ასევე, ისურვა, მისი ვინაობა არ გაგვემხილა, ფიქრობს, რომ ხელისუფლება შეეცდება, ყველა ოფიციალური და არაოფიციალური რესურსის ამოქმედებას, რათა Il Foglio-ს საჯაროდ ბოდიშის მოხდა აიძულოს. „ცნობილია, რომ ილჰამ ალიევი ვერ იტანს, როდესაც მედია მის ოჯახს ნეგატიური კუთხით აშუქებს,“** — ამბობს ანალიტიკოსი.

EURASIANET.org

## მოკლედ

### სიკვდილით დასჯა ცხოველის ვაქცინით

**ამერიკის შტატ ოკლაჰომაში სიკვდილმისჯილ პატიმარს ცხოველების ევთანაზიისთვის განკუთვნილი ვაქცინა გაუკეთეს.** „იმედი მაქვს, რომ თქვენ შეძლებთ ჩემს პატიებას. ჩემი სულის გადარჩენისთვის კი არა, თქვენი სულებისთვის. გმადლობთ, უფალო. მე მზად ვარ, სახლში დავბრუნდე“, — განაცხადა თავის უკანასკნელ სიტყვაში მსჯავრდებულმა ჯონ დევიდ დიუიტიმ. 58 წლის დიუიტი ერთ-ერთია იმ სამი მსჯავრდებულიდან, რომლებიც ცდილობდნენ, პენტობარბიტალის გამოყენების აკრძალვისთვის მიეღწიათ. ეს ნივთიერება ცხოველების დასაძინებლად გამოიყენება. აპელაციას საფუძვლად ის არგუმენტი დაედო, რომ პენტობარბიტალი პარალიჩს იწვევს და არა სიკვდილს, ადამიანი კი სიკვდილით დასჯისას ტანჯვას განიცდის.

### სკამების სროლა რადაში

**უკრაინის უმაღლეს რადაში ხელჩართული ჩხუბი გაიმართა. ყოფილი პრემიერის, იულია ტიმოშენკოს მხარდამჭერებმა ტიმოშენკოს წინააღმდეგ სისხლის სამართლებრივი დევნის შეწყვეტის მოთხოვნით რადას პრეზიდიუმი და ტრიბუნა დაიკავეს, რის შემდეგაც პარტია „რეგიონების“ წარმომადგენლებმა კარი შეამტვრიეს და უცენზურო სიტყვების ყვირილით პრეზიდიუმში შეცვივდნენ.** როგორც უკრაინული მედია იუწყება, პრეზიდიუმში შევარდნისა და სიტყვიერი შეურაცხყოფის შემდეგ, მათ მმართველი პარტიის წარმომადგენლებთან ხელჩართული ბრძოლა გამართეს. ჩხუბის დროს პარლამენტის დარბაზში დეპუტატები ერთმანეთს სკამებს ესროდნენ, რის შედეგადაც 5 დეპუტატის ჰოსპიტალიზაცია გახდა საჭირო.

### იქნებ ელჩებმა მაინც გვიშველონ

**თბილისის საკრებულოში დევნილების საკითხზე სამუშაოდ ინტერფრაქციული ჯგუფი შეიქმნა, რომლის წარმომადგენლები საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიურ კორპუსთან შეხვედრებს მართავენ.**

ვიქტორ დოლიძე და კახა კუკავა გერმანიისა და საფრანგეთის ელჩებს, ასევე საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლებს ესაუბრნენ. ამასთან, ისინი გაეროს ლტოლვილთა კომისიარიატის, აშშ-ის საელჩოსა და ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭოს წარმომადგენლებსაც შეხვდებიან. „გაეროს ან ევროკავშირის წარმომადგენლის გარეშე კომპაქტური ჩასახლების ვერც ერთი ობიექტიდან დევნილებს ვერ გამოასახლებენ,“ — განაცხადა კახა კუკავამ.

### სააკაშვილის ფიტული გაიტაცეს

**ახალგაზრდული მოძრაობა „მამული, ენა, სარწმუნოება“ მიხეილ სააკაშვილის ფიტულის დაბრუნებას მოითხოვს, რომელიც მის წევრებს პრეზიდენტის დაბადების დღის „აღსანიშნავად“ ავლაბრის რეზიდენციასთან უნდა დაეწვათ, მაგრამ წინა ღამით მოძრაობის ოფისიდან დაუდგენელმა პირებმა გაიტაცეს.** „დაფიქსირებულია გამტაცებელების ავტომანქანა, კერძოდ, „ოპელ ვექტრა“ სახელმწიფო ნომრით ZEZ 236, ასევე 3 პიროვნება და მძღოლი“, — აცხადებენ ახალგაზრდულ მოძრაობაში და ხელისუფლებას მიმართვას უგზავნიან, „ქურდობა-გატაცებებს მოეშვას და პრეზიდენტის ფიტული დააბრუნოს“.

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ჯეფრი სილვერმანი ბრალს სდებს: ცხინვალის წინააღმდეგ ომის დაწყების თარიღი წინასწარ იყო დადგენილი

**რაც უფრო მეტს კითხულობ WikiLeaks-ის მიერ მზის სინათლეზე გამოტანილ საიდუმლო მასალებს, მით უფრო გიძლიერდება სურვილი, გაეცალო ამ სიბინძურეს, ქუდის მოხდით ბოდიში მოუხადო მკითხველს კომენტარებით ამაოდ მოცდენის გამო და დამოუკიდებელი ცურვისთვის დაულოცო გზა.**



აგვისტოს ომის შემდეგ დარჩენილი ნასოფლარები და ნასახლარები

WikiLeaks-ის მიერ ბიძგმიცემული სხვა ბევრი საიდუმლოც გამჟღავნდა ელექტრონულ თუ ტრადიციულ პრესაში, რომლებიც ყროლია. მათ შორის ჩვენი მშობლიური სკანდალიც აგორდა სააკაშვილი-გაჩეჩილაძის (გრეჩიხის) ბინძური გარიგების შესახებ.

ფუი ეშმაკს!

ახლა კი ისა ვთქვათ, რომ 250 ათასი დოკუმენტიდან, რომელთა ხილვის სიამოვნება ჯერ წინა გვაქვს, არც ერთს არ ადევს გრიფი „სრულიად საიდუმლოდ“, ჩვეულებრივი დიპლომატიური მიმოწერაა. მაშასადამე, არსებობს კიდევ უფრო დაფარული და დამალული მოცემულობა, რომლის საფუძველზეც შენდება მსოფლიო პოლიტიკის ლაბირინთები და რომელზეც ხელი ვერავითარ WikiLeaks-ს ვერ მიუწვდება.

**ერთი უტყუარი დასკვნა, რომელიც აშშ დიპლომატიური დოკუმენტების განაყონიდან შეიძლება გავაკეთოთ, არის ის, რომ ამერიკელი ელჩები ჩვეულებრივ კარგად არიან ინფორმირებული იმ ქვეყნებში მიმდინარე პროცესებზე, სადაც მოღვაწეობენ.**

გამონაკლისი, როგორც ირკვევა, აშშ ელჩი საქართველოში ჯონ ტეფტი ყოფილა, რომელიც 2008 წლის აგვისტოს ხუთდღიანი ომის პერიოდში სახელმწიფო დეპარტამენტში აგზავნიდა დოკუმენტებს, რომლებიც სხვა არაფერი იყო, თუ არა **„მიხეილ სააკაშვილისა და სხვა ქართველი ოფიციალური ორატორების** (მათ შორის, ცხადია, კახა ლომაიასა და ეკა ზღულაძის. — ა.ს.) **პროპაგანდისტული „ეკზერსისები“** (სავარჯიშოები).

„დიადი საიდუმლო“ გამჟღავნდა: ჩასძახებდნენ, ამოსძახებდა და კმაყოფილი იყო აქ ეს, იქ — ისინი, რადგან იმარჯვებდა ბუშის პოლიტიკა. ბუში გვარია.

პუბლიკაცია, რომელზეც ვლაპარაკობ, სხვა კუთხითაა გაცილებით საინტერესო, — ავტორის — **ჯონ სიმონიშვილის (ჯეფრი სილვერმანის ფსევდონიმია) „აღიარებითი ჩვენებით“: სააკაშვილის ხელისუფლება რუსეთის ყოვლისმხილველ ჯაშუშურ თვალში გრუ-ს აგენტებს კი ხედავს, მაგრამ საკუთარში ამერიკელი ჯაშუშების დირეს ვერ ამჩნევს.**

დედიმისის შვილია, გაბედავს და იტყვის!

სიმონიშვილი კი, იგივე ჯეფრი სილვერმანი, რომელიც აგვისტოს იმ ცხელ დღეებში საქართველოს სახელმწიფო ტელევიზიაში — „პირველ არხზე“ და პარალელურად თბილისის ადამიანის უფლებათა ცენტრში მუშაობდა, ამბობს, რომ 1981 წელს დაამთავრა სკაუტების მზვერავთა სკოლა, კენტუკის შტატის ქალაქ ფორტ ნოკსში, რომელიც ამერიკული ჯავშანსატანკო ინდუსტრიის ცენტრია. ასეთი ცენტრების ასეთ სკოლებში „კალის ჯარისკაცუნებით“ თამაშს რომ არ ასწავლიან, ეჭვი არ შეგეპაროთ. ჯონ-ჯეფრიც ამას აღიარებს: **„მზადებისას მასწავლიდნენ საბჭოთა ტანკების აფეთქებას, ცეცხლის კორექტირებასა და ფრონტის ხაზს იქით გადასვლას“.**

აი ეს, ყოველმხრივ განსწავლული „ჟურნალისტი“, რომელიც საქართველოში 1991 წლიდან ცხოვრობს, 1993 წლიდან ქართული პასპორტის მფლობელია, „ვარდების რევოლუციის“ შემდგომ პერიოდში (2004 წელთან ახლოს) თავის მეგობარ, **ბრიტანელ ჟურნალისტ როდი სკოტთან ერთად იძიებდა აშშ-ისა და საქართველოს მთავრობათა არააფიშირებულ ურთიერთობებს. როდი სკოტი იმ გამოძიების პროცესში მოკლეს, — წერს ჯონ-ჯეფრი და განგვიმარტავს, თუ რას ქექავდა ასეთი თავგამოდებით: „...მე ვიძიებდი იმას, თუ როგორ ამარაგებდნენ ამერიკული არასამთავრობო ორგანიზაციები საქართველოს სპეცსამსახურებთან ერთად ჩეჩენ მოთარეშეებს** („ბოევიკებს“ — ა.ს.) **ფულით. ეს იყო გულდასმით შემუშავებული გეგმა, რომელზეც აშშ-ის მომზადებისა და მატერიალური უზრუნველყოფის პროგრამის (US TRAIN AND EQIR PROGRAM) ბიუჯეტის 64 მილიონი დოლარი დაიხარჯა“.**

შეისწავლა და: **პანკისის ხეობაში მიმდინარე ამბების მხილებით გამოვდიოდიო „რუსეთის სახელმწიფო ტელევიზიის კომპანია „ვესტის“ ეთერში (!).**

შემდეგ: **„როგორც ყოფილი ამერიკელი სამხედრო, ვმონაწილეობდი საქართველოში ამერიკული იარაღის უკანონო მიწოდების გამოძიებაში“.**

კიდევ: **„მე მქონდა ინფორმაცია ორი ამერიკელის შესახებ, რომლებიც გალის რაიონში ბინძური საქმეებით იყვნენ დაკავებულები და ამზადებდნენ ქართველ სნაიპერებს, რომლებიც 2008 წლის ივლისსა და აგვისტოში სამხრეთ ოსეთში დააკავეს... ამერიკელების მონაწილეობით სნაიპერული კამპანია სამხრეთ ოსეთში სამხედრო მოქმედების დაწყებამდე მიმდინარეობდა. ხოცავდნენ მშვიდობიან მოსახლეობას — ეს კი, როგორც ამერიკის არმიაში ყოფნისას მასწავლეს, სამხედრო დანაშაულია“.**

იგონებს თუ მართალს ამბობს, ვერ გეტყვით, თუმცა ტრაბახობს, რომ **სამხრეთ ოსეთის ომამდე სამი თვით ადრე იცოდა სამხედრო ოპერაციების დაწყების თარიღი...**

ამერიკელი ინსტრუქტორებისგან შევიტყვეო(!). **„თარიღი წინასწარ რომ ვიცოდი, დაადასტურებენ ადამიანის უფლებათა თბილისის ცენტრში, ომამდე ორი თვით ადრე ვაცნობე მათ ამის შესახებ“.**

სააკაშვილი რომ ამტკიცებს, ბოლო მომენტში, სულ უკანასკნელ წამს, რუსების მოქმედებამ გვაიძულა, ომი დაგვეწყოო, იმას რა ვუყოთ?

ჭეშმარიტად — სულერთია მგელი შეგჭამს თუ მგლისფერი ძაღლი.

თუმცა, რა დროს ანდაზებია, როცა ამათ ქვეყანა უკვე შეჭამეს და მოინელეს კიდეც.

ჯეფრი სილვერმანი ომის ნაკვალევს გაჰყვება და ომგადავლილ სოფელ დისევიდან Humarights.ge-ში გამოაქვეყნებს **რეპორტაჟს „ქართველები გასაჭირში — სოფელი დისევი, სამხრეთ ოსეთი“.**

**„დისევში 300 სახლიდან მხოლოდ 20-25 დგას. დანარჩენი მიწასთანაა გასწორებული. სოფელში ამჟამად 30 ადამიანზე ნაკლებია... მათი აბსოლუტური უმრავლესობა 70-80 წლისაა... მოხუცებმა არ იციან, რა ელით მომავალში“.** არსებული რეალობა საქართველოს ხელისუფლების ბრალი შეიძლება იყოსო, ეჭვობს ჯონი-ჯეფრი: **„გამოძიების შედეგად დავადგინე, რომ, შესაძლოა, ქართულმა მხარემ ნებით თუ უნებლიეთ თავისი ქმედებით ამ სოფლის გადაწვა გამოიწვია“.**

პროვოცირებულ ქმედებებზე მიუთითებს ავტორი: **„სოფელი დაუცველი დარჩა იმ დროს, როცა შეიარაღებული კონფლიქტი ოს „ბოევიკებსა“ და ქართულ არმიას შორის დაიწყო ცხინვალში“.**

ეს ერთი.

მეორე. ქართული პოლიცია დისევში 8 აგვისტოს შევიდა და „ადგილობრივებს განუცხადა, რომ მათი სოფლის გვერდით მდებარე ოსურ სოფელ „ხელჩუაში მიდიოდნენ „გაწმენდის“ ჩასატარებლად... ქართული პოლიციის წასვლის შემდეგ ოსებმა იმავე ღამეს „მათ სოფელს დაარტყეს“. ასეთი იყო ოსების რეაქცია ქართული პოლიციის „გაწმენდაზე“ და არა ეთნიკური ნიშნით ჩადებული შურისძიება“.

დასკვნა კი ასეთია: **„დისევიდან დევნილი რესპონდენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ქართულმა მთავრობამ ჯერ კიდევ 1 აგვისტოს იცოდა, რომ დაპირისპირება მოსალოდნელი იყო და 8 აგვისტოს ოსური სოფლის „გაწმენდაც“ დიდი ხნის დაგეგმილი ჰქონდა“.**

კიდევ ერთი დანაშაულიც დაადასტურა ჯეფრი სილვერმანმა, რომელმაც დამოუკიდებელ ფოტოკორესპონდენტ იან ქარვერთან ერთად გამოიძია და დაადგინა, რომ **გორის რაიონის ქართულ სოფლებში კასეტური ჭურვები იყო გამოყენებული.** პრობლემა ისაა, კასეტურ ჭურვებს დიდი რაოდენობით ისვრიან და ამიტომ დიდია ალბათობა იმისა, რომ ყველა კასეტური ბომბი ვერ აფეთქდებოდა. ეს კი ისევე საშიშია მოსახლეობისთვის, როგორც ასაფეთქებლად გამზადებული ნაღმები.

**„აშკარაა,** — წერენ ჟურნალისტები, — **რომ კასეტური ბომბები აგვისტოს ომის დროს ორივე მხარემ გამოიყენა. თუმცა ძნელია ზუსტად დაადგინო, რომელი მხარეა უფრო მეტად დამნაშავე“.**

ომი ომია და, რა თქმა უნდა, აფთიაქის სასწორით დანაშაულის სიმძიმე არ აიწონება. სჭირდება კი აწონვა დანაშაულს, რომლის შესახებაც 2008 წლის 4 ნოემბერს ამერიკულმა გავლენიანმა გაზეთმა **„უოლ სტრიტ ჯორნალმა“** გამოაქვეყნა წერილი სათაურით: **„საქართველომ მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ კასეტური ბომბები გამოიყენა“?**

„ჰიუმან რაითს ვოჩის“ განცხადებით, **ქართული კასეტური ბომბები, სოფელ შინდისის გარდა, „9 ქართულ ქალაქში ჩამოვარდა, მათ შორის არის ისეთი ტერიტორიებიც, რომლებიც საქართველოს მიერ აღიარებული კასეტური ბომბების გამოყენების ადგილიდან შორს მდებარეობს“.**

ამერიკელი ჟურნალისტები ცდილობენ, ოქროს შუალედი დაიცვან, ამბობენ, რომ არ აპირებენ საქართველოს მთავრობის სასარგებლო ან საწინააღმდეგო მოსაზრებების გამოთქმას, მაგრამ, ამასთან, კატეგორიულად აცხადებენ, რომ **უნდა გაირკვეს, ვინ შეუკვეთა კასეტური ჭურვები ან ვისი ბრძანებით მოხდა მათი გამოყენება. თუ დადასტურდება, რომ საქართველომ მართლაც გამოიყენა კასეტური ბომბები საკუთარი მოქალაქეების წინააღმდეგ საკუთარ ტერიტორიაზე, ეს ნიშნავს, რომ ჩადენილია სამხედრო დანაშაული.**

დანაშაულის ჩამდენი კი კონკრეტული პირებია — ბრძანების გამცემიდან შემსრულებლამდე...

მაგრამ აგვისტოს ომში ხომ ჩვენ გავიმარჯვეთ? გამარჯვებულებს კი არ ასამართლებენ...


პლატფორმა ტანკების გადმოსატვირთად, რომელიც ქართულმა მხარემ ომის წინ მოამზადა


კასეტური ბომბები — „საჩუქარი“ მშვიდობიანი მოსახლეობისთვის

**არმაზ სანებლიძე**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

## ბიუჯეტი მცირდება, ჯარი კი — არა



**საქართველოს პარლამენტმა „სამხედრო ძალების რაოდენობის დამტკიცების შესახებ“ კანონპროექტი მიიღო.** 2011 წელს საქართველოს შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობის რაოდენობა ძველ ნიშნულზე შენარჩუნდება და 37 ათასს შეადგენს. ამ ოდენობას საქართველომ 2008 წლის ივლისში მიაღწია. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ თავდაცვის სამინისტროს ბიუჯეტი წინა წლებთან შედარებით მნიშვნელოვნად შემცირებულია. მომავალ წელს ის 661 მილიონ ლარს შეადგენს, მაშინ, როდესაც 2008-ში ის 1,547 მილიარდ ლარს აღწევდა, 2009-ში — 879-ს, 2010-ში კი — 749,5 მილიონ ლარს.

## რუსეთი ახალ რაკეტას ქმნის



**გასულ კვირას ცნობილი გახდა, რომ რუსეთში, უკვე ერთი წელიწადია, ახალი მძიმე კონტინენტთაშორისი ბალისტიკური რაკეტის შექმნაზე მუშაობა მიმდინარეობს.** პროექტის ერთ-ერთი ხელმძღვანელის — არტურ უსენკოვის თქმით, ახალი რაკეტა საბრძოლო მორიგეობაზე „РС-203 Воевода“-ს შეცვლის, ათი ინდივიდუალური დამიზნების ბლოკით აღიჭურვება და საშახტო ბაზირების იქნება. უსენკოვის თქმით, კონსტრუქტორების წინაშე დასახულია ამოცანა, რომ ახალმა რაკეტამ 2050 წლამდე ყველა არსებული და პერსპექტიული რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემის გარღვევა შეძლოს.

## აშშ-ის არმია მზის ენერგიას გამოიყენებს

**აშშ-ის არმიამ მზის პანელებით აღჭურვილი მსუბუქი ტენტების გამოცდა დაიწყო. ასეთი ტენტები გამოყენებული იქნება სამხედროთა ეკიპირებაში შემავალი აკუმულატორების დატენვისთვის, აგრეთვე, რადიოსადგურებისა და კომპიუტერების კვებისთვის.** ნავარაუდევია, რომ ისინი შესაძლებლობას მისცემენ საექსპედიციო რაზმებს, გენერატორებისა და საწვავის მარაგის ტრანსპორტირებისგან გათავისუფლდნენ. ამჟამად სამი ტენტის გამოცდა მიმდინარეობს; ერთ-ერთი მათგანი „TEMPER Fly“ 4,9X6 მეტრის ზომისაა და საათში 800 ვატს გამოიმუშავებს, უფრო მცირე „QUADrant“-ი — 200 ვატს, ხოლო ყველაზე დიდი ტენტი „Power Shade“ — სამ კილოვატს.

## იაპონელებს ჩინეთი აფრთხობს



**იაპონიის მთავრობამ შეიარაღებული ძალების განვითარების ხუთწლიანი პროგრამა დაამტკიცა. ის ახალ საფრთხეებზე რეაგირებისთვის „დინამიური თავდაცვითი სისტემის“ შექმნას ითვალისწინებს.** ასეთ საფრთხეებად მიჩნეულია ჩინეთის სამხედრო, უპირველესად საზღვაო, ძლიერების სწრაფი ზრდა და ჩრდილოეთ კორეის ბირთვული პროგრამა. ტოკიო აპირებს 30%-ით შეამციროს ტანკების პარკი, ხოლო სუბმარინების რაოდენობა პირიქით — 16-დან 22-მდე გაზარდოს და ფლოტის შემადგენლობაში ახალი ხომალდები შეიყვანოს, აგრეთვე, ჩინეთთან სადავო არქიპელაგ სენკაკუს დაცვა გააძლიეროს. პროგრამა დიდ ყურადღებას უთმობს აშშ-თან სამოკავშირეო ურთიერთობების განმტკიცებას; ამის თანახმად, ხარჯები თავდაცვაზე მომავალ 5 წელიწადში 280 მილიარდ დოლარს შეადგენს.

# მიწისქვეშა ომი ავღანეთში

**ინფორმაციებში, რომლებიც ავღანეთიდან მოდის, ხშირად ერთი და იგივე სიუჟეტი ფიგურირებს: მეამბოხეთა რაზმები, რომლებიც კოალიციის ძალებს ამა თუ იმ სოფელში გააფთრებულ წინააღმდეგობას უწევდნენ, მისი აღების შემდეგ, უცნაურად „ქრებიან“, უჩინარდებიან, რამდენიმე დღის შემდეგ კი ისევ იმავე ადგილას ჩნდებიან. ავღანეთში წარმოებული ომების ისტორია მოითხოვს, რომ ასეთ ვითარებაში ადგილობრივი სპეციფიკა, კერძოდ, ჭების მიწისქვეშა სისტემების, ე.წ. ქიარიზების არსებობა გავითვალისწინოთ.**



ქვეყანაში, სადაც მთელი რიგი, უპირველესად, მაღალმთიანი რაიონები წყლის მწვავე ნაკლებობას განიცდიან, სოფლის მოსახლეობისთვის ერთადერთ საშველს გრუნტის წყლები წარმოადგენენ. **თაობიდან თაობამდე ავღანელი გლეხები დაახლოებით 50 მეტრის სიღრმის ჭებს თხრიან და ერთმანეთს მიწისქვეშა გვირაბებით უერთებენ. ვინაიდან ეს სამუშაო უხსოვარი დროიდან მიმდინარეობს, პრაქტიკულად, ნებისმიერი სოფლის სიახლოვეს არსებობს მიწისქვეშა გვირაბების მთელი სისტემა, სადაც ადგილობრივი მეამბოხეები ჯერ ძველი აღმოსავლური იმპერიის ჯარისკაცებს ემალებოდნენ, შემდეგ ინგლისელებსა და საბჭოელებს, ახლა კი ამერიკელებს ემალებიან.**

მათი პოვნა და განეიტრალება ამ ლაბირინთებში საკმაოდ რთულ ამოცანას წარმოადგენს. ერთი შეხედვით, ყველაფერი მარტივია — მესანგრეებმა მიწისქვეშა ლაბირინთები უნდა ააფეთქონ, თუმცა ამის გაკეთება არ შეიძლება, რადგან ეს გლეხებს წყლისა და, შესაბამისად, საარსებო საშუალებების გარეშე დატოვებს; ასეთ სიტუაციაში კი გლეხი დიდი ალბათობით მეამბოხეებს შეუერთდება.

**ამერიკელებს მიწისქვეშა გვირაბებში ბრძოლის სერიოზული გამოცდილება აქვთ, რომელიც ვიეტნამში შეიძინეს, თუმცა ავღანური სპეციფიკა განსხვავებულია. ერთის მხრივ, არ შეიძლება ისეთი აფეთქების მოწყობა, რომელიც ჭას გაანადგურებს; მეორეს მხრივ, მებრძოლებმა, რომლებიც მიწის ზედაპირიდან „ქიარიზებში“ შეღწევას აპირებენ, ჭის სივიწროვის გამო ეს ერთი მეორის მიყოლებით უნდა გააკეთონ, რაც მნიშვნელოვან დანაკარგებს უკავშირდება, რადგან ზემოდან დაშვებული პირველი ჯარისკაცები მოწინააღმდეგის რაზმთან პირისპირ რჩებიან.**

**საბჭოთა სპეცრაზმებმა ასეთი სიტუაციებისთვის სპეციალური ტაქტიკა შეიმუშავეს. ჭების მისადგომების საინჟინრო დაზვერვის შემდეგ, ხდებოდა მისი სიღრმის დადგენა; მას, როგორც წესი, ჩაგდებული ქვის ხმის მიხედვით განსაზღვრავდნენ.** იწყებოდა სპეციალური ასაფეთქებელი მოწყობილობის დამზადება, რისთვისაც, როგორც წესი, გამოიყენებოდა ნადავლი იტალიური ტრანსპორტის საწინააღმდეგო ნაღმები „TS-2,5“ და „TS-6,1“. ერთ სადეტონაციო ზონარზე ჭის ფსკერზე ერთ ნაღმს უშვებდნენ, ხოლო მეორეს — სამი-ოთხი მეტრის სიღრმეზე. თუმცა ვიდრე ეს მოხდებოდა, მოჯაჰედებს დანებებას სთავაზობდნენ, შემდეგ კი ჭაში რამდენიმე ხელყუმბარას („РГД-5“-ს, რადგან „Ф-1“-ი მიწის ქვეშ არც ისე ეფექტურია) ისროდნენ. ეს საჭირო იყო იმისთვის, რომ მოწინააღმდეგეს ზემოდან დაშვებულ ნაღმთან მიახლოება და მისი განეიტრალება ვერ მოეხერ-

ნახატები საბჭოთა ოფიცრის რვეულიდან



# მესამე რაიხის საზენიტო რაკეტები



**მეორე მსოფლიო ომის დროს შეიარაღების გერმანელმა კონსტრუქტორებმა რამდენიმე სფეროში წინ გაუსწრეს თავიანთ კოლეგებს სხვა ქვეყნებიდან; მართვადი საზენიტო რაკეტები ერთ-ერთი ასეთი შემთხვევა იყო. რამდენად ეფექტური იყო ეს იარაღი და შეეძლო თუ არა მას ომის მიმდინარეობაზე სერიოზული გავლენის მოხდენა?**

ფორმალურად მართვადი საზენიტო რაკეტის შექმნის დაკვეთა კონსტრუქტორებმა 1942 წლის ბოლოს მიიღეს, რეალურად კი მასზე მუშაობა გაცილებით ადრე დაიწყო. რაკეტა „Wasserfall“-ის პირველი კონსტრუქტორი ვალტერ ტილი 1943 წლის აგვისტოში, ინგლისელების მიერ პენემიუნდეს სარაკეტო პოლიგონის დაბომბვის დროს დაიღუპა. „Wasserfall“-ი წარმოადგენდა რაკეტა „A-4“-ის („V-2“-ის, იგივე „ფაუ-2“ის პროტოტიპი) კომპაქტურ ვერსიას, სტაბილიზატორების შეცვლილი განლაგებით; ვინაიდან, „ფაუ“-სგან განსხვავებით, ის მუდმივ მზადყოფნაში უნდა ყოფილიყო, მასში განსხვავებული, უფრო სტაბილური შემადგელობის მქონე სარაკეტო საწვავი გამოიყენებოდა.



**რაკეტის დამიზნების სისტემას შემდეგი არქიტექტურა ჰქონდა:**

მასში ჩართული იყო ორი რადიოსალოკაციო სადგური, რომელთაგან ერთი სამიზნის, ხოლო მეორე თავად რაკეტის კოორდინატების დადგენისთვის გამოიყენებოდა. ეს ინფორმაცია, მართვის ცენტრში გადაიცემოდა, სადაც ოპერატორი ეკრანზე ორ წერტილს ხედავდა, რომელთა შეერთებას სპეციალური მოწყობილობის „კნუპელის“ მეშვეობით ახდენდა; **„კნუპელი“ თანამედროვე „ჯოისტიკის“ ერთგვარ პროტოტიპს წარმოადგენდა.**



მონაცემების დამუშავებას და რაკეტის ახალი კურსის გამოთვლას, „Siemens”-ის გამოსათვლელი მანქანები ახდენდა, რომლებსაც თანამედროვე სპეციალისტებმა საინტერესო დახასიათება „თითქმის კომპიუტერები“ მოუძებნეს.

„Wasserfall“-ის გამოცდის შესახებ ინფორმაცია სხვადასხვა წყარო- ▶

საქართველო

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

ხებინა. შემდეგ **ორივე სადეტონაციო ზონარს ერთმანეთს უერთებდნენ და მათზე ჩვეულებრივ „УЗРГМ"-ის ფალიას ამაგრებდნენ. შემდეგ ხდებოდა აფეთქება, რომლის მთავარი ეფექტი შემდეგში მდგომარეობდა: კომბინირებული ასაფეთქებელი მოწყობილობის ზედა ელემენტი წამის რამდენიმე მეათედით ადრე ფეთქდებოდა, ამ აფეთქების შედეგად წარმოქმნილი გაზები ჭის ზედა ნაწილს ერთგვარი „გაზის საცობით" კეტავდა; შესაბამისად, მეორე აფეთქების ტალღა, ზევით კი არა, გვერდით მიდიოდა. სივრცეში ასაფეთქებელი მოწყობილობის ორ ელემენტს შორის მომაკვდინებელი წნევა იქმნებოდა.** თუ „ქიარიზს" ორი შესასვლელი ჰქონდა, გამოიყენებოდა ოთხი ნაღმი, რაც ეფექტს უფრო მეტად ზრდიდა. მას შემდეგ რაც კვამლი იფანტებოდა, ჭაში მებრძოლების ჩასვლა იწყებოდა.

**ვინაიდან მიწისქვეშა ლაბირინთებს ძალიან რთული სტრუქტურა ჰქონდა, საკმაოდ დიდი იყო იმის ალბათობა, რომ მოჯახედების ნაწილი, გამანადგურებელი აფეთქების მიუხედავად, ჯერ კიდევ ცოცხალი იყო.**

საბჭოთა სპეცრაზმელები ამ შემთხვევაშიც საინტერესო ხერხს მიმართავდნენ. **ისინი ჩვეულებრივ სასიგნალო ნაღმებს იყენებდნენ, დახურულ სივრცეში 4-5 ასეთი ნაღმის ერთდროული აფეთქება შემდეგ ეფექტს იძლეოდა:** აფეთქებისა და რამდენიმეწამიანი საშინელი, ჯოჯოხეთური ხმაურის შემდეგ მოწინააღმდეგე ხედავდა, რომ მისი მიმართულებით „ტრასერების" ტალღა მიფრინავდა, რომელიც გვირაბის კედლებს ქაოტურად ეჯახებოდა. ამ სანახაობის ფსიქოლოგიური ეფექტი იმდენად დიდი იყო, რომ კარგად მომზადებული მებრძოლებიც კი ინსტინქტურად მიწაზე ეცემოდნენ და ცდილობდნენ თავი ხელებით დაეფარათ. **დროის ამ მონაკვეთში სპეცრაზმი მნიშვნელოვან უპირატესობას იღებდა. არადა, სასიგნალო ნაღმის აფეთქების შედეგად მიღებული ეს ფსევდო-ტრასერები საშიში სულაც არ არის, თუ ადამიანს მაინც და მაინც თვალში არ მოხვდა.**

**ამ ოპერაციების დროს ჭები არ ზიანდებოდა, საჭირო იყო მხოლოდ მიწისქვეშა ლაბირინთებიდან დაღუპულების ამოყვანა და გვირაბების დასუფთავება. იყო შემთხვევები, როდესაც ასეთი ოპერაციების დროს ორასზე მეტ მოჯაჰედს კლავდნენ და ატყვევებდნენ.**

დღეს „ქიარიზებში" ამერიკელი მებრძოლები დაეხეტებიან, შესაძლოა, სწორედ იმ მიწისქვეშა ლაბირინთებში, სადაც უკვე იბრძოდნენ საბჭოელები, ინგლისელები, სპარსელები და სხვ. ისინი კარგად იბრძოდნენ და გონივრულ ტაქტიკას მიმართავდნენ, თუმცა ისტორიის დაუწერელი კანონის შეცვლა ნამდვილად არ შეეძლოთ: **ამ ქვეყანაში ომის მოგება შეუძლებელია და ყველაზე კარგ გამოსავალს იმ ჯარისთვის, რომელიც ავღანეთში შევიდა, სახლში დროული დაბრუნება წარმოადგენს.**







ებში განსხვავებულია, თუმცა მეტ-ნაკლები სიზუსტით შეიძლება ითქვას, რომ რაკეტის დაახლოებით 50 გაშვებიდან 30% წარმატებული გამოდგა. **ამ რაკეტას ორი კონკურენტი ჰყავდა — „Heinkel"-ის საზენიტო რაკეტა „Hs-117", რომლის დამიზნება რადიოსხივის მეშვეობით ხდებოდა, და 250 კილოგრამი ასაფეთქებელი ნივთიერების გადატანა შეეძლო; მეორე: „M"-ის ფრთოსანი რაკეტა „Enzian", რომელიც რეაქტიული გამანადგურებლის — „Me-163"-ის შექმნის დროს დაბადებულ იდეებს ავითარებდა.** თუმცა არც ერთი ამ რაკეტის სერიული გამოშვება არ დაწყებულა. გადაწყვეტილება ამ სფეროში პრიორიტეტების შესახებ 1943 წლის ივლისში იქნა მიღებული.

**ადოლფ ჰიტლერი უპირატესობას შეტევით შეიარაღებას ანიჭებდა. მან მთავარი აქცენტი „ფაუ-2"-ის გამოყენებაზე გააკეთა, რომლის მეშვეობით ინგლისზე იერიშების მიტანა შეეძლო.** შეიარაღების მინისტრი ალბერტ შპეერი ამას თავის მემუარებში ერთ-ერთ ყველაზე სერიოზულ შეცდომას უწოდებდა: **„ჩვენ ყველა საშუალება „Wasserfall"-ის წარმოებისკენ უნდა მიგვემართა. ამ 8 მეტრის სიგრძის რაკეტას, რომელსაც 15 ათასი მეტრის სიმაღლეზე 300 კილოგრამი ასაფეთქებელი ნივთიერება მიჰქონდა, მოწინააღმდეგის ვერც ერთი ბომბდამშენი ვერ გადაურჩებოდა".** საინტერესოა, რამდენად გამართლებული იყო შპეერის ოპტიმიზმი.

1944 წელს გერმანიის სამრეწველო პოტენციალი თვეში 900 „ფაუ-2"-ის აწყობის შესაძლებლობას იძლეოდა. ექსპერტების გათვლებით, მათ ნაცვლად შეიძლებოდა თვეში დაახლოებით 7000 „Wasserfall"-ის წარმოება (ის უფრო იაფი იყო, ნაკლებ შრომასა და მასალების დახარჯვას მოითხოვდა), თუმცა აქვე უნდა გამოვთვალოთ, **რამდენად ეფექტური შეიძლებოდა ყოფილიყო მისი გამოყენება. ვიეტნამის ომის დროს. ვიეტნამელების საჰაერო თავდაცვის სისტემამ 6800-მდე საზენიტო რაკეტა გამოუშვა და 1163 საჰაერო სამიზნე გაანადგურა, უხეშად რომ ვთქვათ, ერთ თვითმფრინავზე 6 რაკეტა იხარჯებოდა; თანაც ეს გაცილებით სრულყოფილი რაკეტები იყო.**

ჰიპოტეტური საზენიტო-სარაკეტო ბატარეების მოქმედების რადიუსი დაახლოებით 20 კილომეტრი იყო, იმ შემთხვევაშიც კი, თუ რაიხი 1944-ში 300 ახალი ტიპის ბატარეის შექმნას შეძლებდა, ისინი საჰაერო სივრცის მხოლოდ მცირე ნაწილის, სავარაუდოდ, დიდი ქალაქების, გადაფარვას მოახერხებდა. **შესაძლოა, მოკავშირეებს მართლაც მოუხდებოდათ, ქალაქების დაბომბვების შემცირება, თუმცა მათი რეალური სამხედრო ეფექტი, გადამწყვეტი ისედაც არ ყოფილა. რაც შეეხება გერმანიის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურას, მისი სრული დაცვა „Wasserfall"-ების მეშვეობით ფიზიკურად ვერ მოხერხდებოდა.** თუმცა ალბერტ შპეერის მოსაზრებაში გარკვეული ლოგიკა მაინც არის.

„Wasserfall"-ს ომის მიმდინარეობაში გარდატეხის შეტანა არ შეეძლო, მაგრამ მისი გამოყენება მოკავშირეებს, სავარაუდოდ, მეტად დააზარალებდა, ვიდრე იერიშები „ფაუ-2"-ის გამოყენებით, რომელთაც, სამხედრო თვალსაზრისით, მცირე ეფექტი ჰქონდა (ცხადია, როდესაც ამას ვამბობთ, ვგულისხმობთ, რომ კონსტრუქტორები მოახერხებდნენ ამ საზენიტო-სარაკეტო კომპლექსის მიყვანას დამაკმაყოფილებელ კონდიციამდე). **მართალია, 1945 წლის თებერვალში მოხდა ერთგვარი შემობრუნება „WASSERFALL"-ისკენ და სარდლობის გეგმებში წლის ბოლომდე 200 ბატარეის გაშლა შევიდა, თუმცა უკვე გვიანი იყო.**

„Wunderwaffe"-ს (სასწაულმოქმედი იარაღის) შექმნის ეს მცდელობაც უშედეგოდ დასრულდა, ხოლო დოკუმენტაცია და პროტოტიპები ხელთ მოკავშირეებმა, უპირველეს ყოვლისა, საბჭოელებმა და ამერიკელებმა, იგდეს, რომლებმაც გერმანელი კონსტრუქტორების გამოცდილება თავიანთი საზენიტო-სარაკეტო კომპლექსების შექმნის დროს გაითვალისწინეს.

მოამზადა
**გიორგი გიგიბერია**



„WASSERFALL"-ის ამერიკული კოპიო „HERMES A1"

**ადოლფ ჰიტლერი უპირატესობას შეტევით შეიარაღებას ანიჭებდა. მან მთავარი აქცენტი „ფაუ-2"-ის გამოყენებაზე გააკეთა, რომლის მეშვეობით ინგლისზე იერიშების მიტანა შეეძლო**

## გაფრაზებულნი



**დიმიტრი მედვედევი, რფ-ის პრეზიდენტი:**

ეროვნებათშორისი შუღლის გაღვივება ჩვენს ქვეყანაში დაუშვებელია – ეს უმძიმესი დანაშაულია. შესაძლოა, სადღაც სხვა ქვეყნებში ეს გაუვიდეთ, მაგრამ ჩვენთან ვერ გამოვა. თავადაც იცით, ჩვენს ქვეყანაში რამდენი ეროვნებაა და როგორი მნიშვნელობა აქვს რელიგიურ კომპონენტს. თუ ამ დანაშაულებისთვის სასჯელი არსებული სისხლის სამართლის კანონმდებლობით არასაკმარისია, შემომთავაზეთ წინადადებები.

*newsland.ru*



**ვლადიმირ პუტინი, რფ-ის პრემიერ-მინისტრი:**

ექსტრემიზმის ნებისმიერი გამოვლინება უნდა აღიკვეთოს. არ უნდა შევფეროთ რაღაც ფერებით არც კავკასიელები, მით უფრო, რომ ეროვნება კავკასიელი არ არსებობს... ჩვენ უნდა გავთავისუფლდეთ შიშებისგან. რუსეთის ნებისმიერი რეგიონის მოქალაქე ერთნაირად კომფორტულად უნდა გრძნობდეს თავს, სადაც არ უნდა ცხოვრობდეს იგი. ამაში დიდი როლი ეკისრებათ რეგიონულ ხელისუფლებებსა და ადგილობრივ ორგანიზაციებს. რუსეთის ყველა მოქალაქემ, ეროვნებისა და რელიგიური კუთვნილების მიუხედავად, უნდა იცოდეს, რომ ისინი ერთ სახელმწიფოში არიან, ერთი სამშობლო აქვთ.

*novoteka.ru*



**ალექსანდრე ლუკაშენკო, ბელარუსის პრეზიდენტი:**

რუსეთთან კარგი ურთიერთობები გვაქვს და საუკეთესო გვექნება, აშშ-სთან კი, დარწმუნებული ვარ, სულ მცირე, კარგი ურთიერთობა გვექნება.

*interfax.by*



**სერჟ სარგსიანი, სომხეთის პრეზიდენტი:**

დღეს ჩვენი პროგრესისთვის ნომერ პირველი დაბრკოლება მექრთამეობა და კორუფციაა. ამის მიზეზებზე საათობით შეგვიძლია ვისაუბროთ, მაგრამ დღეს ჩვენი ამოცანა ამის დაძლევაა.

*armtoday.info*



**ანდრეი ნესტერენკო, რფ-ის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალური წარმომადგენელი:**

რაც შეეხება აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებული სიტუაციიდან გამოსავალს, მიმაჩნია, რომ ამ საკითხში გამოსავალი თავად აფხაზებთან და ოსებთან უნდა მოიძებნოს. პირდაპირი კონტაქტები უნდა მოხდეს. ქართული დიპლომატიის წარმომადგენლებმა უნდა ეძებონ დიალოგის ფორმა, მაგრამ ეს არ უნდა იყოს უბრალოდ დიალოგი, რომლის დროსაც ყველა ერთმანეთს ადანაშაულებს. აუცილებელია ორმხრივი დისკუსიის წარმართვა. მხარეთაგან თითოეულმა უნდა თქვას, როგორ ხედავს ის თავის პოზიციას. შემდეგ კი უკვე აუცილებელია დაახლოების გზების ძიება. თუმცა ყველაფერი უნდა ხდებოდეს მხოლოდ დიალოგით და მხოლოდ გარკვეული გარანტიებით.

*„ჯი-ეიჩ-ენი"*



**სერგეი მირონოვი, რფ-ის ფედერაციის საბჭოს თავმჯდომარე:**

„პოკლონნაია გორაზე" აღმართული მონუმენტი ხალხის ერთიანობისა და ხსოვნის სიმბოლო იქნება. ისტორიის აფეთქება შეუძლებელია. მონუმენტის აფეთქება შესაძლებელია, მაგრამ ადამიანის მახსოვრობა მტკიცეა; ის მარმარილოსა და გრანიტზე უფრო მყარია და ვინც ფიქრობს, რომ დინამიტი ამ მახსოვრობაზე უფრო ძლიერია, დროა, გაიგოს, ეს ასე არაა.

*itar-tass.ru*



**ნიკოლა სარკოზი, საფრანგეთის პრეზიდენტი:**

საფრანგეთი არ აპირებს, უარი თქვას ევროზე. ასეთი შესაძლებლობა არ განიხილება. ევრო ევროპის სიმბოლოა და მისი ვარდნა კონტინენტზე აფეთქებამდე მიგვიყვანს.

*banki.ru*

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# სპეცოპერაციების მაესტრო

**„მეორე მსოფლიო ომის სპეცნაზი“ — ასე ჰქვია დოკუმენტურ ფილმს, რომელიც მეორე მსოფლიო ომისდროინდელი საბჭოთა სპეცსამსახურების შესახებ ნაკლებად ცნობილ ფაქტებზე დაყრდნობით რეჟისორმა ალექსეი ბისტრიცკიმ 2010 წელს გადაიღო. წამყვანი მარინა ჩუბკინა ისტორიკოსებთან და სხვა სპეციალისტებთან ერთად დივერსიული ოპერაციების სტრატეგიასა და ტაქტიკაზე მოუთხრობს მაყურებელს. სწორედ ამ სტრატეგიამ და ტაქტიკამ იქონია მნიშვნელოვანი გავლენა რუსეთის სპეციალური დანიშნულების რაზმების ჩამოყალიბებასა და განვითარებაზე.**


მარინა ჩუბკინა

მას რუსული სპეცრაზმის მამას უწოდებენ. იგი დივერსიული მოქმედებების უდიდესი თეორეტიკოსი და პრაქტიკოსი იყო. ფრანკომ და ჰიტლერმა პირადად გასცეს მისი განადგურების ბრძანებები, მაგრამ ისინი არ შესრულებულა. მან 100 წლამდე იცოცხლა. მისი სახელი რამდენიმე ნაღმსა და ლომის თანავარსკვლავედის ერთ-ერთ ვარსკვლავს უწოდეს. მის გამოცდილებას იყენებენ სპეცდანიშნულების ჯგუფი „ალფა“, პალესტინელი ბოევიკები და ისრაელის კომანდოსები.
მაშ, ვინ არის იგი — ადამიანი თუ მითი?

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №46

მოსკოვის დანაღმვის ოპერაცია სწრაფად, აბსოლუტურად გასაიდუმლოებულ რეჟიმში და ტექნიკურად იუველირული სიზუსტით განხორციელდა. **იმის შესახებ, რომ საბჭოთა დედაქალაქის ცენტრი ასაფეთქებელი მექანიზმებით იყო მოფენილი, ვერავინ გაიგო — ვერც გერმანიის დაზვერვამ და ვერც სამოქალაქო მოსახლეობამ.**



ამ ფეთქებადი ჯაჭვის მართვის პულტი მოსკოვში, მარხლევსკის ქუჩაზე მდებარე ერთ ჩვეულებრივ ბინაში ინახებოდა. სახლის პატრონმა, მსახიობმა ზოლოტოვამ ამის თაობაზე არაფერი იცოდა. იცოდნენ მხოლოდ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ხელმძღვანელმა პირებმა. ბინას სპეციალური დაცვა დაუნიშნეს. ომისდროინდელ მოსკოვში ამგვარი ბინა რამდენიმე იყო. მათი ბინადრების სიცოცხლესა და უსაფრთხოებაზე პასუხს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის თანამშრომლები აგებდნენ. დაცვა მხოლოდ იმ შემთხვევაში მოიხსნებოდა, თუ იატაკქვეშეთიდან აქტიურ მოქმედებაზე გადასვლის ბრძანება გაიცემოდა.

როდესაც მოსკოვისთვის ბრძოლა დაიწყო, მოწინააღმდეგის ზურგში შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის საგანგებო დანიშნულების მოტომსროლელთა ბრიგადის რაზმების გაგზავნა დაიწყეს. მათ არა მხოლოდ მოწინააღმდეგის შესახებ ინფორმაციის შეგროვება და ცენტრისთვის მისი ოპერატიულად მიწოდება, არამედ მტრის კომუნიკაციებზე დივერსიების მოწყობა, მიმოფანტული პარტიზანული რაზმების ბრიგადებად გაერთიანებაც დაევალათ.


მაქსიმ ტოკარევი, ისტორიკოსი:

— შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის საგანგებო დანიშნულების მოტომსროლელთა ბრიგადა, რომელსაც უკვე სამთვიანი მომზადება ჰქონდა აქტივებში, ნამდვილად ქმედითი ძალა აღმოჩნდა. მისი ათასზე მეტი მებრძოლი და მეთაური, რომლებიც დივერსიისთვის განკუთვნილი რაზმებიდან აირჩნენ, რეგულარულ შენაერთებად გააერთიანეს და გაგზავნეს ძირითადი ტანკსაშიში მიმართულებებით, უპირველეს ყოვლისა, ვოლოკოლონსკისა და ლენინგრადის გზატკეცილებზე რაც შეიძლება მეტი ტანკსაწინააღმდეგო ნაღმებისა და ასაფეთქებლების დასამონტაჟებლად, რათა მოსკოვისკენ მიმავალ გერმანელთა ტემპი მაქსიმალურად შენელებულიყო. ლენინგრადის მიმართულებით მომუშავე განსაკუთრებული დანიშნულების მოტომსროლელთა ბრიგადის ერთ-ერთი რაზმის მეთაურის რანგში 1941 წლის ნოემბერში უკვე ამ ბრიგადის შემადგენლობაში მიიღო ზიარება ევგენი მირკოვსკიმაც.



**1942 წლის იანვარში ოკუპირებულ ტერიტორიაზე მოქმედება დაიწყო თეთრი მოჩვენებების რაზმმა.** ასე უწოდეს გერმანელებმა საბჭოთა მოთხილამურეთა ჯგუფს, რომელიც აბსოლუტურად მოულოდნელად ჩნდებოდა იმ რაიონებში, სადაც არ იყვნენ პარტიზანები, ახორციელებდა დივერსიათა მთელ სერიას და ასევე მოულოდნელად უჩინარდებოდა. **ფაშისტების უკლებლივ ყველა მცდელობა, მიეკვლიათ და დაებლოკათ თეთრი მოჩვენებების რაზმი, სრული წარუმატებლობით სრულდებოდა.** არავინ იცოდა, სად გამოჩნდებოდნენ დივერსანტები მომდევნო ღამეს და ვინ გახდებოდა მათი მორიგი მსხვერპლი.

ხანდახან დივერსანტები დღე-ღამეში 80-დან 100-მდე კილომეტრს გადიოდნენ. ამიტომ მათი გამოჩენის რაიონის წინასწარ განსაზღვრაც კი შეუძლებელი იყო.


ვასილ ხრისტოფოროვი, რფ-ის უშიშროების ფედერალური სამსახურის რეგისტრაციისა და საარქივო ფონდების სამმართველოს უფროსი:

— რაზმის გასანადგურებლად გერმანელებმა არაერთგზის გაგზავნეს ჯგუფები. დასაწყისისთვის მირკოვსკის რაზმის ადგილსამყოფელის დასადგენად განკუთვნილ რაზმებში 8-10 ადამიანი შედიოდა. ამ ადამიანებს ხან ტყვეობიდან გაქცეულთა სახით, ხან ციხიდან გათავისუფლებულთა სახით ნიღბავდნენ, მაგრამ ოპერატიული-სამძებრო სამუშაო მირკოვსკის ჯგუფში საკმაოდ მაღალ დონეზე იდგა და ყველა ასეთი პირი, რომლებიც მირკოვსკის რაზმში გაგზავნეს, ძალიან მალე გამოაშკარავდა, უფრო ადრეც კი, ვიდრე რაზმის ადგილსამყოფელამდე მიაღწევდნენ. ამის შემდეგ, ცხადია, მირკოვსკის ჯგუფის წევრები შესაბამის ზომებს იღებდნენ.

რაზმი ავტონომიურად და თავხედურად მოქმედებდა; ადგილობრივ მოსახლეობასთან



კონტაქტს არ ამყარებდა; პარტიზანებს გვერდს უვლიდა; ცენტრთან რადიოკავშირით უკიდურესად იშვიათად სარგებლობდა. ამიტომ მათი რადიოსიგნალის დაჭერაც კი თითქმის გამორიცხული იყო. გერმანელები ცდილობდნენ, რაზმი თხილამურების ნაკვალევის წყალობით ეპოვათ, მაგრამ ამ კვალსაც ვერ მიყვებოდნენ — დივერსანტების მეთაურმა მშვენივრად იცოდა, როგორ წაეშალა კვალი და როგორ გაქცეოდა მდევარს დათოვლილ ტყეში დამალვით.

**მხოლოდ ომის დამთავრებიდან მრავალი წლის შემდეგ გაიგეს ვეტერანმა გერმანელებმა, რომ თეთრი მოჩვენებები იყვნენ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის საგანგებო დანიშნულების რაზმის — „ფეხოსნების“ წევრები, რომელთაც სათავეში ევგენი მირკოვსკი ედგა.**

სახელი „ფეხოსნები“ მირკოვსკის შემთხვევით არ შეურჩევია. რაზმში ის მხოლოდ და მხოლოდ სპორტმსმენ მოთხილამურეებს იღებდა, თითოეულს ღამეში, სულ მცირე, 100 კილომეტრის მანძილი უნდა გაერბინა. ომის პირველი ზამთრის განმავლობაში შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის საგანგებო დანიშნულების რაზმის შემადგენლობაში მოთხილამურე დივერსანტების რამდენიმე ამგვარი ჯგუფი იყო. მათ შორის „ფეხოსნები“ ყველაზე მაღალ შედეგებს აღწევდნენ. დანარჩენი სპეცრაზმები ნაკლებად წარმატებულნი იყვნენ და თანაც მათ ყოველთვის დანიშნულებისამებრ არ იყენებდნენ.



1942 წლის იანვრის ბოლოს 328-ე მსროლელთა დივიზიის მეთაურის განკარგულებით, დივერსანტ მოთხილამურეთა ერთ-ერთი რაზმი სოფელ ხლუბნევას ასაღებად გაიგზავნა. ამ სოფლიდან ხელისგულივით მოჩანდა გზა, რომლითაც დილით შეტევაზე უნდა გადასულიყვნენ წითელი არმიის ნაწილები. არმიის დაზვერვის მონაცემების თანახმად, ამ სოფელში მოწინააღმდეგის მცირე გარნიზონი იდგა. როდესაც მოთხილამურე დივერსანტებმა დაზვერვა განახორციელეს, გაარკვიეს, რომ იქ ნაღმტყორცნებითა და საარტილერიო შენაერთებით, ასევე, რამდენიმე ტანკით გაძლიერებული მოწინააღმდეგის მთელი ბატალიონი იდგა. თითოეულ სპეცრაზმელზე, სულ მცირე, ოცი გერმანელი ჯარისკაცი მოდიოდა. რაზმის მეთაურმა გადაწყვიტა, სოფელზე პირდაპირ მიეტანათ იერიში.

**მოთხილამურეებმა მოახერხეს, შეუმჩნევლად მოეშორებინათ სოფლის შესასვლელთან მდგარი დარაჯები და რამდენიმე სახლი ჩაეგდოთ ხელთ. ბრძოლა დაიწყო. ხის ქოხს, რომელსაც საბჭოთა**



**მოთხილამურეები აფარებდნენ თავს, გერმანელები ნაღმტყორცნებითა და ტანკებით უტევდნენ. 22 სპეცრაზმელიდან მხოლოდ სამი გადარჩა ცოცხალი, მძიმედ დაიჭრა მეთაური. სოფლის გათავისუფლება ჩვეულებრივ ქვეით ჯარს მოუხდა. მსგავს შემთხვევებში მირკოვსკი სულ სხვაგვარად მოქმედებდა.**

1942 წლის გაზაფხულზე, როდესაც მოსკოვის აღების საფრთხემ გადაიარა, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ხელმძღვანელობამ მიიღო გადაწყვეტილება, სადაზვერვო-დივერსიული ჯგუფების უმეტესობა უკრაინისა და ბელორუსიის ტერიტორიაზე გაეგზავნა. **1942 წლის მარტის შუა რიცხვებში „ფეხოსანთა“ თხუთმეტკაციანმა სპეცჯგუფმა ფრონტის ხაზი გადაკვეთა და ბელორუსიისა და უკრაინის საზღვარზე ფეხით მიდიოდა. სპეცრაზმის უმთავრესი ამოცანა იყო ჩერნიგოვ-ოვრუჩის სარკინიგზო გზის მწყობრიდან გამოყვანა, დაზვერვა და გერმანელი სამხედრო მოსამსახურეების წერტილოვანი განადგურება.**



გერმანულ მწყობრში გარღვევებით, ცნობილი სუროვსკის კარიბჭის გავლით ბელორუსიაში ერთი მეორის მიყოლებით ორი-სამი დღის ინტერვალებით ექვსი ჯგუფი, მათ შორის მაიორ მირკოვსკის რაზმიც, გაიგზავნა. **სულ რაღაც ერთი თვის განმავლობაში „ფეხოსნებმა“ მტრის ზურგში მინიმუმ 600 კილომეტრი გაიარეს. პირველი შეტევა 1943 წლის 29 აპრილს განახორციელეს. თავდაპირველად ჟიტომირის ელექტროსადგური ააფეთქეს, პირველი აფეთქებიდან 40 წუთში კი ქალაქის ტელეგრაფის შენობაც აფეთქდა.**

**ვასილ ხრისტოფოროვი:**

— თავდაპირველად მის წინაშე მდგარი ძირითადი ამოცანა იყო სადაზვერვო ინფორმაციის მოპოვება მოწინააღმდეგის სამხედრო ნაწილების დისლოკაციისა და გადაადგილების შესახებ, მაგრამ, იქიდან გამომდინარე, რომ მირკოვსკის რაზმი გაიზარდა, 350 ადამიანის სადაზვერვო ინფორმაციის მოპოვებაზე დასაქმება მიზანშეწონილი ვერ იქნებოდა. მირკოვსკი თავის რაზმთან ერთად საბრძოლო ოპერაციების შესრულებაზე, დივერსიული აქტების განხორციელებაზე გადავიდა.

ადგილობრივი საოკუპაციო ადმინისტრაციის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა, კომისარმა მეგესმა საგანგებო კრება მოიწვია. ამ ღონისძი-



ების მსვლელობისას ჰიტლერის კომისრის საწერ მაგიდაში შენელებული მოქმედების ნაღმი აფეთქდა და, მაგიდის პატრონის გარდა, შედარებით დაბალი რანგის კიდევ რამდენიმე ჩინოვნიკი შეიწირა. გერმანელებმა ამ ნანგრევებში მოყოლილი მიცვალებულებისა და დაჭრილების გამოყვანა ვერ მოასწრეს, რადგან უკრაინის ნაციონალური გაზეთის რედაქციის შენობაში მორიგი აფეთქების ხმა გაისმა. ოპერაციათა ბრწყინვალე სერიის ფინალი კი რაზმის მებრძოლთა მიერ ქალაქ ჟიტომირის ოფიცერთა სასადილოს შტურმი იყო.

გაგრძელება შემდეგ ნომერში



საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ფოდეი სანკო: «ვიწყებთ მშვიდობიან მოლაპარაკებებს!»



**გარეგნულად იგი ზუსტად ისე გამოიყურებოდა, როგორც ნებისმიერი სიცოცხლისმოყვარული მოხუცი სოლიდურ ასაკში. როგორც მებრძოლები ამბობდნენ, თეთრწვერა სანკო პაპას ხუმრობა უყვარდა. 1998 წლის ოქტომბერში, როდესაც ის-ის იყო სანკოსთვის სიკვდილით დასჯის განაჩენი უნდა გამოეტანათ, მან მოსამართლეს მიაძახა: „მაშ ასე, ვიწყებთ მშვიდობიან მოლაპარაკებებს!“.**

**მშვიდობიანი მოლაპარაკებები, ცხადია, ვერ დაიწყებოდა: იმავე წლის მაისში გაერთიანებული რევოლუციური ფრონტის მებრძოლებმა გაეროს 500 ჯარისკაცი აიყვანეს მძევლად.**

**ამ ფაქტთან დაკავშირებითაც ხუმრობდა სანკო, ამ ჯარისკაცთაგან ზოგი „პანიკის დაწყების შემდეგ დაიმალა“ მეამბოხეებთან, დანარჩენებს კი სოფლებში „გზა აებნათო“. სანკოს გარდა, არავის ეხუმრებოდა, განსაკუთრებით, სიერა-ლეონეს დედაქალაქ ფრიტაუნში.**



## ხალხი სინანულს გამოთქვამდა იმის გამო, რომ ვერ მოასწრო მისთვის ორივე კიდურის მოკვეთა ან ლინჩის წესით გასამართლება

ბრიტანეთის კოლონიზატორული არმიის ერთი უბრალო ჯარისკაციდან ერთ-ერთ ყველაზე სისხლისმსმელ რევოლუციურ ბელადამდე და მრავალწლიანი ორგანიზებული ტერორის მამამთავრამდე — ეს არის გზა, რომელიც ფოდეი სანკომ გაიარა.

**როდესაც 1961 წელს სიერა-ლეონე დამოუკიდებელი სახელმწიფო გახდა, გადამდგარმა კაპრალმა სახელმწიფო გადატრიალების მოწყობა სცადა. ფოდეისთვის ეს ავანტიურა ძალზე სევდიანად დასრულდა — მან თითქმის 20 წელი გაატარა ციხეში. 1980 წელს, გათავისუფლების შემდეგ, სანკო ამერიკის შეერთებულ შტატებში გაემგზავრა. როგორც ამბობდნენ, მის გამგზავრებას კონკრეტული მიზანი ჰქონდა — ფოდეი „შავ მუსლიმანებთან“ — ისლამისტ აფრო-ამერიკელ რასისტებთან იდეების მოსაკრებად ჩავიდა.**

მომავალი აფრიკელი ფიურერის იდეური ზრდა მხოლოდ ამერიკის დამსახურება არ იყო, მოგვიანებით ის მშობლიურ კონტინენტზე დაბრუნდა და ლიბიელი ლიდერის მოამარ კადაფის სასწავლო ბანაკებში განაგრძო „პროფესიული ზრდა“. **სწორედ იქ გაიცნო იმხანად ახალგაზრდა, რიგითი მებრძოლი ლიბერიიდან ჩარლზ ტეილორი — შემდგომში დასავლეთ აფრიკის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი საველე მეთაური, რომელმაც ჯერ პირველი სამოქალაქო ომი მოაწყო ლიბერიაში, 1997 წელს ლიბერიის პრეზიდენტი გახდა, ამის შემდეგ კი არა მხოლოდ მხარს უჭერდა, არამედ იარაღითაც ამარაგებდა მეზობელი სიერა-ლეონეს სამოქალაქო ომში მონაწილე სისხლისმსმელებს.**

სწორედ ტეილორი გახდა ბრიტანეთის ყოფილი კაპრალის მიბაძვის მთავარი ობიექტი და შთაგონების წყარო. მისგანვე ისწავლა სანკომ რევოლუციური ბრძოლის მეთოდები და მიზნის მიღწევის სისხლიანი რიტუალები. **როდესაც 1989 წლის შობის წინ ტეილორმა ლიბერიის დედაქალაქ მონროვიუზე შეტევა დაიწყო, ფოდეიმ მისგან „მეგობრული შეთავაზება“ მიიღო და სანკოს საშუალება მიეცა, პარტიზანული ომის ხელოვნებას პრაქტიკულად დაუფლებოდა, პარალელურად კი უკიდურესი სისასტიკითა და ცივსისხლიანი ცინიზმით გამსჭვალულიყო.**



ორწლიანი „პრაქტიკული კურსის“ წარმატებით დასრულების შემდეგ, ფოდეი სანკო დამოუკიდებელი ოპერაციების განხორციელებას შეექიდა და უკვე მშობლიურ სიერა-ლეონეში მოინდომა სამოქალაქო ომის გაჩაღება.

**როგორც მისმა მეგობარმა და მასწავლებელმა ტეილორმა, ფოდეიმაც ღატაკი გლეხებისა და ბავშვებისგან შეკრიბა არმია. მათ გარდა, გაერთიანებული რევოლუციური ფრონტის რიგებში საპატიო ადგილი ეკავათ ლიბერიელ კაციჭამიებსაც,** რომლებიც ტეილორის გაპრეზიდენტების შემდეგ ფაქტობრივად უსაქმოდ დარჩნენ. სწორედ ამ პერიოდში, 1991 წელს, გამოჩნდა ფოდეი სანკო აფრიკის პოლიტიკურ სცენაზე.

**დაჯილდოებული იყო რა უზადო ორგანიზატორული და ორატორული ნიჭით, მან უჩვეულოდ მოკლე დროში ჩამოაყალიბა „ჯუნგლების არმიად“ წოდებული მრავალათასიანი შეიარაღებული ფორმირება, რომლის ბირთვს სწორედ მოზარდები, ბავშვები და ქვეყნის სახელისუფლო ჯარის დეზერტირები შეადგენდნენ.**

ამ ადამიანებმა სამოქალაქო ომის პერიოდში ყველაზე სისხლიანი ბანდიტების სახელი დაიმკვიდრეს. **„ჯუნგლების არმიის“ მებრძოლები ხოცავდნენ, აუპატიურებდნენ, ძარცვავდნენ და წვავდნენ ყველაფერს, რაზეც კი ხელი მიუწვდებოდათ. თანამებრძოლების საყვარელი გასართობი და ხუმრობა მსხვერპლისთვის ცხვირის, ყურის ან რომელიმე კიდურის მოჭრა და სახლში გაგზავნა იყო. სიერა-ლეონეში ამ დრომდეც დახეტიალობს ათასობით ხეიბარი, რომელთა სხეულსაც „ჯუნგლების არმიის“ მეომართა გართობის კვალი სამუდამოდ აჩყვია.**

სპეციალისტების გათვლით, გაერთიანებული რევოლუციური ფრონტის წევრების ანგარიშზე, სულ მცირე, 50 ათასი ადამიანის მკვლელობაა. სწორედ ამ არმიის სულისჩამდგმელი გახლდათ ფოდეი სანკო და სწორედ ამ არმიასა და ცენტრალური ხელისუფლების ძალებს შორის სიერა-ლეონეში 11 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა უსასტიკესი მკვლელობებით გამორჩეული სამოქალაქო ომი, რომლის დროსაც არაერთხელ შეიცვალა ქვეყნის ხელისუფლება და რომელშიც არაერთი ქვეყნის სამხედრო კონტინგენტი ჩაერია.

ყველაფერი 1991 წელს დაიწყო. მარტში გაერთიანებული რევოლუციური ფრონტის ასამდე მებრძოლმა ყოფილი კაპრალის, სამხედრო ფოტოგრაფის ფოდეი სანკოს მეთაურობით ლიბერიიდან სიერა-ლეონეში შეაბიჯა. **მათ ბრძოლას დემოკრატიისა და აფრიკის ნამდვილი თავისუფლებისთვის ომი ერქვა.**

დროთა განმავლობაში არმიის პირველი შემადგენლობის წევრები დაიხოცნენ, მათ შემცვლელებს კი პოლიტიკური ლოზუნგები აღარც აინტერესებდათ და აღარც სჭირდებოდათ — **ქვეყანაში მასობრივი ძარცვა-გლეჯა და ყოველგვარ მოტივაციას მოკლებული მკვლელობები ყოველდღიურ ცხოვრებად იქცა.** მართალია, პრეზიდენტმა ჟოზეფ მომომ სახელისუფლო ჯარების შემადგენლობა გააორმაგა, მაგრამ სანკოს გაერთიანებულ რევოლუციურ ფრონტს ლიბერიიდან ტეილორი ეხმარებოდა. მომო ჯარს ფულს ვერ უხდიდა, ამიტომ 1992 წლის აპრილში თავისივე ჯარმა ჩამოაგდო, თუმცა სიკვდილს გადაურჩა და ქვეყნიდან გაქცევით უშველა თავს.

ახალი ხელისუფლება მეამბოხეებს მშვიდობიან მოლაპარაკებებსა და კოალიციურ მთავრობას სთავაზობდა, მაგრამ სანკო პრეზიდენტის სავარძელს ითხოვდა. მას ამ სისხლისღვრის დასრულება სულაც არ ეჩქარებოდა. ომმა სანკოსა და მის მომხრეებს ლიბერიიდან და ბურკინა-ფასოდან საშუალება მისცა, აფრიკის კონტინენტის უმდიდრეს ადამიანებად ქცეულიყვნენ. ამ სიმდიდრის საიდუმლოება კი მარტივად აიხსნებოდა: **სანკო თავისი „ჯუნგლების არმიით“ ქვეყნის ალმასის საბადოებს მთლიანად აკონტროლებდა. ძვირფასი ქვების გაყიდვით მიღებული ფულით მეამბოხეები იარაღსა და მებრძოლი სულის შესანარჩუნებლად აუცილებელ ნარკოტიკებს ყიდულობდნენ.**

რვა წლის განმავლობაში სიერა-ლეონეს სოფლებში მშვიდად არავის დაუძინია. გაერთიანებული რევოლუციური ფრონტის მებრძოლებად წოდებული ყაჩაღები აწიოკებდნენ განურჩევლად ყველას, ვის სახლსაც მიადგებოდნენ, წვავდნენ სახლებს, იტაცებდნენ და მონებივით ამუშავებდნენ ქალებს, აუპატიურებდნენ და ხოცავდნენ ყველას — ახალგაზრდებსა თუ მოხუცებს, ბავშვებს კი ნახევრადზომბირებულ ნარკომან მკვლელებად ზრდიდნენ.

**რვა წლის თარეშის შემდეგ „რევოლუცია დემოკრატის სახელით“ მხეცურად ამოწყვეტილი მშვიდობიანი მოსახლეობის სისხლით მორწყული გზებით ქვეყნის დედაქალაქამდეც მივიდა.**

1996 წელს სანკო პირველად გამოვიდა ჯუნგლებიდან, ისიც მშვიდობიან მოლაპარაკებებში მონაწილეობის მისაღებად. უცნაური ნაციონალური ჩაცმულობა, უამრავი თილისმა და პომპონიანი ქუდი — ამგვარად გამოწყობილმა სანკომ ჟურნალისტებზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა. მაგრამ ეს კიდევ არაფერი — „ჯუნგლების არმიის“ მეთაურს თან ამაზონელი ქალწულების ამალა ახლდა. **1997 წლის ოქტომბერში ხელისუფლებასა და გაერთიანებულ რევოლუციურ ფრონტს შორის მშვიდობიანი შეთანხმება გაფორმდა — სანკო ქვეყნის ვიცე-პრეზიდენტი გახდა, მაგრამ ამით არც ძარცვა დასრულებულა და არც მოსახლეობის ხოცვა. ყველაფერი ძველებურად გრძელდებოდა.**

მოგვიანებით გაფორმებული კიდევ ერთი შეთანხმების თანახმად, სანკო სტრატეგიული რესურსების მინისტრად დაინიშნა. რამდენიმე თვეში, მას შემდეგ, რაც ყველა მიხვდა, რომ ქვეყანაში სისხლისღვრას ბოლო არ უჩანდა, სანკო ნიგერიაში დააპატიმრეს და მისი სამშობლოს ხელისუფლებას გადასცეს. სიერა-ლეონის ქუჩები სავსე იყო სანკოს თანამოქალაქეებით, რომელთა გასათავისუფლებლადაც იღწვოდა და რომლებიც ახლა ხმის ჩახლეჩვამდე ყვიროდნენ: **„მოკალით!“**

**ხელისუფლება სიამოვნებით დაეთანხმა ხალხს და 1998 წლის ოქტომბერში ფოდეის სახელმწიფო ღალატისათვის სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს.**

მაგრამ ომი კვლავ გრძელდებოდა. უფრო მეტიც, 1999 წლის იანვარში ამბოხებულები დედაქალაქში შეიჭრნენ. შედეგად 6 ათასი ადამიანი დაიღუპა, ათასობით ბავშვი კი სამუდამოდ დასახიჩრდა — მათ ხელის მტევნები ან მთლიანად მკლავები მოაჭრეს. **სისხლისღვრის როგორმე შესაჩერებლად ხელისუფლება იძულებული გახდა, სანკოსთვის სიცოცხლე შეენარჩუნებინა.**

**უფრო მეტიც, მოაწერა რა ხელი მშვიდობიან შეთანხმებას, „ჯუნგლების არმიის“ ლიდერი ციხიდან გაათავისუფლეს. ისიც და მისი სისხლისმსმელებიც დაუსჯელები დარჩნენ — ხელისუფლებამ მართლმსაჯულებაზე წინ სამოქალაქო მშვიდობა დააყენა.**

არც ეს გამოვიდა — მალე სანკო მთავრობაში დაბრუნდა და გამოაცხადა, რომ რეგულარულად აქვს ხილვები, რომლებიც სწორი გზისკენ მიუთითებს. ცხადია, მის შერაცხადობაში უკვე ყველას სერიოზულად ეპარებოდა ეჭვი, მაგრამ, როგორც გაერთიანებული რევოლუციური ფრონტის ლიდერთან, შესაბამისად კი, ქვეყანაში მშვიდობის ერთადერთ გარანტთან, ღიად ამას ვერავინ გამოხატავდა.

**ცოტა ხანში სანკოს მებრძოლებმა გაეროს 500-მდე სამხედრო აიყვანეს მძევლად. ხალხის ბრბო მიედინებოდა სანკოს რეზიდენციისკენ და ყვიროდა „ფოდეი სანკო სატანაა!“, „ჯუნგლების არმიის“ მეთაურის მებრძოლები კი პირდაპირ ტყვიას უშენდნენ ხალხს და კიდევ ერთხელ ამტკიცებდნენ, რომ სანკოს თანამოქალაქეების სიცოცხლე ყველაზე ნაკლებად ადარდებდა.**

როდესაც ბოლოს და ბოლოს ხელისუფლების ჯარმა სანკოს ვილას ალყა შემოარტყა, ფოდეი იქ აღარ იყო. ამბობდნენ, რომ იგი ჯუნგლებში დაბრუნდა, მაგრამ მომხდარიდან ცოტა ხანში ფოდეი ვილაცამ სიერა-ლეონეს დედაქალაქის ქუჩაში იცნო. მისმა მცველებმა იარაღის ამოღებაც ვერ მოასწრეს, რომ ჯარისკაცებმა სროლა ატეხეს. სანკო ფეხში დაიჭრა.

**მეორე დღეს ქუჩებში ხალხი სინანულს გამოთქვამდა იმის გამო, რომ სანკო ჯარისკაცებმა დაუყოვნებლივ გადასცეს სამართალდამცავებს და ვერ მოასწრეს მისთვის ორივე კიდურის მოკვეთა ან ლინჩის წესით გასამართლება.**

სანკომ სასამართლომდე ვერ იცოცხლა. სამწლიანი პატიმრობის შემდეგ, 2003 წელს, 70 წლის ასაკში ფრიტაუნის ჰოსპიტალში გარდაიცვალა.

გვერდები მოამზადა **მაია სვიანაძე**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net


# მამის ამბები

## ქვემო სვანეთი

**თითქმის ყველა ძველი მოგზაური და მეცნიერი სოფელ თეკალის ჩრდილოეთით, ცხენისწყლის გაღმა, არსებულ მაცხოვრის ეკლესიას სოფელ თეკალს მიაკუთვებს და სპეციალურ ლიტერატურაშიც ასეა შესული. სოფელ მამის მკვიდრნი ამ ამბავს აპროტესტებენ და ამბობენ, რომ ეს შეგნებული შეცდომა მოდის თეკალში მცხოვრები თავად გარდაფხაძეების იმ შთამომავლებიდან, რომლებიც ხეობის სტუმრებს მასპინძლობდნენ და ტაძარს თეკალის კუთვნილებად აცხადებდნენ.**
**ჩვენი ახალი მეგზურები — მამიელი ბონდო ონიანი და მარადი ჯამბურიძე ამტკიცებენ, მაცხოვრის ტაძარი ტერიტორიულად სოფელ მამის ეკუთვნისო. როგორც ჩანს, მდინარის გაღმა მცხოვრები მამიელები მართალნი უნდა იყვნენ, მაგრამ მაცხოვრის მშვენიერი თეთრი ტაძარი თეკალიდანაც რომ ხელის გაწვდენაზეა და აქედან ყველაზე უკეთ მოჩანს, ესეც ფაქტია.**


„მაცხოვრის“ ჩრდილო-დასავლეთ ფასადი


ტაძრის ინტერიერი, ჩრდილო-აღმოსავლეთი კუთხე




XI საუკუნის ხატები: „მაცხოვარი“ და „ღვთისმშობელი“


წარწერა — „ქრისტე შეიწყალე სინელი“

„მაცხოვართან“ მისვლა იოლია. სამანქანო გზით სოფელ მამიში მოვხვდებით, იქიდან კი მარცხნივ უნდა გადავუხვიოთ და სულ რაღაც 300 მეტრი გავიაროთ ფეხით. ქალბატონი როზეტა გუჯეჯიანი, ჩვენი მცირე ექსპედიციის წევრი და ეთნოლოგი, ჩემს ცნობისწადილს აკმაყოფილებს და წინა დღეს ჩაწერილ იმ ლეგენდას მიამბობს, რომელიც მამისაც შეეხება:

„ერთხელ, როცა მამი და სხვა მიმდებარე სოფლები ჟამიანობას უკიდურესად დაუჩაგრავს, მისგან თავის დასაღწევად და სნების დასამარცხებლად, მოსახლეობას ახალი რელიგიური რიტუალი და დღეობა დაუწესებია, რომლისთვისაც **„ხატრე ლისგვიჯინალ“** (ხატის მობრძანება) შეურქმევია. ამ რიტუალურ დღესასწაულში, თურმე, ჩოლურის თემის 3 ძირითადი ეკლესიის და მათ შორის მამის „მაცხოვრის“ მრევლი მონაწილეობდა. **მოთემეები თებერვლის შუა რიცხვებში, ეკლესიების მიხედვით, ცალ-ცალკე იკრიბებოდნენ და კენჭს იყრიდნენ, თუ ვის უნდა რგებოდა ეკლესიის ხატის შინ წამოღების პატივი. კენჭი, თურმე, სამგვარი იყო: ჯვარდასმული, ანათალი და სადა. კენჭებს ქუდში ჩაყრიდნენ და აურევდნენ. რჩეული იყო ის, ვისაც ჯვრიანი კენჭი შეხვდებოდა. იგი, თავის ოჯახთან ერთად, მთელ დღეს იმარხულებდა, საღამოს კი თეთრი ზეწრებით შემოსილნი ტაძრისკენ დაიძრებოდნენ, საიდანაც ხატს ჩამოასვენებდნენ და თავიანთ ოჯახში დააბრძანებდნენ ერთი დღით. მთელ ამ პროცესიაში, წილხვედრიანებთან ერთად, მონაწილეობდნენ და მათ ეხმარებოდნენ ისინი, რომელთაც ანათალი კენჭი შეხვდებოდათ. სადა, უბრალო კენჭის პატრონები რჩეულებს ლოცვასა და ტრაპეზში უერთდებოდნენ. ერთი დღის შემდეგ, საღამო ხანს, ხატს ისევ თავის ადგილზე — ეკლესიაში აბრძანებდნენ ხოლმე და იქ ტოვებდნენ მომავალ წლამდე.**

ქალბატონი როზეტა დასძენს, რომ იგივე რელიგიური დღეობა ეწყობა ზემო სვანეთში, ოღონდ იგი უფრო მასშტაბურია, წმინდა ბარბარეს ხატთან არის დაკავშირებული და **„ლიქურეში“** ჰქვია. ლიქურეშის პროცესია მიემართება სიმღერით: **„მზე შემოაქვთ რქებით ხარებს, მზე შენია, ბარბალ დოლაშ!“.**

ჩემთვის გასაგებია, რომ, ამ მინამღერიდან გამომდინარე, ქრისტიანულ წარმოდგენას წარმართული წარმოდგენაც თან ახლავს, რადგან **მკურნალი წმინდანის ბარბარეს ხატის თაყვანისცემის პარალელურად გაისმის წარმართული სიმღერა ხარის, მზისა და ცეცხლის (ბრბლ) სადიდებლად...**

...ეკლესიას მივადექით.

მამის „მაცხოვარი“ (9,7X6,5 მ) შირიმიის ქვითაა აგებული და ახლახან თეთრად შეულესავთ. გარე კედლებს, ჩრდილოეთ კედლის გარდა, მთელ სიგრძეზე, დეკორატიული თაღები გასდევს: სამხრეთ კედელს — 6, დასავლეთ და აღმოსავლეთ კედლებს — 5=5. დასავლეთის ერთადერთ კარს, რომელიც შიგნიდან თაღოვანია, ხოლო გარედან არქიტრავული, თავზე მარტივი არქივოლტი გადაუდის. აღმოსავლეთ კედელზე არსებულ ძირითად სარკმელს ნალისებრთან მიმსგავსებული ფორმის ღრმა, ქუსლებიანი, თავსართი აქვს. ამდენი თაღის გამოყვანა შირიმის ქვაზე ერთობ რთული საქმეა, მაგრამ ქტიტორიცა და ხუროთმოძღვარიც ზედმეტ შრომასა და ხარჯს არ მორიდებიან. აქედან გამომდინარე, ეკლესიის ამჟამინდელი შეთეთრება, მიუხედავად იმისა, რომ შორიდან კარგად იმზირება, მაინც გაუმართლებელია, ტაძრის მდიდრული ფასადები ჩამქრალია. ეს არის ქვემო სვანეთის ერთადერთი ეკლესია, რომელსაც სრულყოფილი და თანაც ორსართულიანი სამკვეთლო და სადიაკვნო აქვს. სამკვეთლოს ერთი კარი საკურთხეველში გადის, მეორე — დარბაზში. ტაძრის გრძივი კედლები დაყოფილია სამსაფეხურიანი მძლავრი პილასტრის კაპიტელებიდან კამარაზე გადასული წყვილ-წყვილი ყრუ თაღებით. ხუროთმოძღვრული ნიშნებით მამის „მაცხოვარი“ X-XI საუკუნის ტაძარია, ხოლო მისი ჩინებული მხატვრობა, რომელიც ფრაგმენტულად არის შემორჩენილი (ყველაზე უკეთ კონქში მოთავსებული მაცხოვრის ფრესკა გამოიყურება), ვფიქრობთ, საუკუნით გვიანდელი უნდა იყოს. საყდრისა და ტვიბის ტაძრების მხატვრობისაგან განსხვავებით, აქ ოქროსფერი არ ჭარბობს, ხოლო ფონი მუქი ლურჯია. გარდა ამისა დათარიღებისათვის ბიძგს გვაძლევს სამხრეთ კედლის აღმოსავლეთ პილასტრის შემორჩენილი ფრესკული წარწერა წითელ და თეთრ სიბრტყეზე, რომელიც პალეოგრაფიულად სწორედ XI-XII საუკუნეთა მიჯნაზე მიგვანიშნებს: **„ქრისტე, შეიწყალე სინელი“.** ვფიქრობთ, რომ ეს ის სინელი ხუცესია, რომელიც ზემო სვანეთში, ადიშის მაცხოვრისა და მთავარანგელოზის ეკლესიების ნაკაწრ წარწერებში გვხვდება.

საყდარში შემონახულია გვიანდელი პერიოდის მაცხოვრის ფერწერული ხატი და კიდევ ერთი მაცხოვრის ხატის ფრაგმენტი მოოქროვილი ვერცხლის ფირფიტებით. ეს უკანასკნელი ექვთიმე თაყაიშვილის დროს, ე.ი. 100 წლის წინათ, უკეთეს მდგომარეობაში ყოფილა, რადგან სახელოვანი მკვლევარი ხატის ნაკვთებსაც კი აღწერს, რაც დღეს შეუძლებელია. ჭედური წარწერა ასე თუ ისე შემორჩენილია. წმ. ექვთიმეს იგი ასე აქვს წაკითხული: **„მაცხოვარო ლაშარისაო (თუ ლაშერისაო) აშენე მშენებელი შენი იესე, რომელმან მოჭედა წმიდაი ესე ხატი მამასახლისობასა გელაისა დეკანოზისა. ქ. მაცხოვარო ლაშარისაო (თუ ლეშერისაო) შეიწყალე იოანე დეკანოზი“.**

ექვთიმე თაყაიშვილი იმასაც კი ფიქრობდა, რომ ხატი, შეიძლება, ლაშარის სალოცავიდან იყო ჩამოტანილი, მაგრამ გავბედავთ და ვიტყვით, რომ დაქარაგმებულ სიტყვაში „ლშრისა“, ალბათ, მეზობლად მდებარე სოფელი ლეუშერი უფრო უნდა იგულისხმებოდეს, სადაც, სასაფლაოს ტერიტორიაზე, ძველი ეკლესიის ნაფუძარზე, XX საუკუნეში ახალი ეკლესია ააგეს, ოღონდ მთავარანგელოზის სახელზე აკურთხეს. ხატი, რომ მამის მაცხოვრის ტაძარში გვიან არის მიტანილი, ამას სხვა გარემოებაც ადასტურებს: წარწერა, პალეოგრაფიული ნიშნებით, XIV საუკუნეზე ადრინდელი არაა, მაშინ როცა მამის „მაცხოვარი“ X-XI საუკუნეთა მიჯნის ძეგლია.

ტაძარში ხის კანკელის თავზე ძველებურად არის აღმართული დიდი, საწინამძღვრო ჯვარი, რომელზეც რამდენიმე ვერცხლის ფირფიტაა შემორჩენილი. **მაცხოვრისა და ღვთისმშობლის ძველი, უმთავრესი ჭედური ხატები კარგა ხნის წინათაა დაკარგული. ისინი თითქმის, ტაძრის თანადროული იყო და ორივე მათგანი მხოლოდ დ. ერმაკოვის ფოტოებმა შემოგვინახა. გიორგი ჩუბინაშვილი მათ XI საუკუნით ათარიღებს და უმაღლეს შეფასებას აძლევს. ასე მაგალითად, მას მიაჩნია, რომ თეკალის „ღვთისმშობელი“ დამოუკიდებელი ხელწერის მქონე ივერიის ღვთისმშობლის ხატის და მისი ჯგუფის ნაწარმოებების ერთი უნიკალური ნიმუშია** (იხ. გ. ჩუბინაშვილი „ქართული ოქრომჭედლობა“ გვ. 241). ხატს ასევე მაღალ შეფასებას აძლევდნენ ნ. კონდაკოვა და გრაფინია უვაროვა. გ. ჩუბინაშვილი თეკალის მაცხოვრის ჭედურ ხატს, მესტიის „მაცხოვარს“ ადარებდა.


სოფელ მამის კოშკი

...ვტოვებთ ტაძრის ტერიტორიას და სოფელში შევდივართ, რომელიც ნელ-ნელა იცლება მეწყერსაშიში ზონის გამო (ექსპედიციის წევრებს გვიჩნდება შეკითხვა: სოფლის სახელწოდება „მამი“ წმინდა მამაის გამოძახილი ხომ არ არის?). აქ ერთი კარგად შემონახული კოშკი და XX საუკუნეში აგებული წმინდა გიორგის (ჯგრაგ) მცირე ეკლესია დგას. მის წინ ძველი ქვაჯვარი დევს. იგი, თურმე, აქედან აღმოსავლეთით, 2 კილომეტრში არსებულ ნასოფლარ ედიყის ეკლესიის კუთვნილება ყოფილა, მაგრამ იგი 1954 წელს დაუშლიათ თეკალის ჰესის მშენებლობისათვის საჭირო ქვების გამო. 1961 წელს ჰესი გაუქმებულა და ძველი ქვებიდან მხოლოდ მცირე ნაწილი დაუბრუნებიათ ნასოფლარში. საინტერესოა თვით ედიყის ისტორიაც: **ერთხელ ხეობაში ყაბარდოელი მოთარეშეები შემოჭრილან. მთავარი დარტყმა, თურმე, ედიყელებს მიუღიათ, სადაც უმეტესად ყიფიანები ცხოვრობდნენ. ერთ-ერთ ყიფიანს (თუ არ ვცდები, ოთარს), გამორჩეულ მოლაშქრეს, თანასოფლელებისათვის უწინამძღვრია, მტერი დაუმარცხებია და გაურეკავს, მაგრამ უკან დაბრუნებულს დანგრეული ედიყი რომ უნახავს, ზემო სვანეთში, სოფელ წვირმში გადასახლებულა თავისიანებით.**

ვინ იცის, მამის კოშკი, ედიყელი ოთარ ყიფიანის აგებულიც კი იყოს დიდი ხნის წინათ...

**გელა ქოქიაშვილი**
ავტორის ფოტოები

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# რუსეთ-ოსმალეთის ომი

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №41-46

**ბორჯომის ხეობის დაპყრობა, რომელიც ამიერიდან და სამუდამოდ რუსეთის ხელისუფლების გავლენის ქვეშ მოექცა, იყო სასიკეთო მონაპოვარი მეზობელი ქვეყნებისთვისაც. ამჟამად ბორჯომი თავისი შემოგარენით კარგი დასასვენებელი ადგილია ზაფხულის სიცხით შეწუხებული ივერიელებისთვის. ასე არ იყო მაშინ, როცა პასკევიჩის ძლევამოსილი არმია მოვიდა ამ მხარეში. ხალხმა უცნაური და საშიში ლეგენდები შეთხზა ბორჯომის ველურ ტევრებზე, იმ არარეალურ ძალებზე, სულებზე, რომლებიც ცხოვრობდნენ ამ ტყეში და თავიანთი ჯადოქრობით ადამიანის სუსტ გონებას ატყვევებდნენ.**



აი, რას მოგვითხრობს უძველესი თქმულება:

**„აისი გაილია. კლდეებს შორის, დაბლა, ველურივით ისე მიბღავის მტკვარი, რომ მისი ხმა გარემოს აყრუებს. მთვლემარე ტყეში, ნაცრისფერ ნისლში გახვეულ მთის მწვერვალზე ხელში ნაჯახით ჩაფიქრებული იდგა გიგოლა, რომელიც თვალგაშტერებული მისჩერებოდა მაღალ, საუკუნოვან ფიჭვს. გიგოლას თავისი ცხოვრება ფუჭი და ცარიელი ეჩვენებოდა, რადგან შავთვალება მაიკო, რომელიც შეუყვარდა, სხვისი საცოლე გახლდათ.**

**ამ ფიჭვის ძირში მუშაობით დაღლილ გიგოლას არაერთხელ უოცნებია თავის შავთვალებაზე და ამ ხისთვის უსიტყვოდ გაუმხელია თავისი ფიქრები. ფიჭვის წიწვების შრიალი მას საყვარელი ქალის ჩურჩულად ეჩვენებოდა. დროთა განმავლობაში ამ ხეს იგი რაღაც მაგიური ძალით მიეჯაჭვა, იცავდა მას, ვინმეს რომ არ მოეჭრა. ეს მოჯადოებული სიტუაცია აღიზიანებდა გიგოლას და ერთხელაც ნაჯახი მოუქნია ფიჭვს მოსაჭრელად, მაგრამ ჰოი, საოცრებავ, ღმერთო დიდებულო! ფიჭვის ნაცვლად მის წინ მაიკო იდგა, თეთრებში გამოწყობილი და ხელებს მისკენ იშვერდა. გიგოლა გაიწია მის მოსახვევად და ცივ ხეს დაეჯახა.**

**ნისლები მიცურავდნენ მთის მწვერვალებზე, ეს უზარმაზარი ხეები გიგანტური გველებივით იგრიხებოდნენ და ნისლში იკარგებოდნენ.**

**გიგოლა შიშისგან კანკალებდა და ცივი ოფლი უცვარავდა სახეს. მან უკან დაიხია, ფიჭვი კვლავ მაგიური ძალით თავისკენ ექაჩებოდა. გიგოლამ მიმოიხედა — ისევ მოეჩვენა ქალწული, რომელიც მისკენ ხელებს იშვერდა. ვიღაცის ბოროტი ხარხარი კი აყრუებდა იქაურობას. შურისძიებით ანთებულმა გიგოლამ შემოჰკრა ხეს ნაჯახი. საშინელმა კვნესამ შეარყია იქაურობა და ხის ნაჭრილობევიდან ამოხეთქილმა სისხლმა სახე და გულისპირი დაუსვარა ყმაწვილს. უბედური გიგოლა ტყეში გაიქცა და უგონოდ დაეცა სველ მიწაზე. ქარიშხალი კი მძვინვარებდა ხეობაში, ამტვრევდა საუკუნოვან ხეებს...**

**იმ ღამის შემდეგ გიგოლა ჭკუიდან შეიშალა, სულ ელანდებოდა მკერდგაპობილი საყვარელი ქალი, რომელიც მისკენ მკლავებს იშვერდა. საბრალო ვაჟმა თავისი უბედური სიცოცხლის თვითმკვლელობით დასრულება გადაწყვიტა. გადაეშვა აქაფებულ მდინარეში და დინებას მიჰყვა. მან ერთი ახედა ჩიბისხევის კლდეებს და — სისხლი ძარღვებში გაეყინა. მაიკო იდგა სულ თეთრებში ხელებგაწვდილი და ველური კისკისით აზანზარებდა შემოგარენს.**

**ამ საშინელმა სურათმა ძალა და გონება წაართვა გიგოლას. აქაფებული მდინარის ტალღებში იგი კლდეს მიენარცხა. მომაკვდავ გიგოლას ესმოდა მაიკოს სიცილი და ხედავდა, როგორ ექცეოდა მის მკლავებში“.**

მას შემდეგ მრავალი საუკუნე გავიდა. ამ ველურ ხეობაში სხვადასხვა ისტორიული სურათი ცვლიდა ერთმანეთს და მარადისობაში გადადიოდა.

აწყურიდან არც თუ ისე შორს, უზარმაზარ ტყეში, ახლაც არის ერთი ეკლესიის ნანგრევები, სადაც, ძველების გადმოცემით, ინახებოდა რომელიღაც ძველი წიგნი. ამის შესახებ ყველამ იცოდა, მაგრამ არავინ დაინტერესებულა, შეეღწია საუკუნეთა სიღრმეში და გაერკვია, როდის და რა ვითარებაში არსებობდა ეს უძველესი ეკლესია. მხოლოდ მაშინ, **როცა აწყური რუსების ხელში გადავიდა და საიდუმლო წიგნის არსებობის ამბავმა საქართველოს ეგზარხოსის, ისიდორეს ყურამდე მიაღწია, დაიწყო მისი მოძიება.** ისიდორემ 1849 წელს დაავალა მღვდელ გამრეკულოვს, მოეძებნა დავიწყებული ტაძარი და საოცარი წიგნი, რომელშიც, შესაძლებელია, ინახებოდა გასაღები საუკუნეთა მანძილზე დაგროვილი და ჯერაც უცნობი მრავალი ისტორიული ფაქტებისა და მოვლენებისა.

გამრეკულოვმა აწყურში ერთი მუსლიმანი იპოვა, სახელად დადო, უკვე საკმაოდ მოხუცი. მან მღვდელს უთხრა, რომ სადღაც ოცდაათი წლის წინათ მან თავისი თვალით ნახა ეს წმიდა წიგნი. მისი სიტყვებით, **ამ წიგნისადმი ლეკების პატივისცემა იმდენად დიდი იყო, რომ ყაჩაღთა ხელმაც ვერ გაბედა, მის წმიდა ფურცლებს შეხებოდა და რომ იგი იცავდა ქრისტიანული ტაძრის ნარჩენებს საბოლოო დანგრევისგან.**

ეკლესია, რომელშიც გამრეკულოვი მიიყვანა დადომ, უღრან ტყეში მდებარეობდა, აწყურიდან ექვსი საათის სავალზე. ეს იყო ტაძარი, რომლის გარშემო მოსახლეობის არანაირი კვალი არ ჩანდა. ალბათ, ამიტომ ცოტა ვინმემ თუ იცოდა მისი არსებობის შესახებ.

**არც თუ ისე დიდი ზომის ეკლესია, გაუძლო რა საუკუნეების სიმძიმეს, ახლა ისე გამოიყურებოდა, რომ შეიძლებოდა მის მშვენიერებასა და არქიტექტურის სილამაზეზე მსჯელობა. მასში შემონახული იყო ქვაზე ამოტვიფრული ორი ხატი. დროს წაეშალა მათი სახეები, მხოლოდ ერთ ქვაზე შემორჩენილიყო ჯვრის ამაღლების გამოსახულება.** აქვე იყო ზემოთ ხსენებული წიგნი, რომელსაც, დადოს სიტყვებით, თურქთა ბატონობის დროსაც არავინ შეხებია. სამწუხაროდ, გამრეკულოვმა იპოვა წიგნის მხოლოდ ტყავის სქელი გარეკანი, მისი ფურცლები, როგორც ჩანს, მელიებმა შეჭამეს.

ამგვარად, ქრისტიანული წიგნის სიბრძნე სამუდამოდ ამოუცნობი დარჩა.

**აწყურის დაკავების შემდეგ მალე იგივე ბედი გაიზიარა ახალციხის საფაშოს კიდევ ერთმა პუნქტმა — არდაგანმა, მაგრამ მისი დაპყრობა ძალის გამოყენებით მოუხდათ ყარსში დარჩენილ ჯარის ნაწილებს.**

მაშინ, როცა პასკევიჩი ახალციხეს უტევდა, ყარსში შავი ჭირი მძვინვარებდა, ციხესიმაგრის გარნიზონმა კი, რომელიც ყირიმის ქვეითთა პოლკისგან შედგებოდა, ავადმყოფობისგან დიდად იზარალა. სხვა ჯარები გადაურჩნენ ამ უბედურებას. არც მოწინააღმდეგე აწუხებდა მათ. საგანგაშო წუთების გადატანა გარნიზონს მხოლოდ მაშინ მოუხდა, როცა კიოს მუჰამედ-ფაშა აგვისტოს დასაწყისში ყარსის შემოგარენში გამოჩნდა. მაგრამ თურქები მალე გაშორდნენ ახალციხეს და ყოველგვარი საშიშროებაც გაქრა.

ყარსის მეზობლად დარჩა მხოლოდ ცხენოსანი რაზმები. ერთი ასეთი რაზმი 7 აგვისტოს ციხესიმაგრიდან 10 ვერსით დაშორებულ სოფელს თავს დაესხა. განგაშზე ორასი კაზაკი გამოვარდა ყარსიდან. მათი საქმე ცუდად იქნებოდა, დროულად რომ არ წამოშველებოდა ეგერთა ბატალიონი ოთხი ქვემეხით და სომეხთა ცხენოსანი რაზმი. თურქები გაჩაღებულმა ცეცხლმა სხვადასხვა მხარეს გაფანტა. კაზაკები და სომხები ფეხდაფეხ მისდევდნენ მათ ოცდაათი ვერსის მანძილზე, თითქმის სოღანლუღის მთებამდე. ტყვეები ცოტანი იყვნენ, მაგრამ მათ შორის თვით მეთაურ ხამიდ-ბეკი გახლდათ, რომელიც კაზაკებმა მაშინ აიყვანეს, როცა ცხენი მოუკლეს. ეს ფრიად მნიშვნელოვანი პიროვნება იყო. მის სამ ძმას მაღალი თანამდებობები ეჭირა თურქულ არმიაში და სამივენი ფაშები იყვნენ. ყარსში ხამადმა აღნიშნა, რომ ის არასდროს გადაწყვეტდა ამ ბრძოლას, არასწორი ინფორმაცია რომ არ ჰქონოდა რუსთა სამხედრო ძალის თაობაზე. ის დაბეჯითებით ითხოვდა, ეჩვენებინათ მისთვის ის ხალხი და ქვემეხები, რომლებსაც შეეძლოთ დასწეოდნენ გაქანებულ ცხენოსნებს.

**რამდენიმე დღის შემდეგ ყარსში მოვიდა ცნობა, რომ თურქთა ჯარები (დამარცხებული 9 აგვისტოს) ახალციხიდან გარბიან. გენერალმა ბერხმანმა იმავე წუთს ციხესიმაგრიდან არდაღანში ოთხი ქვემეხით და სამი ათასი ცხენოსნით თავად პოდპოლკოვნიკ ბეკოვიჩ-ჩერკასკის მეთაურობით ეგერთა ორი ბატალიონი გაგზავნა, რათა გაქცეულ თურქებს ჯავრი მშვიდობიან მოსახლეობაზე არ ამოეყარათ. არც შემცდარა. ყველა სოფელი, რომელიც თავადმა ბეკოვიჩმა გაიარა, ცარიელი იყო. თურქებმა იქ მცხოვრები სომხები თავიანთი ავლადიდებით წინ გაირეკეს და გზას გაუყვნენ.**

17 აგვისტოს, დილით, როცა თავადი ბეკოვიჩი სიმაღლიდან გარემოს ზვერავდა, დაინახა, სომეხთა ბანაკიდან ერთი მხედარი ცხენს მოაგელვებდა. მან ბეკოვიჩს აუწყა, რომ **თურქები არზრუმში მიდიოდნენ და სომხებს აჩქარებდნენ, ურმები სწრაფად წაეყვანათ. და თუ რუსის ჯარი დროზე არ დაეწეოდა, ამ ხალხის უკან დაბრუნება შეუძლებელი გახდებოდა,** რადგან მათგან რამდენიმე ვერსის დაშორებით დიდი ხეობა იწყებოდა, სადაც თურქებს თავდაცვისთვის ყველა პირობა ექნებოდათ.

თავადმა ბეკოვიჩმა წასვლის ბრძანება გასცა. მან უკვე სომხებისგან იცოდა, რომ ფაშას განკარგულებაში ათასი რჩეული ქურთი და სამი ათასამდე თურქული მხედრიონი იყო. დილით, ათი საათისთვის, მათ დაინახეს თურქული ჯარები. თურქებისთვის ეს იმდენად მოულოდნელი იყო, რომ მიატოვეს სომეხთა ურმები და არდაღანის ციხესიმაგრეს მიაშურეს თავის გადასარჩენად.

**ვასილი პოტო**
**ხუთტომეული ნაშრომიდან „კავკასიის ომი“**

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**




გამოვიდა სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალის
«ისტორიული მემკვიდრეობა»
მეთორმეტე ნომერი

ჟურნალი დღევანდელობის აქტუალურ საკითხებსაც ეხმიანება და ქვეყნის ახლო თუ შორეულ წარსულსაც ვრცლად მიმოიხილავს. პრობლემები, რომლებზეც „ისტორიული მემკვიდრეობის“ ფურცლებზე მსჯელობენ, უთუოდ მიიქცევს მკითხველთა ყურადღებას, რადგან „ისტორიული მემკვიდრეობა“ საქართველოს წარსულსა და აწმყოს ობიექტურად ასახავს.
ჟურნალის რედაქტორია თემურ ქორიძე.




არასამთავრობო ორგანიზაციამ — „ისტორიული მემკვიდრეობა“ — გამოსცა ისტორიული დოკუმენტების კრებულთა სერია, რომელიც XVII-XIX საუკუნეების საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანეს მოვლენებს ეხება. კრებულები გამიზნულია მკითხველთა ფართო წრისათვის, რამეთუ პოლიტიკური კონიუნქტურის გარეშე, მხოლოდ ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობით ასახავს წარსულ სინამდვილეს. თუკი გავითვალისწინებთ ისტორიული ფაქტებით მანიპულირების მზარდ და საშიშ ტენდენციას, გამოცემა ფრიად დროული და აქტუალურია. მსურველებს კრებულების შეძენა შეუძლიათ წიგნის მაღაზიებში. დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ: 34-32-95.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

# დროპას ქვები

**1936 წელს ჩინელმა არქეოლოგებმა 10 ათასი წლისწინანდელი ქვები იპოვეს, თუმცა მათზე დატანილი ჩანაწერების გაშიფრვა მხოლოდ 1960 წელს მოხერხდა. ჩანაწერები იმდენად დაუჯერებელი შინაარსის აღმოჩნდა, რომ პეკინის ისტორიის სამინისტრომ მათი გამოქვეყნება აკრძალა. წლების შემდეგ ჩანაწერები მაინც გამოქვეყნდა და ისინი იმდენად სკანდალურია, რომ ქვებისა და ჩანაწერების სერიოზულად შესწავლას ვერავინ ბედავს.**







ჩინეთსა და ტიბეტს ერთმანეთისგან ბენ-კარა-ულას მთები ყოფს. უხსოვარი დროიდან გავრცელებული ლეგენდების მიხედვით, ამ მთებში გამოქვაბულებისა და მიწისქვეშა გვირაბების საიდუმლო სისტემა არსებობდა. 1936 წელს მთებში ჩინური ექსპედიცია გაემგზავრა სპეციალური მისიით. ერთ-ერთ გამოქვაბულში აღმოაჩინეს უძველესი სამარხი, სადაც ადამიანის მსგავსი არსების ჩონჩხები იყო. თავდაპირველად ჩონჩხები გორილას მიამსგავსეს, მაგრამ კარგად შესწავლის შემდეგ დადგინდა, რომ ეს არსებები მაიმუნები არ იყვნენ.

**გამოქვაბულის დეტალურად გამოკვლევის შემდეგ მეცნიერებმა მიწაში სანახევროდ ჩაფლული უჩვეულო ქვები იპოვეს, რომელსაც გონიერი ადამიანის ხელი ეტყობოდა, რადგან დიდი ოსტატობით დამუშავებულ ქვის დისკებზე სპირალური ჩანაწერი იკითხებოდა. გამოქვაბულში 716 უცნაური არსების ჩონჩხი და ამდენივე ქვა აღმოაჩინეს.**









მეცნიერთა ჯგუფმა დიდი ხნის მუშაობის შედეგად ნელ-ნელა გაშიფრა ქვაზე დატანილი სიტყვები, თუმცა მისმა შინაარსმა ყველა გააოგნა. **„ჩანაწერი ქვის ფირფიტებზე დედამიწის 10 ათასი წლის წინანდელი სტუმრების შესახებ“ უამრავი დაბრკოლების გადალახვის შედეგად გამოქვეყნდა.**

დროპას დისკებზე მოთხრობილია იმ კოსმოსური ხომალდის ისტორია, რომელიც დედამიწაზე შორეული პლანეტიდან მოფრინდა და ხომალდის დაზიანების გამო იძულებული გახდა, ბენ-კარა-ულას მთებთან დაშვებულიყო. **უცხოპლანეტელებმა ჰიმალაის მთებს შეაფარეს თავი და გამოქვაბულებში დასახლდნენ.** სამტროდ არ ჩამოსულან, თუმცა, ეს ჰიმალაის ადგილობრივ მოსახლეობას ვერ გააგებინეს და რამდენჯერმე შეებრძოლნენ კიდეც.

**როგორც ქვებზე დატანილი ჩანაწერებიდან გახდა ცნობილი, დროპას ტომი მალე საკუთარი ხომალდის შეკეთებას შეუდგა, მაგრამ ის სერიოზულად იყო დაზიანებული, ვერ შეაკეთეს და ვერც საკუთარ პლანეტაზე დაბრუნდნენ.**

დღეს ჰიმალაის მთებში სხვებისგან განცალკევებით ორი ტომი ცხოვრობს, რომლებიც საკუთარ თავს ჰენისა და დროპას ეძახიან. შესაძლოა, რომელიმე მათგანი სწორედ იმ უცხოპლანეტელთა შთამომავლები იყვნენ, რადგან მეცნიერებს დღესაც უჭირთ ამ ტომის წარმომადგენელთა რომელიმე კონკრეტული რასისთვის მიკუთვნება. გარეგნულად ისინი არც ჩინელებს ჰგვანან და არც ტიბეტელებს, აქვთ თხელი, თითქმის გამჭირვალე კანი, არაპროპორციული აღნაგობა, კიტრივით წაგრძელებული თავები და აზიელებისთვის უჩვეულოდ დიდი თვალები.

**დროპას ქვები და დროპას ტომი არქეოლოგებისა და ისტორიკოსებისთვის დღემდე გამოცანად რჩება. ჯერ კიდევ ვერავინ შეძლო ზუსტად დაედგინა, მართლა შორეული პლანეტიდან ეწვია ეს ხალხი დედამიწას თუ უძველესი დროის განადგურებულ უცხო ცივილიზაციასთან გვაქვს საქმე.**

# ყველაზე ძვირფასი საჩუქრები კაცობრიობის ისტორიაში

## ელიზაბეტ ტეილორის ბრილიანტი



70-კარატიანი ბრილიანტი **მსახიობმა რიჩარდ ბარტონმა მიუძღვნა მაშინ ჯერ კიდევ მის შეყვარებულს, ელიზაბეტ ტეილორს.** საერთოდ, 70 კარატი არც თუ ძალიან ბევრია, მაგრამ ალმასი საოცრად იყო გამოთლილი და უზარმაზარი ფასი ჰქონდა. შესაძლოა, ამან შეასრულა გადამწყვეტი როლი იმაში, რომ ბარტონი გახდა ერთადერთი მამაკაცი, ვისაც ტეილორი ორჯერ გაჰყვა ცოლად.

## მერლინ მონროს ვარდები



**წითელი ვარდები, რომლებსაც 60-იანი წლების ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი სპორტსმენი ჯო დი მაჯიო ყოველთვის ჩუქნიდა თავის საყვარელ ქალს — მერლინ მონროს.** მერლინთან უზარმაზარი თაიგული ყოველდღე მას შემდეგაც კი მიჰქონდათ, რაც წყვილი ერთმანეთს დაშორდა. როცა მერლინი გარდაიცვალა, დი მაჯიოს ზუსტად იგივე თაიგული ყოველ დღე მიჰქონდა ოცნების ქალის საფლავზე.

## ბონის პლანტაციები



**ბანკების ცნობილმა მძარცველმა ქლაიდმა, როგორც ამბობენ, თავის საყვარელ ბონის აჩუქა დოკუმენტები კაქტუსის პლანტაციებზე, რომლისგანაც ტეკილას ამზადებდნენ.** მართალია, ეს ქაღალდები თვალით არავის უნახავს, მაგრამ ამ ნახევრად ლეგენდარული წყვილის სხვა ისტორიების მსგავსად, კაქტუსების პლანტაციის ამბავიც შემორჩა სიყვარულის გამოვლინებათა სიაში. თავად პლანტაციის მუშებმა ბოლომდე არ იცოდნენ, რომ მათი პლანტაცია ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ ქალს ეკუთვნოდა.



## ვან გოგის ყური

**პარიზის საროსკიპოში ერთ-ერთმა მეძავმა კლიენტისგან მიიღო პატარა შეკვრა და თხოვნა, შეენახა იგი მთელი ცხოვრების მანძილზე.** გოგონას სულმა წასძლია და შეკვრა გახსნა, ამის შემდეგ კი კარგა ხნით მოუხდა შოკთან ბრძოლა — კლიენტს ვან გოგი ერქვა, ხოლო შეკვრაში მისი მოჭრილი ყური იდო.



## მავზოლეუმი მეუღლისთვის

**მსოფლიოს ყველაზე ლამაზი ნაგებობა — მავზოლეუმი „ტაჯმაჰალი“ — შაჰმა ჯაჰანმა მაშინ ააშენა, როდესაც მისი უსაყვარლესი მეუღლე მეთოთხმეტე შვილზე მშობიარობას გადაჰყვა.** კედლების ზედაპირის ყოველი სანტიმეტრი „ტაჯმაჰალში“ მოპირკეთებულია ულამაზესად თლილი ქვებით, ხოლო თვით მავზოლეუმი დღის შუქზე ისეა ორიენტირებული, რომ ყოველდღე თითქოს მზის ამოსვლასთან ერთად იბადება, ხოლო შებინდებისას კვდება. ამბობენ, დამპყრობმა სპარსელებმა, რომლებმაც გაანადგურეს და ლამის მიწასთან გაასწორეს ინდოეთის დედაქალაქი, „ტაჯმაჰალთან“ მიახლოებაც კი ვერ გაბედეს.

# თანამედროვე მეცნიერების ჩიხი

**მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო მეცნიერებას უამრავი მიღწევა აქვს, ამ დრომდეც რჩება მთელი რიგი ფენომენები, რომლებიც დღეისთვის ნაცნობ არანაირ კანონს არ ექვემდებარება. მსოფლიოს მეცნიერებს ამოუხსნელი მოვლენებიდან ყველაზე მეტი თავსატეხი შემდეგმა მოვლენებმა გაუჩინა:**



## უცნაური ხმები

**ნიუ მეხიკოს ერთ პატარა ქალაქ თაოსში დაგროვდა უამრავი ფაქტი, რომელთა მიხედვითაც ადგილობრივ მოსახლეობას უდაბნოდან დაბალი სიხშირის უცნაური ხმები ესმით.** ზოგიერთი ფიქრობს, რომ ეს უდაბნოს უცნაური აკუსტიკაა. ზოგიერთი კი მოვლენას ნამდვილ წყევლას უწოდებს. ასეა თუ ისე, უამრავი სკეპტიკოსი საკუთარი ყურით დარწმუნდა, რომ ადგილობრივები არაფერს იგონებენ, ხმების წარმოშობის მიზეზი კი მეცნიერთათვის ამ დრომდეც დაუდგენელია.



## ამოუცნობი არსებები

**მიუხედავად იმისა, რომ არსებობს ეჭვი ტყეში მცხოვრები ადამიანის მსგავსი არსებების შესახებ, ადამიანებმა ერთხელაც ვერ მოახერხეს მათი რომელიმე წარმომადგენლის შეპყრობა და უფრო მეტიც — მათ გვამსაც კი ვერსად მიაკვლიეს.** მონადირეები მათ ვერ კლავენ, ცოცხალთ ვერსად ნახულობენ, მაგრამ არსებობს ფოტოები, რომლებსაც მეცნიერები გვერდს ვერ აუვლიან; ვერც იმას უარყოფენ, რომ არსებობენ Bigfoot-ის ან ჩრდილოეთ ამერიკის Loch Ness Monster-ის მსგავსი არსებები, რომელთა შესახებ, ფაქტობრივად, არაფერი ვიცით.



## ინტუიცია

**ინტუიცია, ანუ მეექვსე გრძნობა, როგორც მას მეორენაირად ეძახიან, ნებისმიერ ადამიანს გამოუცდია ერთხელ მაინც. მართალია, ის ხანდახან ცდება კიდეც, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ არ არსებობს. პრაქტიკა კი ამტკიცებს, რომ შეცდომები ცოტაა — ინტუიცია უმეტესწილად მართალია.** ფსიქოლოგების აზრით, ადამიანი უნებლიეთ აგროვებს ინფორმაციას მის გარშემო, შემდეგ კი სწორედ ეს გაუცნობიერებლად მოგროვილი ინფორმაცია გადაიზრდება შეგრძნებაში, თითქოს ვიცით ის, რაც, წესით, არ უნდა ვიცოდეთ, რადგან არასდროს გვისწავლია ან, სულაც, ჯერ არ მომხდარა. მეცნიერება აღიარებს ინტუიციასაც და იმასაც, რომ მისი შესწავლა არა მხოლოდ ძალზე რთული, არამედ თითქმის შეუძლებელია.






## Deja vu

**ეს ფრანგული გამოთქმაა და ნიშნავს „მე ეს უკვე ნანახი მაქვს“. ყველა ჩვენგანს ერთხელ მაინც უთქვამს ეს ფრაზა იმ აბსოლუტურად ამოუცნობ და მისტერიულ გრძნობასთან დაკავშირებით, რომელიც გვაიძულებს, ვიფიქროთ, რომ მოვლენები რომლებსაც ახლა ვხედავთ, უკვე ნანახი გვაქვს.** ზოგიერთი ამ ფაქტს წინა ცხოვრებიდან გამოყოლილი მეხსიერებით ხსნის, მაგრამ ფსიქოლოგიაში აღნიშნულ ფენომენს უფრო ნატურალისტურად ხსნიან და მასაც არანაკლებ ამოუცნობ ინტუიციას მიაწერენ. მიუხედავად მრავალწლიანი მცდელობისა, მეცნიერება აღიარებს, რომ აღნიშნულ ფენომენს საბოლოოდ დამაჯერებელი ახსნა ჯერაც ვერ მოუძებნა.



## სხეულისა და ტვინის კავშირი

**სამედიცინო მეცნიერებისთვის ჯერ კიდევ აუხსნელია ადამიანის სხეულისა და ტვინის კავშირი ერთმანეთთან და გონების ზეგავლენა სხეულზე.** პლასებოს ეფექტი ნათლად გვიჩვენებს ადამიანის გონების უნიკალურ შესაძლებლობებს, რომლის შედეგადაც ადამიანი ყოველგვარი სამედიცინო დახმარების მიღების გარეშე მკურნალობს საკუთარ თავს. თვითმკურნალობის ეს მეთოდი (თვითშთაგონებისა და დაჯერების მეთოდი) მსოფლიო თანამედროვე მედიცინას სრულად ჩრდილავს, მიუხედავად ამისა, მსოფლიო მედიცინა უძლურია, ის რაიმე მეცნიერულ ჩარჩოში მოაქციოს.



## დედოფლის მანტო

**მეფე ლუი მეთოთხმეტემ კილომეტრ-ნახევარი სიგრძის სიასამურის მანტო თავის დედოფალს აჩუქა,** რათა მას დილიდანვე შეძლებოდა ფეხშიშველს გაესეირნა საწოლი ოთახიდან ტალავერამდე.





## მარგალიტი კლეოპატრასთვის

**მარგალიტი ღვინოში, რომელიც ანტონიუსმა კლეოპატრას მიართვა, ამ დრომდე ითვლება ყველა დროის მსოფლიოში ყველაზე ნატიფ საჩუქრად.** ანტონიუსმა შესთავაზა კლეოპატრას, თუ საჩუქარი არ მოეწონებოდა, ოდესმე ხმელეთზე ამოტანილ მარგალიტთაგან ყველაზე დიდი და მშვენიერი კვლავ ზღვისთვის დაებრუნებინა.

## სული მარგარეტისთვის

**ფაუსტმა მარგარეტს საკუთარი სული აჩუქა.** მართალია, ისტორია სევდიანად დამთავრდა, მაგრამ ეს ერთადერთი შემთხვევაა, როდესაც სული ნამდვილად აჩუქეს და არ გაყიდეს.

## ჟაკლინის კუნძული

**ბერძენმა მილიარდერმა არისტოტელე ონასისმა თავის საყვარელ მეუღლეს ჟაკლინ კენედის მორიელების კუნძული აჩუქა. ამ კუნძულზე შედგა მათი ქორწილი.**



# გენიოსთა ტვინი

**აზიური კულტურის მიხედვით, სამყაროს ღერძი და ჭკუა-გონება — ნიჭის აპოთეოზი მამაკაცია. ქალი, თავისი გონებრივი შესაძლებლობების მიხედვით, კაცის ჩრდილია.** ისტორიკოსმა ვასილ კლუჩევსკიმ ირონიულად ჩაილაპარაკა, ქალის ჭკუა მაშინ ჩანს, თუ იგი მას საგულდაგულოდ მალავსო. ქალის ტვინი მამაკაცისაზე მსუბუქია, მაშასადამე ინტელექტის მხრივაც ჩამოუვარდება, მითუმეტეს, რომ ყოველი მშობიარობის შემდეგ მანდილოსნების ტვინი ჭკნება — ირწმუნებიან ყველაზე თავგამოდებული „ქალთმოძულეები“. როგორც საბოლოოდ გაირკვა, საქმე სულ სხვაგვარადაა.

**ქალის თავში 14 მილიარდი ნერვული დაბოლოებაა, ტვინის საერთო მასა დაახლოებით 1,3 კილოგრამია, რიგითი მამაკაცის ტვინი კი საშუალოდ 1,4 კილოგრამს იწონის.**

ყველაზე მძიმეწონიანი ტვინის პატრონად ითვლება 30 წლის მამაკაცი, რომლის 2,4-კილოგრამიანი ტვინი ექიმმა მენდიბურმა პათოლოგიური ანატომიის ლაბორატორიაში აღმოაჩინა. სიაში შემდეგ მოდიან: კრომველი (2300 გრამი), ბაირონი (2238 გრამი), ტურგენევი (2012 გრამი), ბისმარკი (1965 გრამი), ესენინი (1920 გრამი), კიუვე (1792 გრამი), შილერი (1785 გრამი), ბეთჰოვენი (1750 გრამი), პავლოვი (1653 გრამი), კანტი (1600 გრამი), მენდელეევი (1571 გრამი), ტროცკი (1568 გრამი), მიჩურინი (1522 გრამი), სტანისლავსკი (1505 გრამი).

გენიოსების ასეთი კლასიფიკაციის წინააღმდეგ პირველად ამერიკელებმა გაილაშქრეს, რადგან მათი დიდი პოეტის, უოლტ უიტმენის ტვინი მხოლოდ 1256 გრამს იწონიდა. შემდგომ ფრანგებმაც ამოიღეს ხმა — ანატოლ ფრანსის გენია მხოლოდ 1017 გრამი იყო. **„ინტელექტუალური ზომებისა და წონის“ თეორიას განაჩენი სკანდალურმა აღმოჩენამ გამოუტანა: მსოფლიოში ყველაზე დიდი ტვინი იდიოტს ეკუთვნოდა.**

საბოლოოდ დამტკიცდა, რომ ინტელექტის დონის განსაზღვრისთვის ტვინის არა მარტო წონას, არამედ ნაოჭების რაოდენობასაც აქვს მნიშვნელობა. ქალების ტვინს კი, თურმე, მამაკაცისაზე მეტი ხვეული აქვს.

უფრო მეტიც, როგორც მეცნიერებმა დაადგინეს, შთამომავლობას ინტელექტი დედის ხაზით გადაეცემა. გონებრივი შესაძლებლობების გენი X ქრომოსომის განსხვრივაა განლაგებული. ასეთი ქრომოსომა ქალს ორი აქვს, მამაკაცს კი — მხოლოდ ერთი. ამის გამო **ინტელექტზე პასუხისმგებელი გენი მშვენიერ სქესში გაცილებით უფრო ძლიერია.**



დაკვირვებამ ცხადყო, რომ ასაკთან ერთად მამაკაცების გონება უფრო მეტად სუსტდება, ვიდრე ქალებისა. 90-იან წლებში მეცნიერებმა ერთხმად აღიარეს, რომ „ქალის გონება უფრო მეტად ფუნდამენტური, მოქნილი და დისციპლინირებულია“.

**მეცნიერთა პროგნოზით, მესამე ათასწლეული საბოლოოდ მოუღებს ბოლოს გენიოსთა გალერეაში მამაკაცთა პარპაშს.**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

## გუიზო და ჰანი



**ავსტრალიის ქალაქ ტუვუმბას მცხოვრები თავის ძაღლზე დაქორწინდა. საზეიმო ცერემონია ქალაქის პარკში გაიმართა.** ჯოზეფ გუიზომ ლაბრადორი ჰანი 5 წლის წინათ შეიფარა. მისივე განმარტებით, იგი ვალდებულია იქორწინოს ძაღლზე, რადგან თავს ერთობ რელიგიურ ახალგაზრდად მიიჩნევს. ამასთან, მან დასძინა, რომ ჰანისთან სექსუალური ურთიერთობა არ აქვს. „ეს ნამდვილი, წრფელი სიყვარულია,“ — განაცხადა გუიზომ. ახალგაზრდა კაცის თქმით, მან ჰანის ცოლობა სასეირნოდ გაყვანისას შესთავაზა და რადგან, პასუხად დუმილი მიიღო, ეს დასტურად ჩათვალა. ცერემონია ახალდაქორწინებულთა უახლოესი მეგობრებისა და ნათესავების თანდასწრებით გაიმართა. თაფლობის თვეს გუიზო და ჰანი პარკში გაატარებენ.

## გასეირნება ბეჰემოთებით



**ერთმა უშიშარმა ნიანგმა გადაწყვიტა, მდინარე ბეჰემოთზე ამხედრებულს გადაეცურა და გარკვეული დროის განმავლობაში თავი „ჯუნგლების მეფედ“ ეგრძნო.** ბრიტანელმა ფოტოგრაფმა მარკ ჯონსონმა ეს წარმოუდგენელი და სასაცილო კადრები თავის ობიექტივში მაშინ აღბეჭდა, როცა ტურისტებს ტანზანიის საფარიში დაატარებდა. მამაც ნიანგსაც სწორედ აქ, მდინარე ლუვეგოს რაიონში გადაეყარა. ფოტოგრაფის თქმით, რეპტილიამ იმით ისარგებლა, რომ ბეჰემოთები „შიდა გარჩევებით“ იყვნენ დაკავებული და ერთი მათგანის ზურგზე აცოცდა. 3-ტონიანმა უზარმაზარმა ბეჰემოთმა მდინარე ისე გადაცურა, ვერც კი იგრძნო, ზურგით ტვირთი რომ მიჰქონდა. ფოტოგრაფი ამ სცენას ტურისტების ჯგუფთან ერთად თვალყურს ნახევარი წუთის განმავლობაში ადევნებდა, სანამ ნიანგი შეუმჩნევლად არ ჩამოცოცდა ბეჰემოთის ზურგიდან და წყალში არ ჩაყვინთა.

## დენ-ენდის საქმე



**საზრიანმა ჩინელმა ჩანგ ტიეგანმა თავის ძაღლს, 1 წლის დენ-დენს, საყიდლებზე სიარული ასწავლა. დენ-დენი მაღაზიებს სტუმრობს, პატრონისთვის სურსათ-სანოვაგეს არჩევს და შინ მიაქვს.** პროდუქტის სატარებლად ჭკვიან ძაღლს ზურგზე ორი ჩანთა აქვს დამაგრებული და დიდ სიამოვნებას იღებს იმით, რომ სასარგებლო „მისიას“ ასრულებს. ტიეგანი მას ფულსა და საჭირო პროდუქტების სიას ატანს, დენ-დენი კი შინ ხურდითა და საყიდლებით ბრუნდება.

# კოსოვო — ადამიანის ორგანოებით ვაჭრობა ამერიკის მხარდაჭერით

**როდის გავიგებთ ამერიკელები, რომ კოსოვოს საკითხში აშშ-ის ჩარევა თავიდანვე ტყუილს ეფუძნებოდა? კოსოვოს შესახებ საყოველთაოდ მიღებული შეხედულება შემდეგნაირი იყო: ეს წარმატების დიადი ისტორიაა. ამ ისტორიას სათაურიც შესაბამისი ჰქონდა: აშშ და მისი ნატოელი მოკავშირეები დიდსულოვნად გამოესარჩლნენ კოსოვოს, გამძვინვარებული სერბების გენოციდი რომ შეეჩერებინათ. სინამდვილეში კი ყველაფერი სულ სხვაგვარად იყო. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ძალით აიძულა გაჯიუტებული ნატოელი მოკავშირეები, დახმარება გაეწიათ მუსლიმანური მაფიისთვის, რომელიც ქრისტიანი სერბების წინააღმდეგ გენოციდს ახორციელებდა.**



ჰაშიმ ტაჩი და მადლენ ოლბრაიტი



ჰაშიმ ტაჩი და ჯო ბაიდენი

და აი, ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა გამომძიებელი დიკ მარტი სცენაზე გამოდის და მომაკვდინებელ ბრალდებებს აყენებს. **თურმე ჰაშიმ ტაჩი (იგივე „გველი“), რომელიც ახლა თავს პრიშტინის უკანონო სეპარატისტული ადმინისტრაციის პრემიერ-მინისტრად ასაღებს, სათავეში უდგას მაფიოზურ დაჯგუფებას, რომლის წევრებიც კლავდნენ ტყვეებს, ძირითადად, სერბებს და მათ ორგანოებს შავ ბაზარზე ყიდდნენ.** მაგრამ საკმარისი იქნება ეს სულის გამყინავი გამოაშკარავება იმისთვის, რომ იმ „ჰუმანიტარული“ ინტერვენციის გამართლება გადაისინჯოს, რომლის არსებობაც ამერიკელთა უმეტესობას, უკვე დიდი ხანია, დაავიწყდა? შეგვიძლია იმედი ვიქონიოთ, მაგრამ გადახედა კი ვინმემ საკუთარ შეხედულებებს მას შემდეგ, რაც მუსლიმანთა მხრიდან ფორტ დიკსის სამხედრო ბაზაზე თავდასხმის გეგმის თაობაზე გახდა ცნობილი? არავინ! ახლა კი ორგანოებით ვაჭრობის ისტორია გამოჩნდა. **უნდა გავიხსენოთ, რომ პირველად ადამიანთა ორგანოებით ვაჭრობის შესახებ ამბავი ჯერ კიდევ ორი წლის წინათ გახმაურდა. მაგრამ იმ თავხედური ობსტრუქციების შემდეგ, რომლებიც პრიშტინისა და ტირანის „ხელისუფლებებმა“, ცხადია, ვაშინგტონის სრული მხარდაჭერით მოაწყვეს, ნებისმიერი ხმაური ჩაიხშობოდა.**

მარტიმ თავისი მოხსენება სწორედ იმ მომენტში გამოაქვეყნა, როდესაც ტაჩი კოსოვოში რამდენიმე დღის წინათ ჩატარებულ არჩევნებში საკუთარი გამარჯვების შესახებ აცხადებდა. ეს დამთხვევა კი იმას ადასტურებს, რომ **ევროპაში ვიღაცას უფსკრულისკენ მიმავალი მატარებლიდან გადახტომა სურს.**

მაგრამ ამერიკელთათვის საკითხი სულ სხვაგვარად დგას: **რამდენად საზარელი უნდა იყოს ფაქტები, რომ ბოლოს და ბოლოს კულისებს მიღმა შეხედვა ვისწავლოთ და შევეცადოთ, გავიგოთ, რის დამალვას ცდილობს ესოდენი თავგანწირვით ჩვენი სახელმწიფო?**

იმ ავბედითი პარტიული ახლომხედველობის წყალობით, რომელიც შავი ჭირივითაა მოდებული ამერიკულ პოლიტიკაში, რომელიმე კონსერვატორმა, შესაძლოა, ცდუნებას ვერ გაუძლოს, ყველაფერი ბილ კლინტონს გადააბრალოს და ისევე დატოვოს, როგორც არის. ცხადია, მაშინ, 1999 წელს, როდესაც ნატომ კოსოვოში თავისი ჯარი შეიყვანა, ეს მართლაც „კლინტონის პრობლემა“ იყო. უნდა დავუფასოთ ღვაწლი იმ რესპუბლიკელ კონგრესმენებს, რომლებმაც ომის წინააღმდეგ მისცეს ხმა. **მაგრამ ჩვენმა შეუპოვარმა „ბალკანელმა სარდალმა“ ეს ომი მაინც დაიწყო, მიუხედავად იმისა, რომ წარმომადგენელთა პალატამ ძალის გამოუყენებლობას დაუჭირა მხარი. მართალია, რესპუბლიკელთა უმეტესობამ „არა“ თქვა, ნეოკონსერვატორულმა ისტებლიშმენტმა იმ ტალღის აგორება დაიწყო, რომელიც კლინტონისეული თეთრი სახლის მხარდაჭერას განაპირობებდა. სამწუხაროდ, ჯორჯ ბუშის ადმინისტრაციის საგარეო პოლიტიკაში სწორედ ნეოკონსერვატორები ჭარბობდნენ და 11 სექტემბრის ტერაქტების შემდეგ მათ მთელი ძალით დაიწყეს მუსლიმანთა შორის მეგობრების ძებნა. ამიტომ ბუშის პოლიტიკა კოსოვოში უფრო მეტად კლინტონური იყო, ვიდრე თავად კლინტონის დროს.**

ამან კი საერთაშორისო სამართლისა და ნაციონალური სუვერენიტეტის აბსოლუტურად ყველა ნორმის დარღვევით კოსოვოს დამოუკიდებლობის იდეის ძალით თავსმოხვევა განაპირობა.

**ახლა რას უპირებს ვაშინგტონი „ჩვენს ბიჭს“ — ტაჩის?** მოძებნეთ ინტერნეტში მისი სახელი, გვერდით მიუწერეთ ნებისმიერი ამერიკელი ხელმძღვანელი პირის სახელი ნებისმიერი პარტიიდან და დარწმუნდებით, რომ **მას ენერგიულად ართმევდნენ ხელს, ხშირად კი მეგობრულადაც იხუტებდნენ გულში ამერიკული ისტებლიშმენტის სიის „ვინ ვინაა“ უკლებლივ ყველა წევრი — ჯორჯ ბუშიც, კონდი რაისიც, ბილ გეიტსიც, ორივე კლინტონიც, ჯოზეფ ბაიდენიც, მადლენ ოლბრაიტიც, გენერალი უესლი კლარკიც.** კარგი იქნებოდა, მათგან ერთმა მაინც, თუნდაც კეთილისმყოფელი ორპირობით, განაცხადოს, რომ არაფერი იცოდა, თორემ არასდროს დაუჭერდა მხარს ამ ადამიანებს.

**თუმცა საქმე ისაა, რომ ადამიანის ორგანოებით ვაჭრობის შავბნელი ისტორიის გარეშეც ამერიკის ხელისუფლებამ თავიდანვე მშვენივრად უწყოდა, რომ „ტაჩი და კომპანია“** (იგივე კოსოვოს განმათავისუფლებელი არმია) **კაციჭამიების ბანდა გახლდათ.**

ამის თაობაზე ჩვენი მოკავშირეების სადაზვერვო სამსახურებსაც აღარაფერი ახსოვთ. პრობლემა მხოლოდ ტაჩიც არაა; თუ მისი მოშორება გახდება საჭირო, მოიშორებენ. უნდა ვიცოდეთ, რომ უკვე არსებობს „გეგმა ბ“, რომლის თანახმადაც მის ადგილას ტაჩიზე არანაკლებ ამაზრზენ მისსავე რომელიმე კოლეგას დააყენებენ. **მათ (ჩვენმა ხელისუფლებამ) იცოდნენ, რომ კოსოვოს განმათავისუფლებელი არმია არის ბანდა, რომელიც მთელს ევროპაში ნარკოტიკებით, მონებითა და იარაღით ვაჭრობს. მათ იცოდნენ, რომ კოსოვოს განმათავისუფლებელ არმიას მხარს უჭერს უსამა ბენ ლადენი, რომელსაც ტაჩი 1998 წელს პირადად შეხვდა კოსოვოში ჯიჰადის დასაგეგმად. ამის თაობაზე ალბანეთის დაზვერვის ყოფილი მეთაური საუბრობდა. კოსოვოს განმათავისუფლებელ არმიას მხარს უჭერდნენ ირანელები, საუდელები, თურქები და სამართლისა და წესიერების უკლებლივ ყველა ნორმის დარღვევით — ჩვენც.**

ახლა რა იქნება? მოვგროვდებით, შემოვირტყამთ თავდაცვის წრეს და ვიმედოვნებთ, რომ ყველაფერი გაივლის, შემდეგ კი კვლავ განვაგრძობთ მთელი მსოფლიოსთვის ხელების გადაგრეხვას, რომ მან მხარი დაუჭიროს უკანონო სეპარატისტულ ტერორისტულ წარმონაქმნს სახელად კოსოვო.

რაც შეეხება სერბეთს, ბელგრადში რომ წესიერი ხელისუფლება ყოფილიყო და არა მოღალატეების გროვა, ის, უბრალოდ, არ დაიწყებდა მზადებას ტაჩის „ხელისუფლების“ წარმომადგენლებთან შეხვედრისა და პირდაპირი მოლაპარაკებებისთვის. ბელგრადმა კი, გაურიგდა რა თავის ამერიკელ და ევროპელ მომხრეებს და სერბეთის მართლმადიდებლური ეკლესიის კოლაბორაციონისტებს, კოსოვოს ფიასკოში საკუთარი „წვლილი“ შეიტანა და დევნის ეპისკოპოს არტემიას, რომელიც ჯერ კიდევ პრეზიდენტ ბუშს მოუწოდებდა, არ შეხვედროდა ტაჩის და ადამიანთა ორგანოებით ვაჭრობის გამო მისი პასუხისგებაში მიცემისკენ მოუწოდებდა.

ტაჩის დაპატიმრება კარგი იქნებოდა, მაგრამ ეს არ კმარა. **დროა, გამოაშკარავდეს მთელი ის ტყუილი, რომელზეც ჩვენი ბალკანური პოლიტიკა დგას; დროა, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა უარი თქვას ისლამური ჯიჰადის მხარდაჭერის თავს მოხვევაზე, რასაც ძირძველი ქრისტიანი მოსახლეობის წინააღმდეგ ახორციელებს, და შეწყვიტოს კოსოვოს განმათავისუფლებელი არმიის რეჟიმის ინტერესთა დამანგრეველი და აბსურდული ლობირება.**

თუ მარტის მოხსენება ადამიანთა ორგანოებით ვაჭრობის თაობაზე კატალიზატორად იქცევა და ამერიკული პოლიტიკის პატიოსნად გადასინჯვას განაპირობებს, კოსოვოს მსხვერპლი ამაოდ არ ჩაივლის.

*American Council for Kosovo*

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# მსოფლიო ძალთა ახალი ბალანსისკენ

**დღევანდელობა ისტორიის კიდევ ერთი შემობრუნების მომენტია. მრავალპოლარულ მსოფლიოზე, დიდი ხანია, ლაპარაკობენ, მაგრამ ამ დრომდე გვეჩვენებოდა, რომ ის აბსოლუტურად უსაფრთხოდ ფრიალებს სადღაც ჰორიზონტზე. ის კი მოულოდნელად ჩვენს ცხოვრებაში შემოიჭრა — დასავლური ჰეგემონიის ორი ასწლეული სრულდება, თან უფრო სწრაფად, ვიდრე წარმოდგენა შეგვეძლო.**



ამაზე ეკონომიკური სტატისტიკის მშრალი ციფრები მეტყველებს. მომავალ წელს, ისევე, როგორც წლეულს, ჩინეთის, ინდოეთის, ბრაზილიის, თურქეთის, ინდონეზიისა და ასე შემდეგ განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკები მინიმუმ 8%-ით გაიზრდება. ვალებში ჩაფლული განვითარებული ქვეყნები დიდი ძალისხმევით თუ შეძლებენ 2%-იანი ზრდის მიღწევას. სწრაფად მზარდი ეკონომიკების ქვეყნებსა და ნელა მზარდი ეკონომიკების ქვეყნებს შორის განსხვავება იმდენადაა შესამჩნევი, რამდენადაც მდიდარ და ღატაკ ქვეყნებს შორის.

**შესაბამისად, იცვლება გეოპოლიტიკური წონასწორობაც. ჩინეთი აღმოსავლეთ აზიაში იმყარებს პოზიციებს, ინდოეთი ოკეანურ ფლოტს აშენებს, თურქეთი და ბრაზილია ცდილობენ, რეგიონალური გავლენა საერთაშორისოდ აქციონ, ინდონეზია ვაშინგტონსა და პეკინს შორის ბალანსირებას განაგრძობს, ევროპა მსოფლიოში თავისი მნიშვნელობის ვარდნას ებრძვის, ამერიკა კი — პოლიტიკურ სირთულეებსა და ბიუჯეტის დეფიციტს.**

ამერიკის აღსასრულზე საუბარი ჯერ მაინც ადრეა. მიუხედავად მის ანგარიშზე დაგროვილი ყველა პრობლემისა, ის ჯერ კიდევ რჩება ერთადერთ ზესახელმწიფოდ, რომელსაც მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში მოქმედება შეუძლია. მაგალითად, **2010 წელს ამერიკის აზიაში დაბრუნება მხოლოდ ზოგიერთებმა თუ შეამჩნიეს.**

პეკინისა და ჩრდილოეთ კორეის მომაკვდინებელი არაპროგნოზირებადობით შეშინებულმა ჩინეთის მეზობლებმა ძია სემს სთხოვეს დახმარება.

სურათი, რომელსაც საიდუმლო დიპლომატიური მიმოწერის გამოქვეყნება ასახავს, სინამდვილეში არც ისე ცუდია. ნაციონალური ინტერესები, რომელთაც ამერიკა მისდევს, ერთი შეხედვით დანარჩენი მსოფლიოს საზოგადოებრივი კეთილდღეობის თანხვედრია. ვაშინგტონი დახურულ კარს მიღმა ზუსტად ისევე დარდობს მსოფლიო უსაფრთხოებაზე, ქმედუუნარო სახელმწიფოებში შექმნილ სიტუაციებზე, ბირთვული შეიარაღების, ტერორიზმისა თუ რეგიონალური კონფლიქტების შედეგებზე, როგორც სახალხოდ.

**მაგრამ, მეორეს მხრივ, ამ მასალებით დადასტურდა, რომ აშშ-ს ზესახელმწიფოობა არ ხელეწიფება. დიპლომატიურმა მიმოწერამ აჩვენა, რომ, მიუხედავად მთელი თავისი ძლევამოსილებისა, აშშ-ს არ შეუძლია, პრობლემურ რეგიონებში თავისი გაიტანოს.**

სულ რამდენიმე დღის წინათ საკუთარი თვალითაც ვნახეთ, როგორ ჩაშალა ისრაელის პრემიერ-მინისტრმა ბენიამინ ნათანიაჰუმ ბარაკ ობამას მცდელობები, ახლო აღმოსავლეთში მშვიდობისთვის მიეღწია.

**ახალ წესრიგზე გადასვლა, როგორც ჩანს, დაპირისპირებებისა და კონკურენციის პირობებში მოხდება და არა თანამშრომლობის საფუძველზე**

თავის მხრივ, განვითარებადი სახელმწიფოები ახლა იმ ეტაპზე არიან, რომლის დროსაც სურთ, ძალაუფლების უპირატესობებით ისარგებლონ და პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე არ აიღონ. როგორი კეთილმოსურნე ინტერპრეტაციაც არ უნდა ვეძებოთ, **ჩინეთის კუნთების თამაში ბოლო პერიოდში იმ მოზარდის საქციელს ჰგავდა, რომელმაც ესესაა გააცნობიერა, რომ ფიზიკური შესაძლებლობებით ზრდასრულ ადამიანებს გაუთანაბრდა. დენ სიაოპინის გაფრთხილებათა უგულებელყოფით პეკინი აქტიურად ანიავებს უკანასკნელ ათწლეულებში დაგროვილ გავლენას.**

ინდოეთს სურს, რომ ზესახელმწიფოს სტატუსის შესაბამისი პატივისცემით განიმსჭვალონ მის მიმართ. უცნაურია, მაგრამ **დელის არ ძალუძს თავის ცხვირწინ გაჩენილ პრობლემებს გაუმკლავდეს. თურქეთი ერთდროულად იყურება დასავლეთისა და აღმოსავლეთისკენ და ცდილობს ევროატლანტიკური ინტეგრაციის პარალელურად ისლამურ სამყაროში ლიდერობის ახალი პრეტენზიები გაიტანოს.**

**ევროპა საერთოდაც ცუდ ფორმაშია. კრიზისი, რომელმაც თავიდან კერძო ბანკებს შეუტია, სახელმწიფო ვალის პრობლემებში გადაიზარდა. ბაზრები ევროზონაზე ზეწოლას განაგრძობენ, მაგრამ მთავარ საფრთხეებს პოლიტიკური ელფერი აქვს.** ეკონომიკური შოკი, რომელიც მომძლავრებულ აზიასთან შედარებით კონტინენტის შესუსტებამ განაპირობა, ბერლინის კედლის დანგრევასთან დაკავშირებულ ოცი წლისწინანდელ მაგრამ ამ დრომდეც დაუძლეველ პოლიტიკურ შოკს ერწყმის.

**გერმანიის გაერთიანებამ ევროპაში ძალთა ბალანსი შეცვალა; ევროკავშირი ნორმალურად მაშინ მუშაობდა, როდესაც მასში გერმანია და საფრანგეთი ლიდერობდნენ. ახლა ბერლინს საკუთარი პირობების კარნახი სურს და ნაციონალიზმის გამოვლინებებსაც აღარ ერიდება. ერთიანი ვალუტა შესაძლოა გადარჩეს, მაგრამ საეჭვოა, გერმანიის პირობები ბევრს მოეწონოს.**

**იაპონია, როგორც ჩანს, დიდი ხნით შევიდა პოლიტიკურ ჩიხში — ტოკიომ სამი წლის მანძილზე ოთხი პრემიერი შეიცვალა — ამ ქვეყანას უსასრულო სამთავრობო გადაადგილებები უფრო უადვილდება, ვიდრე აღმოსავლეთ აზიის სტრატეგიულ სირთულეებზე ფიქრი.**

**დღევანდელი გეოპოლიტიკური ლანდშაფტის აღწერა შეიძლება როგორც დასავლეთისა და დანარჩენი მსოფლიოს დაპირისპირება.**

მიმდინარე მოვლენებზე ყველაზე ოპტიმისტური შეხედულების თანახმად, **აღმოსავლეთსა და დასავლეთს, ასევე ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის თანამშრომლობის სფეროში ყველაზე ფართომასშტაბიანი კონსენსუსის შემუშავება „დიდი ოცეულის“ ქვეყნებს შეუძლიათ.**

თუ ეკონომიკის გლობალურ რეგულირებაზე ვილაპარაკებთ, ამ შეხედულების მომხრეებსა და მიმდევრებს ოპტიმიზმისთვის გარკვეული საფუძვლები გააჩნიათ. მაგრამ, თუ საუბარს უსაფრთხოებისა და საერთაშორისო პოლიტიკის თემებზე გადავიტანთ, ოპტიმიზმის მიზეზები მნიშვნელოვნად შემცირდება.

**განვითარებადი ქვეყნები სახელმწიფოს მთავრობებს საერთაშორისო წესებზე მაღლა აყენებენ, სუვერენიტეტს — მულტილატერალიზმის პრინციპზე მაღლა. ამიტომ ახალ წესრიგზე გადასვლა, როგორც ჩანს, დაპირისპირებებისა და კონკურენციის პირობებში მოხდება და არა თანამშრომლობის საფუძველზე.**

ცხადია, ერთმანეთზე დამოკიდებულებას ქვეყნები ვერსად გაექცევიან, მაგრამ ეს დამოკიდებულება მუდმივად კითხვის ნიშნის ქვეშ იდგება. ეს რთული პერიოდი იქნება და დასანანია, რომ **დასავლეთში ძალიან ბევრს რეალობისგან დამალვა ურჩევნია.**




*The Financial Times*

## ყველაზე ორიგინალური



**ლედი გაგა წითელი ხალიჩის უდავო დედოფლად მიიჩნეოდა მისი არაპროგნოზირებადი იმიჯისა და სენსაციური სტილის გამო, ახლა კი მას მეტოქე გამოუჩნდა – რეპერი ნიკი მინაჟი.**

ლოს ანჯელესში გამართულ პრესტიჟულ ცერემონიაზე 25 წლის ტრინიდადელი მომღერალი ორიგინალური მარჯნისფერი ჩონჩხის გამოსახულების პრინტიანი კაბით მივიდა. კაბა ინდოელმა დიზაინერმა მანიშ არორამ შეკერა. ფერადკანიანი რეპერის ქერა თმის ბოლოები სამოსს ეხამებოდა.

ნიუ იორკში რეპერი უჩვეულო კოსტიუმით გამოცხადდა — წინ შავი და კლასიკური სამოსი უკანა მხრიდან მთლიანად გამჭვირვალე იყო. თავისი გარეგნული იერით ამერიკელი რეპერი ნიკი მინაჟი არა მხოლოდ ლედი გაგას, არამედ შოუ-ბიზნესის კიდევ ერთ კაშკაშა ვარსკვლავს — რიანას, საქციელით კი მადონას წააგავს. ამავე დროს, ფუმფულა თეძოების გამო მას ჯენიფერ ლოპესსა და ბიონსსაც ადარებენ. მეთიუ უილმსონის შოუზე, რომელიც ნიუ იორკში გაიმართა, მინაჟი ვარდისფერი და მაქმანებიანი სამოსით გამოცხადდა და თაყვანისმცემლებს ავტოგრაფები ჩამოურიგა.

## 175-ათასიანი სახლი-მანქანა



**ამ ლიმუზინს თამამად შეიძლება ეწოდოს ბინა თვლებზე.** ეს უზარმაზარი საბარგო მანქანა 26-ადგილიანია და აღჭურვილია ბარით, საპირფარეშოთი, წყლის ნიჟარით, 36-დიუმიანი პლაზმური ტელევიზორითა და ოთხი 15-დიუმიანი მონიტორით. მძღოლის კაბინა სამგზავრო სალონისგან დაჯავშნული ტიხრითაა გამიჯნული. ეს დაჯავშნული „ღამის კლუბი“ იბეის აუქციონზე 175000 დოლარად იყიდება.

## დაკვრა ფეხებით



**ჭაბუკმა, რომელმაც უბედური შემთხვევის გამო ბავშვობაში ორივე კიდური დაკარგა, პეკინში, ტალანტების შოუში, გაიმარჯვა. ლიუ ვეი პიანინოზე ფეხის თითებით უკრავდა.** ლიუ ბავშვობიდან მიეჩვია ფეხის თითებით ჭამას, ჩაცმას, კლავიატურაზე ბეჭდვას და კომპიუტერთან მუშაობას. 19 წლისამ კი პიანინოზე დაკვრის შესწავლა დაიწყო. მისი პირველი მასწავლებელი არწმუნებდა, რომ ფეხის თითებით პიანისტობა შეუძლებელია, თუმცა ლიუმ საპირისპირო დაამტკიცა. ახლა 23 წლის ვირტუოზი აღიარებს, რომ არსებობს ნაწარმოებები, რომელთა შესრულებაც არ შეუძლია. მაგალითად ისეთის, როცა საჭიროა ერთი ოქტავის გამოტოვებით ნოტის აღება. მიუხედავად ამისა, ლიუ საკუთარ ძალებში დარწმუნებულია.

# «ჟამი ერთობისა» — ახალი გაზეთი




**ბატონმა ჯამლეტ ხუხაშვილმა, ცნობილმა ტელე და რადიო კომენტატორმა, სპორტული რადიო „ჯაკოს“ დამაარსებელმა, სპორტსმენმა და მწვრთნელმა კიდევ ერთ კარგ საქმეს დაუდო სათავე: დააფუძნა საქართველოს ებრაელთა საზოგადოებრივი გაზეთი „ჟამი ერთობისა“, რომლის პრეზენტაცია საქართველოს ებრაელთა სათემო სახლში 20 დეკემბერს გაიმართა.**

შესანიშნავი საზოგადოება შეიკრიბა: სახალხო არტისტები, მსოფლიო ჩემპიონები, მწერლები, კომპოზიტორები, მეცნიერები, საზოგადო მოღვაწენი, ელიტა. და — ჩვენი ამქარი — ჟურნალისტები.

გზა დაულოცეს „ჟამსა ერთობისას“, საუკეთესო სურვილები დაუგეს ფიანდაზად გაზეთის რედაქტორებს ზაირა დავარაშვილსა და დავით ჭელიძეს.

იმედიანია რედაქციის განწყობაც, რომელიც ასეა ჩამოყალიბებული მკითხველისადმი მიმართვაში: **„ჩვენი გაზეთის პირველი ნომრის გამოსვლა იმ ბრწყინვალე დღესასწაულს დაემთხვა, რომელსაც ხანუქა ჰქვია და საუკუნეების მანძილზე სინათლის სიბნელეზე და სიკეთის ბოროტებაზე გამარჯვებას გვაზეიმებს. ვიმედოვნებთ, ჩვენს ახალ წამოწყებას წარმატება და წინსვლა დაებედება“.**

ჩვენც მანდა ვართ — „საქართველო და მსოფლიოს“ ჟურნალისტები, რადგან პირველი ნომერი „ჟამი ერთობისას“ ამის საფუძველს გვაძლევს.

და კიდევ, აი, რატომ:

ნოდარ ჯინჯიხაშვილი (ჯინი), ფეთხაიმელი ქართველი იუდეველი თავის „ებრაული აფორიზმების წიგნის“ შესავალში ყურადსაღებ მოსაზრებას გვთავაზობს:

**„თუ მუჰამედი მართალი იყო, როცა ებრაელებს წიგნის ხალხი უწოდა, ე.ი. ბიბლიისა, ჭეშმარიტებასთან კიდევ უფრო ახლოს აღმოჩნდება ის, ვინც მას სიტყვის ხალხს უწოდებს.**

საქმე მარტო ის კი არ არის, რომ წიგნი არის სიტყვა, არც იმდენად ის, რომ ბიბლია საღმრთო სიტყვადაა მიჩნეული, რამდენადაც ის, რომ თავისთავად **სიტყვამ ებრაელთაგან შექმნა ხალხი...**

ებრაელი სხვა ცნებაა. **იგი განსაზღვრულია სულიერებით, ესე იგი, სიტყვით...**

ღმერთმა ებრაელები ხალხად შეკრა იმით, რომ გააერთიანა სიტყვის გარშემო...“

სიტყვა — გამაერთიანებელი.

ასეთივე მისია ითავა „ჟამმა ერთობისამ“ — გაზეთად მატერიალიზებულმა სიტყვამ, რომელიც, უეჭველია, წარმატებით იღვაწებს საქართველოში ებრაელთა თემის კიდევ უფრო მჭიდროდ შესაკვრელად და კიდევ ერთ ხიდად გაიდება საქართველოსა და ისრაელს შორის, ქართველებსა და ებრაელთა ძმობის დუღაბად მოგვევლინება.

ერთი ებრაული აფორიზმი ამბობს: **„უფალმა ადამიანი მიწისგან შექმნა, ადამიანის სული — ზეცისგან, რათა ზეცა და მიწა არ მტრობდნენ ერთმანეთს“.**

ჩვენ ერთი მიწა გვაქვს და ერთი ზეცა გვფარავს, და ამიტომ უჟამოა ჟამი, როგორც ქართულ ჰაგიოგრაფიაშია ნათქვამი, ქართველთა და ებრაელთა ერთობისა, რომელსაც „ჟამი ერთობისა“ თავის სიტყვას შეჰმატებს.

**არმაზ სანებლიძე**


## უნივერსალური წყალი „ისიდა“



### მათთვის, ვისთვისაც ძვირფასია ჯანმრთელობა

სუფრის წყალი „ისიდა“ აკმაყოფილებს ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის („ჯანმო“) მოთხოვნებს. სერტიფიცირებულია და დღიური ნორმის ოდენობით შეიცავს ადამიანისთვის აუცილებელ და შეუცვლელ მიკროელემენტებს (J, F, Mn, Ca, K, Mg, Na, Zn).

J იოდი — ხელს უწყობს დედის ორგანიზმში ნაყოფის განვითარებას (დეფიციტი იწვევს კრეტინიზმს); მოქმედებს მოზარდის ნორმალურ განვითარებაზე; იცავს ადამიანს ჩიყვისგან; მოქმედებს გულსისხლძარღვთა და ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე.

F ფტორი — მინერალიზაციის პროცესების ბიოკატალიზატორია. მისი დეფიციტი იწვევს მინერალიზაციის დარღვევას, კბილის კარიესს.

Mn მანგანუმი — მოქმედებს ჰორმონებსა და ფერმენტებზე. მისი დეფიციტი იწვევს ინსულიარული აპარატის მოშლას, პოტენციის დაქვეითებასა და პათოლოგიურ სიმსუქნეს.

Ca კალციუმი — მონაწილეობს ძვლის უჯრედების წარმოქმნაში. მოქმედებს სისხლის შედედებაზე, ნერვული იმპულსების გადაცემაზე, ფერმენტული პროცესების აქტივობაზე.

K კალიუმი — უზრუნველყოფს გულის კუნთის მუშაობასა და მის ბუნებრივ აქტივობას, ხელს უწყობს მეხსიერების გაუმჯობესებას.

Mg მაგნიუმი — ამაგრებს ჩონჩხის ძვლებს, კბილის მინანქარს. ხელს უწყობს თირკმელების, ღვიძლის, გულისა და ტვინის ნორმალურ ფუნქციონირებას.

Na ნატრიუმი — ფიზიოლოგიური (უჯრედგარეთ) სითხის ძირითადი შემადგენელი ნაწილია. არეგულირებს სისხლის წნევას და იცავს სისხლის ბუფერობას.

Zn თუთია — შედის თითქმის ყველა უჯრედის შემადგეგნლობაში, არეგულირებს მოზარდი ორგანიზმის ნორმალურ განვითარებასა და სქესობრივ მომწიფებას.

საერთო მინერალიზაცია შეადგენს 350 მგ/ლიტრზე, რაც უზრუნველყოფს გულის კუნთის ნორმალურ მუშაობას, ტვინის ქერქისა და ქერქქვეშა ცენტრების აქტივობას, თირკმლის ნორმალურ ფუნქციონირებას, ზრდის ღვიძლის დეტოქსიკაციურ ფუნქციას და ინარჩუნებს ძვლოვანი ქსოვილების ნორმალურ შემადგენლობას.

სასმელად გამოსადეგი არც ერთი სხვა წყალი (არც მდინარის, არც ტბის, არც ჭის და არც წყაროსი) არ შეიცავს ჩამოთვლილ მიკროელემენტებს ერთდროულად და საკმარისი რაოდენობით, ამიტომ მათი ყოველდღიური და ხანგრძლივი გამოყენება ორგანიზმში რომელიმე ელემენტის დეფიციტს იწვევს, შესაბამისად, — ფუნქციონალურ დარღვევებს, რასაც ეწოდება მიკროელემენტოზი. მას მიეკუთვნება ენდემური ჩიყვი, კარიესი, ფსორიაზი, პათოლოგიური სიმსუქნე და სხვ.

„ისიდა“ გამიზნულია ოჯახური მოხმარებისთვის, ისხმება ხელის ტუმბოთი აღჭურვილ 20-ლიტრიან ბალონებში.

**მსურველებმა დარეკეთ თბილისში: 899-16-30-21.
890-26-15-15 (ოფისი); რუსთავში: 890-11-50-99; 895-91-24-14.**



**საინფორმაციო ანალიტიკური სააგენტო**

საქინფორმი

www.saqinform.ge



## წმიდა ანდრია პირველწოდებულის სამონასტრო კომპლექსის სამრეკლო

| | |
|---|---|
| ს.ს „გაერთიანებული ტელეკომი“ | 602602 |
| შპს „ახტელი“ | 700818 |
| შპს „მაგთიკომი“ | 200320 |
| შპს „ჯეოსელი“ | 700305 |
| შპს „ბილაინი“ | 200333 |

ფოთისა და ხობის ეპარქიის განვითარების ფონდის საბანკო რეკვიზიტია:

ს.ს „თი ბი სი ბანკის“ ფოთის ფილიალი
ბანკის კოდი 220101937; ა/ა 63636080100001; ს/კ 215141246

თანხის ჩარიცხვა შეგიძლიათ სწრაფი გადახდის აპარატებით იხ. მენიუში: სხვადასხვა — ქველმოქმედება — წმ. ანდრია პირველწოდებულის სამონასტრო კომპლექსი.



ინფორმაციისთვის მიმართეთ ფონდის დირექტორს, დეკანოზ თევდორე ბასილაიას:
ქ. ფოთი, ნ. ნიკოლაძის მოედანი №3,
ტელ.: 8(293) 70736, მობ.: (899)936563,
e-mail: eparqia-f@mail.ru



საქართველო და მსოფლიო — ესტუმრეთ ჩვენს საიტს

http://www.geworld.net


მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
მთავარი რედაქტორის მოადგილეები:
არმაზ სანებლიძე, ბონდო მძინარაშვილი
ტექნიკური რედაქტორი ლევან ზანგურაშვილი
ვებრედაქტორი გოჩა ხავთასი
რეალიზაციის მენეჯერი დავით ბუაძე, ოფისმენეჯერი თათია ვაშაკიძე,
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 34-32-95; e-mail:info@geworld.net